კვირის პალიტრა
# გზა
N34 (272) 25 ... ფასი 60 თ.

1168
2005



თემა:
ყურადღება!
დამნაშავეა
მობილური...

## გზავნილები — როცა ოქროს თევზს დაიჭერ

„შვილებს ჩემი დის საქმროდ გავაცანი..."

„...ცალკე ბინასაც ვთხოვდი, დედამთილის გარეშე რომ მეცხოვრა"

## მამუკა ლომაშვილი: „პრეზიდენტის ორეულობა ცუდ დღეში მაგდებს..."

## ვინ იყვნენ ფუსტელები ანუ საეკლესიო რაინდები საქართველოში



ლევან წულაძის მწვანეთვალება სომეხი გოგონა, გაბუტული ცოლი და ლოთობით დამთავრებული ნადირობა



## ადამიანი

ყველაზე ყვითელი ტაქსი, აფერისტი ქალები და... 7 ლარად ნაყიდი ნაგავი

# ბაკურიანი

## სასტუმრო მელისი

*ზამთარ-ზაფხული თქვენი სიამოვნებისა და ჯანმრთელობის სამსახურში*




ტელ: (995 32) 94 23 55 მობ: (899) 248 686

E-mail: ttsivtsivadze@yahoo.com

კვირის პალიტრა
ვზა
№34 (272)
25 – 31 აგვისტო
2005
ფასი 60 თეთრი

**მინიატურები**
ხელისუფლების „დიდი, ყვითელი“ რეალითი-შოუ 3
**ერთი კითხვა** 4
**არჩევანი**
თამარ კინწურაშვილს ძველ სამუშაო ადგილზე „უჯგულის“ დატოვება ემძიმება 6
**სახე**
მამუკა ლომაშვილი: „პრეზიდენტის ორეულობა ცუდ დღეში მაგდებს...“ 8
**გაცნობა**
„ქართველი რუსლანა“: „მამაკაცის ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს – მთავარია...“ 11
**კრიმინალი**
სომეხი ძმების მკვლელობაში სამართალდამცავები ორ ქართველს ადანაშაულებენ „სასამართლო გადაწყვეტილება პოლიტიკურმა მოტივმა განაპირობა“, – აცხადებენ ადვოკატები 13
**ადამიანი**
ყველაზე ყვითელი ტაქსი, აფერისტი ქალები და 7 ლარად ნაშოვნი ნაგავი 16
**ტესტი**
ერთგული მკითხველი 17
**გზავნილები**
„მინდა, „ბაბაიაგად“ გადავიქცე“ ანუ ო-ო, მამაშენი... მამაშენი... 18
**ხედვა**
ერები მსგავსი ხასიათებითა და განსხვავებული ცხვირებით 22
**თემა**
ყურადღება! ბრალი ედება მობილურს... 24
**პროფესია**
„ჩვენთან ჭიბეგაფხეკილ მამაკაცებს არაფერი ესაქმებათ“ 26
**დასვენება**
მწვანეთვალება სომეხი გოგონა, გაბუტული მეუღლე და ლოთობით დამთავრებული ნადირობა 29
**ჯანმრთელობა**
- თაფლის სანთელი 31
- მუსიკა რეცეპტით 31
- როგორ დავიცვათ თავი მიკროსპორიისაგან 32

**საკითხავი ქალებისთვის** 33
**დღესასწაული**
...ამ დროიდან იგი შუამდგომელია ღმერთსა და ადამიანებს შორის 34

## ყურადღება! ბრალი ედება მობილურს...



რომ წარმოვიდგინოთ ქვეყანა მობილური ტელეფონის გარეშე, დავრწმუნდებით, რომ ცხოვრების ტემპი გაცილებით შენელდება... ახლა იმის შესახებ, რომელი მოდელის ტელეფონებია ყველაზე მოდური, რომელ ტელეფონს ანიჭებს უპირატესობას ქართველი ახალგაზრდობა, შემდეგ კი მობილურთან დაკავშირებული ამბები....

24

## მამუკა ლომაშვილი: „პრეზიდენტის ორეულობა ცუდ დღეში მაგდებს...“

ასე დასრულდა ჩვენი საუბარი. „ქართველ რუსლანას“ კი, მამუკაზე საუბრის დროს, ისე უბრწყინავდა თვალები, რომ უნებლიეთ ვიფიქრე – აქ „რაღაცაშია“ საქმე-მეთქი... თუმცა, ნაადრევად დასკვნებს ნუ გამოვიტანთ, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

8



## მწვანეთვალება სომეხი გოგონა, გაბუტული მეუღლე და ლოთობით დამთავრებული ნადირობა



რეჟისორი ლევან (ჭოლა) წულაძე 5 წელია, ზაფხულობით, ოჯახთან და მეგობრებთან ერთად გონიოში ისვენებს. უყვარს ზღვა და მთელი დღე ცურავს. არ უყვარს თოვლი და ალბათ ამიტომაც, თავს არიდებს ზამთრის კურორტებზე წასვლას.

29

## ერები მსგავსი ხასიათებითა და განსხვავებული ცხვირებით

ჩვენი სტუმარი, სამხატვრო აკადემიის რექტორი ბატონი გია ბუღაძეც იტალიაზე გვესაუბრა. რა მსგავსებაა კახეთსა და ტოსკანას შორის, რატომ უნდა გვიხაროდეს კავკასიელთათვის დამახასიათებელი გრძელი ცხვირი, როგორ უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი და ოსეთი და არსებობს თუ არა მისთვის სხვა საქართველო, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

22



**საგანძური**
სვანეთისკენ მიმავალი მადლიანი გზა ანუ ვინ იყვნენ ფუსტელები 35

**ვარსკვლავები**
აფთარი ჰოლივუდელი ქალები 37

**ბომონდი** 40

**ავტო** 41

**რომანი**
ლუბა ელიაშვილი. მანიაკის ძლვენი (გაგრძელება) 42

**ფალავანი**
როგორ დაკარგა გურამ საღარაძემ ოლიმპიური ჩემპიონობა გრამების გამო 46

**შემოქმედი**
ერნესტ ჰემინგუეი: „გამარჯვებული არაფერს იღებს“ (გაგრძელება) 49

**შეამოწმეთ თქვენი ცოდნა**
ტესტი ერუდიციაზე 51

**საზღვრებს მიღმა**
ვიოლინოთი დაკრული კლასიკა, ჯაზი და როკ-ენ-როლი 52

**ფავორიტები** 54

**აქსესუარები**
დიზაინერი ქალი ეძებს ქალს, რომელსაც თავის ოცნებას მიუძღვნის... 56

**ანტიდეპრესანტი**
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 56

**ასტროლოგია**
როგორ მოვაწონოთ თავი უფროსს 58

**ჰოროსკოპი**
კვირის (25-31 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი 60

**სკანვორდი** 61

**იუმორი** 62

**ტესტი** 63
რა უფრო ძვირფასია თქვენთვის – საქმე თუ ადამიანური ურთიერთობები

**კალეიდოსკოპი**
ჭრელ-ჭრელი ამბები 64


გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“


## სვანეთისკენ მიმავალი მადლიანი გზა ანუ ვინ იყვნენ ფუსტელები



„რაც შეეხება სოფელ ფუტიეთში მომხდარ შეტაკებას, რუსის ჯარსა და ფუსტელებს შორის, დამთავრდა იმით, რომ ფუსტის რაინდებმა გზა გადაკეტეს და ექსპედიციას, რომელსაც სიწმინდეები მიჰქონდა ჯორებით, ნაწილი კი ხალხს ჰქონდა ზურგზე მოკიდებული, საშუალება მისცეს, უვნებლად გასულიყვნენ“.

35

## როგორ დაკარგა გურამ საღარაძემ ოლიმპიური ჩემპიონობა გრამების გამო

„ირანელს ჩემი იოლად დამარცხების იმედი ჰქონდა, რადგან მაშინ მხოლოდ 20 წლის ვიყავი და საბჭოთა კავშირის პირველობაც კი არ მომეგო. ჩვენი ორთაბრძოლა საინტერესოდ წარიმართა და საბოლოო ანგარიშით 7:6 მოვიგე. მსაჯმა გამარჯვების ნიშნად ხელი რომ ამიწია, ცირკი, სადაც ტურნირი იმართებოდა, კინაღამ დაინგრა“.



46

## კრისტინა აგილერა: „გამოიგზერტყეთ ყურები!“



საზოგადოებრივი ორგანიზაციის – YouthAIDS – მიერ წამოწყებულ ახალ კამპანიაში მონაწილეობდნენ კინოს, მუსიკისა და სპორტის ვარსკვლავები. ამ კამპანიის მეშვეობით ორგანიზაციას შიდსით დაავადებულთა და აივ-ინფიცირებულთა პრობლემებისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სურდა.

40

## მანიაკის ძღვენი

ლუბა ელიაშვილი

ვერ მივხვდი, რამ გააცხარა ქალი ასე. ნაზიკოს ნათქვამი გამახსენდა, ლევანი რაცხა კვერცხებს ეძებდა სახლშიო. „გუგულის ბედისწერა, კედლის საათში სიკვდილია“, – ცხადად ამომიტივტივდა რადიომანიაკის აფორიზმი. – ნეტავ, ესმამ ხომ არ დარეკა მაშინ ეთერში?





42

# ხელისუფლების „დიდი, ყვითელი" რეალითი-შოუ



ვინ ვინ და ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად იცის, რა უნდა ხალხს. ხომ გახსოვთ, როგორ გვინდოდა „სამკუთხედი" გმირთა მოედანზე?.. ჰოდა, გვაქვს! გვინდოდა წესრიგი ქუჩაში და საპატრულო პოლიცია გვყავს! გავიძახოდით — ქალაქს ძველ იერსახეს ნუ დავუკარგავთ-თქო! — და აგერ, ბატონო, კომუნისტების დროინდელი ყვითელი „იკარუსების" ნაცვლად, „რეტრო" ფერის ავტობუსები გამოჩნდნენ... ვის ჰყავს ასეთი მზრუნველი მთავრობა?.. ზოგიერთი კი, მაინც უკმაყოფილოა. ამ ზოგიერთის უკმაყოფილება რომ საფუძველს მოკლებულია, ამას ახლავე დაგიმტკიცებთ. ქალაქში იმდენი „მარშრუტკა" იყო, რომ თითო ფეხით მოსიარულეზე თითო მოდიოდა. კარდაკარ დადიოდნენ და აივნიდან თუ ჩამოსძახებდი — დამელოდე, მოვდივარო! — უარს არც ამაზე გეტყოდნენ... ახლა, მართალია, ავტობუსი მთლად სადარბაზოსთან ვერ გაგიჩერებს, მაგრამ სამაგიეროდ, არც ის სიკეთე უნდა დავუკარგოთ, რაც ქალაქში მის გამოჩენას მოჰყვება: ჩამოხვალ ავტობუსიდან გაჩერებაზე, სახლამდე ნახევარ საათს ფეხით გაივლი, ჯანმრთელობას გაიკაჟებ, ავტობუსების გამონაბოლქვ „სუფთა" ჰაერს ჩაყლაპავ, გზადაგზა „ფიზკულტპრივეტს" დაარიგებ და მალე შინ ხარ. „მარშრუტკის" ტრაფარეტზე გარკვევით ეწერა: უბანი, მიკრორაიონი, კორპუსის, სადარბაზოს, სართულისა და ბინის ნომერი. მოძებნიდი შენს მისამართზე მიმავალ „მარშრუტკას", ხელს დაუქნევდი, მოკალათდებოდი და დაღლილს რომც ჩაგძინებოდა, მძღოლი შეგაღვიძებდა. ყვითელ ავტობუსებს კი ტრაფარეტზე ნომრის მეტი არაფერი აწერია და ვერ გაიგებ, სად მიდის. მაგრამ თავისი პლუსი ამასაც აქვს: თუ საჭირო მარშრუტზე ვერ მოხვდები, ქალაქს მაინც დაათვალიერებ. ამ დაძაბული ცხოვრების გადამკიდე, რამდენი ხანია, სხვა უბანში არ ყოფილხარ?!. მთავრობა გვპირდება, ტურიზმი უნდა განვითარდესო და ჰოლანდიელი, უკრაინელი ან სომეხი სტუმარი თუ გეწვევათ, საკუთარი ქალაქის ღირსშესანიშნაობებში გარკვეული იქნები და მათაც დაათვალიერებინებ...



ხომ გახსოვთ, ჩვენც და სამსახურში მიმავალი ჩინოვნიკებიც საათობით რომ ვიდექით საცობებში? ეს ყველაფერი სულ იმ „საძაგელი მარშრუტკების" ბრალი იყო. ჰოდა, მოჰბეზრდა ხელისუფლებას „პრობკაში" დგომა, ვაკე-რუსთაველი მთლიანად „გაწმინდა" „მარშრუტკებისგან" და ახლა რომ დააწვებიან ვაკიდან, სამსახურამდე სულ „ლიწინ-ლიწინით" მიდიან, ძვირფას დროს გზაში აღარ კარგავენ და ახალი რეფორმების მოსაფიქრებლად ზუსტად 9 საათზე ჩაეშვებიან ასე ნანატრ სავარძლებში...

— მერე ჩვენ რა სარგებელიო? — იკითხავთ. — როგორ?! ის რეფორმები ისევ ჩვენთვის არ უნდათ?! რომ აგიჩემებიათ, ამ ყვითელ ავტობუსში ჭყლეტააო, ჭყლეტა კი არა, უფრო მეტი ჩახუტება და სიყვარულობაა... მერე რა, რომ დახუთულია და მგზავრებს ჰაერი არ გყოფნით?! თქვენც ადექით და რიგრიგობით ისუნთქეთ, თქვე კაი ხალხო...

გაუქმებული სამარშრუტო ხაზების მძღოლები რომ დამდგარან მერიასთან, მიტინგს ატარებენ და გაიძახიან, უმუშევრები დავრჩითო, ახლა თვითონ შესთავაზონ მთავრობას სატრანსპორტო რეფორმის რეფორმა. შესაძლოა, მგზავრობის დროს ზოგიერთმა, მოთმინებასა და ამტანობასთან ერთად, ღილებიც დაკარგოს. ყოფილ მძღოლებს შეუძლიათ, ავტობუსის უკანა განყოფილებაში სპეციალური სავარძლები ჩადგან და მგზავრებს ახალი მომსახურება შესთავაზონ: — აწყვეტილი ფოლაქების დაკერება, შემოხეული ტანისამოსის გაკერვა, მოშლილი ნერვების აწყობა და ა.შ. შეუძლიათ, ავტობუსის შუა ნაწილში ნაყინისა და ცივი წყლის დახლიც გახსნან, სადაც ცოლებსაც დაასაქმებენ, შვილები კი პროფესიონალ „დამნიავებლებად" გააფორმონ — ჩამოივლიან და სიცხისგან შეწუხებულ ხალხს მარაოთი გააგრილებენ. ამით ახალი ინფრასტრუქტურაც განვითარდება და სამუშაო ადგილებიც შეიქმნება. აბა, „მარშრუტკაში" ამის საშუალება სად იყო?!. ავტობუსის წინა ნაწილში შოუბიზნესის წარმომადგენლებს შეუძლიათ, კონცერტიც გამართონ და აგვეწყობა საქმე... ასე, გაგრილებული, სიმღერ-სიმღერითა და ნაყინის ჭამით მიხვალ დანიშნულების ადგილამდე და იქნებ, ისე მოგეწონოს, რომ ჩამოსვლაც აღარ მოგინდეს და 20 თეთრად მთელი ქალაქი შემოიარო.

ერთადერთი, რაც „მარშრუტკების" გადაშენების შემდეგ აღარ გვექნება, ეს ის ფრაზებია, რომლებიც მგზავრებისთვის ასეთი საჭირო და საყვარელი გახდა: „ასახვევთან წამიჩერე", „რომ გადახვალ, გამიჩერე", „ბაზრის შესასვლელთან ქალი „სემიჩკას" რომ ყიდის, იქ შემიჩერე" და ა.შ. სამაგიეროდ, მოსალოდნელია ახალი ფრაზებით გავიმდიდროთ ლექსიკა — „ფეხი ნუ დამადგი, რეფორმის მსხვერპლო", „ცოტა „ნეჟნად" ჩამეხუტე, შე სამსახურში დაგვიანებულო", „შუა კარი გამიღე, ჩამოვალ და გადაგიხდი", „უკანა გააღე, ჩამოვალ და წინ მოგცემ", „კვერცხები, კვერცხები არ დამიმტვრიო-ო-ოთ!" და ა.შ. ძველი ფრაზები კი კასეტებზე ჩავწეროთ, ჩვენც მოვუსმინოთ და „უმარშრუტკო" თაობასაც მოვასმენინოთ...

*P.S. რატომ არ გამოჩნდა ოპოზიცია მძღოლების მიტინგზე? იმიტომ, რომ პირველ ოქტომბერს, შუალედური არჩევნებია დანიშნული და საარჩევნო კომპანია აქვთ ჩასატარებელი. აბა, სად მოაგროვებდნენ ისინი იმდენ ხალხს მიტინგისთვის, რამდენი მგზავრიც ავტობუსშია?!. ჰოდა, სხედან გასუსულები და მთელი თვის გეგმას წინასწარ ადგენენ — რომელ ავტობუსში როდის ჩაატარონ დიდი მიტინგი და როდის წარადგინონ საკუთარი კანდიდატი.*

*P.P.S. სიტუაცია გაჩერებაზე:*

*— ხომ არ იცით, ლეიბორისტების მიტინგი დღეს რომელ ნომერ ავტობუსში ტარდება?*

*— არ ვიცი. გუშინ 5 ნომერში ჩაატარეს, იქ დავესწარი. ახლა მემარჯვენეების მიტინგის „ნომერს" ველოდები. აგერ დადექი და თუ ლეიბორისტები არ ჩამოივლიან, შენც კონსერვატორებს შეახტი...*

***პროვოკატორი***

## „სექტემბერში, თბილისში 500 ავტობუსი შემოვა“

**— უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა, სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის აკრძალვა მას შემდეგ მომხდარიყო, რაც ქალაქში საკმარისი რაოდენობის ავტობუსები შემოვიდოდა და მათი მარშრუტებიც გაირკვეოდა?**

**ზურაბ ჩიკვილაძე,** *მერიის ტრანსპორტის სამსახური:*

— ჩვენს მოქალაქეებს სიახლეები აფრთხობთ, ამიტომ მათი რეაქცია ერთი თვის შემდეგაც ასეთი



იქნებოდა. წესით, ჩვენი თანამოქალაქენი კმაყოფილები უნდა იყვნენ, რადგან იმ ძვირად ღირებულ სამარშრუტო ტაქსებს, რომლებიც რუსთაველის, ჭავჭავაძის, მელიქიშვილის გამზირებზე დადიოდა, კომფორტული ავტობუსები ჩაენაცვლა. თითქმის ყველა უბნიდან ცენტრისაკენ დღეისათვის ავტობუსები დადის. ჯერჯერობით, ჯამში 80 ახალი ავტობუსია ცენტრალურ მაგისტრალზე დამატებული, სექტემბრის შუა რიცხვებისთვის კი, თბილისში 500-მდე ახალი ავტობუსი შემოვა. არ მესმის მძღოლების აღშფოთება: ჩვენ არც ერთი სამარშრუტო ხაზი არ გაგვიუქმებია, შეიცვალა მხოლოდ მათი მოძრაობის სქემა. შესაძლებელია, ამ სქემამ კორექტირებაც განიცადოს, მაგრამ ერთი რამ გადაწყვეტილია: ზემოაღნიშნულ გამზირებზე სამარშრუტო ტაქსები აღარ ივლიან. ■

## „აფხაზები რელიგიურ გენოციდს აწყობენ“

**— გავრცელებული ინფორმაციით აფხაზებს, ეპისკოპოსს უნიშნავენ, კანდიდატი თვითალიარებული „ეპარქიის“ წარმომადგენელი, დავით სარსანიაა. რა ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ?**

**პაატა დავითაია,** *ექსპერტი:*

— მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა იმაზე, რომ მონახონ სამართლებრივი გზა, რათა მოხდეს აფხაზეთში არსებული ეკლესიის საქართველოდან გამოყოფა. ვიდრე აფხაზეთში არსებული, ქართული ეკლესიის ცალკე გამოყოფის საკითხი დადგებოდა, კრასნოდარის მუზეუმში რესტავრაციის მიზნით გაიტანეს ძვირფასი ხატები, რომლებიც უკან აღარ დაუბრუნებიათ. აფხაზები რელიგიურ გენოციდს აწყობენ. როგორ შეიძლება ითქვას, რომ ილორი ქართული არ არის?! როგორ შეიძლება ითქვას, რომ ახალი ათონი არ არის ქართული?! არავინ იცნობს აფხაზურ ეკლესიას და მათ ლიდერებს. ახლა მოისურვეს, რომ ე.წ. აფხაზურმა ეკლესიამ აირჩიოს ეპისკოპოსი და გამოაცხადოს ავტოკეფალია. მაგრამ ეს ძალიან ძნელად განსახორციელებელი იქნება. უდავოა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიები ქართულია. ჩემი ინფორმაციით, დავით სარსანია შეხვდა რომის პაპს, ბენედიქტ XVI-ს და ის პონტიფიკოსს წარუდგინეს, როგორც აფხაზეთის ეპარქიის წარმომადგენელი. ამ შეხვედრას ესწრებოდა რუსეთის დელეგაციაც. ქართველებმა ამ ვიზიტის დროს დააფიქსირეს, რომ არ არსებობს აფხაზეთის საპატრიარქო, რომ აფხაზეთის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელია. ■

## „ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებში მოჭრილი ფულის ნიშნების უმეტესი ნაწილი სოხუმთან ახლოსაა აღმოჩენილი...“

**— თუ აფხაზეთის მხატვართა კავშირის წარმომადგენლები დაინტერესდებიან 200-ლარიანი ბანკნოტის დიზაინის შექმნით, მათ ნამუშევარს კონკურსში პრივილეგირებული ადგილი ექნება?**

**რომან გოცირიძე,** *ეროვნული ბანკის პრეზიდენტი:*

— კონკურსში გაიმარჯვებს საუკეთესო დიზაინის ავტორი, მიუხედავად მისი წარმომავლობისა. თუმცა, იმ პრეცედენტის დაფიქსირება, რომ ერთიანი სახელმწიფოს სიმბოლოების შექმნის პროცესში აფხაზებიც ჩაებმებიან, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. ფულის მიმოქცევა და მისი მოჭრა საქართველოში ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებში დაიწყო. ამ პერიოდში მოჭრილი ფულის ნიშნების უმეტესი ნაწილი სოხუმთან ახლოსაა აღმოჩენილი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ხალხების კულტურის ისტორიის სათავეების ერთიანობას. აფხაზეთი და მთლიანად საქართველო ჩვენი ერთიანი სამშობლოა. ქართულ ფულზე აფხაზე-



თის ხედის მოთავსება სწორედ იმის ნიშანია, რომ ჩვენ ერთად უნდა ვაშენოთ და ვიცხოვროთ. შეიძლება, ეროვნული ბანკის იდეას უარყოფითი რეზონანსიც კი მოჰყვეს. უკვე ისმის ენაკვიმატი რეპლიკებიც, თავის მხრივ, აფხაზი მხატვრებიც პასიურობენ, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჯერჯერობით ცალმხრივ ინიციატივებს, ბოლოს და ბოლოს, საპასუხო ნაბიჯიც მოჰყვება... ■

# „მალე, დემოკრატიის სახელით მოსული სააკაშვილი ლუკაშენკოდ ჩამოყალიბდება...“

**— ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მდივანთან შეხვედრით ოპოზიცია კმაყოფილია. ლინდენის რეკომენდაციები საარჩევნო ბარიერის დაწევას დააჩქარებს?**

**დავით გამყრელიძე,** *„მემარჯვენე ოპოზიცია“:*

— ევროსაბჭო დიდი ხანია ითხოვს საარჩევნო ბარიერის დაწევას, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება ჯიუტად ცდილობს საპარლამენტო მონოპოლიის შენარჩუნებას. ლინდენმა განაცხადა, რომ ევროსაბჭო 7-პროცენტიანი ბარიერის შემცირების მომხრეა. ხელისუფლებამ ეს არ გაითვალისწინა. იმედია, სააკაშვილის გუნდი ამჯერად მაინც იფიქრებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ლინდენთან შეხვედრისას, ოპოზიციამ ისაუბრა მასმედიის თავისუფლების საკითხზე, მესაკუთრეთა უფლებების დარღვევაზე, სასამართლოს პრობლემებზე. ჩვენ შევეცადეთ, ევროსაბჭოს მდივნისთვის დაგვენახვებინა ის რეალობა, რომელიც საქართველოშია შექმნილი, ისიც განვმარტეთ, რომ თუ უკუსვლა არ შეჩერდა, მალე, დემოკრატიის სახელით მოსული სააკაშვილი ლუკაშენკოდ ჩამოყალიბდება და საქართველოს ხელისუფლების სათავეში ტიპურ დიქტატორს მივიღებთ. ვფიქრობ, ლინდენის რეკომენდაციებში ხაზგასმით იყო დაფიქსირებული, რომ ჩვენ დემოკრატიის გზას ავცდით და ეს პროცესი უნდა შევაჩეროთ. ■



# „შესაძლებელია, საბოლოო ჯამში, სანაოსნოს შემთხვევის მსგავსი შედეგი მივიღოთ...“

**— აეროპორტის მშენებლობა, რომელიც 9 თვეში უნდა დასრულდეს, ჯერაც არ დაწყებულა. როგორ ფიქრობთ — მთავრობას მოუწევს იმის აღიარება, რომ ეს ტენდერი არასწორად ჩაატარა?**



**ვახტანგ ხმალაძე,** *ექსპერტი:*

— ტენდერის ჩატარების პროცესი რომ გამჭვირვალე არ იყო, ეს ფაქტია. როგორც ჩანს, წინასწარ არ იყო გაწერილი უმნიშვნელოვანესი პუნქტები, ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ კონტრაქტი ჩაიშალოს და „ჩელებს“ ტენდერში მონაწილე „ტავი“ ან „ტაკომი“ ჩაენაცვლოს. როგორც ამბობენ, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ყველა მხარესთან. დღევანდელი მონაცემებით, „ჩელებმა“ თავისი მოვალეობა — წარმოედგინა მყარი ფინანსური გარანტიები — ვერ შეასრულა. შესაძლებელია, საბოლოო ჯამში, სანაოსნოს შემთხვევის მსგავსი შედეგი მივიღოთ, როცა ტენდერის დამთავრების შემდეგ, ბევრი საეჭვო ფაქტი ამოტივტივდება. სიტუაცია აირია, ბოლოს კი, პირვანდელთან შედარებით, უკეთეს ვარიანტზე შეთანხმება მოხერხდა. ძნელი სათქმელია, რამდენად საკმარისია დარჩენილი 9 თვე აეროპორტის ასაშენებლად, მაშინ, როცა მთავრობას სასამართლოში უჩივიან და ჯერ კიდევ გაურკვეველია, რომელ კომპანიას დარჩება გამარჯვება. მაგრამ ერთ ან ორ თვეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს — მთავარია, მივიღოთ საერთაშორისო დონის აეროპორტი, ისე, რომ არ დაირღვეს ქვეყნის ინტერესები. ■

# ზედმეტად ვუფრთხით სეპარატისტებს?..



**— ყველასთვის გასაგებია, რომ საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტურ ზონაში საომარ მოქმედებებს ვერ დაიწყებს, მაგრამ როგორ უნდა დავიცვათ არასრულწლოვანი ბავშვები გატაცებისგან?**

**არჩილ გეგეშიძე,** *ექსპერტი:*

— ადამიანთა გატაცების აღკვეთის ერთ-ერთი გზა, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაა. მაგრამ ეს ქვეყანას ფართომასშტაბიან დესტაბილიზაციამდე მიიყვანს. სამწუხაროდ, ქართული მხარის რესურსები შეზღუდულია. 11 წლის ბავშვის გატაცება სხვა არაფერია, თუ არა იმის მცდელობა, რომ ჩვენს ხელისუფლებას ნერვებმა უმტყუნოს და ემოციას აყოლილმა იმოქმედოს. რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა ხომ დიდი ხანია, ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს ქართველები ომისთვის ემზადებიან! მსგავსი განცხადებების დეკლარირებით, საზოგადოებრივ არენაზე გარკვეული აზრის ფორმირება ხდება, რომლის ფონზეც, სამხედრო შეტაკების დაწყება საქართველოს საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევას გამოიწვევს. თუმცა გორის ტერაქტის გახსნის მიზნით ჩატარებული სპეცოპერაცია წარმატებული აღმოჩნდა, შესაძლებელია, ჩვენ ზედმეტად ვუფრთხით სეპარატისტების გამოხდომებს. თუ სწორად ვიმუშავებთ და დასავლეთი იძულებული გახდება, რუსეთი ტერორისტების მფარველობაში ღიად დაადანაშაულოს, მაშინ ტერიტორიების დაბრუნება გაადვილდება და ადამიანებსაც დავიცავთ გატაცებისაგან. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

# თამარ კინწურაშვილი

## ძველ სამუშაო ადგილზე „უშგულის“ დატოვება ემძიმება



**საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელის პოსტისთვის ბრძოლა ნამდვილ მარათონს დაემსგავსა. კანდიდატები საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას ყველა მიღებული ხერხით ცდილობდნენ. ბოლოს და ბოლოს, სამეურვეო საბჭომ ამავე საბჭოს წევრის სასარგებლო გადაწყვეტილება გამოიტანა და 35 წლის ახალგაზრდა ქალბატონს, ერთ დროს ქართული ტელეფლაგმანის მმართველობა ანდო. თამარ კინწურაშვილი პროფესიით ჟურნალისტია, მუშაობდა გაზეთ „დრონიში“ — პოლიტიკურ მიმომხილველად, რედაქტორის მოადგილედ, — საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელად დანიშვნამდე კი, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი გახლდათ.**

*ემა ტუხიაშვილი*

— წყალტუბოში დავიბადე, იქვე დავამთავრე საშუალო სკოლა, შემდეგ კი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. პრაქტიკის გასავლელად გაზეთ „დრონის“ რედაქციაში მიმავლინეს. სწორედ იქ მივიღე პირველი ჟურნალისტური გამოცდილება და მაშინ გამიჩნდა ყველაზე დიდი მოტივაცია იმისა, რომ ვყოფილიყავი ჟურნალისტი. უნდა ვაღიარო, რომ ახლაც ნოსტალგიით ვიხსენებ იმ წლებს, რადგან საუკეთესო პერიოდი იყო ჩემი, როგორც ჟურნალისტის, თვითრეალიზაციისათვის.

**— თუ გახსოვთ, რას ეძღვნებოდა თქვენი პირველი სტატია?**

— რამდენადაც მახსოვს, პირველად, როგორც ჟურნალისტი, პროფკავშირების ყრილობის გასაშუქებლად გამიშვეს.




**პირველად, როგორც ჟურნალისტი, პროფკავშირების ყრილობის გასაშუქებლად გამიშვეს...**

მაგრამ კარგად მახსოვს ჩემ მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიებები, რადგან ბოლომდე ვიხარჯებოდი, როგორც ჟურნალისტი და ამასთან ერთად, საკმაოდ საინტერესო თემებზე მიხდებოდა მუშაობა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას, შემდგომში თან სდევდა მძაფრი რეაქცია ოპონენტების მხრიდან...

**— ამ თვალსაზრისით, რომელი ჟურნალისტური გამოძიება იყო გამორჩეული?**

— სტატიაში საუბარი იყო თბილისის ომის დროს დაზარალებულთა სახლების მშენებლობაზე. მახსოვს, ჩემთან მოვიდა რამდენიმე ადამიანი, ვისი საცხოვრებელი სახლიც მთლიანად განადგურდა და მრავალი წლის მანძილზე უხდებოდა სასტუმრო „ივერიაში“ ცხოვრება. ჩავატარე ჟურნალისტური გამოძიება და აღმოჩნდა, რომ ახალაშენებულ სახლებში დაბინავებულ ადამიანთა სიაში, დაზარალებულთა ნაცვლად, რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი ირიცხებოდა. სხვათა შორის, ერთ-ერთი ვისაც ახალ სახლში ბინა უნდა მიეღო, იგორ გიორგაძე გახლდათ. ჩემმა სტატიამ შედეგი ნამდვილად გამოიღო: რამდენიმე თანამდებობის პირი ე.წ. გარანტირებული სიიდან ამოვარდა. მიმაჩნია, რომ მასმედიის უპირველესი ფუნქცია სწორედ ის არის, რომ საზოგადოების სადარაჯოზე იდგეს. რაც უფრო მეტად იქნებიან ჟურნალისტები დაინტერესებული, აქტუალურ თემებზე იმუშაონ, მით უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, დემოკრატიისათვის, გამჭირვალეობისათვის და ზოგადად საზოგადოების განვითარებისათვის.

**— საზოგადოებრივი არხის სამეურვეო საბჭოსთვის თითქოს მოულოდნელი იყო თქვენი გადაწყვეტილება, წარმოგედგინათ თქვენი კანდიდატურა ამ არხის ხელმძღვანელის პოსტზე. რამდენად მოულოდნელი იყო თავად თქვენთვის ამ გადაწყვეტილების მიღება?**

— გარკვეულ ეტაპზე, ჩემთვის ერთგვარ გამოწვევად ჩავთვალე, ასეთი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება მიმეღო და ცხოვრების კიდევ ერთი ფურცელი გადამეშალა. ამ გადაწყვეტილებას ამყარებდა გამოცდილება, რომელიც „თავისუფლების ინსტიტუტში“, საზოგადოებრივი ტელევიზიის საკანონმდებლო ბაზაზე მუშაობისას მივიღე. აღსანიშნავია, რომ სწორედ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ინიციატივით არის მიღებული თითქმის ყველა ფუძემდებლური კანონიც, რომელიც მედიასამართლის ბაზისურ დოკუმენტს წარმოადგენს.

**— ბოლო დროს, საინტერესო ტენდენცია იკვეთება „თავისუფლების ინსტიტუტთან“ დაკავშირებით: იქ „გაზრდილ“ კადრებს დღევანდელი ხელისუფლება დიდად წყალობს და მაღალ თანამდებობებზე ნიშნავს. არ მეთანხმებით?**

— „თავისუფლების ინსტიტუტი“ ყოველთვის აქტუალური იყო ნების-

მიერი ხელისუფლებისთვის. რა თქმა უნდა, ზოგისთვის ეს აქტუალობა ნეგატიურია, ზოგისთვის კი — პირიქით. იმის მიუხედავად, თუ რა იარლიყის მოკერებას ცდილობდნენ ჩვენთვის, მთავარი იყო, შეგვენარჩუნებინა იმ სამოქალაქო ფასეულობებისადმი ერთგულება, რომლებიც პრიორიტეტულად მიგვაჩნდა. ნებისმიერ დროს, ჩვენ ვიცავდით სიტყვის თავისუფლებას.... მსგავს იარლიყებს ჩვენ ადრეც გვაკერებდნენ, მაგრამ ეს იმდენად მოძველდა, რომ ვფიქრობ, ამის კომენტირება არც ღირს.

**— მე უბრალოდ იმის ხაზგასმა მინდოდა, რომ სახალხო დამცველიც „თავისუფლების ინსტიტუტის“ კადრია, თქვენც მაღალ თანამდებობას იკავებთ. თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები მაღალ სახელისუფლებო ეშელონებში კიდევ არიან. ასე არ არის?**

— ამ ადამიანებმა აიღეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე. გაცილებით იოლია, მუდმივად იყო რაღაცის ან ვიღაცის კრიტიკოსი და ბევრად უფრო რთულია, დაკისრებული საქმე აკეთო. მთავარია, საამისოდ მოტივაცია გქონდეს. ჩვენ ეს მოტივაცია გვაქვს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებსაც შესთავაზეს სხვადასხვა თანამდებობა — მაგალითად, დავით უსუფაშვილს იუსტიციის მინისტრობა შესთავაზეს.

**— აღნიშნულ თანამდებობაზე თქვენი თავისუფლების დიაპაზონი ალბათ, გარკვეულ ჩარჩოებში მოექცევა. ფიქრობთ, რომ შეძლებთ საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელის თანამდებობაზეც ისევე დაეყრდნოთ თქვენთვის მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორც ამას არასამთავრობო ორგანიზაციაში ახერხებდით?**

— გარწმუნებთ, რომ თუ ჩემზე განხორციელდება ზეწოლა, არც ერთი თანამდებობა არ მიღირს ჩემი პრინციპების ფასად. ჩემს პირველ ამოცანად მიმაჩნია, რომ შევუქმნა ჟურნალისტებს სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტიები, რისი პრეცედენტიც ქვეყანაში არ არსებობს — ასეთი რამ არც კომერციულ მასმედიაში ხდება, სადაც ჟურნალისტთა დამოუკიდებლობა ხშირად, მესაკუთრეების მხრიდან იზღუდება. საზოგადოებრივი არხი უნდა გახდეს დამოუკიდებელი — როგორც ხელისუფლების ზეწოლისგან, ასევე ფინანსური თვალსაზრისით და მის ეთერს არ უნდა დაეტყოს სხვადასხვა პოლიტიკური ძალის გავლენა. ჩემი მთავარი ამოცანაა, მოვიპოვოთ საზოგადოების ნდობა.

**— რამდენად სწრაფად დავინახავთ განახლების პირველ შედეგს?**

— არ ვაპირებ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ცრუმოლოდინისთვის ხელშეწყობას, ამიტომ ვერ დაგპირდებით, რომ რადიკალური ცვლილებები საზოგადოებრივ არხზე ძალიან მოკლე დროში მოხდება. ეს გახლავთ ეტაპობრივი პროცესი და დიდი სირთულეების გადალახვა მოგვიწევს. მოსაგვარებელია ტელევიზიის ფინანსური საკითხი. მაგალითად, ჩემში ეჭვს იწვევს ის მონაცემები, რომლებიც ტელევიზიის ქონებასთან დაკავშირებით გვაქვს ხელთ: გაურკვეველია, თუ რა ქონებას ფლობს საზოგადოებრივი არხი. ეჭვის საფუძველს იძლევა ტელევიზიაში არსებული დაუბალანსებელი სახელფასო პოლიტიკა და აშკარაა, რომ ხელფასების დანიშვნა არ უნდა ხდებოდეს პროტექციით. უნდა შეიქმნას ახალი ჟურნალისტური ელიტა, რომელიც მაღალ პროფესიულ სტანდარტებს დაამკვიდრებს. საზოგადოებრივ არხზე უნდა მოხდეს უფლებამოსილების დელეგირება, სადაც საშუალო რგოლის მენეჯმენტსაც კი მიეცემა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. შეიქმნება საზოგადოებრივი საბჭოები, ცალკეული ჯგუფები, რომლებიც მოგვცემენ რეკომენდაციებს. აბსოლუტური ფინანსური გაუმჭვირვალობა სუფევდა სახელმწიფო არხზე. ვითომდა გადაცემებს უკვეთდნენ გარე სტუდიებს, მაგრამ ეს სტუდიები ამავე ტელევიზიაში მუშაობდნენ და სოლიდურ თანხებსაც იღებდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი დოკუმენტური ფილმის დასამზადებლად დახარჯულია 26 ათასი ლარი — მაშინ, როდესაც კომერციულ არხზე მსგავსი ფილმის გადასაღებად 3-4 ათას ლარზე მეტი არა აქვთ დახარჯული... აუცილებელია ტელევიზიის ტექნოლოგიური გადაიარაღება: მწყობრიდანაა გამოსული არსებული ტექნიკა და ვფიქრობ, რამდენიმე მილიონის ინვენსტიციაა საჭირო, რომ თანამედროვე სტანდარტებს მივუახლოვდეთ.



**გაცილებით იოლია, მუდმივად იყო რაღაცის ან ვიღაცის კრიტიკოსი და ბევრად უფრო რთულია, დაკისრებული საქმე აკეთო...**

**— რა ჟანრის გადაცემებს მიანიჭებთ უპირატესობას?**

— პირველ ეტაპზე, ვფიქრობ, აქცენტი საინფორმაციო გადაცემებზე უნდა გაკეთდეს და უნდა დავანახვოთ საზოგადოებას, რომ სწორედ ის არის ჩვენთვის აუდიტორია და არა ცაკლეული სახელისუფლებო თუ ოლიგარქიული წრეები.

**— „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ ტელევიზიაში რა მიგაქვთ?**

— წიგნები და ჩემი შვილის, ლიზის ფოტო. ყველაზე მეტად კი გული იმ მყუდრო ოთახზე მწყდება, რომელსაც „თავისუფლების ინსტიტუტში“ ხუმრობით „უშგულს“ ვეძახდით: პირველად, ეს ოთახი სამუშაოდ სოზარ სუბარმა დაიკავა, ამიტომაც ვუწოდეთ ეს სახელი. ასე რომ, ყველაზე მეტად „უშგული“ არ მეთმობა...

■

**ყველაზე გვიან ჭკუასა და გონებას შევიძენთ ხოლმე.**

*ჟან-ჟაკ რუსო*



**ფრაზები გენიალური**

# მამუკა ლომაშვილი: „პრეზიდენტის ორეულობა ცუდ დღეში მაგდებს..."

**ემა ტუხიაშვილი**



**ვიდრე პრეზიდენტი საზაფხულო ვოიაჟებს აწყობს, მისი „ორეული" პატრიოტული სულისკვეთებით ანთებულა და ორი ქვეყნის დიდი მეგობრობის ნიშნად, უკრაინული პელმენების მომზადებას სწავლობს. თუმცა, საამისოდ მსახიობ მამუკა ლომაშვილს კიდევ ორი მიზეზი აქვს: მე და ჩემი კოლეგა მარი ჯაფარიძე „პრეზიდენტთან" ვიზიტს ვგეგმავთ და კიდევ, მამუკამ „თავისი რუსლანას" გული უნდა მოიგოს... „მეფისტოლა კაცთან" ხელცარიელები ვერც ჩვენ მივალთ. ამიტომაც ორიგინალური ტკბილეულის შერჩევას ვცდილობთ. მუშტრის გაშვება არც ტკბილეულის გამყიდველს სურს, ამიტომაც „ლოგიკურ" კითხვას საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით პოულობს: — რა ასაკის ბავშვისთვის გინდათ? — ბავშვისთვის კი არა, პრეზიდენტისთვის ვარჩევთ რამეს. — სააკაშვილისთვის? (გაოგნებას ვერ ფარავს გამყიდველი). — დიახ, სწორედ მისთვის. — ტკბილეული უყვარს? — ძალიან... — მაშინ ფორთოხლის მამალო და ტკბილეულით დატენილი ფარანი წაუღეთ, აუცილებლად მოეწონება...**



მამუკამ „თავისი რუსლანას" გული უნდა მოიგოს...

**„პრეზიდენტი" საჩუქრებით მართლაც კმაყოფილი დარჩა: გლდანში ფარანი გზას გამინათებსო, — ჩაილაპარაკა და პიანინოს თავზე, ექსპრეზიდენტის კარიკატურის გვერდით შემოდო. ინტერვიუ კი, მხოლოდ პელმენების დაგემოვნების შემდეგ შედგა...**

— ბავშვობაში ძირითადად, ბაბოსთან და პაპასთან ვისვენებდი, წინამძღვრიანთკარში ან საგურამოში. სხვათა შორის, იქ ყოფნა ახლაც ძალიან მიყვარს, ის ადგილებია, სადაც შემიძლია, სრულიად განვიტვირთო და დავისვენო. იმასაც გეტყვით, რომ ძალიან ჯიუტი ბავშვი ვიყავი და ჩემი ნათქვამი ყოველთვის გამქონდა. მაგალითად, თუ ვიტყოდი, რომ საათს გადავაგდებდი, რამდენიმე წუთში ეს ნივთი აუცილებლად ეგდო ქუჩაში. საათის ბედს ხშირად იზიარებდა: დანები, ჩანგლები და ზოგიერთი სხვა ნივთი... მახსოვს, ერთხელ, როდესაც უფროსები ბოსტანში საქმიანობდნენ, დრო ვიხელთე და ეზოში მდგარ, ტანისამოსით სავსე მუყაოს ყუთს ცეცხლი წავუკიდე. ისე მომეწონა აგიზგიზებული ჭიაკოკონა, რომ მის გარშემო ვცეკვავდი და ვმხიარულობდი. სხვათა შორის, ბავშვობაში სახლის სახურავზე აძრომაც მიყვარდა და იქიდან ხალხისთვის ხელის დაქნევა. ჩემი ბავშვობის დროს, სოფლად ჯერ კიდევ არსებობდა სახელმწიფო მეურნეობები და მეგობრებთან ერთად ხშირად დავდიოდი მეურნეობის ბაღებში ბლის მოსაპარავად. სიმინდის ტაროც არაერთხელ მომიპარავს მეგობრებთან ერთად და შემდეგ, სოფლის „უხუცეს" მუხასთან შევკრებილვართ და შეგვიწვავს...

— **საზაფხულო რომანები თუ გქონია სოფელში?**

— ძალიან ბევრი სასიყვარულო გატაცება მქონია ბავშვობაში, თუმცა, სერიოზული არაფერი ყოფილა. რამდენიმე, ბავშვობის დროინდელ შეყვარებულთან დღემდე ვურთიერთობ, ვმეგობრობთ და ის წლები ტკბილ მოგონებებად შემოგვრჩა. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ პირველი სიყვარული ბაღის ასაკში მეწვია, როდესაც ჩემი ჯგუფელი შუშიკა შემიყვარდა. შუშიკას უჩვეულოდ წითელი ტუჩები ჰქონდა და მეც სწორედ ამან მომხიბლა მასში.

— **ახლა როგორ ისვენებ?**

— რამდენიმე დღე მეგობრებთან ერთად ქობულეთში გავატარე, შემდეგ, საგურამოში გადავწყვიტე დასვენება, მაგრამ ვინ გაცალა?! 3-4 დღის შემდეგ, მეგობრებმა ჩამომაკითხეს და საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად წამიყვანეს.

— **ვიდრე ამ საქველმოქმედო კონცერტზე გკითხავ რამეს, მაინტერესებს, სოფელში, ბაღ-ვენახში თუ გეხერხება რამის კეთება?**

— მეხერხება რომელია?! ბარვის რა მოგახსენო, მაგრამ დეიდაჩემთან სოფელში როდესაც ჩავდივარ, ხშირად ვთოხნი, ვთესავ, ვრწყავ და რაც მთავარია, ამ ყველაფერს დიდი სიამოვნებით ვაკეთებ. სხვათა შორის, შეშის დაჩეხაც მეხერხება და სამშენებლო სამუშაოების შესრულებაც.

— **როგორც ვიცი, პრეზიდენტთან შენი მსგავსების გამო, ბევრი ადამიანი მოგმართავს თხოვნით,**

**საკუთარ პრობლემებს გიზიარებს. საგურამოს მოსახლეობას თუ შეუ-წუხებიხარ?**

— მართლაც, ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანები საკუთარ ჭირ-ვარამს მიზიარებენ და რატომღაც ჰგონიათ, რომ მე რაღაცის გადაწყვეტა შემიძლია. გულწრფელად ვწუხვარ, როდესაც ადამიანებს ვერაფრით ვეხმარები. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც შესაძლოა, ამა თუ იმ მომჩივანის მიმართვის ფორმაზე გაგეღიმოს — მაგალითად, „მიშა, მიშას“ ძახილით ვიღაც, ჯოხით რომ გამოგეკიდება... უნდა გითხრათ, რომ გარკვეულწილად, გაორების მომენტი მაქვს. ვფიქრობ, რომ ჩემი თავი სადღაც დაიკარგა და ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, პრეზიდენტის მიბაძვად აღიქმება. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთ სპექტაკლზე ვმუშაობდით, სადაც კოჭლ კაცს ვასახიერებდი. მაშინ ჩემი მისამართით ნათქვამი ასეთი ფრაზაც კი გავიგონე: ნახე, ნახე, ძია მიშასავით კოჭლობსო. გავოგნდი — სად გინახავთ კოჭლი მიშა-მეთქი?! აი, ასე, ჩემს ყველა ქცევაში პრეზიდენტთან პარალელის გავლებას ცდილობენ.

**— შენ საქველმოქმედო აქცია ახსენე. გაგანია საკურორტო სეზონში, ვინ გადაწყვიტა მსგავსი ღონისძიების ჩატარება?**

— ამ აქციის თაობაზე ჩემი მეგობარი რაულ ქირია დამიკავშირდა. როგორც განმიმარტა, ღონისძიება ცოტა ხნის წინ, ხობში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად იმართებოდა. პირველი საქველმოქმედო კონცერტი რამდენიმე დღის წინ, ბორჯომში გაიმართა, მასში ბევრი ცნობილი ადამიანი მონაწილეობდა, ხოლო ამ საღამოს წაყვანა მე და ცუცა კაპანაძეს დაგვეკისრა. მე, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის პაროდიას ვასრულებდი, ცუცა კი ცდილობდა, რომ სანდრა ყოფილიყო... აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ მსახიობებს ჩვენი პროფესიონალური მოვალეობის გარდა, კონცერტის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაშიც გვიხდებოდა მონაწილეობა. ამ დღეებში, ასეთსავე აქციას ვაწყობთ ქობულეთში და იმედი მაქვს, რომ კონცერტი მეტი წარმატებით ჩაივლის.

**— ალბათ ბორჯომის მოსახლეობა და დამსვენებლები დიდ ყურადღებას იჩენდნენ თქვენ მიმართ, არა?**

— ბორჯომის პარკში, როგორც ყოველთვის, უზარმაზარი რიგია, ბორჯომის სამკურნალო წყლის დასალევად მდგომი ადამიანების. მეც გადავწყვიტე — აქედან ისე როგორ წავიდე, რომ ბორჯო-





კდარი ამოაგდოსო?!. — ისე შემეშინდა, რომ სწრაფად ცურვაში რეკორდიც კი დავამყარე...

მის წყალი არ დავლიო-მეთქი?! — და რიგში ჩავდექი. მოულოდნელად დავინახე, რომ ჩემკენ ჯოხით ხელში, უცნაური გარეგნობის ქალბატონი გამოემართა. თავზე უშველებელი შლაპა ეხურა, ხელში კი ბორჯომის წყლით სავსე ჭიქა ეჭირა და ხმამაღლა მიყვიროდა: ადრე აქ შემოსვლა 30 თეთრი ღირდა, ახლა კი 50 თეთრი გაგვიხადეს, ყველაფერი შენი ბრალიაო!.. კარგა ხანს ვუხსნიდი, რომ მეც, მის მსგავსად, დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ვიდექი რიგში, მაგრამ ის დაჟინებით იმეორებდა: მაინც ყველაფერი შენი ბრალიაო.

**— გარეგნულად მართლაც ჰგავხარ საქართველოს პრეზიდენტს...**

— *(პრეზიდენტის ხმით)* ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ მე კი არა — ის მგავს...

**— ალბათ, საკუთარ თავზე ბევრს მუშაობ...**

— ასე ნამდვილად არ არის. მე და პრეზიდენტს მართლაც, ბევრი მსგავსი თვისება გვაქვს. სწორედ ეს შენიშნეს ჩემში მეგობრებმა და ამით დაიწყო ჩემი პაროდისტობა. ერთხელ, ერთ-ერთ იუმორისტულ გადაცემაში მთხოვეს: ისე წაიცეკვე, როგორც ბატონმა მიშამ უცნობის სიმღერის დროსო. სიმართლე გითხრათ, ნანახიც არ მქონდა ეს კადრები, მაგრამ ისე გამომივიდა, როგორც სააკაშვილს უცეკვია. არსებობს ჩვენ შორის რამდენიმე ისეთი მსგავსება, რომელიც ღიმილს მგვრის ხოლმე. მაგალითად, პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, მე და ჩემი მეგობარი გოგონა სუხიშვილების კონცერტს ვადევნებდით თვალყურს და ჩემს მეგობარს რომ უკეთ დაენახა სცენა, ხელში მყავდა აყვანილი; შემდეგ, სცენაზე ბატონმა მიშამ ნინო სუხიშვილი აიყვანა ხელში... ერთი შემთხვევა იყო, როდესაც მე და ჩემი მეგობარი აგრარული უნივერსიტეტიდან მოვდიოდით; გადაწყვიტეთ, მეტროთი გვემგზავრა და ჩამოვედი სადგურ „ღრმაღელეში“, სადაც საერთოდ არა ვარ ნამყოფი. რამდენიმე წუთში, უკვე სახლში მისული ჩემი მეგობარი მირეკავს: ახლა მამაჩემი დაბრუნდა შინ და მითხრა, „ღრმაღელეში“ მიხეილ სააკაშვილი ვნახეო; ვერ გიცნო, ალბათ, შენ რომ იყავიო... იმ საღამოს, ტელევიზიის მეშვეობით შევიტყვეთ, რომ პრეზიდენტს მართლაც, მოუნახულებია მეტროსადგური „ღრმაღელე“...

**— ახლა ისიც მითხარი, ბორჯომში გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე „რუსლანასთან“ ერთად რომ იმღერე...**

— ეს გახლავთ არაჩვეულებრივი უკრაინელი მომღერალი გოგონა, მარგო, რომელიც ამავე დროს, მოდელიც არის და შესანიშნავად ასრულებს უკრაინელი მომღერლის, რუსლანას სიმღერებს. დამპირდა, რომ ჩემთან ერთად დუეტს ჩაწერს და სამომავლოდ, ბევრ პროექტში მივიღებთ ერთად მონაწილეობას.

**— მამუკა, როგორც თქვი, ქობულეთში ისვენებდი, კარგად ცურავ?**

— ნორმალურად, თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, უკეთაც შემიძლია. სამწუხაროდ, წელს ქობულეთში რამდენიმე დამსვენებელი დაიხრჩო. პირადად მე, ამ ფაქტის თვითმხილველი არ ვყოფილვარ, მაგრამ გაგონილი კი მქონდა. რამდენიმე დღის შემდეგ, შორს გავცურე. მაშველები ნავით მომიახლოვდნენ და ერთ-ერთმა მათგანმა მშვიდად მითხრა: „კდარი შეიძლება ამოაგდოს და არ შეგეშინდეს, ჯოვ“... კდარი ამოაგდოსო?!. — ისე შემეშინდა, რომ სწრაფად ცურვაში რეკორდიც კი დავამყარე... ერთ საღამოს კი, მეგობრებთან ერთად პარკში გასეირნება გადავწყვიტეთ. უცხო ბიჭი მომიახლოვდა: გოგოებს შენი გაცნობა უნდათო, — მითხრა; უარს როგორ ვეტყოდი?! გავყევი. თავიდან, ორი გოგონა დამხვდა, შემდეგ — კიდევ ორი მოგვიახლოვდა, მერე — კიდევ რამდენიმე და მივხვდი, რომ „ნაძვის ხე“ ვიყავი. რაც ყველაზე მთავარია, ხმას არავინ იღებდა — მხოლოდ მე ვლაპარაკობდი. ბოლოს, სალაპარაკო რომ გამომელია და ისინიც არაფერს მეკითხებოდნენ, ხელი ხელზე შემოვირტყი და — „თეთრი ციდან ფიფქი ცვივა...“ — ვიმღერე. იმის შემდეგ, პარკში აღარ გავსულვარ. ასე, რომ პრეზიდენტის ორეულობა ცუდ დღეში მაგდებს ხოლმე. პლაჟზე ერთ-ერთმა გარემოვაჭრემ მიცნო. ჯერ იყო და სულ იმას გაიძახოდა: დარჩეული „კარალევსკი“ თხილიო! — მაგრამ მე „პრეზიდენტსკის“ ველოდებოდი და რას ვიყიდდი?!. ბოლოს, რომ ვერაფერს გახდა, ჩამომიჯდა და მიამბო იმის შესახებ, თუ როგორ დატოვეს მისი შვილი უმუშევარი, როგორ არჩენს შვილიშვილებს და ა.შ. მე ვუთხარი: ქალბატონო, მე რითი დაგეხმაროთ, მე რა შემიძლია-მეთქი?! — როგორ არაო! — ჩამაჯინდა, — ტელევიზიაში რომ გამოხვალ, მაშინა თქვი, რომ მომხედონო. წასვლისას კი, საკუთარი ლექსი წამიკითხა, რომელიც პასპორტში, ორცოლიანობის დაფიქსირებას ეხებოდა... ბათუმში შევხვდი ესპანეთში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებს, მიურატებს და მათთან ერთად დავათვალიერე განახლებული ქალაქი.

**— შეიძლება ითქვას, რომ არდადეგები იწურება. რა გეგმები გაქვს სამომავლოდ?**

— „ექსკლუზიურად“ გეტყვით, რომ სულ ცოტა ხანში, ჟურნალისტის ამპლუაში წარვდგები საზოგადოების წინაშე და ერთ-ერთი რადიოს ეთერში მსმენელს შევთავაზებ შემეცნებით-ფსიქოლოგიურ გადაცემას, სადაც საინტერესო ადამიანებთან ერთად, ბევრ საინტერესო თემას განვიხილავთ. განახლდება რეპეტიციები „იუმორინის“ ახალი პროექტისთვის, სადაც მაყურებელს ბევრ სიურპრიზს შევთავაზებთ, მე კი პრეზიდენტის ახალი პაროდიით წარვდგები, რომელიც ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამოძახილი იქნება... ■



ეს გახლავთ არაჩვეულებრივი უკრაინელი მომღერალი გოგონა, მარგო

# „ქართველი რუსლანა“: „მამაკაცის გარეგნობას მნიშვნელობა არ აქვს – მთავარია...“

**შოუბიზნესის სფეროში ახალი სახე — „ქართველი რუსლანა“ გამოჩნდა. ის მხოლოდ 17 წლისაა, წარმოშობით უკრაინელია და მარგარიტა ჰქვია, თავის გვარს ჯერჯერობით არ ამხელს...**

**მარგო რედაქციაში მამუკა ლომაშვილთან ერთად გვეწვია. ინტერვიუმ რესპონდენტისთვის მოსახერხებელ, რუსულ ენაზე, მამუკას გამამხნევებელი შეძახილების თანხლებით ჩაიარა, ბოლოს კი, მარგარიტამ უკრაინულად წაიმღერა კიდეც: „ტიჟ მენე პიგმანულა, ტიჟ მენე პიდველა“...**



*მარი ხაფარიძე*

– 17 წლის ვარ. სკოლა წელს დავამთავრე. დედა პედაგოგი მყავს, მამა – სამხედრო მოსამსახურე. დავიბადე და გავიზარდე საქართველოში. მარგარიტა ბებიის პატივსაცემად დამარქვეს. ახლობლები და მეგობრები მარგოს მეძახიან. მიმაჩნია, რომ მშვენიერი სახელია  და მიხდება კიდეც. მყავს ძმა, რომელიც პროფესიით ჟურნალისტია.

**— ამბობ, რომ საქართველოში დაიბადე. მაშ, ქართული რატომ არ იცი?**

– ჩემს ოჯახში ყველა რუსულად ლაპარაკობს. ქართულს სად ვისწავლიდი?.. თუმცა, ბოლო დროს, ქართულის შესწავლასაც მივყავი ხელი და კარგადაც დავეუფლე. უაქცენტოდ ვლაპარაკობ, ვწერ კიდეც. თუმცა, ჩემი ქართველი მეგობრები ხშირად იცინიან, როცა ქართულად უცნაურ სიტყვებს ვიგონებ და ვამბობ.

**— რუსულად მოლაპარაკე ადამიანს ხშირად უჭირს გარკვეული ქართული ბგერების წარმოთქმა...**

– მე არ მიჭირს და ყველა ბგერას გამოვთქვამ. ბაყაყი წყალში ყიყინებს... ჭიქა... ხომ სწორად ვამბობ? ქართულად თუ სუფთად ვერ ვლაპარაკობ, სამაგიეროდ, საქართველოს ისტორია ვიცი ძალზე კარგად. ეროვნული გამოცდებიც ჩავაბარე და უნივერსიტეტშიც  ჩავირიცხე.

**— შენ „ქართველ რუსლანას“ გეძახიან. რატომ?**

– ჰო, ასე შემარქვეს. ალბათ იმიტომ, რომ წარმოშობით უკრაინელი ვარ და ვმღერი. ამბობენ, რომ სიმღერა მშვენივრად გამომდის. ვასრულებ ქართულ, რუსულ, უკრაინულ, ინგლისურ, ფრანგულ სიმღერებს. ახლო მომავალში, მე და მამუკა პოლიტიკურ-სახუმარო დუეტს ჩავწერთ ქართულ-უკრაინულ მოტივებზე. სიმღერა ჯერ მომზადების პროცესშია და უფრო დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით. ვფიქრობ, საინტერესო გამოვა.



...როგორ, შენ მღერი კიდეცო?! – ყველას გაუკვირდა... ყველაფერი აქედან დაიწყო...

**— ვინ აღმოაჩინა შენში მომღერლის ნიჭი?**

– უკვე 5 წელია, მოდელი ვარ. აბრამ ბაზელის სკოლა გავიარე და ბევრი რამ ვისწავლე კიდეც. ვიყავი „ამსას“ (სოფო ჭყონია) მოდელი, ვმუშაობდი ზალიკო ბერგერთანაც. ჰოდა, ერთ-ერთ ჩვენებაზე ავმღერდი კიდეც. ეს ყველასთვის მოულოდნელი იყო – როგორ, შენ მღერი კიდეცო?! – ყველას გაუკვირდა. ყველაფერი აქედან დაიწყო. ჯერ ერთი სიმღერა ჩავწერე, მერე – მეორე, მესამე და ნელ-ნელა რეპერტუარს გავამრავალფეროვნებ. სულ ახლახან, ბორჯომში გამართულ საქველმოქმედო კონცერტში ვმონაწილეობდი...

**— და მამუკაც იქ გაიცანი, ხომ?**

და საბრალოა, რომ ჭაბუკი ბერიკაცობდეს.

*ნიკოლოზ ბარათაშვილი*



ფრაზებ გენიალური

— ჰო, ეს ძალზე უცნაურად მოხდა. კონცერტის სხვა მონაწილეებთან ერთად ბორჯომში ,,მარშრუტკით“ ჩავედი. უეცრად ვიღაც მომეხვია, გადამკოცნა და — როგორა ხარო? — მკითხა. კარგა ხანს გაოგნებული ვიდექი, რადგან ,,ცოცხალ მამუკას“ პირველად ვხედავდი, ის კი ძველი ნაცნობივით მომესალმა და მომიკითხა.

— **შენი გარეგნობის წყალობით, ალბათ. უამრავი თაყვანისმცემელი გყავს...**

— კი, თაყვანისმცემელი ბლომად მყავს, მაგრამ ბულგაკოვის მარგარიტასავით, მეც ჩემს ოსტატს ველოდები. ის ჯერ არ გამოჩენილა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მალე ვიპოვი ლამაზ და ნამდვილ სიყვარულს. პაემანზე სიარული არ მიყვარს, მირჩევნია, შინ ვიყო და წიგნი წავიკითხო, რადგან მიმაჩნია, რომ დრო — ფულია. ვოცნებობ იმაზე, რომ გავხსნა ფირმა და ნამდვილი, საქმიანი ლედი გავხდე. ამისთვის კი საჭიროა კარგი განათლება. რადგან საქართველოში ვცხოვრობ, ქართველი თაყვანისმცემლები ჭარბობენ. თუმცა, ჩემთვის მამაკაცის ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს — მთავარია, ის იყოს ჭკვიანი, განათლებული, ბრძენი და კარგი გარეგნობის.

**მამუკა**:

— ისეთი, როგორიც მე ვარ, ხომ?

**მარგო**:

— ჰო, როგორიც შენ ხარ, მაგრამ — უფრო მოკრძალებული.

**მამუკა**:

— სხვათა შორის, მარგო შემპირდა, რომ უკრაინული კერძის Манты-ს მომზადებას მასწავლის.

**მარგო**:

— ეს არის ცომისა და ხორცის ან ბოსტნეულის ფარშისგან მომზადებული კერძი, რომელიც სპეციალურ ფორმებში მზადდება და სპეციალურ ქვაბში, ორთქლზე იხარშება.

— **მარგო, უკრაინაში რომ ნარინჯისფერი რევოლუცია მიმდინარეობდა, შენ გულშემატკივრობდი მის მონაწილეებს?**



ჯერ ასაკი არ მიწყობს ხელს, რომ პრეზიდენტის აპარატში მუშაობა შევძლო...

— რა თქმა უნდა, ვგულშემატკივრობდი და ძალზე განვიცდიდი კიდეც, რადგან ვშიშობდი, სისხლი არ დაღვრილიყო. კარგია, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

— **სხვათა შორის, ჩვენი პრეზიდენტის აპარატში სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მუშაობენ: ოსი, აფხაზი, სომეხი... მგონი, უკრაინელი თანამშრომელი ჯერ არ ჰყავს. რომ შემოგთავაზონ სამსახური, დათანხმდები?**

— სამსახურს გააჩნია. თუმცა ალბათ, ჯერ ასაკი არ მიწყობს ხელს, რომ პრეზიდენტის აპარატში მუშაობა შევძლო.

— **ასაკით ტინეიჯერი ხარ. შენი თანატოლებისგან განსხვავდები რამით?**

— არა, არაფრით არ განვსხვავდები. მეც მხიარული, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. მიყვარს ცეკვა, სიმღერა, დროს ტარება. მაქვს მიზნები და უკან არ დავიხევ იმისათვის, რომ ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანო. მინდა, ყველას ვუყვარდე და არავის შურდეს ჩემი.

— **შენც ქართველი მოდელებივით კომპლექსი გაწუხებს თუ შეგიძლია, პოდიუმზე ბიუსტჰალტერის გარეშეც გამოხვიდე?**

— არა, ამას არ გავაკეთებ, რადგან მიმაჩნია, რომ უხამსობაა, შიშველი დადიოდე პოდიუმზე. არც მშობლები დამრთავენ ნებას. ჩემს ნებაზე ვინ გამიშვებს?!. ვიდრე არ გათხოვდები, ყველაფერს ჩვენ უნდა დაგვეკითხოო, — მეუბნებიან. თუმცა, ხანდახან ვჯიუტობ და იმას ვაკეთებ, მე რაც მინდა, მაგრამ ეს უმნიშვნელო წვრილმანია მხოლოდ...

— **როგორც შენი საუბრიდან ჩანს, მომღერლის კარიერაზე ოცნებობ. მზად ხარ პოპულარობისთვის?**

— ღმერთმა ქნას, რომ ყველაფერი ისე გამოვიდეს, როგორც ჩაფიქრებული მაქვს. პოპულარობისთვის მზად ვარ. მინდა, ჯერ ვისწავლო, მერე ვარსკვლავი გავხდე... დანარჩენს არ გეტყვით...

*ასე დასრულდა ჩვენი საუბარი. ,,ქართველ რუსლანას“ კი, მამუკაზე საუბრის დროს, ისე უბრწყინავდა თვალები, რომ უნებლიეთ ვიფიქრე — აქ ,,რაღაცაშია“ საქმე-მეთქი... თუმცა, ნაადრევად დასკვნებს ნუ გამოვიტანთ, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.*

■



# „ძმის მკვლელობისთვის შურისძიებას თვითონ ვაპირებდი“...

## „თანხის გადაცემის მომენტი არ დამინახავს, მაგრამ დიდი ფული რომ ჩაყარეს, ცხადია“, – აცხადებს ადვოკატი, რომელიც ბანკირებს ხულიგნობაში ადანაშაულებს

*მეგი ცანავა*

**ამ საქმეში ბევრი ცნობილი გვარი ფიგურირებს. უმრავლესობა, საქართველოში მოქმედი, ორი საკმაოდ მსხვილი ბანკის წარმომადგენელია.**

**როგორც ამბობენ, ზოგი მათგანი პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის დანაშაულთან, ზოგიც ფაქტის თვითმხილველია და მომხდართან დაკავშირებით ბევრის თქმა შეუძლია. მიუხედავად ამისა, 3 წლის წინ რესტორან „გურჯაანში“ მომხდარი მკვლელობის დეტალები დღემდე ბუნდოვანია...**

იმ დღეს, რესტორანში ბანკირებს შორის ურთიერთშელაპარაკებასა და ჩხუბს შპს ,,კოდაკოს“ ხელმძღვანელის, 40 წლის კობა კობერიძის სიცოცხლე შეეწირა. დაზარალებული მხარის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბრალდებულის – 36 წლის ბესარიონ აბულაძის გარდა, მომხდარში ,,წვლილი“ სხვებსაც მიუძღვით, თუმცა, პროკურატურამ ამ თვალსაზრისით, საკმაოდ ბუნდოვანი საბრალდებო დასკვნა შეადგინა. გაურკვეველია, იქვე ჩადენილი ხულიგნობისა და ორი ადამიანის (მათ შორის, ,,საქართველოს ბანკის“ ვაკე-საბურთალოს ფილიალიას მმართველის) დაჭრის ფაქტებიც. ხულიგნობასთან დაკავშირებით მტკიცებულებები არ შეგროვდა, დაჭრის ფაქტზე კი, პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა, იმ მოტივით, რომ დამნაშავეთა ვინაობა არ გამოიკვეთა და არც დაზარალებულები – დაჭრილები ჩიოდნენ მომხდარის გამო. დაზარალებულის – კობერიძის მხარე კი, დღეს ამის მიზეზად, საქმეში თანამდებობის პირთა ჩართვას ასახელებს. *,,ვინ ვის და როგორ გადასცა თანხა, მე არ დამინახავს, მაგრამ ცხადია, რომ ამ საქმეში დიდი ფულია ჩაყრილი“*, – აცხადებს დაზარალებულის ადვოკატი **ლერი ღურწკაია**. ის რესტორანში ჩადენილ ხულიგნობაში ბანკის თანამშრომლებს, მათ შორის იმ დროისათვის ,,გაერთიანებული ქართული ბანკის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს – თამაზ მაღლაკელიძეს ადანაშაულებს. ამას პროკურატურაც და თავად მაღლაკელიძეც უარყოფენ. მაღლაკელიძე ბრალდებულის – აბულაძის დეიდაშვილი გახლავთ. მისი თქმით, მას არ დაუნახავს, თუ რა ვითარებაში დაიჭრა კობერიძე. ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს აბულაძეც. ამჟამად ის დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა, წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული აქვს ერთი ჩვენება, სადაც მომხდარის შესახებ წერს, მაგრამ მის მიერ კობერიძის დაჭრას არ ადასტურებს. ადვოკატის თქმით, აბულაძე სრულიად უდანაშაულოა და პროკურატურას მის წინააღმდეგ არც ერთი მყარი მტკიცებულება არ გააჩნია.

ფაქტია, რომ კობა კობერიძე რესტორანში სასიკვდილოდ დაჭრეს და ის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მოკლულის სხეულზე – კერძოდ, გულმკერდისა და ბარძაყის არეში დანით მიყენებული 9 ჭრილობა დააფიქსირეს. თუმცა, ცხრავე ჭრილობა ერთი და იმავე დანით არის მიყენებული თუ არა, გამოძიებით დადგენილი არ გახლავთ. ეჭვი იმის შესახებ, რომ ჩხუბისას რამდენიმე დანა იქნა გამოყენებული, ორივე მხარის ადვოკატს უჩნდება. ამასთან, ორივე მხარე უკმაყოფილოა პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით. სისხლის სამართლის საქმე თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში 2002 წლის 28 დეკემბერს აღიძრა. დანაშაული წინა დღეს – 27 დეკემბერს მოხდა.

იმ დღეს, ბესარიონ აბულაძეს დაბადების დღე ჰქონდა. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით, მან რიყეზე მდებარე რესტორან ,,გურჯაანში“ ნათესავები და მეგობრები დაპატიჟა. მათ შორის იყვნენ ,,გაერთიანებული ქართული ბანკის“ წარმომადგენლებიც. იქვე გახლდათ აბულაძის ცოლ-შვილიც, მისი ცოლისძმა – მერაბ თავართქილაძე, დეიდაშვილი – თამაზ მაღლაკელიძე, ასევე: გ. ყუფარაძე, ი. ახვლედიანი, თ. პავლიაშვილი, ფ. ყიფიანი, ი. ანთაძე, კ. ფაილოძე, თ. ჯაფარაშვილი და სხვები.

ამავე რესტორანში, გვერდით სუფრას უსხდნენ ,,საქართველოს ბანკის“ თანამშრომლები. ისინი რესტორანში შპს ,,კოდაკოს“ ხელმძღვანელს – კობა კობერიძეს ჰყავდა მიწვეული. სტუმრებს შორის იყვნენ: ,,საქართველოს ბანკის“ ვაკე-საბურთალოს ფილიალის მმართველი თ. თენეიშვილი, ნ. წიტაიშვილი, თ. ხუხუნაშვილი, გ. სილაგაძე, ნ. გელაშვილი, ი. ბასილაშვილი და სხვები. ამ ორ სუფრასთან მსხდომთა შორის, ნაცნობებიც აღმოჩნდნენ. კერძოდ, თენეიშვილი იცნობდა ყუფარაძეს და მაღლაკელიძეს, ხოლო სილაგაძეს ახლო ნაცნობობა ჰქონდა თ. ჯაფარაშვილთან და მის მეუღლესთან, ი. ახვლედიანთან. ისინი ერთმანეთს მიესალმნენ, რის შემდეგაც, თავიანთ სუფრებზე განაგრძეს ქეიფი. მთელი საღამოს მანძილზე, არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა. სიტუაცია რესტორანში მხოლოდ მას შემდეგ დაიძაბა, როცა მთვრალი მოქეიფეები უკვე სუფრიდან წამოიშალნენ და შინ წასვლა დააპირეს. მაშინ, დაახლოებით ღამის 2 საათი იყო. გასასვლელისკენ ორივე სუფრის წევრები ერთად გაემართნენ. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ზოგი მათგანი ძალზე მთვრალი იყო. თენეიშვილს თავისი ხელით მიჰყავდა ყუფარაძე ავტოსადგომისკენ. სწორედ ამ დროს, საქმის მასალების მიხედვით, მას შელაპარაკება მოუხდა მაღლაკელიძესთან. საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ თენეიშვილს ვიღაცამ უკნიდან ხელი გაარტყა. თუ ვინ იყო ის, დასკვნაში არ სახელდება, თუმცა, ერთ-ერთი მოწმის, კერძოდ – ნ. წიტაიშვილის ჩვენების მიხედვით, ეს მაღლაკელიძე უნდა ყოფილიყო.

**ნ. წიტაიშვილის** ჩვენებიდან:

*,,კ. კობერიძემ რესტორანში სხვებთან ერთად მეც დამპატიჟა. სუფრაზე თამადა გახლდით. დაახლოებით ღამის 2 საათი იქნებოდა, როცა წამოვიშალეთ. გარეთ მეზობელი სუფრის წევრებთან ერთად გავედით. გამოსვლისას შევნიშნე,*

*რომ თენეიშვილი წაბორძიკდა. ამას მაშინვე მოჰყვა აყალმაყალი. განსაკუთრებით, ჩვენთან ერთად მყოფი სილაგაძე აქტიურობდა. დავინახე, რომ ანთაძეს, რომელიც მეორე სუფრის წევრი გახლდათ, შუბლიდან სისხლი მოსდიოდა. სილაგაძე და მაღლაკელიძე კი ამ დროს ერთმანეთს უხეშად ელაპარაკებოდნენ. სილაგაძე საყვედურობდა — ის ჩემი მეგობრის მამაა და რატომ დაარტყიო?.. სილაგაძე თენეიშვილს გულისხმობდა...“*

სწორედ ამ ჩვენებიდან ჩანს, რომ თავდაპირველად, ერთმანეთთან შელაპარაკება თენეიშვილსა და მაღლაკელიძეს მოუხდათ, რასაც ამ უკანასკნელის მხრიდან დარტყმა მოჰყვა. შელაპარაკების მიზეზს ვერც ერთი მოწმე ვერ ასახელებს. როგორც დაზარალებულის ადვოკატი ამბობს, „*ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. ალბათ, პირად ურთიერთობებში რაიმე სადავო ჰქონდათ და სიმთვრალისას თავი არ შეიკავეს*“.

თუმცა, ოფიციალურად ეს არ დასტურდება და არც თენეიშვილი და არც მაღლაკელიძე ჩვენებებში ამის შესახებ არაფერს ამბობენ. სხვათა შორის, მოწმეთა ჩვენებებში ჩხუბის სხვა მიზეზიც იკვეთება. როგორც ამბობენ, კობერიძის სტუმარმა — სილაგაძემ, აბულაძის სუფრის ერთ-ერთი წევრი ქალბატონი გამოიცეკვა. ამ ცეკვამ ქალბატონის მეუღლის გაღიზიანება გამოიწვია და შელაპარაკებაც ამას მოჰყვა, შემდეგ კი, ჩხუბში ყველა ჩაერთო. პროკურატურა არც ამ მიზეზზე აკეთებს აქცენტს. ასე იყო თუ ისე, ხელჩართული ჩხუბისა და ჭიდილის დროს, ანთაძეც დაზარალდა. მას ვიღაცამ (თუ ვინ, საბრალდებო დასკვნაში არ ფიქსირდება, თუმცა, ერთ-ერთი მოწმის ჩვენებით, ეს თენეიშვილი იყო) ხელი გაარტყა, ამის შედეგად, ანთაძე წაიქცა და შუბლიდან სისხლი წასკდა. აბულაძე და კობერიძე ერთმანეთს ჩააფრინდნენ. ამის გამო ქალებმა კივილი ატეხეს და ცდილობდნენ, მოჩხუბრების დაშოშმინებას, მაგრამ ვერ შეძლეს. როგორც საბრალდებო დასკვნაში წერია, ჩხუბში ჩართულმა, ნასვამმა აბულაძემ მასთან შებმული კობერიძის მოკვლა განიზრახა და ამ მიზნით, ჯიბიდან დანა ამოიღო. დანა მან კობერიძეს ზედიზედ ცხრაჯერ ჩაარტყა სხეულში. სასიკვდილო ჭრილობა ბარძაყის არეში დაფიქსირდა: გადაიჭრა არტერია და ვენა, რამაც ძლიერი სისხლდენა გამოიწვია და კობერიძე სისხლისგან დაიცალა. ის ადგილზევე გარდაიცვალა. მეგობრებმა კობერიძე მაშინვე ჩასვეს ავტომანქანაში და ქალაქის №1 კლინიკურ საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ის უკვე გარდაცვლილი იყო.

რაც შეეხება აბულაძეს — როგორც პროკურატურა აღნიშნავს, მომხდარის შემდეგ ის ავტომანქანაში ჩაჯდა და შინ წავიდა. ორი დღის შემდეგ, აბულაძე სამართალდამცავებმა მოწმის სახით დაჰკითხეს. მაშინ მან განაცხადა, რომ კობერიძის დაჭრის ფაქტი არც დაუნახავს.

**აბულაძის** ჩვენებიდან (მოწმის სახით დაკითხვისას):

*„დაბადების დღის აღნიშვნა რესტორან „გურჯაანში“ გადავწყვიტე. იქ მივიტანე ღვინო, დავპატიჟე ნათესავები და მეგობრები. სუფრაზე ჩემი მეუღლე, შვილი და უახლოესი ნათესავები იყვნენ. ჩვენს სუფრასთან ახლოს გაშლილ მეორე სუფრაზე ჩემთვის უცნობი პირები ისხდნენ. იქიდან ერთ-ერთი მამაკაცი წამოდგა, ჩვენთან მოვიდა და ჩემი სტუმრები — მაღლაკელიძე და ყუფარაძე გადაკოცნა... როცა სუფრიდან წამოვიშალეთ, დარბაზიდან ყველაზე გვიან მე გავედი, რადგან ანგარიში მქონდა გასასწორებელი. რესტორნიდან გამოსვლისას, ეზოსთან მოგროვილი ხალხი დავინახე, ჩოჩქოლის ხმა ისმოდა. მაშინ შევნიშნე, მიწაზე დაცემული ანთაძეც, რომელსაც სახიდან სისხლი მოსდიოდა. მიზეზი ვერავინ ამიხსნა. მივედი, ანთაძე წამოვაყენე და მაღლაკელიძის მანქანაში ჩავსვი. ის სახლში წავიყვანე. ცოტა ხანში ანთაძემ ტელეფონზე დამირეკა და მითხრა, რომ ის საავადმყოფოში მიჰყავდათ. მე და თეთრაშვილი წავედით მე-9 საავადმყოფოში, სადაც ანთაძეს სამედიცინო დახმარება გაუწიეს... იმ საღამოს, დანა არავის ხელში არ შემინიშნავს. ვინ დაარტყა ანთაძეს, არც ეს მინახავს...“*

გამოძიებამ მოკლულის ძმაც დაჰკითხა. სწორედ მან დაადო ხელი აბულაძეს, როგორც მკვლელს.

*„...როცა სუფრიდან წამოვდექით და გარეთ გავედით, ღამის 2 საათი იქნებოდა. მე სრულიად ფხიზელი ვიყავი. დავინახე, რომ ორ კაცს ერთი ძალიან მთვრალი, მაღალი პიროვნება მოჰყავდა. ის გივი ყუფარაძე იყო. მე ჩემს ძმას ველოდებოდი, რათა მანქანაში ჩამესვა და წამეყვანა. ამ დროს შევნიშნე, რომ რესტორნის გამოსასვლელთან, მარჯვენა მხარეს ჩხუბი ატყდა. დავინახე, როგორ დაარტყა თენეიშვილმა ანთაძეს, იქვე იყვნენ ნ. გელაშვილი, ი. ბასილაშვილი და გ. სილაგაძე. სილაგაძემ ვიღაცას გაარტყა. ეს რამდენჯერმე გააკეთა. შემდეგ ჩხუბი მოხდა სილაგაძესა და მაღლაკელიძეს შორის. ამ დროს გავიგონე იუბილარის დის ხმა — დანა არ იხმარო, მე შენი და ვარო. ამ მომენტში, წიტაიშვილი ამოეფარა ჩემს ძმას და წიხლი მოუქნია აბულაძეს. აბულაძეს ხელში დანა ეკავა. ვხედავდი, როგორ იქნევდა მას. ამ დროს დაიჭრნენ თენეიშვილი და ჩემი ძმა. ყველაფერი წამიერად მოხდა. აბულაძე დანას ჩქარ-ჩქარა ურტყამდა ჩემს ძმას. შემდეგ გაიქცა. ჩემი ძმა კი ჩაიკეცა და გრძნობა დაკარგა. სასწრაფოდ გადავიყვანეთ საავადმყოფოში, მაგრამ უკვე გარდაცვლილი იყო. თვითონ ვაპირებდი, შური მეძია მისი მკვლელობისათვის და აბულაძეს ვეძებდი, მაგრამ შემდეგ, ნათესავების რჩევით, გადავიფიქრე. ახლა კანონის აღსრულებას ველოდები. მან პასუხი უნდა აგოს ჩადენილი დანაშაულისთვის“,* — წერს მოკლულის ძმა.

ის ერთადერთი არ გახლავთ, ვინც წინასწარი გამოძიების პერიოდში, ხელი დაადო აბულაძეს. სამართალდამცავებს მსგავსი ჩვენება მისცა **ნ. წიტაიშვილმაც:**

*„...იუბილარს — აბულაძეს ქალები იჭერდნენ, ის მაინც ცდილობდა, გაეწია. ქალები ეხვეწებოდნენ — დანა არ იხმაროო. თენეიშვილიც ჩხუბში იყო ჩართული და ფეხებს იქნევდა, შემდეგ ის ფეხში დაიჭრა. მახსოვს, იუბილარი დანიან ხელს იქნევდა. კობერიძე კი ცდილობდა, მოჩხუბართა შორის ჩამდგარიყო და გაეზავებინა ისინი...*

*თენეიშვილმა გზაში მითხრა: იმ ნაბოკობა დაჭრაო...“*

**თენეიშვილის** ჩვენებიდან:

*„...მომიახლოვდა პიროვნება, რომელმაც მოულოდნელად სახეში გამარტყა... ამ დროს შემომესმა ქალის კივილის ხმა — დანა არ გახსნაო! ვნახე, რომ ვიღაცა ძირს ეგდო. გაირკვა, რომ ის კობერიძე იყო. ამ დროს, მარცხენა ფეხზე სისველე ვიგრძენი და მივხვდი, რომ დაჭრილი ვიყავი... სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სხეულზე მსუბუქი ხარისხის დაზიანება აღმომაჩნდა“.*

**ნ. გელაშვილის** ჩვენებიდან:

*„დავინახე, რომ თ. თენეიშვილზე ვიღაც უცნობი პიროვნება იწევდა. შევეცადე მათ გაშველებას. ამ დროს, მუცლის არეში მომხვდა დანა. ამის გამო გავერიდე იქაურობას და როცა შემოვტრიალდი, დავინახე, რომ კ. კობერიძე ასფალტზე იწვა... პიროვნება, რომელმაც დამჭრა, ჩასკვნილი ტანის ახალგაზრდა იყო, შავი ქურთუკი ეცვა. მის ამოცნობას ვერ შევძლებ, რადგან სიბნელე იყო. დაჭრის შედეგად, მსუბუქი ხარისხის დაზიანება მივიღე...“*

ამ ჩვენებების საფუძველზე, პროკურატურამ აბულაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, იმ დროისთვის, ის უკვე წასული იყო ქალაქიდან და მიმალული გახლდათ. აბულაძის ნათესავები მისი მიმალვის ფაქტს

ბი წავსულიყავით. იარაღი შინ მქონდა. ოზურგეთიდან ახალქალაქში მანქანით მისი წაღება საშიში იყო, ამიტომაც ჯერ გორში წავედით. საბარგულში იარაღი ჩავდეთ, ზემოდან 200 კგ ვაშლი დავაყარეთ და ისე წავედი ახალქალაქისკენ. ღამე სასტუმროში გავათიეთ. რაფიკ ნახატაკიანის სახლისკენ იმ საღამოს მარტო წავედი ფეხით, ტარიელი სასტუმროში დარჩა, რადგან ავად იყო. იარაღი ნახატაკიანის სახლთან ახლოს, ყუთში დავმალე. სახლი გარედან დავათვალიერე, შემდეგ ავტოფარეხში შევედი. ამ დროს ძაღლმა დაიყეფა და შეშინებულმა, მანქანიდან მხოლოდ ერთი ყუთის აღება მოვასწარი და მაშინვე სასტუმროსკენ გავიქეცი. ყუთში ფოტოაპარატები, ფირები და პარფიუმერიის კომპლექტი აღმოჩნდა... 13 მარტს საღამოს, ნახატაკიანის სახლთან ორივე მივედით. მე თავზე „შლემი“ მეხურა, ტარიელს ხელის ელექტროფარანი ეჭირა. ავტოფარეხში შესვლიდან რამდენიმე წუთში, ეზოში „ჟიგული“ შემოვიდა და იქიდან სამი მთვრალი მამაკაცი გადმოვიდა. მაშინ მანქანის კარი მივხურეთ და სწორედ ამის ხმა გაიგონა პატარა გოგონამ. რაფიკას უთხრა – ვიღაც არის ავტოფარეხშიო. როცა ნახატაკიანი შემოვიდა და დაგვინახა, ავტომატი მივუშვირე მას და ვუთხარი – არ იყვირო, ჩვენ წავალთმეთქი. ის იარაღის ლულას სწვდა. ავტომატი დამცველზე მქონდა დაყენებული და არ მინდოდა სროლა. ნახატაკიანმა არ გაუშვა ხელი, მეც გარეთ გამათრია და მექაჩებოდა, იარაღის წართმევა უნდოდა. ამ დროს მეორე გამოვარდა და თავში ჩამარტყა შეშა, მე დავეცი და გრძნობა დავკარგე. ზუსტად არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ამ მდგომარეობაში. ტარიელმა წამომაყენა და მითხრა – ჩქარა, თავს ვუშველოთო. კლდეზე ჩავსრიალდით. მაშინ რევოლვერი ამომივარდა ჯიბიდან. გავიქეცით ვარევნის მიმართულებით. ტანსაცმელი დამისველდა და ამის გამო სიარული მიჭირდა. შარვალი და ქურთუკი გავიხადე და იქვე დავყარე. ცეცხლი დავანთეთ ტანსაცმლის გასაშრობად. დაახლოებით ღამის 4 საათზე მივაღწიეთ სოფლამდე, ნაცნობის სახლში მივედით. ავტომატი მანამდე სოფლის შესასვლელში, კოლმეურნეობის ფერმის სხვენში დავმალე. ნაცნობმა, ონიკ აბაჯიანმა გვკითხა – რაშია საქმეო? ტარიელმა მოატყუა – ახალქალაქში ქართველებთან ჩხუბი მოგვიხდაო. დილით შევიტყვეთ მკვლელობის შესახებ. მაშინ ტარიელს ვკითხე – რა ადგილებში დაჭერი, ხომ არ მოკვდებიან-მეთქი? მიპასუხა – ერთს ფეხში მოვარტყი და არ შეიძლება, მომკვდარიყოო. ამის შემდეგ, ქუთაისში წავედით, ახალქალაქში აღარ შეგვივლია. შემთხვევის დღეს მე დანა არ მქონია. ძმები ნახატაკიანები მოკლა და გოქორიანი დაჭრა ვასაძემ“.

მართალია, სასამართლო პროცესზე ვაშალომიძემ განაცხადა, რომ თავად – ცეცხლსასროლი იარაღით, ვასაძე კი – დანებით იყო შეიარაღებული, თუმცა, როგორც გაირკვა, წინასწარი გამოძიებისთვის მას განსხვავებული ჩვენება ჰქონდა მიცემული. მაშინ გამომძიებელს ვაშალომიძემ განუცხადა, რომ ჭიდილის დროს, დანას უაზროდ იქნევდა და ვის რამდენჯერ და სხეულის რა ნაწილებში მიაყენა ჭრილობები, არ იცის. „დანას შეშინებული და აღელვებული ვიქნევდი. ტარიელმა დაარტყა თუ არა ვინმეს დანა, არ დამინახავს“, – წერს ის. სასამართლო პროცესზე ამ ჩვენების სისწორე განსასჯელმა უარყო. დღეს ტარიელ ვასაძის ადვოკატი ირმა ჭკადუა აცხადებს, რომ ვაშალომიძემ სასამართლო პროცესზე რეალური ფაქტები აღწერა და ყველაფერი ისე თქვა, როგორც სინამდვილეში მოხდა.

**ირმა ჭკადუა**, ტარიელ ვასაძის ინტერესების დამცველი ადვოკატი:

„არც პროკურატურის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნაში და არც ვაშალომიძის მიმართ გამოტანილ განაჩენში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება. ისინი განგებაა დამახინჯებული თავის დროზე – ვაშალომიძის, შემდეგ კი – ვასაძისთვის ბრალის დასამძიმებლად. არც ერთი მათგანი არ წასულა ნახატაკიანების ოჯახში საყაჩაღოდ. მათ მხოლოდ ქურდობა ჰქონდათ განზრახული და გამოძიების მასალებში ყაჩაღობის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება არ მოიპოვება. მართალია, ვაშალომიძეს თან ჰქონდა იარაღი წაღებული, მაგრამ არა იმისთვის, რომ ვასაძესთან ერთად ყაჩაღური თავდასხმა განეხორციელებინა. მათ იცოდნენ, რომ ღამით კლდეებსა და ტყეში მოუწევდათ სიარული და ცხოველებისგან თავდაცვის მიზნით შეიარაღდნენ. ყაჩაღობა რომ ნდომებოდათ, პირდაპირ შეიჭრებოდნენ სახლში და ავტოფარეხის სათავსებში არ დაიმალებოდნენ, როცა სახლის პატრონი დაინახეს. აშკარაა, რომ მათ სისხლის ღვრის გარეშე უნდოდათ იქაურობის მიტოვება. ვაშალომიძემ სთხოვა კიდეც ნახატაკიანს – არ იყვირო და აქედან წავალთო. ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა, სამწუხაროდ, თავად დაზარალებულების მხრიდან ზედმეტმა აგრესიამ გამოიწვია. ისინი ნასვამები იყვნენ და როგორც ჩანს, ამანაც განაპირობა მათი აქტიურობა და შეტევაზე გადასვლა. იმ სიტუაციაში, როცა გრძნობადაკარგული ვაშალომიძე ძირს ეგდო, დაზარალებულები კი ვასაძისკენ მიიწევდნენ, ამ უკანასკნელს სხვა გზა არ დარჩენოდა, თუ არა თავდაცვა. ვასაძე მიხვდა, რომ დაზარალებულები უკან არ დაიხევდნენ და აუცილებლად ესროდნენ მას ვაშალომიძისთვის წართმეული იარაღიდან. ამიტომაც გახდა იძულებული, დანა გამოეყენებინა. მის ქმედებას პროკურატურამ არასწორი შეფასება მისცა. ეს არ იყო განზრახ მკვლელობა, ვასაძე აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა. გარდა იმისა, რომ ბრალი არის სრულიად დაუსაბუთებელი, საქმის გამოძიება მთელი რიგი დარღვევებით წარიმართა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ საქმე მთლიანად რუსულ ენაზეა წარმოებული, მაშინ, როცა კანონის თანახმად, საქმის სამართალწარმოება ქართულ ენაზე უნდა მოხდეს. ამას გარდა, ვასაძე დაცვის გარეშე იქნა დატოვებული. ის 2004 წლის 30 ნოემბერს დააკავეს ოზურგეთის შს რაიგანყოფილების სამძებრო ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა. იმავე დღეს ის ბათუმის საპყრობილეში გადაიყვანეს, ამის შემდეგ – 2004 წლის 16 დეკემბერს, ის თბილისის №1 საპყრობილეში მოათავსეს და მხოლოდ 2004 წლის 25 დეკემბერს წარუდგინეს ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს – მანუკიანს, რათა მის მიერ დადასტურებულიყო ვასაძის პატიმრობა. კანონის მიხედვით, ბრალდებულის წარდგენა სასამართლოში უნდა მოხდეს დაკავების დღიდან არა უგვიანეს 15 დღისა, თანაც საამისოდ აუცილებელია დაფიქსირდეს რაიმე ხელის შემშლელი მიზეზი – სტიქიური უბედურება, ბრალდებულის ჯანმრთელობის გაუარესება და ა.შ. ასეთ რამეს ვასაძის შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია და მიუხედავად ამისა, ის მთელი 25 დღის განმავლობაში უკანონოდ ჰყავდათ დაპატიმრებული. აქედან გამომდინარე, ვასაძე დღემდე უკანონო პატიმარია და ის დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს“.

■



# ყველაზე ყვითელი ტაქსი, აფერისტი ქალები და 7 ლარად ნაშოვნი ნაბავი

**ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ღვინის რეკლამა, შეუძლებელია, ყურადღება არ მიექცია ყვითელი ფერის ტაქსისთვის — ძველი „ვოლგისთვის“. იური მჭედლიშვილი თავისი „გაზ-21“-ით ყველას 50-იანი, 60-იანი წლების თბილისის ცხოვრებას ახსენებს. მართალია, ის პროფესიით მძღოლი არ გახლავთ, მაგრამ ცხოვრებამ ტაქსისტობა დააწყებინა. გამორიცხულია, ამ ადამიანის მანქანაში აღმოჩნდე და დიდი სიმპათიით არ განიმსჭვალო მის მიმართ. ის მგზავრები კი, ვისაც მისი მანქანით რამდენჯერმე უმგზავრია, მოფერებით იური პაპას ეძახიან...**

ეკა მინდაძე

— ტაქსის მძღოლად მუშაობა 15 წლის წინ დავიწყე — მას შემდეგ, რაც ქვეყანა აირია. საშუალო სკოლის შემდეგ, საავიაციო ტექნიკუმი და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დავამთავრე — ამგვარად, შეტყვევც ვარ და ინჟინერიც. მაშინ მართლაც რომ საათივით მქონდა აწყობილი ცხოვრება. რამდენიმე წლის მანძილზე, სიღნაღში მეურნეობის დირექტორიც ვიყავი. მაგრამ არავინ იცის, ცხოვრება რას მოგიმზადებს. აბა, რა მექნა? ოჯახს ხომ უნდოდა რჩენა! მახსოვს, თავიდან, ოჯახში ვმალავდი კიდეც, რომ „ვტაქსაობდი“. მერე, ნელ-ნელა ყველანი შევაგუე ამას.

**— სარეკლამო რგოლში როგორ მოხვდით?**

— სრულიად შემთხვევით. რა ვიცი, ალბათ, ჩემი მანქანა მოეწონათ. სხვათა შორის, თითქმის ყველა მგზავრი მეუბნება — ეს მანქანა რომ დავინახე, მაშინვე ძველი თბილისი გამახსენდაო. რეკლამის შემდეგ კი, თითქმის ყველა მგზავრი მცნობს. ეს ძალიან მსიამოვნებს.

**— ფული თუ გადაგიხადეს?**

— რა თქმა უნდა, მთავაზობდნენ, მაგრამ არ ავიღე.

**— რატომ შეღებეთ მანქანა ყვითლად?**

— მანქანა რამდენიმე თვის წინ შევღებე. ყვითელი ფერი იმიტომ ავირჩიე, რომ მომწონს მკვეთრი ფერები. სხვათა შორის, ამ ფერმა იაპონიაში პირველი ადგილი აიღო ავტომანქანებში.

**— ძნელია ტაქსის მძღოლად მუშაობა?**

— რა თქმა უნდა, ძნელია, განსაკუთრებით, დღევანდელ დროში: ქუჩაში თითქმის აღარ არიან პროფესიონალი მძღოლები, მანქანას უამრავი მოყვარული მართავს და ამიტომაც ძნელი გახდა ქალაქში მოძრაობა. თითქმის ყველა ცდილობს, პირველი იყოს, რის გამოც მოძრაობა უარესად იტვირთება.

**— ალბათ, ბევრი რამ გადახდენიათ თავს მგზავრებთან ურთიერთობისას...**

— ვცდილობ, ყველა მგზავრს თავისებურად მივუდგე. მათ ხასიათს დანახვისთანავე ვხვდები და ყველას იმ ენაზე ველაპარაკები, რომელიც მისთვისაა მისაღები. რა თქმა უნდა, ბევრი კარგი მგზავრიც მყოლია და ცუდიც. საწყენია, როცა ადამიანი მთელი დღე გატარებს, ბოლოს, ფულს არ გადაიხდის და იპარება. ამას უფრო ხშირად, ახალგაზრდები აკეთებენ. მესმის, რომ მათ ამის შესაძლებლობა არა აქვთ, მაგრამ ნუ მომატყუებენ. მირჩევნია, კაცმა თავიდანვე მითხრას, რისი შესაძლებლობა აქვს. ასეთ ადამიანს უფასოდაც კი მივიყვან იქამდე, სადაც მას სურს, ოღონდ, ნუ მომატყუებს და ტყუილად ნუ მალოდინებს სადარბაზოსთან. მახსოვს, ერთხელ, ორი ქალი თითქმის ნახევარი დღე ვატარე და ბოლოს, ვაკეში შემნახველ სალაროსთან მივიყვანე; ფულს გამოვიტანთ ბანკიდან და გადაგიხდითო, — მითხრეს. თურმე ბანკს უკანა მხრიდან გასასვლელი ჰქონია და აი, ასე მოახერხეს გაპარვა... ერთმა აფერისტმა კაცმა გამაჩერა ვაკეში და მითხრა — ცოლ-შვილი წყნეთში უნდა წამაყვანინოო. ჩავჯდა თუ არა, მაშინვე მკითხა: 50-ლარიანის ხურდა ხომ არ გაქვსო? მეც ვუპასუხე, რომ მხოლოდ 7 ლარი მქონდა. მივედით თუ არა კორპუსთან, იქიდან ახალგაზრდა ბიჭი გამოვიდა, ხელში პარკი ეჭირა, გადასცა ჩემს მგზავრს და უთხრა: ნელა ჩადე, არ გატყდესო. მეც ავხადე საბარგული და ჩავადებინე. ცოტა ხანში, ეს ბიჭი ამბობს: ბებომ თქვა, 10-ლარიანი გამომიგზავნოსო. ჩემი მგზავრი ისევ მე მომიბრუნდა და შემეკითხა — შენ რამდენი გაქვს? მეც ვუპასუხე — 7 ლარი-მეთქი. — ჰოდა, მომეცი და იქ რომ ავალთ, გავსწორდებითო. მივეცი თუ არა ეს ფული, მითხრა: ახლა ამას ავყვები, პიჯაკს ჩამოვიტან და ჩამოვალო. წავიდა და წავიდა. ცოტა ხანში რომ აღარ გამოჩნდა, ავხადე თავი საბარგულს, ჩავიხედე პარკში და რას ვხედავ? თურმე, შიგ ნაგავია... გავიდა დრო და ზუსტად იმავე პიროვნებამ მეორედ გამაჩერა. ამჯერად, ოქროყანაში უნდა წავეყვანე ბიცების ჩამოსატანად. მე მაშინვე ბენზინის ჩასხმა მოვთხოვე. მან 10 ლარის ბენზინი ჩამისხა და ვიდრე ოქროყანაში ავიდოდით, თბილისში ერთ ადგილას მივიყვანე; მითხრა — მეგობარი მომყვებაო. როგორც კი მანქანიდან გადავიდა, მაშინვე ყველა მინა ავწიე, კარი ჩავკეტე და გავძახე ჩემს უკვე კარგად ნაცნობ თაღლით მგზავრს: გახსოვს, 7 ლარი რომ გამომართვი? ახლა კარგად იყავი-მეთქი!.. — დავქოქე მანქანა და წამოვედი.

**— მგზავრს რაიმე ნივთი თუ დარჩენია მანქანაში?**

— კი, როგორ არა. მობილური ტელეფონი ხშირად დარჩენიათ, მაგრამ მე ყველას უკან დავუბრუნე. ამას წინათ, ერთ-ერთ რესტორანში მივიყვანე გერმანელი, რომელსაც მობილურთან ერთად სიგარეტიც დარჩა ისე, რომ მე ვერ შევამჩნიე, სანამ თვითონ არ დამირეკა. ერთხელ მგზავრს

ჩანთა დარჩა, სადაც დიდი თანხა იდო. ჩანთა თურმე ფეხებთან დაუდვია და ამიტომაც მეც ვერ დავინახე. მგზავრმა ჩანთა რომ მოიძია და ვერ ნახა, მაშინვე სხვა ტაქსით დამედევნა.

— **ოდესმე ხომ არ დაუყაჩაღებიხართ?**

— კი. 2 წლის წინ, ,,ჟიგულით" ,,ვტაქსაობდი". ღამის 2 საათი იქნებოდა. რუსთაველის მეტროსთან გავაჩერე მანქანა და სიგარეტის საყიდლად გადავედი. რომ დავბრუნდი, ორი ახალგაზრდა დამხვდა. მითხრეს — ბავშვი შეგვეძინა და პირველ სამშობიაროსთან გაგვიყვანეო. რომ შევხედე, მათი სახეები არ მომეწონა, მაგრამ რას ვიზამდი?.. მივიყვანე თუ არა დანიშნულების ადგილას, გადავიდა ერთი, მეორემ კი, დანა ჯერ მკლავში, მერე — მხარსა და მუცელში ჩამარტყა; მანქანის გასაღები და ფული — 20 ლარამდე — მანქანაშივე დავტოვე, მაგრამ მათ ამისთვის ხელი არ უხლიათ. ჩემგან რა უნდოდათ, არ ვიცი. იმდენი მოვახერხე, რომ მანქანიდან გადმოვედი, გავიქეცი; ერთ-ერთ სახლში შევვარდი, მეორე სართულზე ავედი, კარზე დავრეკე და ვთხოვე, ,,სასწრაფოში" დაერეკათ, რადგან დაჭრილი ვიყავი. ამ ქალს თურმე პოლიციაშიც დაურეკავს. სხვათა შორის, თავდამსხმელები მაშინვე აიყვანეს, მე კი 10 დღე რეანიმაციაში გავატარე და 19 ნაკერი დამადეს... დღეს მართლაც საშიშია ტაქსის მძღოლობა, არ იცი, ვინ შეგხვდება, დაზღვეული არავინ ვართ.

— **პატრულთან თუ გაქვთ ხოლმე პრობლემები?**

— არა. მათ ჯერ არ გავუჩერებივარ. პირადად მე, მრცხვენია კიდეც, ამ ასაკის კაცმა, მოძრაობის წესები რომ დავარღვიო.

— **თქვენმა შვილებმა თუ იციან მანქანის მართვა?**

— კი. ორი გოგო და ერთი ბიჭი მყავს. სამივეს ვასწავლე მანქანის მართვა. როცა ჩემი ქალიშვილების მეუღლეები დათვრებიან, საჭესთან თვითონ სხდებიან ხოლმე. ბიჭი ჯერ 16 წლისაა, მაგრამ მასაც ვასწავლე მართვა. ამჟამად ის მანქანებს რეცხავს და უხარია, რომ თავისი ფული აქვს. პატიოსანი შრომით მოპოვებულ ფულს რა სჯობია?!

— **ამბობენ, მანდილოსნები უფრო ხშირად არღვევენ მოძრაობის წესებს, ვიდრე მამაკაცებიო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— არა, მე ამ აზრს ვერ დავეთანხმები. ქალაქში ყველაზე დაკვირვებულად და წყნარად ქალები დადიან, იმიტომ, რომ მათ უფრო მეტად აქვთ განვითარებული შიშის გრძნობა. მამაკაცებს კი არაფრის ეშინიათ.

— **რამდენად შესაძლებელია დღეს ოჯახის რჩენა „ტაქსაობით"?**

— რა თქმა უნდა, ამით დიდ ფულს ვერასოდეს ვიშოვი, მაგრამ პურის ფული ყოველთვის მრჩება. ხანდახან ტანსაცმელსაც ვყიდულობ და შვილებსაც ვეხმარები. ცხოვრებამ მოიტანა, თორემ, ადრე ვერც წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე ტაქსის მძღოლად ვიმუშავებდი. მძღოლები თავად მემსახურებოდნენ და სხვათა შორის, მე მათ დიდი პატივისცემით ვეპყრობოდი.

— **რომელ საათზე იწყებთ მუშაობას?**

— დილის 9 საათზე გავდივარ სახლიდან და ღამის 11 საათზე ვამთავრებ მუშაობას. ხანდახან მთელი ღამე ვმუშაობ.

— **ყოველდღიურად რამდენი მგზავრი გადაგყავთ?**

— დაახლოებით 40-45 მგზავრი მყავს.

— **თუ არჩევთ ხოლმე მგზავრებს?**

— სხვათა შორის, ვცდილობ, უფრო ხშირად მანდილოსანი ჩავისვა, მამაკაცებსა და ახალგაზრდებს უფრო ვერიდები, თუმცა, ისინიც წამიყვანია. კარგი და ცუდი ყველა ასაკშია — გააჩნია, რა ოჯახშია გაზრდილი. ხშირად, ერთი და იგივე მგზავრი მხვდება. არიან ისეთი ახალგაზრდებიც, რომლებიც იური პაპას მეძახიან და რამდენჯერაც შემხვდებიან, იმდენჯერ მეუბნებიან: იური პაპა, ვინც შენ ,,გაგიჩმახებს", დედას ვუტირებთ, ოღონდ გვითხარი, ვინ არისო.

— **დაბოლოს, რამდენ ხანს აპირებთ ამ საქმიანობის გაგრძელებას?**

— აბა, რა გითხრათ... სანამ ენერგია მექნება, ამ საქმეს თავს არ დავანებებ. ბავშვობიდან მიყვარს მანქანა და რომ იტყვიან, ძვალ-რბილში მაქვს მანქანის სიყვარული გამჯდარი. რომ გავიღვიძებ, ერთი სული მაქვს, საჭეს მივუჯდე და ჩემს ხალხს მოვემსახურო. ■

**კარგი და ცუდი ყველა ასაკშია — გააჩნია, რა ოჯახშია გაზრდილი**




ტესტი

# მრთგული მკითხველი

*თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...*

***1. ჩამოთვლილთაგან, რომელი იყო ნიკო ნიკოლაძის ფსევდონიმი?***



ა) ნაპირელი;
ბ) რიონელი;
გ) განდეგილი.

***2. ლონდონში პოპულარობით სარგებლობს პატარა რესტორანი, რომლის სარეკლამო ფირნიშზე წერია: „ჩვენს კერძებში თმას ვერასოდეს იპოვით"; რატომ?***



ა) რესტორნის ყველა თანამშრომელი მელოტია;
ბ) რესტორანში მხოლოდ მელოტებს ემსახურებიან;
გ) კლიენტებს ყველა კერძს თავდახურული ჭურჭლით მიართმევენ.

***3. „დავეხმაროთ რუსეთს, როცა გერმანია იმარჯვებს, და დავეხმაროთ გერმანიას, როცა რუსეთი იმარჯვებს" — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?***



ა) ჰარი ტრუმენს;
ბ) უინსტონ ჩერჩილს;
გ) ჯავაჰარლალ ნერუს.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

# როცა ოქროს თევზს დავიჭერ...



## „მინდა, „ზაზაიაგად“ გადავიქცე“ ანუ ო-ო, მამაშენი... მამაშენი...

**ერთი კი არა, 5-6 ოქროს თევზიც არ იქნება საკმარისი საიმისოდ, რომ ჩემს მობილურ ტელეფონზე იმხელა თანხა დასვას, რომელიც ყველა მკითხველისთვის თუნდაც ერთი მესიჯის გასაგზავნად მეყოფა. „მარი, ძალზე მიყრუებულ სოფელში ვარ, აქ „გზას“ კი არა, ბილიკსაც ვერ იპოვი კაცი. გთხოვ, მითხარი მომდევნო კვირის თემა რა არის „გზავნილებში“...“ ყოველი მეორე მესიჯი, რომელსაც ვიღებ, დაახლოებით ასეთი შინაარსის გახლავთ. ეს კი, როგორც ერთ-ერთი მკითხველი მწერს, სულ იმის ბრალი ყოფილა, რომ „გზავნილებმა“ მაგარი „ლომკა“ იცის: თუ ერთხელ წაიკითხე, მორჩა! მე რომ ოქროს თევზი მაპოვნინა, ვთხოვდი, მალე აგრილდეს და ყველა ჩვენი მკითხველი ქალაქში დაბრუნდეს, რომ აღარ მივიღო ასეთი საყვედურები: „ეჰ, მარი, მარი, როგორ მიყვარხართ შენც და „გზავნილებიც“, შენ კი 6 თეთრი გენანება, რომ ერთი მესიჯი გამომიგზავნო და შემატყობინო, რა ხდება ჩემს საყვარელ რუბრიკაში“... ნუ გეწყინებათ, რადგან თქვენ უამრავი ხართ, მე — ერთი და არც ოქროს თევზები იშოვება ასე იოლად... თუმცა, ზოგიერთი ასე სულაც არ ფიქრობს.**

*მარი ჯაფარიძე*

### „ოქროს თევზში“ სარფიანად ჩადებული ფული

*]ადამიანის წარმოშობის დარვინისეული თეორია ყველასთვის ცნობილია. ქალი გამონაკლისს სულაც არ წარმოადგენს და თუმცა იქნებ, ერთი შეხედვით ვერ შენიშნოთ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ისიც მაიმუნისგან წარმოიშვა და შესაძლოა, მის გენში სწორედ ამ წინაპრის თვისებები ჭარბობს... ოღონდ გახსოვდეთ: აუცილებელი არ არის, რომ ყველა ქალს შეახსენოთ მისი წარმოშობის ისტორია. უბრალოდ, თუ ამას თქვენს თავს შეახსენებთ, თქვენთვისვე იქნება უკეთესი...*

### „ჩემი „ოქროს თევზი“, დაქალის ქმარია...“

„ლოლიტა ჩემი ბავშვობის მეგობარია. ყოველთვის ტყუპივით ერთად ვიყავით. 18 წლის ვიყავი, როცა საყვარელ მამაკაცს კოცნისა და ალერსის უფლება მივეცი და საქმე იქამდე მივიდა, რომ მისი საყვარელი გავხდი. ერთი წელი გრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა. როცა ვნერვიულობდი, ლოლიტა მამშვიდებდა და დარდს მიმსუბუქებდა. მერე ვასიკოს დავშორდი და მამაკაცისკენ აღარც გამიხედავს... მე და ლოლიტამ ერთად გავიცანით ლევანი. ორივეს მოგვეწონა. მას კი მე მოვეწონე. ჩემი და ლევანის ურთიერთობა კარგად აეწყო. ძალზე განვიცდიდი იმას, რომ ჩემი და ვასიკოს ამბავს ვუმალავდი. ლოლიტა კი მირჩევდა, რომ არ მეთქვა და მხოლოდ ქორწილის შემდეგ გამემხილა ყველაფერი. უზომოდ ვიტანჯებოდი, მაგრამ გადაწყვეტილებას ვერ ვიღებდი. რამდენიმე ხნის შემდეგ შევნიშნე, რომ ლოლიტა და ლევანი ერთმანეთს სხვანაირი მზერით უყურებდნენ, მინიშნებებით ლაპარაკობდნენ, ჩვენი ურთიერთობა კი დაიძაბა. ამას დიდი მიხვედრილობა არ სჭირდებოდა. მალე ისინი დაქორწინდნენ და გავიგე, რომ თურმე, ლოლიტას გაუმხელია ლევანისთვის — ის ქალწული არ არის, საყვარელი ჰყავდა, მე კი უბიწო და პატიოსანი გოგო ვარო. ისიც ნელ-ნელა მისკენ გადაიხარა და მე პირში ჩალაგამოვლებული დამტოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე გავბრაზდი, ლოლიტასთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია. მით უმეტეს, როცა მივხვდი, რომ ეს ყველაფერი დაუფარავად იმიტომ მომიყვა, რომ გავბუტულიყავი და მათი არსებობა დამევიწყებინა. ძალზე მინდოდა, შური მეძია მათზე, ამიტომ თავს ვაჩვენებდი, რომ სხვა კაცი შემიყვარდა და მათი ქორწინება სასაცილოდაც არ მყოფნიდა. ლოლიტა დაწყნარდა. მას შემდეგ, მთელი 8 წელი გავიდა. ლევანმა ძალზე წარმატებული კარიერა გაიკეთა და ერთი ჩვეულებრივი „კრასავჩიკიდან“ მდიდარ, შეძლებულ, სიმპათიურ მამაკაცად გადაიქცა. მე კი იმდენი ვიჩალიჩე, რომ მისი საყვარელი გავხდი. ვიცოდი, რომ ჩემ მიმართ ძლიერი გრძნობა ჰქონდა, მაგრამ ეს არ ჩავთვალე საკმარისად და გადავწყვიტე, ჩემი „ოქროს თევზი“ ბოლომდე გამომეყენებინა. დავფეხმძიმდი. მათ ოჯახში მივიყვანე კაცი, რომელიც ჩემს ბოიფრენდად გავასაღე და ბავშვის მამობაც მას დავაბრალე. მაგრამ ლევანმა კარგად იცის, რომ თაკო მისი შვილია. ამიტომ მე და ჩემს გოგონას ნებისმიერ სურვილს გვისრულებს და არაფერს გვაკლებს. ლოლიტას კი შვილი არ ჰყავს. ღმერთმა დასაჯა. ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს, ლევანი ჩემთან გადმობარგდება და მშვენივრად ვიცხოვრებთ ერთად“.

*ოქროს თევზი უკვე იპოვეთ?.. სიხარულისგან ტაშიც შემოჰკარით და მეგობრებისგან მილოცვებსაც იღებთ?.. ნუ იჩქარებთ, რადგან შესაძლოა, ის უცებ გაგისხლტეთ ხელიდან, მოიქნიოს ოქროს კუდი და გაუჩინარდეს... რაც უფრო მეტ სურვილს გისრულებდათ, მით უფრო გაგიჭირდებათ უმისოდ ცხოვრება...*

### „ახალგაზრდობაში დარჩენილი“ „ოქროს თევზი“

„ჩემი ქმრისგან, რომელსაც წლების წინ გავეყარე, ორი მოზრდილი გოგონა მყავს. სიყვარულით გავთხოვდი. ჩემი ქმარი კარგი გარეგნობისა და საუკეთესო გვარის პატრონი გახლდათ, მაგრამ ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ და გავცილდით. ვმუშაობდი ერთ-ერთ სასწავლებელში, ჩვეულებრივ, რიგით თანამშრომლად და შესაბამისად, მწირი ხელფასიც მქონდა. როცა ძალზე გამიჭირდებოდა, ჩემს ქმარს ვთხოვდი, რომ ბავშვებისთვის მიეხედა და მივანიშნებდი, რომ თუ შემირიგდებოდა, წინააღმდეგი არ ვიქნებოდი... მან ჩემ შემდეგ რამდენიმე ცოლი გამოიცვალა, ერთთან ვაჟიც შეეძინა.

მეუღლეს რომ გავეყარე, გულხელდაკრეფილი არ ვმჯდარვარ. ჩემი „ოქროს თევზის" ძებნაში ვიყავი. რამდენიმემ არ გაამართლა. რომ მეგონა, „ოქროსია"-მეთქი, ის თურმე, ხამსადაც არ გამოდგებოდა. ერთ მშვენიერ დღეს კი, ნამდვილი „თევზუნია" გამოვიჭირე. მართალია, ის 50 წელს „მიკაკუნებული" იყო და ჩემზე გაცილებით უფროსი გახლდათ, მაგრამ მშვენივრად გამოიყურებოდა, ჯან-ღონით სავსეც იყო და „ახალგაზრდობაში დარჩენილიც". რაც მთავარია, ნამდვილი „ოქროს თევზი" გახლდათ. სულაც არ მაწუხებდა მისი ოჯახური პრობლემები და ცოლ-შვილი. ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით და საკმაოდ მანებივრებდა კიდეც. იმაზეც კი წავედი, რომ ჩემს შვილებს ჩემი გაუთხოვარი დის საქმროდ გავაცანი და ისინიც სიხარულით ხვდებოდნენ ხოლმე მის გამოჩენას... თითქმის ორი წელი ვიყავით ერთად. ზაფხულში დასვენება არ მაკლდა და ზამთარში — დროს ტარება. ამიტომ მენანებოდა გემრიელი ლუკმის დაკარგვა და ვცდილობდი, მთლიანად დავპატრონებოდი მას. ქორივით დავტრიალებდი თავზე. ჩემს იქით არსად ვახედებდი და თუ რამეს საეჭვოს შევნიშნავდი, მაშინვე სკანდალს ვტეხდი. აბა, რა უნდა მექნა?.. სულ იმას ვშიშობდი, რომ არავის წაერთმია ჩემთვის. ბოლოს, მაინც დავკარგე. ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ უკან ვეღარ დავიბრუნე. ახლა ისევ ქმრის იმედად ვარ და თუ შარშან, კურორტს კურორტზე ვიცვლიდით მე და ჩემი შვილები, წელს ისევ ყოფილ ქმარს ვეხვეწები — იქნებ, ბავშვები ქალაქიდან გამაყვანინო-მეთქი... თუმცა, დღემდე ვერ ვხვდები, რატომ გამექცა ჩემი „ოქროს თევზი".

*არსებობს საკითხები, რომლებიც ჩვენთვის, ქალებისთვის ამოუხსნელი რჩება. თუმცა, თევზი რომ თევზია, თუ მისთვის „ოქროს გალიის" აშენებას დაიწყებ, ისიც კი აუცილებლად ეცდება, ხელიდან დაგისხლტეს.*

*ზოგიერთ ადამიანს უმართლებს: მათ მაღალი ხელფასი აქვთ, ლამაზ-ლამაზი და ნაირ-ნაირი საყვარელი, ძვირად ღირებული ავტომობილები... დანარჩენებმა კი, ვისაც არ გიმართლებთ, ეცადეთ, ცხოვრებას ოპტიმისტური თვალით შეხედოთ. ხომ შეიძლებოდა, რომ უფრო მაღალი ხელფასი გქონოდათ?!. მართალია, ლამაზი საყვარელი გყავთ, მაგრამ — მხოლოდ ერთი... მანქანაც მოძველდა... ასეთი უსამართლობის გამო, სევდა გეუფლებათ. იმისათვის, რომ ცხოვრებით დატკბეთ, რა არის საჭირო?.. ბევრი არაფერი. ერთი „ოქროს თევზი" სრულიად საკმარისია.*

## „ოქროს თევზს" კლანჭებიც ჰქონია

„მე ჩემი „ოქროს თევზი" უკვე დავიჭირე. ნამდვილად ოქროსია, ეჭვი არ შეგეპაროთ: ასე რომ არ იყოს, უკვე იმდენი წლისაა, რომ „დაიჟანგებოდა". ის კი ძველებურად კარგად გამოიყურება და სურვილებსაც ისევე სწრაფად ასრულებს, როგორც ადრე. კარგი, ახლა მოვრჩები გამოცანებით ლაპარაკს და ჯერ ჩემს თავს წარმოგიდგენთ: ვარ 31 წლის, მაღალი, ქერა, თაფლისფერთვალება მამაკაცი (არა, საცოლეს არ ვეძებ და ტყუილად ნუ გამომეხმაურებით), საკმაოდ მოხდენილი და ზრდილი. დავამთავრე უნივერსიტეტი და დავყიალებდი აქეთ-იქით სამსახურის ძებნაში. ბოლოს, ნაცნობებისა და ნათესავების ყველა თაობა ჩავრიე საქმეში და ძლივს მოვეწყვე სახელმწიფო დაწესებულებაში, განყოფილების გამგის თანაშემწედ. ქალი რომ ვყოფილიყავი, მდივანი ერქმეოდა ჩემს თანამდებობას, მაგრამ რადგან მამაკაცი ვარ, თანაშემწე დამარქვეს. ჩემი უფროსი, ქალი გახლდათ, უფრო სწორად — საკმაოდ სოლიდური ასაკის ქალბატონი. მაშინ 23 წლის ვიყავი, ის — 42-ის. ქალბატონი მარიამი (სახელი შევცვალე) მშვენიერ ფორმაში გახლდათ. ნამდვილი საქმიანი, „სექსბომბა" შეფის იმიჯი ჰქონდა. გეფიცებით, რომ მე არ ვყოფილვარ ჩვენი ურთიერთობის ინიციატორი. პირველი „სექსიმპულსები" მისგან წამოვიდა და მეც, ხვადის გამახვილებული ყნოსვით იოლად მივხვდი, თუ რა უნდოდა. ბევრი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ ვუთხარი — რომ გიყურებთ, მუხლები მიკანკალებს, თუ ოთახში მარტონი ვართ, თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ გეცეთ და ჩაგბურჯგნოთ-მეთქი... — თავის შეკავება ცუდად მოქმედებს ახალგაზრდა მამაკაცებზეო, — მიპასუხა და თვალი თვალში გამიყარა. — მაშინ, საღამოს შევხვდეთ-მეთქი, — შევაგებე „საქმიანი" წინადადება. — ახლა წადი, საქმეს მიხედე და საღამოსი საღამოს ვილაპარაკოთო... იმ დღეს, ორივე გვიანობამდე შემოვრჩით სამსახურში. კაბინეტში გამომიძახა და კარი მივიხურე თუ არა, უცერემონიოდ დავეტაკე. თუმცა, მერე გავჩერდი და ვუთხარი — დიდი ხანია, ამაზე ვოცნებობ და არ მინდა, ყველაფერი ასე უცებ, თქვენს მაგიდაზე დამთავრდეს, იქნებ, ისეთი ადგილი მოგვეძებნა, სადაც საწოლი და ლოგინი იქნება-მეთქი... ტანისამოსი შეისწორა, ჩანთას და მანქანის გასაღებს ხელი წამოავლო და თავის დაქნევით მანიშნა — წავიდეთო. ერთიანად ვცახცახებდი. ეს რომ შენიშნა, გაეღიმა... მის სახლში მივედით. დღესაც ტკბილად მაგონდება მასთან გატარებული ღამე. იმის მერე, ქალბატონი მარიამი ჩემი „ოქროს თევზი" გახდა. ფულიც თავზე საყრელად მაქვს და სამსახურშიც დავწინაურდი. ყველაფრის სანაცვლოდ კი, ერთგულების ფიცი ჩამომართვა და ახალგაზრდა გოგონებისკენ არც მახედებს. ლამის 50 წელს „მიუკაკუნა". მეც უცოლოდ მტოვებს და არც თვითონ იხედება სხვა მამაკაცებისკენ. ახლა ახალი „ოქროს თევზი" მინდა, რომელსაც ვთხოვ, რომ მისი კლანჭებისგან დამიხსნას"...

*სახელმწიფო ორგანიზაციის, ზღვის, ტბის, ოკეანისა და მდინარის გარდა, „ოქროს თევზის" დაჭერა თურმე, ციხის საკანშიც შესაძლებელი ყოფილა. ოღონდ, კარგი მეთევზე უნდა იყოთ და „ნავაროჩენი" ანკესიც უნდა გქონდეთ. სხვანაირად არაფერი გამოგივათ.*

## „არ მეგონა, ასეთი ფაქიზი გრძნობა თუ არსებობდა ჩემში..."

„უკვე მეშვიდე წელია, სასჯელს ვიხდი. პატიმრები რომ მობილური ტელეფონებით ვსარგებლობთ, ეს უკვე ყველამ იცის. ორი წლის წინ, ბევრი ვიფიქრე, როგორ მომეხერხებინა, რომ უზრუნველად მეცხოვრა. ერთ საღამოს ტელევიზიით საკმაოდ ცნობილი ადამიანის ცოლის ინტერვიუს გადმოსცემდნენ. მშვენიერი ქალი იყო. მისი ქმრის ქონების შესახებაც გაგონილი მქონდა და... უცებ, მშვენიერი აზრი „გაიჩითა" თავში. ბევრი ვიჩალიჩე, რომ მისი მობილურის ნომერი დამედგინა. მესიჯი გავუგზავნე. ერთი, ორი, სამი, ათი, ასი... როგორც იქნა, მიპასუხა... მთელი წელი დამჭირდა საიმისოდ, რომ ციხეში მოსვლაზე დამეთანხმებინა. ამასაც მივაღწიე. ამ დროისთვის უკვე სიყვარულს მეფიცებოდა, მეუბნებოდა, უშენოდ ვერ ვძლებო, თუმცა კარგა ხანს მაინც თავს იკავებდა ჩემი ნახვისგან. როგორც იქნა, შევხვდით. ვერ დავიკვეხნი, რომ გარეგნობით ძალიან მაგარი ვარ. თავს ძალზე ვუვლი, აქაც კი სულ საუკეთესო ტანისამოსი მაცვია და საუკეთესო ოდეკოლონს, შამპუნსა თუ საპარს მოწყობილობას ვხმარობ. უხეში, მამაკაცური სახე მაქვს და ქალბატონი ჩემი დანახვისას ცოტა დაფრთხა. მერე დავუყვავე, მივეფერე და დამშვიდდა. ორი თვის შემდეგ, უკვე სამდღიანი პაემანი დავნიშნეთ და ეს მშვენიერი ქალბატონი მთლიანად დავისაკუთრე... ახლა არაფერი მიჭირს. ნებისმიერი ჩემი სურვილი უცებ სრულდება, გარდა ერთისა — თავისუფლება მენატრება. თუმცა, ჩემი ლედი ამასაც მპირდება. მთელი გულით შემიყვარდა ჩემი „ოქროს თევზი". როცა ჩემთან არ არის, სულ მენატრება. არ მეგონა, ასეთი ფაქიზი გრძნობა თუ არსებობდა ჩემში. მან ცხოვრებისკენ შემომაბრუნა და როცა მის ალერსიან, სიყვარულით სავსე თვალებს ვუყურებ, ჩემს თავს პირობას ვაძლევ, რომ სულ შევიცვლები და ბოლომდე ვიბრძოლებ იმისათვის, რომ ის ჩემთან იყოს".

*„ოქროს თევზი" საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ცხოვრება მოიწყო და ხელის განძრევა არ დაგჭირდეს. მაგრამ თუ „თევზი" ხუმრობის გუნებაზეა, შესა-*

*ძლოა, ისეთსავე სიტუაციაში აღმოჩნდეთ, როგორშიც შემდეგი ანეკდოტის გმირი: ზანგი აფრიკის უდაბნოში მიდის. სცხელა, სწყურია და თავბედს იწყევლის. უეცრად, ოაზისი გამოჩნდა. გაგრილდა, წყალიც მიირთვა და — ბიჭოს, აგერ „ოქროს თევზი" არ ამოხტა წყლიდან?!. დაიჭირა მშიერმა ზანგმა და შეჭმა დაუპირა. — ოღონდ ნუ შემჭამ და სამ სურვილს შეგისრულებო, — შეეხვეწა თევზი. — კარგი, მაშინ მინდა, რომ თეთრი ვიყო, წყალი სულ მქონდეს და ჩემს დანახვაზე ქალები საცვალს იხდიდნენო... ზანგი რამდენიმე წამში თეთრ, ლამაზ, უნიტაზად გადაიქცა...*

*ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.*

## „დავახრჩობ, შევწვავ, შევჭამ..."

„ოქროს თევზს ხომ ოცნების ასრულებას სთხოვენ, ჩემი ოცნება კი, აფხაზეთის დაბრუნებაა და მჯერა, რომ ეს ოცნება ამიხდება. ამისთვის კი ოქროს თევზი კი არა, რწმენაა საჭირო. ანა".

„მარი, ახლა ხელში მიჭირავს ოქროს თევზი და ვთხოვ, რომ ეს მესიჯი გზავნილებში მოხვდეს. დამიბეჭდე, თორემ ახლავე დავახრჩობ, შევწვავ და შევჭამ. ლონდრე".

„როცა ოქროს თევზს დავიჭერ, ვთხოვ, რომ ციხიდან მალე გამოვიდე და ჩემს შვილებთან, მარიამთან, ლუკასთან და საყვარელ მეუღლესთან დამაბრუნოს. აქ ხომ სულ შემთხვევით მოვხვდი".

„როცა ოქროს თევზს დავიჭერ, ჯერ საქართველოს ბედნიერებას ვთხოვ, მერე — ჩემი ოჯახის ბედნიერებას და მესამე სურვილი ასეთი იქნება: კიდევ ერთ ოქროს თევზს ვთხოვ, სხვა სურვილებისთვის".

„ამჟამად სურამში ვისვენებ. აქ ერთმა ბიჭმა ამაფორიაქა და როცა ოქროს თევზს დავიჭერ, გიოს სიყვარულს ვთხოვ".

„ვიცი, რომ ოქროს თევზი სამ სურვილს ასრულებს. ამიტომ ჯერ საქართველოს კეთილდღეობას ვთხოვ, მერე — მაგარ „ბაითს", აუზებითა და „რომანტიკული" საძინებლებით ჩემთვის და ჩემი ქმრისთვის; ბავშვებისთვის — ლამაზი, სათამაშოებით სავსე ოთახით... მე კი ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ეს სურვილები ოქროს თევზის გარეშეც ამიხდება".

„ძალიან ცუდ დღეში ვარ: დაქალის შეყვარებული შემიყვარდა. მგონი, მასაც ვუყვარვარ. რა ვქნა, არ ვიცი. არადა, ორივეს ბავშვობიდან ვიცნობ და არც ერთის დაკარგვა არ მინდა. ლუკამ კი ისე ალერსიანად მაკოცა... არ მინდა, ცუდად მოვიქცე. ისინი უკვე ქორწილის დღეს გეგმავენ".

„მე? „ოქროს თევზი" სულ ახლახან დავიჭირე. ჯერ მაგარი დაბადების დღე გადავახდევინე, მერე — ჩემი შეყვარებული ჯარიდან ჩამოვაყვანინე და ბოლოს, სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ჩავირიცხე უფასოზე. ბესო, მიყვარხარ, პატარავ. შენი სოფია".

„როცა ოქროს თევზს დავიჭერ, ბანკში მილიარდებს დავიდებ".

„ახლა ისე მშია, ოქროს თევზს თუ დავიჭერ, ფხებიანად შევჭამ. მარი, შენც გეპატიჟები. ერთად მივირთვათ".

„ოქროს თევზს ვთხოვ, თაკო ქ-ია ანუ კაქტუსა მომარჯულებინოს. თაკო, შენი „ოქროს თევზი" მე ვიქნები. ყველაფერს შეგისრულებ, ოღონდ შემიყვარე".

„ოქროს თევზს პირველ რიგში ვთხოვდი — რომელი გოგოც მომეწონება, ჩემი გახდეს. ახლა ზღვაზე ვისვენებ და გოგოებს თვალებით ვჭამ. ისეთი დალოცვილები არიან, ეს დალოცვილები... ზოგი კი ისე იქცევა, სურვილი მიჩნდება, ერთი მაგრად შევაგინო, მაგრამ თავს ვიკავებ. დანარჩენ სურვილებზე მერე ვიფიქრებ. აბა, ჰეეე!"

„მოიცათ, კაცო, ჯერ დავიჭირო... მერე კი ვთხოვ, რომ მაგარ ნაშად გადამაქციოს, პამელა ანდერსონივით, ცოტა ფინანსებიც გამიჩითოს და ჰაიდააა... მაგრად ვიგრიალებდი. ელზა, ზუგდიდი".

„როცა ოქროს თევზს დავიჭერ, ვთხოვ, რომ ჩემი სიცოცხლე ციხიდან გამოუშვას. მერე სულ ერთად ვიქნებით. მწვანეთვალება".

„ახლა სათევზაოდ მივდივარ. იქნებ, ოქროს თევზი დავიჭირო და უმალ გადავყლაპო. მერე ჩემზე წერა იქნებოდა თქვენი „ესემეს-შოუს" მთავარი თემა, ოღონდ, ხვალიდან გასტროლებზე მივდივარ. აბა, ჰე! გკოცნით და დროებით გემშვიდობებით, „გზის" მკითხველებო. ჩამოგიტანთ მოკითხვას იაპონიიდან".

„ოქროს თევზს რომ დავიჭერ, უპირველეს ყოვლისა, გიორგის სიჯიუტეს მოვაშლევინებ და „არას" და „ჰოს" მნიშვნელობას ვასწავლი. თუ არ უშველის, მის თავზე „რქიანი კაცის" ძეგლს აღვმართავ. აბა, კიდევ სცადე და იჯიუტე, გიუნა!.. ფერია".

„ამ სამყაროში ერთადერთი ადამიანი ხარ ჩემთვის... შენთვის კი, მთელი სამყარო მინდა... ოქროს თევზი რომ დამაჭერინა, შენს თავს ვთხოვდი, დათუნა. თუმცა, იქნებ, არც ღირს... ნინო, სამტრედია".

„დილით სახლის ტელეფონმა დარეკა და 21 წლის წინანდელი, ბავშვობის სიყვარული მომესალმა. სწორედ ამ დროს მობილურზე რუსეთიდან ჩემი მეუღლის გამოგზავნილი მესიჯი მივიღე — დილა მშვიდობისა, მიყვარხარ, უშენოდ ვერ ვძლებო, — მწერდა. მე ორივე „დილის ჩიტი" ძალიან მიყვარს. ოქროს თევზო, რომ დაგიჭირო, ერთ-ერთის დავიწყებას გთხოვ. დამავიწყებ? თამრიკო".

„ოქროს თევზს რომ დავიჭერ, ვთხოვ, რომ ბაბაიაგად გადამაქციოს. მერე ცოცხზე შემოვსკუპდები და ავლაბარში, მარი ჩურს მაგრად დავალილავებ. მერე მის „დამჟავებულ" სიფათზე მაგრად ვიმხიარულებ".

„ეჰ, მე ვინ მომცა ოქროს თევზის დაჭერის იღბალი?.. ის კი არა, ისეთი ბედი მაქვს, მთელ ზღვაში რომ ერთადერთი მშიერი ზვიგენი დაცურავდეს, ისიც მე გადამეყრება... ისე, ურიგო არ იქნებოდა, თუ დავიჭერდი ოქროს თევზს. თანაც, სულ უბრალო სათხოვარი მაქვს — ერთი ჩვეულებრივი, ბავშვურღიმილიანი დიმკას გული მინდა. ნათია".

„ოქროს თევზს ვთხოვდი, რომ ჩემს სახლში, სოხუმში დავებრუნებინე. მაგრამ არა — ჯობს, ღმერთს ვთხოვო და ადრე თუ გვიან შემისრულდეს, ვიდრე ოქროს თევზს, რომელიც არ არსებობს".

„როცა ოქროს თევზს დავიჭერ, არსად გავუშვებ, ვიდრე ერთ სურვილს არ შემისრულებს. ვთხოვ, ერთი კარგი ბიჭი დამაჭერინოს. მერე მოვრთავ — წითელ ბაფთას შევაბამ, მწვანე შლაპას დავახურავ და ისევ ზღვაში გავუშვებ. სოფო".

„როცა ოქროს თევზს დავიჭერ, ვთხოვ, ჩემი სიყვარული ჯანმრთელი იყოს, უღრუბლო ცა ჰქონდეს და ერთად ბედნიერი ვიყოთ. კახა ბ-შვილო, ჩემს გულს მხოლოდ შენ გიძღვნი. თათია".

„ახლა ქობულეთში, პლაჟზე ვზივარ. ზღვა ღელავს, მე კი ველოდები, როდის გამორიყავს ოქროს თევზს. იცით, რა უნდა ვთხოვო?.. აქ ერთი ბიჭი გავიცანი, რომელიც ერთ კვირაში სახლში დაბრუნდა. ყოველ საღამოს ვმესიჯობთ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ვერასოდეს ვნახავ. ოქროს თევზს მის დაბრუნებას ვთხოვდი. აი, მგონი, ვიპოვე კიდეც..."

„ოქროს თევზი ნამდვილად მჭირდება. ახლა ზღვაზე ვარ, პლაჟზე ვწევარ, ბიჭები დებილებივით მიყურებენ, მაგრამ მე მათთვის არ მცალია. თბილისში მინდა ვიყო, რომ ჩემი სიცოცხლე ვნახო. ზვი, მიყვარხარ".

„როცა ოქროს თევზს დავიჭერ, „იმას" მოვიტაცებ და ოჯახში ჩავესიძები. ყველაფერი ჩემი იქნება. ოქროს სიდედრიც კი მეყოლება. პავლიკა".

„მე 21 წლის ვარ და 2 შვილი მყავს, რითაც ძალიან ვამაყობ. უფროსი — 4 წლისაა, პატარა — 1 წლისა და 3 თვის. მე რომ ოქროს თევზი დამეჭირა, ან სხვა თევზებთან ერთად გავუშვებდი ჩემს აკვარიუმში, ან 3 სურვილს ვეტყოდი: 1. ყველა გასუქდეს და გაიბეროს, რომ ჩემს სიმსუქნეზე ლაპარაკით ენები არ გაუსივდეთ; ორი შვილის დედა ვარ, 170 სმ სიმაღლის და 72 კილოგრამი; არც ისეთი საშინელება ვარ, რომ ასეთ დღეში არიან. 2. ვისურვებდი ბევრ ფულს და

თავ. აბა, კიდევ სცადე და იჯიუტე, გიუნა!.. ფერია".

„ამ სამყაროში ერთადერთი ადამიანი ხარ ჩემთვის... შენთვის კი, მთელი სამყარო მინდა... ოქროს თევზი რომ დამაჭერინა, შენს თავს ვთხოვდი, დათუნა. თუმცა, იქნებ, არც ღირს... ნინო, სამტრედია".

„დილით სახლის ტელეფონმა დარეკა და 21 წლის წინანდელი, ბავშვობის სიყვარული მომესალმა. სწორედ ამ დროს მობილურზე რუსეთიდან ჩემი მეუღლის გამოგზავნილი მესიჯი მივიღე — დილა მშვიდობისა, მიყვარხარ, უშენოდ ვერ ვძლებო, — მწერდა. მე ორივე „დილის ჩიტი" ძალიან მიყვარს. ოქროს თევზო, რომ დაგიჭირო, ერთ-ერთის დავიწყებას გთხოვ. დამავიწყებ? თამრიკო".

„ოქროს თევზს რომ დავიჭერ, ვთხოვ, რომ ბაბაიაგად გადამაქციოს. მერე ცოცხზე შემოვსკუპდები და ავლაბარში, მარი ჩურს მაგრად დავალილავებ. მერე მის „დამჟავებულ" სიფათზე მაგრად ვიმხიარულებ".

„ეჰ, მე ვინ მომცა ოქროს თევზის დაჭერის იღბალი?.. ის კი არა, ისეთი ბედი მაქვს, მთელ ზღვაში რომ ერთადერთი მშიერი ზვიგენი დაცურავდეს, ისიც მე გადამეყრ[illegible]... ისე, ურიგო არ იქნებოდა, თუ დავიჭერდი ოქროს თევზს. თანაც, სულ უბრალო სათხოვარი მაქვს — ერთი ჩვეულებრივი, ბავშვურღიმილიანი დიმკას გული მინდა. ნათია".

„ოქროს თევზს ვთხოვდი, რომ ჩემს სახლში, სოხუმში დავებრუნებინე. მაგრამ არა — ჯობს, ღმერთს ვთხოვო და ადრე თუ გვიან შემისრულდეს, ვიდრე ოქროს თევზს, რომელიც არ არსებობს".

„როცა ოქროს თევზს დავიჭერ, არსად გავუშვებ, ვიდრე ერთ სურვილს არ შემისრულებს. ვთხოვ, ერთი კარგი ბიჭი დამაჭერინოს. მერე მოვრთავ — წითელ ბაფთას შევაბამ, მწვანე შლაპას დავახურავ და ისევ ზღვაში გავუშვებ. სოფო".

„როცა ოქროს თევზს დავიჭერ, ვთხოვ, ჩემი სიყვარული ჯანმრთელი იყოს, ულრუბლო ცა ჰქონდეს და ერთად ბედნიერი ვიყოთ. კახა ბ-შვილო, ჩემს გულს მხოლოდ შენ გიძღვნი. თათია".

„ახლა ქობულეთში, პლაჟზე ვზივარ. ზღვა ღელავს, მე კი ველოდები, როდის გამორიყავს ოქროს თევზს. იცით, რა უნდა ვთხოვო?.. აქ ერთი ბიჭი გავიცანი, რომელიც ერთ კვირაში სახლში დაბრუნდა. ყოველ საღამოს ვმესიჯობთ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ვერასოდეს ვნახავ. ოქროს თევზს მის დაბრუნებას ვთხოვდი. აი, მგონი, ვიპოვე კიდეც..."

„ოქროს თევზი ნამდვილად მჭირდება. ახლა ზღვაზე ვარ, პლაჟზე ვწევარ, ბიჭები დებილებივით მიყურებენ, მაგრამ მე მათთვის არ მცალია. თბილისში მინდა ვიყო, რომ ჩემი სიცოცხლე ვნახო. ზვი, მიყვარხარ".

„როცა ოქროს თევზს დავიჭერ, „იმას" მოვიტაცებ და ოჯახში ჩავესიძები. ყველაფერი ჩემი იქნება. ოქროს სიდედრიც კი მეყოლება. პავლიკა".

„მე 21 წლის ვარ და 2 შვილი მყავს, რითაც ძალიან ვამაყობ. უფროსი — 4 წლისაა, პატარა — 1 წლისა და 3 თვის. მე რომ ოქროს თევზი დამეჭირა, ან სხვა თევზებთან ერთად გავუშვებდი ჩემს აკვარიუმში, ან 3 სურვილს ვეტყოდი: 1. ყველა გასუქდეს და გაიბეროს, რომ ჩემს სიმსუქნეზე ლაპარაკით ენები არ გაუსივდეთ; ორი შვილის დედა ვარ, 170 სმ სიმაღლის და 72 კილოგრამი; არც ისეთი საშინელება ვარ, რომ ასეთ დღეში არიან. 2. ვისურვებდი ბევრ ფულს და რიოში ცხოვრებას. 3. ვისურვებდი ყველას ჯანმრთელობასა და ბედნიერებას".

„ახლა 27 წლის ვარ. 20-ის ვიყავი, როცა გავთხოვდი. ჩემი ქმარი ზღვაზე გავიცანი. თანდათან დავახლოვდით და მერე შემიყვარდა კიდეც. ერთხელ, შეხვედრა მთხოვა. მეც სიამოვნებით დავთანხმდი. სწორედ მაშინ გამომიტყდა სიყვარულში და ცოლობაც მთხოვა. ჩემი არჩევანი ჩემს მშობლებსაც მოეწონათ. როცა დავქორწინდით, ცალკე გადავედით საცხოვრებლად. ვაჟიშვილიც შეგვეძინა და ბედნიერად ვცხოვრობდით. მაგრამ უეცრად, ეს ბედნიერება სადღაც გაქრა. ერთხელ, ღამით მორიგე ვიყავი, მაგრამ ცუდად გავხდი, უფროსს ვთხოვე, შინ გავეშვი. იქ კი, ჩემი ქმარი ვიღაც ქალთან ერთად დამხვდა. საშინელი წივილ-კივილი ავტეხე. კიდევ კარგი, ჩემი შვილი შინ არ იყო. ჩემი ქმარი შინიდან გავაგდე. ოფიციალურადაც გავშორდით ერთმანეთს. განქორწინების შემდეგ, აღარც კი მინახავს. ასე გაგვაუბედურა მე და ჩემი შვილი".

„ოქროს თევზს როცა დავიჭერ, პირველ სიყვარულს დავიბრუნებ... ვიცი, არაფერი შეიცვლება, სხვისი ხარ, მაგრამ ვგრძნობ, ისევ გიყვარვარ. მეც მიყვარხარ. ოცნებას ვერ დაგვიშლიან. სოფი".

„როცა ხელში ოქროს თევზს ჩავიგდებ, ვთხოვ, მყუდრო ბინას ჩემი ქმარ-შვილისთვის, რომ დედამთილის გარეშე გვეცხოვრა და მისი სახე ყოველდღე არ დამენახა. აუჰ, რა კარგი იქნებოდა! ეკა".

„ოქროს თევზს ვთხოვდი, ირაკლი დამიბრუნოს, რომ მერე მე მივატოვო და გავამწარო... ნათკა".

„არ მინდა ოქროს თევზი, ისედაც ყველა ოცნება მისრულდება. მყავს შეყვარებული, გრანტი გამოცდებზე, უფლის მადლი, ბედნიერება... მეტი რაზე უნდა შევაწუხო თევზი?! ლანკა".

„ოქროს თევზი რომ მქონდეს, გადავადნობდი და ოქროს ბეჭედს გავაკეთებინებდი".

„იქნებ, ბათუმელ პაწიას მივაწვდინო ხმა და ვუთხრა, რომ სანამ დროა, დაანებოს თავი გოგოებთან შმაშურს, მათ გამო ჩემი დაბადების დღე რომ დაავიწყდა. მერე ველარც ოქროს თევზი უშველის და ველარც ნატვრისთვალი. ძველი შეყვარებული ჩამოდის საზღვარგარეთიდან, მივთხოვდები და ჩემი პაწია სამუდამოდ დამკარგავს... მე კი, ოქროს თევზს გრანდიოზულ ქორწილს ვთხოვდი, გეშზე. გვიშველე, მარი, რა! ვერ გაუგია, რომ უკვე დამკარგა... თბილისელი პაწია".

„ოქროს თევზების აუზი მაქვს. ვისაც სურს, მოვიდეს და რამდენიც უნდა, ინატროს".

„მე რომ ოქროს თევზი დავიჭირო, მილიონ ოქროს თევზს ვთხოვდი და... ჰერი! ოცნებებო, შეგესხათ ფრთები?.. აუ, მარი, ეს რა მადა ალმიძარი! ძაან მინდა ოქროს თევზი. აჩრდილი".

„ოქროს თევზს, ოქროს ზვიგენი მირჩევნია, მარგალიტის კბილებით. იცით, რას ვიზამ?.. გავყიდი და საყვარელ ადამიანებთან ერთად ვენეციაში გავემგზავრები".

„ოქროს თევზი რომ ვიპოვო, ჩემს ბავშვობის დროინდელ, ერთადერთ სიყვარულს დავიბრუნებდი, ჩავიხუტებდი და აღარსად გავუშვებდი. ამირან, მენატრები უსაზღვროდ. მირანდა".

„არც სიმდიდრე მინდა, არც ქონება. მაქვს ერთადერთი აუხდენელი ოცნება: როცა ოქროს თევზს დავიჭერ, ვთხოვ, რომ არასოდეს, არსად აღარ იარსებოს არანაირმა ნარკოტიკულმა საშუალებამ. მაგრამ ვაი, რომ ყოველთვის იარსებებს... ეკა".

„ჩემი ყოფილი შეყვარებულის მამის ჯიპს ავაფეთქებდი, მერე საჩუქრად ახალ „ზაპოროჟეცს" გავუგზავნიდი, თან აუცილებლად წერილს დავუტოვებდი — ო, მამაშენი, მამაშენი... — აი, ეგრე, რა!"

„ოქროს თევზი რომ მომცა, შოუბიზნესის ყველა წარმომადგენელს, პარლამენტარს, პოეტსა და პოლიტიკოსს თავს შევაყვარებდი და ჩემ გამო ერთმანეთს დავახოცვინებდი".

„მე რომ ოქროს თევზი დავიჭირო, იცით, რას ვთხოვდი?.. ჩემს დაქალებს გზაზე დავაყენებდი. ნანიკოს გავათხოვებდი, თაკოს სიყვარულს ვაპოვნინებდი (ჩამოხმა ქალი ლოდინით), ვალერი ფვას კი პირს ამოვუკერავდი, რომ ნაკლები მეჭუკჭუკოს და ბოლოს, მეც გავიხარებდი, აბა, რა ჯანდაბა დამემართებოდა?!"

*დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. შემდეგი ნომრის თემად გთავაზობთ — ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი შეხვედრა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45-68-61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

■



**მხატვრებისთვის იტალია ყოველთვის იყო საოცნებო ქვეყანა. გამონაკლისი არც ამ შემთხვევაში მომხდარა. ჩვენი დღევანდელი სტუმარი, სამხატვრო აკადემიის რექტორი ბატონი გია ბუღაძე იტალიაზე გვესაუბრა. რა მსგავსებაა კახეთსა და ტოსკანას შორის, რატომ უნდა გვიხაროდეს კავკასიელთათვის დამახასიათებელი გრძელი ცხვირი, როგორ უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი და ოსეთი და არსებობს თუ არა მხატვრისთვის სხვა საქართველო, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# ერები მსგავსი ხასიათებითა და განსხვავებული ცხვირებით

## ვინ შემოაცემინალა ჭარბიველი მხატვრები ლოდინანდოებით

*გვანცა მამისაშვილი*

— **პირველად როდის ჩახვედით იტალიაში?**

— პირველად იტალიაში 1987 წელს ჩავედი. გამოფენა მქონდა. ჩემი თაობის ერთ-ერთი პირველი გასვლა იყო საზღვარგარეთ. იტალია ოცნების ქვეყანაა ყველა დროის ხელოვანისთვის. ამის შემდეგ, შინაგანი კონტაქტი ყოველთვის მქონდა იტალიასთან. მერე კი საშუალება მომეცა, უფრო დეტალურადაც მენახა და დამეთვალიერებინა.

— **რა მსგავსება აღმოაჩინეთ საქართველოსა და იტალიას შორის?**

— მსგავსება არის იმ გაგებით, რომ არსებობს ტრადიციის, ოჯახის, დედმამიშვილობის კულტი; ხალხი ისეთივე თბილია, როგორიც ჩვენთან. მაგრამ იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, იტალიის რომელ ნაწილში იმყოფები. სამხრეთში ეს ყველაფერი უფრო შემორჩენილია, ჩრდილოეთში კი გერმანიის და ავსტრიის გავლენა უფრო დიდია და ამ მხრივ ჩრდილოეთ იტალიელები უფრო ლიბერალურები არიან. მეორე მხრივ, მატერიალურად უფრო მდიდარია ჩრდილოეთ იტალია, ვიდრე სამხრეთი. მინდა აღვნიშნო მსგავსება საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს — კახეთსა და იტალიის ასეთსავე ულამაზეს კუთხეს — ტოსკანას შორის. კახეთი არის ღვინის სამშობლო, ულამაზესი, უძვირფასესი და მე არ ვიცი, რა შეიძლება იყოს ქვეყნისთვის ისეთი ძვირფასი, როგორიცაა საქართველოსთვის კახეთი და ასევე იტალიისთვის — ტოსკანა. ტოსკანაში არის უძვირფასესი ყურძნის ჯიში — მონტალჩინო. არსებობს ამავე სახელწოდების ღვინო. ამ შემთხვევაში მსგავსება არის ის, რომ რა მნიშვნელობისაცაა ჩვენთვის კახეთი, ისეთივე მნიშვნელობისაა იტალიისთვის ტოსკანა.

— **რაიმე დამახასიათებელი თვისება ხომ არ აღმოგიჩენიათ ამ ორ ერს შორის?**

— იტალიელებსაც ჰყავთ ლამაზი ქალები, როგორც ჩვენ. მათაც არაჩვეულებრივი თვალები აქვთ. უბრალოდ, მათ ქალებს პატარა ცხვირები აქვთ, ჩვენებს — შედარებით დიდი. მოზრდილი ცხვირი კავკასიური რასისთვის დამახასიათებელი თვისებაა. ასე რომ, მე პრობლემას ვერ ვხედავ დიდ ცხვირში, პირიქით, მე ვხედავ ამაში მაღალ წარმომავლობას. მაიმუნი და ჩვენ ერთნაირად რომ არ წარმოვიშვით, სწორედ აქედან ჩანს.

— **ამბობენ, იტალიელები და ქართველები ტემპერამენტითაც ჰგვანან ერთმანეთსო.**

— ტემპერამენტს შორის მსგავსებაც ნამდვილად არის, მაგრამ თუ გგონია, რომ იტალიელი ისე ზერელედ, იოლად უყურებს ცხოვრებას, როგორც ქართველი, ეს ნამდვილად არ არის სწორი.

— **რა შეგიძლიათ თქვათ ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ სხვაობაზე?**

— რაც შეეხება იმას, თუ რა განსხვავებაა იტალიასა და საქართველოს შორის, ამას ტოსკანის და კახეთის მაგალითზე გეტყვით. ტოსკანაში არის მშრალი ნიადაგი, ჯუჯა მცენარეული საფარი, პატარა მდინარეები. კახეთში კი ენით აუწერელი სილამაზეა. მარტო ის რად ღირს, ალაზნის ველს რომ გადმოხედავ. ტოსკანაში ეს სილამაზე არ არის, მაგრამ ამავე დროს, ტოსკანელი, რომელიც ერევა მშობლიურ ბუნებაში, ცდილობს, მშვენიერება შეიტანოს მასში. ეს ოხერი დღევანდელი ქართველი კი რაშიც ერევა, ყველაფერს აფუჭებს. ჩვენ დაგვაბერტყა უფალმა კახეთის, იმერეთის, მესხეთ-ჯავახეთის და სხვა კუთხეებისნაირი სილამაზე. ასეთი მშვენიერება არსად არის, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვუვლით, გამოდის, რომ „არ ვიმსახურებთ" ასეთ ლამაზ ბუნებას. ტოსკანელი, ყოველთვის სილამაზის განცდით მოქმედებდა და მოქმედებს. ჩვენ ვერ ვეგუებით ამ სილამაზეს, თორემ ჩვენი წინაპარი შეგუებული იყო მშვენიერებას და იმიტომ ააშენა ალაზნის ველზე ალავერდი, მართლაც თეთრი გედივით „ჩასვა" ბუნებაში, რითიც თანამედროვე ქართველი ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს.

— **თქვენთვის, როგორც საბჭოთა კავშირიდან გასული ადამიანისთვის, რა იყო პირველად თვალში საცემი იტალიაში ჩასვლისას?**

— ღამე ჩავედით იტალიაში და ქალაქში გამოსვლისთანავე თვალში მომხვდა ფერადი ნათურებით განათებული ბილბორდები, რეკლამები, ვიტრინები. ეს ჯერ კიდევ 1987 წელს იყო. ამის შემხედ-



ამის შემხედვარე მე და ჩემი მეგობარი ერთმანეთს ვეუბნებოდით: „აი, რა არის კაპიტალიზმი"...

ვარე მე და ჩემი მეგობარი ერთმანეთს ვეუბნებოდით: „აი, რა არის კაპიტალიზმი“...

**— მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, დაადგა თუ არა იმ განვითარების გზას, რომელსაც იტალია ჯერ კიდევ 1987 წელს ადგა?**

– რა თქმა უნდა, დავიწყეთ მოძრაობა ასეთი განვითარებისკენ. ჩვენ ჯერ კიდევ გასავლელი გვაქვს ველური კაპიტალიზმი. ძალიან ძნელია ქართული მენტალობის მომართვა კანონიერებისკენ, რადგანაც ჯერ კიდევ არსებობს სხვაობა – „ჩემია“ და „სახელმწიფოსია“. თან ჩვენ ტერიტორიულად პატარა ქვეყანა ვართ. ასეთი „მონსტრი“ მეზობელი იტალიას რომ ჰყოლოდა, როგორიც ჩვენ გვყავს რუსეთის სახით, არ ვიცი, როგორი იქნებოდა ახლა. ამაზე დიდი უბედურება, ჩრდილოეთით რუსი – რომელიც ჯერ კიდევ იმპერიად თვლის თავს – რომ გვყავს მეზობლად, რა უნდა იყოს, ვერ წარმომიდგენია. როცა ქვეყანა დაჩეხილია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ პოლიტიკურ ერთეულებად (მე ვლაპარაკობ ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებზე), ძნელია, ილაპარაკო განვითარებაზე. მაგრამ მწამს, რომ საქართველო აუცილებლად ჩამოყალიბდება რეალურ სახელმწიფოდ.

**— ქართული ტრადიციებიდან თქვენთვის, რომელი უფრო მისაღებია?**

– ოჯახის კულტი, დედ-მამისა და შვილების ურთიერთობა. სიმართლე გითხრათ, ბოლომდე არ მესმის, შვილები მშობლებს სახელებით რომ მიმართავენ. ეს საოცარი რამაა, როცა გყავს დედა, მამა, ბებია და ბაბუა და შეგიძლია მიმართო მათ ასევე. აქედან გამომდინარე, ძალიან მიყვარს ჯანსაღი ტრადიცია. სიმართლე გითხრათ, ვერ ვგუობ კილომეტრიან სუფრებს და მრავალსაათიან სადღეგრძელოებს. მით უმეტეს, ამ ცხოვრების ტემპში. ასეთი სუფრები XIX ს-ში ჩამოყალიბდა, როცა ქართველი თავისი ცნობიერებით ჩამორჩა ეპოქის განვითარებას და გაზულუქდა, თორემ მანამდე იყო დარბაზობები, სადაც საქმიანი წინადადებების განხილვა მიმდინარეობდა, ჩვენებური გაგებით „ბიზნეს-ფართები“.

**— თუ შეგიძლიათ, შეადაროთ იტალიური და ქართული ოჯახის კულტი?**

– იცით რა არის? ჩვენს თანამედროვეობაში, როგორც იტალიაში, ასევე საქართველოშიც მშობლებისა და შვილების ურთიერთობა ბევრად უფრო თანასწორია. ადრე საქართველოში ეს ყველაფერი სულ სხვანაირად იყო – მაგალითად, უფროსი ძმა უფრო ადრე უნდა მისჯდომოდა სუფრას, ვიდრე უმცროსი. ეს წესი კავკასიის მაღალმთიან რეგიონებში დღესაც შემორჩენილია, ჩეჩნეთშიცა და აფხაზეთშიც. ამ ყველაფერს კი თავისებური ტრადიციული ხიბლი სდევს თან.

**— რა შეგიძლიათ თქვათ ზოგადად ქართულ და იტალიურ კულტურაზე?**

– ქართულ და იტალიურ კულტურაში იგრძნობა ვოკალიზმისკენ მიდრეკილება. ორივე ერს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ფოკლორულ



გამოსახულება ჩვენთან მეორე პლანზე იყო, მრგვალი ქანდაკება კი საერთოდ არ გვქონდა...

მუსიკასთან. ეს ნათლად ჩანს იტალიურ სამხრეთ რეგიონებში, სადაც გავრცელებული იყო ხმელთაშუა ზღვის კულტურა. ბევრი ქართველი მუსიკოსი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მილანში, ეს კი იმიტომ ხდება, რომ ქართული და იტალიური სიმღერის კულტურა ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან.

**— რა როლი აქვს რელიგიას ორივე ქვეყნის ცხოვრებასა თუ კულტურაში?**

– ამ ქვეყნების კულტურა განსაზღვრულია რელიგიით, მაგრამ ჩვენ შორის მაინც არის განსხვავება, რადგან ტრადიციულად, რელიგიას სხვადასხვა ფორმა აქვს ამ ორ ქვეყანაში. ამაზე საუბრით შორს წავალთ.

**— ჰგავს თუ არა ქართული და იტალიური მხატვრობა ერთმანეთს?**

– ჩვენ, რა თქმა უნდა, იტალიური მხატვრობისნაირი მასშტაბური მხატვრობა არ გვაქვს. ჩვენი მხატვრობა არის ტრადიციული ხელწერა, რომელიც მოდიოდა ბიზანტიური სკოლებიდან. მართლმადიდებლური ტრადიციებიდან გამომდინარე, გამოსახულება ჩვენთან მეორე პლანზე იყო, მრგვალი ქანდაკება კი საერთოდ არ გვქონდა. სამაგიეროდ, ჩვენ გვქონდა და გვაქვს არანორმალური თაყვანისცემა იტალიური მხატვრობის, მაშინაც კი, როცა ბოლშევიკური რუსეთი შემოიჭრა და ქართულ მხატვრობას წაუყენა სოცრეალიზმის მოთხოვნა, სერგო ქობულაძემ მოძებნა გზა და ქართული მხატვრობა შემოატრიალა ლეონარდოსკენ. შეუძლებელია, ისეთი ქართველი მხატვრის ნახვა, რომელიც არ არის აღგზნებული იტალიური მხატვრობით. ჩვენ ვართ სამხრეთის ხალხი, ჩვენ სამყაროს ფერადად ვუყურებთ, ასევე იტალიელებიც.

**— თქვენთვის, როგორც შემოქმედისთვის, რომელი სამყაროა უფრო მისაღები?**

– ჩემი თვითრეალიზების არეალი, რა თქმა უნდა, არის ქართული. მე ვისურვებდი, რომ ქართულ სამყაროს ისეთივე ინტერესი ჰქონოდა მხატვრობისა და სახვითი ხელოვნების მიმართ, როგორიც დღეს იტალიაშია. ფაქტობრივად, იტალიური პოლიტიკა არასდროს ყოფილა გამორჩეული. არც იტალიურ მეცნიერებას გაუკეთებია რაიმე განსაკუთრებულად ღირსშესანიშნავი. საუკუნეების მანძილზე იყო მხოლოდ იტალიური მხატვრობა. საქართველოს თავისი კულტურით შეუძლია მიაღწიოს განვითარების იმ საფეხურს, რომელზეც დგას იტალია. მე ამის დიდი იმედი მაქვს და იმიტომაც ვარ საქართველოში, თორემ შემეძლო ვყოფილიყავი იტალიაში.

**— თქვენი აზრით, არსებობს სადმე სხვა საქართველო?**

– არა! სხვა საქართველო როგორ შეიძლება რომ იყოს, ის არის უძვირფასესი, ულამაზესი, დაჩეხილი, მაგრამ მაინც ერთადერთი. საქართველო და ქართველობა არის სულის მდგომარეობა, რომელსაც ყველა ასე თუ ისე განვიცდით. ზოგისთვის შესაჭმელია, ზოგისთვის – მოსაფერებელი. ვინც არ უნდა იყოს – პოლიტიკოსი, მეცნიერი, მკვლელი, ყველას უყვარს საქართველო, მაგრამ ყველას თავისებურად და სწორედ ეს არის სულის მდგომარეობა. გიორგი მერჩულემ ძალიან კარგად განსაზღვრა საქართველოს არსი: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების...“ მეც დაახლოებით ამავეს ვგულისხმობ სულიერ მდგომარეობაში. ჩვენ აფხაზეთი და ოსეთი პირველ რიგში სულიერად უნდა დავიბრუნოთ. უნდა დავარწმუნოთ, რომ როგორც ცხოვრების წესით, ისევე სულიერადაც ქართველები უფრო ახლოს ვართ მათთან, ვიდრე რუსები, რომლებიც მათ გადაყლაპვას ცდილობენ.

■

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად გვახსენებენ ხოლმე, მობილური ტელეფონით სარგებლობა ჯანმრთელობისთვის საზიანოაო, ვისაც ეს მეტად საჭირო ნივთი უკვე აქვს, ამაზე სულაც არ ფიქრობს და დღისა თუ ღამის ნებისმიერ მომენტში განუყრელად თან დააქვს. ვისაც ჯერ კიდევ არ შეუძენია მობილური, დარწმუნებული ვარ, ოცნებობს მასზე... თუმცა მობილურ ტელეფონს ერთი „უარყოფითი თვისებაც“ აქვს — სადაც არ უნდა იყოთ, აუცილებლად მოგძებნიან. ხოლო თუ გსურთ, რომ ვერ მოგაგნონ და ტელეფონს გამორთავთ, შემდეგ უამრავი ადამიანი გკითხავს — რატომ გქონდა გამორთულიო?.. ჩემი პირველი ტელეფონი „ერიქსონ-628“ გახლდათ, რომელსაც ახლა ზოგი „აგურს“, ზოგიც „ნიჟრის სანაყს“ უწოდებს. მე კი მასში 1.100 ლარი გადავიხადე და ამაყად „დავაძრობდი“ ხოლმე ჩანთიდან... მაშინ მობილური იშვიათი ადამიანის „ხვედრი“ გახლდათ, შემდეგ ნელა-ნელა ტელეფონები დაიხვეწა, უფრო პატარა და მსუბუქი გახდა, გაიაფდა, გაცილებით მეტი ფუნქციაც შეიძინა და ადამიანთა უმეტესობისთვის ხელმისაწვდომიც გახდა. ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ ქვეყანა მობილური ტელეფონის გარეშე, დავრწმუნდებით, რომ ცხოვრების ტემპი გაცილებით შენელდება, უამრავი შეხვედრა ჩაიშლება, არ შედგება საქმიანი თუ სასიყვარულო პაემანი. ახლა ჯერ იმის შესახებ, რომელი მოდელის ტელეფონებია ყველაზე მოდური, რომელ ტელეფონს ანიჭებს უპირატესობას ქართველი ახალგაზრდობა, შემდეგ კი საინტერესო ამბები, რომელიც მობილურთანაა დაკავშირებული...



# ყურადღება! ბრალი ედება მობილურს

*მარი ჯაფარიძე*

**ჯონი სელენმადი,** *მობილური ტელეფონების მაღაზიის მფლობელი:*

— დღესდღეობით მობილური ტექნოლოგიები ძალზე განვითარდა. ვცდილობ, უახლესი მოდელი ბაზარზე შემოსვლისთანავე შემოვიტანო ჩემს მაღაზიაში. ყოფილა შემთხვევა, როდესაც კლიენტს ისეთი ტელეფონი სურდა, რომელიც ამა თუ იმ სატელეფონო ფირმის საიტზე უნახავს და გაყიდვაში ჯერ შემოსული არ გახლდათ. ვისაც ბევრი ფული აქვს, მზად არის, სოლიდური თანხა გადაიხადოს იმისათვის, რომ იშვიათი მოდელის ტელეფონით მოიწონოს თავი. ჩვენში ჯერ არავის უცდია, ქარხნისთვის ინდივიდუალური მოდელი შეეკვეთა. უცხოეთში ეს უკვე წესად იქცა. მაგალითად, დამზადებულია ტელეფონები, რომელიც შეიქმნა მხოლოდ მაიკლ ჯექსონისთვის, მადონასთვის... რამდენადაც ვიცი, ლორა ბუშიც ასეთივე ინდივიდალური ტელეფონით სარგებლობს.

— **რომელი ფირმის ტელეფონებზეა უფრო დიდი მოთხოვნა?**

— ყველაზე პრესტიჟულად „ნოკიას“ ფირმის ტელეფონი ითვლება. მაღაზიაში შემოსული 10 კლიენტიდან 7, სწორედ ამ ფირმის ტელეფონს ირჩევს. ტინეიჯერები არჩევანს „სიმენსზე“ აკეთებენ. იაფფასიან ტელეფონებს შორის ის უფრო ხარისხიანი და „მუშაა“. ამ ბოლო დროს ძალზე მოდური გახდა ე.წ. „გადასახსნელი“ ტელეფონები. სოლიდური ასაკის ხალხი „ნოკიას“, „მოტოროლას“ და „სამსუნგს“ ირჩევს. როდესაც ახალი მოდელის ტელეფონი შემოდის ბაზარზე, ის ძვირი ღირს. შემდეგ მისი ფასი ეცემა, მაგრამ ფასის დაკლება სხვადასხვაგვარად ხდება. მაგალითად, „სიმენსის“ ფირმის ტელეფონის ფასმა 6 თვის განმავლობაში შესაძლოა 50%-ით დაიწიოს, „ნოკიამ“ კი მხოლოდ 10%-ით.

— **ყველაზე ძვირად ღირებული აპარატი, რომელიც ამჟამად გაყიდვაში გაქვთ?**

— ეს გახლავთ „ნოკია“, რომელიც გვერდიდან იხსნება და კომპიუტერად „კეთდება“. ასევე „ნოკია“, რომელიც გრძელ, ოთხკუთხედ ჯოხს ჰგავს. პირველი მოდელი 1.000$ ღირს, მეორე — 850.

— **ვიცი, რომ ამაზე გაცილებით ძვირად ღირებული ტელეფონებიც არსებობს.**

— მე გიამბეთ იმ ტელეფონების შესახებ, რომლებიც გაყიდვაშია. ისე არსებობს ტელეფონები, რომლის ფასიც შესაძლოა 50 ათასი, ან მეტიც იყოს. ასეთ ტელეფონებს აქვს ბროლის ეკრანი, ძვირფასი თვლებით დამზადებული კლავიატურა და ოქროს დეტალები.

— **ტელეფონის შერჩევისას კლიენტები აქცენტს რაზე აკეთებენ?**

— პირველ რიგში, ყურადღებას აქცევენ დიზაინს, შემდეგი მოთხოვნა კი ის არის, რომ ტელეფონს ფოტოაპარატის ფუნქციაც ჰქონდეს. საოცარია, რომ მამაკაცებს განსაკუთრებით მოსწონთ ის ტელეფონი, რომელიც ძალზე მცირე ზომის გახლავთ.

*მობილური ტელეფონი საუკეთესო სატყუარაა ქურდებისთვის. დავინტერესდი, მაგრამ ვერსად მივაკვლიე სტატისტიკურ მონაცემებს იმის შესახებ, რამდენი მობილური იკარგება დღეში, თუმცა, თუ ე.წ. „ვაგზლის“ ბაზრობაზე გაივლით, თვითონ შეგიძლიათ დათვალოთ, რადგან ხან ერთი აყვირდება — ვაიმე, მობილური მომპარესო, ხან — მეორე. მე კი ისეთ ამბავსაც შევსწრებივარ, დღის 2 საათზე აღმაშენებლის გამზირზე, გოგონას ტელეფონზე ლაპარაკის დროს რომ გამოჰგლიჯეს მობილური და გაიქცნენ. წინათ, შეიძლება ვინმეს გაეჩერებინეთ, ეთხოვა — ზარი გამაშვებინეთ მობილურითო, თქვენც, ტელეფონს მიაწვდიდით და — მშვიდობით! ახლა ამას აღარავინ „ჭამს“. ამიტომ ქურდი იძულებულია, ჯიბეში ან ჩანთაში ჩაგიყოთ ხელი და ისე ამოგაცალოთ თქვენი საყვარელი ნივთი. ერთ საღამოს კი ჩემი მეზობელი გაოცებული ჰყვებოდა იმის შესახებ, როგორ ამოაცილეს გულის ჯიბიდან ტელეფონი და იქ მხოლოდ „კარტა“ დახვდა. აი, ამასაც კი ახერხებენ ჯიბგირები.... შემდეგ თქვენს მობილურს ლომბარდში მიიტანენ და ფულზე „გადაცვლიან“.*

**გოდერძი ალხაიძე,** *ლომბარდის თანამშრომელი:*

— ყოველდღიურად 10-15 მობილურს

ვიბარებ. ხანდახან კი ტელეფონის ჩაბარების მსურველი ძალზე ბევრია და ფულიც კი არ მყოფნის, რომ ყველა კლიენტი დავაკმაყოფილო.

— **როდესაც ტელეფონს იბარებთ, საბუთს თუ ითხოვთ?**

— რა თქმა უნდა, ჩამბარებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს პირადობის მოწმობა. რაც შეეხება ტელეფონის „პასპორტს“, კლიენტს ამას არასდროს ვთხოვთ.

— **რატომ? იქნებ ტელეფონი მოპარულია?**

— იცით, ჩვენი ლომბარდი სადღეღამისოა. ახალგაზრდა ბიჭი შესაძლოა უცებ შეხვდეს ნაცნობ გოგონას, მისი კაფეში დაპატიჟება სურდეს და ფული არ ჰქონდეს. ამ შემთხვევაში მშვენიერი გამოსავალია ტელეფონის დალომბარდება. ტელეფონის პასპორტი თან ხომ არ ექნება? რამდენიმე დღეში ხელფასს აიღებს და უკან გამოისყიდის ნივთს. არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა მოპარული ტელეფონიც მოიტანონ ჩასაბარებლად, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის. თუ პოლიცია ტელეფონს იპოვის, მე მაქვს ჩამბარებლის პასპორტის მონაცემები და თვითონ მოძებნიან.

— **იქნებ, სწორედ თქვენ უწყობთ ხელს, რომ ტელეფონის მოპარვა ასე გახშირდა?**

— ამაზე არ დავფიქრებულვარ...

*ტელეფონის მოპარვა ერთადერთი გზა არ გახლავთ, რითაც ფულის შოვნა შეიძლება. ადამიანის გონება უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ტექნოლოგიები და აი, გამოჩნდნენ სატელეფონო თაღლითები, რომლებიც სხვისი გულუბრყვილობის ხარჯზე საკმაოდ ბლომად ფულს შოულობენ. ამის შესახებ თვითონ ამ ამბის მთავარი გმირი გვიამბობს. მალხაზი პატიმარი გახლავთ, მას ჩემი გაცურებაც უნდოდა, მაგრამ ხელმოცარული დარჩა. თუმცა, ჩემთვის მოყენებული „მორალური ზარალის“ ასანაზღაურებლად იძულებული გახდა, ინტერვიუზე დამთანხმებოდა. რა თქმა უნდა, იმის მყარი გარანტიით, რომ მის ვინაობას არ გავამხელ. თავდაპირველად, ის ლევან დადიანის სახელით დამიკავშირდა და ალბათ ბევრი მკითხველი მასში სწორედ იმ ადამიანს ამოიცნობს, რომელმაც მწარედ გააცურა.*

— **მალხაზ, ეს ლევან დადიანი ალბათ არარეალური პიროვნებაა, ხომ?**

— რა თქმა უნდა. ასეთი სახელი და გვარი იმისთვის შევარჩიეთ, რომ უფრო დამაჯერებლად ჟღერს. გვაქვს ერთი ნომერი, რომელსაც სპეციალურად ამ საქმისთვის ვიყენებთ. ალალბედზე ვკრებთ ნომერს და ვეუბნებით: „თქვენ გიკავშირდებათ „მაგთის“ ან „ჯეოსელის“ (იმის მიხედვით, რომელი კომპანიის აბონენტია) ფინანსური მენეჯერი, ლევან დადიანი. თქვენმა ნომერმა მოიგო მობილური ტელეფონი, ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი ან ფულადი პრიზი. (ხანდახან ორი საგზური ანტალიაში)... თქვენ უნდა შეიძინოთ მონო-ბარათი, დაგვირეკოთ და ჩაგვაწერინოთ კოდი...“ უმეტესობა ანკესზე ეგებოდა ამის წყალობით, მობილური ტელეფონის ანგარიშზე სულ მქონდა 500–600 ლარი, ხან — მეტიც.

— **ამას რატომ აკეთებდით?**

— მისჯილი მაქვს 14 წელი. გარე სამყაროსთან კონტაქტს მხოლოდ მობილურით ვახერხებ. ვინ ჩამირთავდა ტელეფონს ყოველდღე?

— **ეს მეთოდი არ მოგიძველდათ?**

— რა თქმა უნდა. ხალხმა რომ გაიგო, რაც ხდებოდა, მერე აღარ გვიჯერებდნენ. ამიტომ ახალი მეთოდი მოვიგონეთ: დავრეკავდით რომელიმე ნომერზე და ვეუბნებოდით:

„თქვენი ნომერი ახალგაზრდა ბიჭს (ან გოგოს) ჰქონდა მობილურში ჩაწერილი, ის ავარიაში მოყვა, უგონოდ არის, მე ექიმი ვარ. სასწრაფოდ უნდა გადავიყვანოთ თბილისში...“ ტელეფონში შეშფოთებული ხმა გაისმოდა და მაშინ, უმალვე გვთანხმდებოდნენ, რომ გზაში დახარჯული ბენზინის სანაცვლოდ, 30 ან 50 ლარი გადმოერიცხათ ჩვენს ნომერზე.... ახლა ეს მეთოდიც მოძველდა. იძულებული გავხდით, ახალი მოგვეგონებინა და მოვიფიქრეთ კიდეც. ეს გახლავთ ფასიანი ტელეფონის ნომერი, სადაც ერთი წუთი 1 ლარი ღირს. გავუშვებდით ზარს ათასამდე ნომერზე. აქედან 900 ადამიანი მაინც გვირეკავდა და კითხულობდა — რომელი ხარ? — უკაცრავად, შეგვეშალა, ვპასუხობდით და ერთი ლარი მისი ანგარიშიდან ჩვენთან ირიცხებოდა. ესეც დღეში 900 ლარი.

*აი, ასე... მობილურ ტელეფონს ზოგიერთისთვის ამ სახის სარგებლობაც მოაქვს. მისი ერთი დიდი „პლუსი“ კი ის არის, რომ მესიჯის გაგზავნა „ეხერხება“. ბრიტანეთში, კლინიკა „პრაიორის“ ფსიქოლოგებმა ჩაატარეს კვლევა ათასობით ადამიანის თავის ტვინში განთავსებულ სიამოვნების ცენტრზე და დაადგინეს, რომ ამ ცენტრის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გამაღიზიანებელი გახლავთ ჩვეულებრივი მესიჯი. როდესაც ადამიანი გზავნის მესიჯს და პასუხის მოლოდინშია, სიამოვნების ცენტრის აქტიურობა იმაზე მეტად იზრდება, ვიდრე — სექსის ან სხვა გამაღიზიანებლის მოქმედებისას. სწორედ ამიტომ მესიჯის გაგზავნა ადამიანს მოთხოვნილებად ექცევა ხოლმე და ნარკოტიკივით იწვევს მიჩვევასა და „ლომკას“.*

**მარიეტა,** *32 წლის:*

— რაც გავთხოვდი, არსად მიმუშავია. სულ შინ ვიჯექი, ბავშვებსა და ოჯახს ვუვლიდი. მობილური ტელეფონი ჩემი ოცნება იყო. ქმარს გული გავუწყალე — მიყიდე და მიყიდე-მეთქი, მაგრამ უარს მეუბნებოდა, — რად გინდა მობილური? სულ სახლში ხარ, რომ მუშაობდე, გიყიდდი, მაგრამ ახლა მხოლოდ ზედმეტი ხარჯი იქნება, დაქალებთან კი სახლის ტელეფონითაც მშვენივრად იჭორავებო. მივხვდი, რომ ამაოდ ვირჯებოდი და ვყბედობდი. ქმარი მობილურს არ მაღირსებდა. დავიწყე ფულის შეგროვება. საჭირო თანხა რომ მოვაგროვე, ცოტა ხანს მოვიცადე, ვიდრე ჩემი დაბადების დღე არ მოახლოვდა, მერე ტელეფონი ვიყიდე, ჩემს ძმასთან მივიტანე და ვთხოვე, დაბადების დღეზე ეჩუქებინა ჩემთვის. გულწრფელი სიხარულით შევხვდი საჩუქარს. მალე ნომერიც ვიყიდე და ტელეფონი ჩავრთე. ჩემთვის ძვირფასი ნივთი იყო. ჩუმ-ჩუმად ვეფერებოდი კიდეც. ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, ერთ დღეს კი მივიღე მესიჯი, რომელმაც ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. — გუშინდელი პემანი რომ ჩაიშალა, ბოდიშს გიხდიო, — მწერდა ვიღაცა. თავიდანვე მივხვდი, რომ ნომერი შეეშალათ და პასუხი გავუგზავნე, — სწორად გააგზავნეთ, ჩემთვის პაემანი არავის დაუნიშნავს-მეთქი... ამის შემდეგ დაიწყო და დაიწყო... მესიჯის ავტორი 30 წლის, უცოლო მამაკაცი აღმოჩნდა. ისე მივეჩვიე მის თბილ და ალერსიან მესიჯებს, რომ ეს კაცი უკვე ღამღამობითაც მესიზმრებოდა. ვერ წარმომედგინა, თუ შეიძლებოდა, ასე უნახავად, მხოლოდ ტელეფონით შეყვარება. დღეში ას მესიჯს მაინც ვუგზავნიდით ერთმანეთს. ხშირად ვსაუბრობდით კიდეც. ჩემი ოჯახური მდგომარეობა არ დამიმალავს, მაგრამ ამან სულაც არ დაახევინა უკან. სიყვარულს მეფიცებოდა და გამოგიტყდებით, მისი, ერთი მესიჯი გაცილებით მეტ სიამოვნებას მგვრიდა, ვიდრე ქმართან ალერსი. დროგამოშვებით პანიკაში ვვარდებოდი და გამოსავლის ძებნას ვიწყებდი, მაგრამ ისე ვიყავი გაბმული სასიყვარულო ხლართში, რომ თავის დაღწევას ვერ ვახერხებდი. ასე გაგრძელდა მთელი 5 თვე. შემდეგ რამაზს შევხვდი. გარეგნულად გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა, თუმცა კარგა ხანს ვერ ვახერხებდი გამეიგივებინა ხმა, რომელსაც ტელეფონში ვისმენდი და ადამიანი, რომელსაც ვხ-

ვდებოდი. ასეთ დროს რამაზი ტელეფონით გადმომირეკავდა ხოლმე, თან თვალებში ჩამაცქერდებოდა და ისე მიხსნიდა სიყვარულს. ერთი სიტყვით, ამ კაცმა ჭკუიდან გადამიყვანა და პირველი შეხვედრიდან ორი თვის შემდეგ, ქმარსაც ვუღალატე. ვინაიდან შინიდან ხშირად ვერ გავდიოდი, რამაზმა სამსახურიც მიშოვა. ჩვენი ურთიერთობა კარგა ხანს გაგრძელდა. ქმარს არც კი უეჭვია. შემდეგ როდესაც რამაზისგან წინადადება მივიღე ქორწინებაზე, კარგა ხანს გონს ვერ მოვდიოდი. ის კი ჩემს ქმარზე ეჭვიანობდა, სცენებს მიწყობდა, ხშირად ვკამათობდით ამის გამო და ვხვდებოდით, რომ ჩვენ შორის ურთიერთობა იძაბებოდა. იძულებული გავხვდი, ოჯახი მიმეტოვებინა და ბავშვებთან ერთად, რამაზთან გადავბარგებულიყავი. წარმოიდგინეთ, რა მოჰყვებოდა ამას. ძალზე ბევრი შეურაცხყოფა, ლანძღვა, დამცირება ავიტანე, მაგრამ ყველაფერს გავუძელი. უკვე 4 თვეა, ერთად ვცხოვრობთ, ჯერჯერობით თავს კარგად ვგრძნობ. ღმერთმა უწყის, რა იქნება შემდეგ. შვილის გაჩენასაც ვაპირებ. ეს ყველაფერი მობილური ტელეფონის „ბრალია“. ის რომ არა, დღესაც ძველებურად ვიცხოვრებდი ჩემს უნიათო ქმართან და ძველებურად ავიტანდი მის ხუშტურებს...

წინათ ამბობდნენ, არ შეიძლება ცხენისა და იარაღის განათხოვრებაო... მერე ცხენი ავტომობილმა შეცვალა და ჩამონათვალს მობილური ტელეფონიც მიემატა. მობილური ხშირად იმდენ ინფორმაციას ინახავს პატრონის შესახებ, რომ ნახევარი საათი სრულიად საკმარისია, სრული წარმოდგენა შეგექმნათ მფლობელზე. გადახედავ მესიჯებს, ტელეფონში ჩაწერილ მელოდიებს, ლოგოებსა და ფოტოებს და დახასიათებაც მზად გახლავთ. სატელეფონო კომპანიები კი გვპირდებიან, რომ სულ ცოტა ხანში, საკუთარი მობილურის ეკრანზე სასურველი ფილმისა თუ კლიპის ნახვასაც კი შევძლებთ. მესიჯების შემდეგ, ტელეფონის ყველაზე პოპულარული და საინტერესო ფუქციაა MMS ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გადაიღოთ ფოტო და გაგზავნოთ სასურველ ნომერზე.

**ნატო,** *27 წლის:*

— მშობლების სურვილით, გარიგებით გავთხოვდი. თავიდან ძალზე გამიჭირდა ქმართან შეგუება და ვფიქრობდი, რომ დიდი შეცდომა დავუშვი, მაგრამ რამდენიმე თვეში კახა ისე შემიყვარდა, რომ თავს უბედნიერეს ქალად ვგრძნობდი. ვიდრე მას ცოლად გავყვებოდი, ჩემი დაქალი მაფრთხილებდა — იცოდე, რომ მას უკვე 6 წელია, საყვარელი ჰყავს, ის ქალი კახას არ შეელევა და ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევსო. გავიფიქრე, რომ დაქალს შურს, მდიდარ, კარგ მამაკაცს რომ მივყვები ცოლადმეთქი, მაგრამ კახას მაინც დაველაპარაკე, — ასეთი და ასეთი ამბავი შევიტყვე და თუ ეს სიმართლეა, ვიდრე იმ ქალს ჩემი თანდასწრებით სამუდამოდ არ დაემშვიდობები, ცოლად არ გამოგყვებიმეთქი. დამამშვიდა, რომ მას უკვე დაშორდა და ჩემს მეტი არავინ აინტერესებდა. მეც დავუჯერე. თანაც, ერთხელ, როცა ერთად ვიყავით, „იმან“ ტელეფონზე დაურეკა და კახამ ძალზე ცივად მოიშორა თავიდან. გათხოვების შემდეგაც არ ისვენებდა ჩემი დაქალი. მეუბნებოდა, იმ ქალს ისევ ხვდება, ყურადღებით იყავი, ქმარი არ დაკარგოო. მე კი კახას სიყვარულით დაბრმავებული, ვერაფერს ვამჩნევდი და მეგობარი მოვიძულე. ერთხელ კახას შინ მოსვლა შეაგვიანდა. შუაღამემდე ვიჯექი და ველოდი. მობილური გამორთული ჰქონდა და დაკავშირებას ვერ ვახერხებდი. უკვე დაწოლას ვაპირებდი, როცა მობილურზე მესიჯი მოვიდა. გახარებული დავწვდი ტელეფონს. მეგონა, კახამ დამიმესიჯა. ჩემი დაქალის ნომრიდან იყო გამოგზავნილი, სადაც ჩემი ქმარი და თავისი ძველი საყვარელი რესტორანში, სუფრასთან ისხდნენ ხელგადახვეულები და თამადას ყურადღებით უსმენდნენ. ახლა ნამდვილად დავიჯერე ჩემი მეგობრის ნათქვამი. მიუხედავად იმისა, რომ შოკში ჩავვარდი ქმრის ღალატის გამო, დაქალის მიმართ სინდისის ქენჯნას ვგრძნობდი. ეს იყო უტყუარი დამამტკიცებელი საბუთი. კახა გამთენიისას დაბრუნდა შინ. ეგონა, რომ მეძინა და ფრთხილად შემოძვრა საბნის ქვეშ. არც მე გავნძრეულვარ. დილით ადრიანად წავიდა სამსახურში ისე, რომ ერთმანეთს არ დაველაპარაკებივართ. ჩემი ტანისამოსი ჩავალაგე, დედამთილს დავუძახე, აღარ დავბრუნდები-მეთქი და წამოვედი. კახამ დამირეკა და ცდილობდა, გაეგო მიზეზი, რატომ მივატოვე. მე ტელეფონი გავუთიშე და სურათი მის მობილურზე გადავგზავნე... რამდენიმე ხნის შემდეგ შევრიგდით. მე ოჯახში დავბრუნდი და მიუხედავად იმისა, რომ კახა ყოველთვის დროზე მოდის შინ და არც ყურადღებას მაკლებს, მაინც სულ ვეჭვიანობ. მეგობარს კი შევურიგდი და ბოდიშიც მოვუხადე...

*ძნელია, იწინასწარმეტყველო, კიდევ რა სიახლეს შემოგვთავაზებენ მობილური კომპანიები, მაგრამ ფაქტია, რომ ტელეფონი მეტად საჭირო და შეუცვლელი ნივთია ნებისმიერი ადამიანისთვის.*

■



**ამქვეყნად უამრავი პროფესია არსებობს და ყველას, ზოგისთვის სავსებით ნათელი, ზოგისთვის კი, გაუგებარი ხიბლი აქვს. თუ ადამიანს საკუთარი პროფესია არ უყვარს, ის ნაყოფიერად ვერც იმუშავებს. ამას წინათ, მეგობრებთან ერთად, სრულიად შემთხვევით ერთ-ერთ კლუბში მოვხვდი. რამდენიმე წუთის შემდეგ, სცენაზე გოგონა გამოვიდა და ცეკვა დაიწყო, თან ისედაც შილიფად ჩაცმული, ნელ-ნელა, დარჩენილ ტანსაცმელსაც იხდიდა... ამ სანახაობას „ლაივში“ პირველად ვადევნებდი თვალს და ცოტა არ იყოს, გაოცებული ვიყავი, რასაც იქ მყოფ მამაკაცებზე ვერ ვიტყვი. ისინი აღფრთოვანებული შეძახილებით ამხნევებდნენ მოცეკვავეს და თან ბიკინში ფულს უცურებდნენ... მაშინვე გადავწყვიტე, გოგონასთან ინტერვიუ ჩამეწერა, მაგრამ წინააღმდეგობას წავაწყდი, რადგან კლუბის მეპატრონე ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო: თუ ამ ამბავს პრესა გააშუქებს, მაშინვე „დამხურავენო“, — მითხრა. ამის გამო, არც კლუბის სახელს და არც გოგონას — 28 წლის სტრიპტიზიორი მოცეკვავის ვინაობას ვამჟღავნებთ...**

# "ჩვენთან ჯიბეგაფხეკილ მამაკაცებს არაფერი ესაქმებათ"

## იქ, სადაც არ მოიწყენ

**ნათია ქივიძე**

— დედა უკრაინელი მყავს, მამა კი — ქართველი, რომელიც სკოლის დამთავრებისთანავე, სასწავლებლად კიევში წასულა. იქ გაიცნო დედაჩემი. მაშინვე მოსწონებია და ურთიერთობაც აუწყვიათ. დაახლოებით 2 წლის შემდეგ, მე დავიბადე. როცა ამის შესახებ მამის ოჯახს გაუგია, ერთი ამბავი აუტეხავს: არ უნდოდათ, უკრაინელი რძალი შინ შეეშვათ. მამაჩემმა თავდაპირველად, ოჯახს თითქოს დედაჩემი და მე მარჩია. მაგრამ მერე, მათ მაინც თავიანთი გაიტანეს და

ერთ მშვენიერ დღეს (მაშინ მე ჯერ მხოლოდ 3 წლის ვიყავი), მამა ისე დაბრუნდა სამშობლოში, რომ არც კი დაგვემშვიდობებია... ცეკვისა და სიმღერის ნიჭი ბავშვობიდან მომყვება. სიმართლე გითხრათ, სწავლა არასოდეს მაინტერესებდა. ფაქტობრივად, ოროსან მოსწავლედ ვითვლებოდი. სამაგიეროდ, როცა ცეკვაზე მივდიოდი, ყველაფერი მავიწყდებოდა და თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი. სკოლა ძლივს დავამთავრე. იმის გამო, რომ მე და დედას თავის შენახვა ძალზე გვიჭირდა, უკვე მეთერთმეტე კლასში, ერთ-ერთ ღამის კლუბში მიმტანად ვმუშაობდი. მართალია, ეს სამსახური დიდად არ მომწონდა, მაგრამ დედაჩემის მამა, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში გვეხმარებოდა, გარდაიცვალა და სხვა გზა აღარ მქონდა... ერთხელ, ჩვენი მოცეკვავე, რომელიც იმ საღამოს უნდა გამოსულიყო მაყურებლის წინაშე, ავად გახდა და ამის შესახებ მხოლოდ საღამოს შევიტყვეთ. ვიდრე კლუბის ხელმძღვანელობა სხვა მოცეკვავეს დაუკავშირდებოდა, ვითხოვე — იქნებ, დღეს მე მაცეკვოთ-მეთქი?.. მიუხედავად იმისა, რომ კარგი ფიზიკური მონაცემები მაქვს, ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით შემომხედეს, მაგრამ ბოლოს, მაინც დამთანხმდნენ. ამ ამბამდე, ძელთან ცეკვა იმდენად მაინტერესებდა, რომ კლუბში სპეციალურად, დროზე ადრე მივდიოდი, მუსიკას ვრთავდი და მარტო ვცეკვავდი ხოლმე. ადრეც არაერთხელ მითხოვია უფროსისთვის — მაცეკვეთ-მეთქი, — მაგრამ არც კი მომისმინა: შენი საქმე აკეთე, — მითხრა... როცა სცენაზე პირველად გამოვედი, მაშინ მივხვდი, რომ თურმე, ეს ყოფილა ჩემი საქმე. მართალია, ძელთან „ურთიერთობა" ცოტა გამიჭირდა, მაგრამ მაინც კარგად გავართვი თავი. მიმტანობას თავი დავანებე და ცეკვა დავიწყე.

**— საქართველოში როგორღა მოხვდი?**

— სკოლა რომ დავამთავრე, დედაჩემი მაშინ გათხოვდა. ცოლად გაჰყვა ვიღაც უცხოელს, რომელსაც დღემდე არ ვიცნობ. საცხოვრებლად მაშინვე საზღვარგარეთ წავიდნენ და რა თქმა უნდა, დედამ ჩემი წაყვანა ვერ შეძლო. მის ქმარს უთქვამს — შენი ქალიშვილი უკვე სრულწლოვანია და საკუთარ თავს თვითონ მიხედავსო. დედაც დაეთანხმა და კიევში მოხუცი ბებიის ანაბარა დავრჩი. რამდენიმე კლუბი გამოვიცვალე. ერთ-ერთ მათგანში ქართველი გოგონა გავიცანი, რომელსაც დავუმეგობრდი. ისიც მოცეკვავე იყო. რამდენიმე წლის შემდეგ, მან გადაწყვიტა, საქართველოში დაბრუნებულიყო, რადგან აქ თურმე,



შვილი ჰყოლია. მაშინ გამახსენდა ჩემი ქართველი მამა, რომელსაც მხოლოდ სურათებით ვიცნობდი. გადავწყვიტე, ელას (ასე ერქვა იმ გოგონას) წამოვყოლოდი და მამა მომეძებნა. თან, ამ დროისთვის, ბებიაჩემი უკვე გარდაცვლილი იყო. თბილისში რომ ჩამოვედით, ელამ, მთელი თავისი დანაზოგით, ქალაქის გარეუბანში ერთოთახიანი ბინა იყიდა და შემომთავაზა — ჩემთან ერთად იცხოვრე, თან მამის მოძებნაშიც დაგეხმარებიო. თავიდან მუშაობა ისევ ბარში, მიმტანებად დავიწყეთ, რადგან 4-5 წლის წინ, საქართველოში მოცეკვავე გოგონები დიდად არ სჭირდებოდათ. მამის მოძებნა არ გამჭირვებია, რადგან ისევ იმ მისამართზე ცხოვრობდა, რომელზეც დედა წერილებს უგზავნიდა. მამის ოჯახში მისულს, შინ დედამისი, და და მეუღლე დამხვდნენ. ბებიას ახალდაბადებული არაფერში ვჭირდებოდი და მაშინ მიმიღებდა?.. ძალზე ცივად შემხვდნენ. იმ დღის შემდეგ, მათთან მისვლის სურვილი აღარ გამჩენია. არც მამაჩემს მოუკლავს ჩემი ძებნით თავი... ისევ უკრაინაში დაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ ელამ არ გამიშვა: არც იქ გყავს ვინმე, აქ დარჩი და ერთად ვიცხოვროთო, — მითხრა. ცოტა ხნის შემდეგ, ელას ერთ-ერთი საყვარლის მეგობარმა ეს კლუბი გახსნა და ორივემ მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ აქ გვეცეკვა. უკვე 2 წელია, რაც აქ ვმუშაობთ და ჩვენი სამსახურით ძალზე კმაყოფილები ვართ.

**— სტრიპტიზიორობა სასიამოვნო საქმიანობაა?**

— ეს სტრიპტიზი არ არის. ეს არის შოუ, რომელიც ჩემი აზრით, საკმაოდ ლამაზი სანახავია. აქ მოცეკვავე გოგონები ფიზიკურ მონაცემებს რომ არ უჩივიან, თქვენც კარგად ხედავთ. სწორედ ამ მონაცემების წყალობითა და ცეკვის ნიჭით ეს სანახაობა საკმაოდ ლამაზია. ჩვენ ბოლომდე არ ვიხდით. თავიდან, ისედაც შილიფად გვაცვია და მერე, ბიკინისა და ბიუსტჰალტერის ამარა ვრჩებით...

**— თუმცა, ერთ-ერთმა შენმა კოლეგამ, ერთ-ერთი მამაკაცის თხოვნით, ბიუსტჰალტერი ჩამოიწია და მას მოშიშვლებული მკერდი აჩვენა...**

— მერე რა?!. ჩვენ ვალდებული ვართ, აქ მოსულ სტუმრებს მაქსიმალურად ვასიამოვნოთ. თუ მას ჩემი კოლეგის მკერდი აინტერესებდა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. რა მოხდა, რომ მკერდი აჩვენა?! სამაგიეროდ, ის მამაკაცი მას ბიკინიში ბევრ ფულს ჩაუდებდა...

**— თუ სტუმრებს ყველა სურვილს უსრულებთ, ალბათ მათთან სქესობრივ კავშირზეც არ ამბობთ უარს...**

— აქ ბორდელი კი არა, ჩვეულებრივი ღამის კლუბია, თავისი შოუთი. ჩვენ სამუშაო საათებში არავისთან ურთიერთობის უფლება არ გვაქვს და ეს აქ მოსულმა ყველა ადამიანმა კარგად იცის. ფაქტობრივად, ცეკვის დროს, ასეთი რამ არც არავის შემოუთავაზებია. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როცა მამაკაცს რომელიმე გოგონა მოსწონებია და თუ მოცეკვავეც თანახმა იყო, მათ კოორდინატები ერთმანეთში გაუცვლიათ და სამსახურის გარეთ მოუგვარებიათ სიტუაცია. ეს უკვე გოგონას პირადი ცხოვრებაა და ამაში ვერავინ ჩაერევა.

**— თავად თუ გქონია მსგავსი შემთხვევა?**

— არაერთხელ. საკმაოდ კარგი გარეგნობა მაქვს და რატომ არ უნდა მოვეწონო ვინმეს?! სხვათა შორის, ჩემი ამჟამინდელი შეყვარებულიც აქ გავიცანი. მეგობრებთან ერთად იყო მოსული. როდესაც მათ მაგიდასთან საცეკვაოდ მივედი, მისი დაჟინებული მზერა მაშინვე შევნიშნე. როცა ადამიანისგან დაინტერესებას ვგრძნობ, მეც მხოლოდ მისთვის ვცეკვავ. ამიტომ დანარჩენი ბიჭებისთვის ყურადღება არც მიმიქცევია და პირდაპირ მასთან მივედი, თან მთელი მონდომებით ვარხევდი სხეულს და ვცდილობდი, მთელი ჩემი სექსუალობა დამენახვებინა მისთვის. ის გაუნძრევლად იჯდა და მხ-

ოლოდ თვალებში მიყურებდა. მერე ხელი ჩაიყო ჯიბეში, ფული ამოიღო და ბიკინიში ჩამიდო. მე ცეკვას ვაგრძელებდი, ის კი ფეხზე წამოდგა, მიჩურჩულა — გასასვლელთან გელოდებიო, — და დარბაზიდან გავიდა. ერთ-ორ მაგიდასთან კიდევ ვიცეკვე და ბიკინიანად გავვარდი გასასვლელში. ერთმანეთი გავიცანით და კოორდინატები გავცვალეთ. მეორე დღესვე შევხვდით და გავისეირნეთ. მას მერე, ყოველღამე მოდიოდა კლუბში და ჩემს ცეკვას უყურებდა. დროთა განმავლობაში, ერთმანეთი შეგვიყვარდა. რა თქმა უნდა, ფიზიკური ურთიერთობაც გვაქვს. უამისოდ სიყვარული არც არსებობს. მის გაცნობამდე, რამდენიმე მეგობარი ბიჭი კი მყავდა, მაგრამ ასეთი გრძნობა არავის მიმართ არ მქონია.

**— შენი პროფესიის გამო არ ეჭვიანობს?**

— არა. ის საკმაოდ მაღალი შეგნების ადამიანია და ესმის, რომ ეს ჩემი სამსახურია. ხანდახან კი ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მაყურებელი გადამკიდებია და მას ეს არ მოსწონებია, მაგრამ ძირითადად, მაინც კარგად ვუგებთ ერთმანეთს და ურთიერთობაში პრობლემები არ გვექმნება. უკვე 6 თვეა, ერთად ვართ.

**— დაქორწინებას არ აპირებთ?**

— არა. ჯერ მაგაზე საუბარიც კი არ გვაქვს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენი ურთიერთობა უნდა გამყარდეს და მეორეც — კლუბთან დადებული კონტრაქტის მიხედვით, რომელსაც ყოველწლიურად ვაახლებთ, ერთი წლის განმავლობაში არც უნდა გავთხოვდე და არც ბავშვი გავაჩინო, რათა კლუბს პრობლემები არ შეექმნას. როცა მე და ჩემი შეყვარებული დაქორწინებას გადავწყვეტთ, ამ სამსახურს თავს დავანებებ. თუმცა, ცეკვას ალბათ, ვერ შეველევი და მერე მოვიფიქრებ, რა საქმიანობას ავირჩევ. სხვათა შორის, ჩვენთან უკვე გათხოვილი და შვილიანი გოგონებიც მუშაობენ. მათ არც ფული აკლიათ და არც ოჯახური სითბო, მაგრამ უნდათ ცეკვა და ცეკვავენ.

**— აქ მამაკაცები, არცთუ ისე იშვიათად, გოგონებთან ერთად დადიან. როცა თქვენ ცეკვავთ, ის გოგონები არ ეჭვიანობენ?**

— რა თქმა უნდა, ეჭვიანობენ, მაგრამ ჩვენ იმისთვის არ ვცეკვავთ, რომ ვიღაცას კაცი „დავაწეროთ“. ჩვენ ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ. ის გოგონა თუ ეჭვიანია, მაშინ ჯობს, შინ დარჩეს და შეყვარებულს ასეთ ადგილას არ გაჰყვეს. მე არავის შებმას არ ვცდილობ, მაგრამ თუ კაცს უფრო მოვეწონები, ვიდრე თავის გვერდზე მჯდომი და მე დამიწყებს არშიყს, რა ჩემი ბრალია?!. ქალმა ყოველთვის უნდა იცოდეს, როგორ შეაბას მამაკაცი, მაგრამ ხომ არსებობენ უნიჭო ქალები...

**— ძირითადად, რა ასაკის მამაკაცები სტუმრობენ თქვენს კლუბს?**

— ჩვენთან „შპანა“ ფაქტობრივად, არ მოდის. ძირითადად, 30-დან 40 წლამდე ასაკის მამაკაცები მოდიან. რა თქმა უნდა, ფულიანი ხალხი დადის, რადგან ჩვენთან შემოსვლაც ფასიანია და მენიუც საკმაოდ ძვირად ღირებული კერძებისგან შედგება. თანაც, ყველა მოცეკვავეს ხომ ფული უნდა ჩაუდონ, ყოველ ღამით კი, 4-5 მოცეკვავე მაინც გამოდის და თითოეული ორ-სამ ცეკვას ასრულებს. ასე რომ, ჩვენთან ჯიბეგაფხეკილ მამაკაცებს არაფერი ესაქმებათ. ძირითადად, ბიზნესმენები ან მაღალჩინოსნები დადიან. თუმცა, ისიც ვიცი, რომ მაღალი რანგის სტრიპტიზიორებიც არსებობენ და მათი გამოსვლა გასაიდუმლოებულად ხდება. ისიც ხდება, რომ რამდენიმე კაცი იკრიბება, რამდენიმე გოგოს ქირაობს, ვინმეს სახლში მივყავართ და გვთხოვს, რომ მხოლოდ მათთვის ვიცეკვოთ სტრიპტიზი, ოღონდ — იქ ყველაფერი უნდა გავიხადოთ. ამის საფასურად საკმაოდ სოლიდურ თანხას გვიხდიან. ამას სამსახური გვიკრძალავს, მაგრამ ფულის გამო მაინც ვაკეთებთ. ჩვენმა უფროსმა ეს იცის და ვერც ვერაფერს გვეუბნება,რადგან საქართველოში სტრიპტიზის მოცეკვავე ქალები ქუჩაში არ ყრიან, საკმაოდ ძნელი საპოვნელი არიან და ჩვენი დაკარგვა არ უნდა.



**— გარდა იმისა, რომ არაოფიციალური შემოსავალი გაქვთ, ღამის კლუბში სათანადოდ თუ გიხდიან?**

— რა თქმა უნდა. ჩვენი კლუბის მეპატრონე ჩვენს საქმიანობას კარგად აფასებს. ამასთანავე, ცეკვის დროს, მამაკაცები ფულს რომ გვჩუქნიან, ჩვენ და კლუბის ადმინისტრაცია შუაზე ვიყოფთ. ასე რომ, ხანდახან, ერთ ღამეში 50 დოლარიც მიშოვია. ჩემი პროფესიით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ჩვენს კლუბში, გარდა ჩვენი ცეკვისა, სხვა გასართობი ნომრებიც არის — მაგალითად, ილუზიონისტები მოდიან სტუმრად და ფოკუსებს აჩვენებენ. გვყავს აგრეთვე რამდენიმე მომღერალი. მოკლედ, ჩვენთან არ მოიწყენ. ამიტომაცაა, რომ მთელი დღის განმავლობაში, ბიზნესით და ათასგვარი მძიმე საქმით გადაღლილი მამაკაცები, თითქმის ყოველღამე სტუმრობენ ჩვენს კლუბს და აქ ისვენებენ.

**— სტრიპტიზის ცეკვა კიევში გისწავლია. ვისაც ამის პრაქტიკა არა აქვს, ვინ ასწავლის ცეკვას? თუ არსებობს საქართველოში სტრიპტიზის შემსწავლელი კურსები?**

— რა თქმა უნდა, არ არსებობს. ვისაც ეს საქმე საქართველოს გარეთ გვისწავლია, ჩვენს კოლეგებს გამოცდილებას ვუზიარებთ. ამასთანავე, ჩვენც თითქმის ყოველდღე გვიწევს რეპეტიციის გავლა. სულ ერთსა და იმავეს ხომ არ ვიცეკვებთ! ახალ-ახალი ილეთების შესწავლაში კი უცხოური ფილმები გვეხმარება. იქ სტრიპტიზი განსაკუთრებით პოპულარულია, ამიტომ თითქმის ყველა ეროტიკულ ფილმში არის ასეთი კადრები, ჩვენც ვუყურებთ და ამ ყველაფერს ადვილად ვითვისებთ.

■

# მწვანეთვალება სომეხი გოგონა, გაბუტული მეუღლე და ლოთობით დამთავრებული ნადირობა



**რეჟისორი ლევან (ჭოლა) წულაძე 5 წელია, ზაფხულობით, ოჯახთან და მეგობრებთან ერთად გონიოში ისვენებს. უყვარს ზღვა და მთელი დღე ცურავს. არ უყვარს თოვლი და ალბათ ამიტომაც, თავს არიდებს ზამთრის კურორტებზე წასვლას.**

*ეკა მინდაძე*



**7 წლის ასაკიდან ვცურავ და მგონი, ეს ერთადერთია სპორტის სახეობებიდან, რაც კარგად ვიცი...**

— მშობლების გარეშე მეგობრებთან ერთად ქალაქიდან პირველად მაშინ გავედი, როცა სკოლაში, მე-9 კლასში ვსწავლობდი. უფრო შორს წასვლა კი, რამდენიმე ბიჭმა, სკოლა რომ დავამთავრეთ, მაშინ გადავწყვიტეთ, ინსტიტუტში მოწყობის აღსანიშნავად და 10 დღით ოდესაში გემით გავემგზავრეთ.

— **დასასვენებლად წასულს, სასიყვარულო თავგადასავალი ხომ არ გქონია?**

— კი, როგორ არა *(იცინის)*. მახსოვს, ბიჭვინთაში ყოფნისას, ერთი სომეხი, არაჩვეულებრივად ლამაზი, ქერათმიანი და მწვანეთვალება გოგონა შემიყვარდა. მას ნუნე ერქვა. მაშინ მე-8 კლასში ვიყავი. ჩემი სიყვარული კი, ჩემზე უმცროსი გახლდათ. სამწუხაროდ, მისი გვარი არ მახსოვს და ამიტომაც, მერე ვერანაირად ვეღარ მოვძებნე...

— **ბავშვობაში სად ისვენებდი ხოლმე?**

— ბავშვობაში მშობლებს ჯერ მთაში დავყავდი, ხოლო შემდეგ — ზღვაზე. ძალიან მიყვარდა გურიაში, ჩემს სოფელში — ბახვში არდადეგების გატარება. დავდიოდი ფასანაურშიც. რაც შეეხება ზღვას — მუდმივად ბიჭვინთაში ვისვენებდი.

— **ახლა სოფელში აღარ დადიხარ?**

— სამწუხაროდ, არა. იქ არის მამაჩემის მიერ აშენებული ჩემი და ჩემი ძმის სამოსახლო, მაგრამ დღესდღეობით სოფელ ბახვში არავინ ჩადის.

— **ლაშქრობაზე თუ ყოფილხარ?**

— არა, მშობლები არ მიშვებდნენ.

— **ცურვა იცი?**

— ვიცი და ალბათ ამიტომაც ვგიჟდები ზღვაზე. სხვათა შორის, არც მდინარეს ვიწუნებ. 7 წლის ასაკიდან ვცურავ და მგონი, ეს ერთადერთია სპორტის სახეობებიდან, რაც კარგად ვიცი. ძალიან მიყვარს მთელი დღე ზღვაში ყოფნა და ცურვა.

— **ზამთარში სად ისვენებ ხოლმე?**

— სამწუხაროდ, თითქმის არსად, ისევ და ისევ — თეატრის გამო. ისე, სიმართლე გითხრა, ბავშვობიდანვე არ მიყვარდა ზამთრის კურორტებზე დასვენება — ალბათ იმიტომ, რომ მაინცდამაინც არ მიყვარს თოვლი. აი, ჩემს ქალიშვილს კი, ძალიან უყვარს ბაკურიანი და ამიტომაც ვცდილობ, ყოველ წელს იქ დავასვენო მეუღლე და ქალიშვილი. მე თვითონ კი მხოლოდ იმათ სანახავად თუ ჩავალ ხოლმე, თორემ, იქ ყოფნის სურვილი ნაკლებად მაქვს.

— **საზღვარგარეთ თუ დაგისვენია?**

— კი, როგორ არა. ჯერ კიდევ კომუნისტური მმართველობის დროს, ერთხელ, ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში დავისვენე. მას შემდეგ დასასვენებლად არსად ვყოფილვარ. გასტროლით კი, ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი.

— **მეუღლესთან ერთად თუ გიწევს ხოლმე საზღვარგარეთ წასვლა?**

— კი, ერთად ვიყავით წასული იტალიასა და იუგოსლავიაში. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, საგასტროლოდ ისეთი სპექტაკლი მიგვაქვს, სადაც მანანა დაკავებული არ არის. აი, დღესაც, რომ ვუთხარი — ოქტომბერში გასტროლებზე „ფაუსტი" მიგვაქვს-მეთქი (ამ სპექტაკლ-



**თითქმის ყოველ წელს ვაპირებ, დავაყენო ღვინო, მაგრამ ჯერჯერობით ამას თავი ვერა და ვერ მოვაბი...**

ში ის არ მონაწილეობს), ისე გაბრაზდა, მთელი დღე ხმას არ მცემს. ამის გამო გადავწყვიტე, რომ ფული ვისესხო და ისიც წავიყვანო.

— **ყველაზე მეტად რომელი ქვეყანა მოგეწონა?**

– ძალიან მომწონს ინგლისი.

— **დასასვენებლად რომელ ქვეყანაში წასვლას არჩევდი?**

– დიდი სიამოვნებით წავიდოდი კარიბის ზღვაზე.

— **ამ ზაფხულს სად აპირებ დასვენებას?**

– გონიოში. 6 წელია, რაც მე და ჩემი მეგობრები ოჯახებით დავდივართ იქ. ადრე უფრო კარგი იყო, რადგანაც ნაკლები ხალხი დადიოდა. აი, შარშან უკვე ძალიან ბევრი მიაწყდა გონიოს.

— **პიკნიკებზე სიარული თუ გიყვარს?**

– საკმაოდ ხშირად დავდივართ. ადრე, მე და ჩემს მეგობრებს ახალდაბის მიდამოებში ერთი, აბსოლუტურად ველური ადგილი გვქონდა ამოჩემებული, სადაც ხშირად დავდიოდით. ამ ბოლო დროს კი, უფრო კიკეთში ავდივართ.

— **ახალგაზრდულ ბანაკში თუ დაგისვენია?**

– არასოდეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ კომფორტის მოტრფიალე ვარ. არა, თავისუფლად შემიძლია კარავში ცხოვრება, აბაზანისა და ტუალეტის გარეშე. მაგრამ ჩემს ბავშვობაში, კომუნისტური ტიპის პიონერული ლაშქრობები ეწყობოდა, სადაც მიდიოდნენ კომკავშირელები და კარიერისტების შვილები, მათ გვერდით კი საკუთარ თავს ვერ აღვიქვამდი, ამიტომ ამგვარ ლაშქრობებში არ დავდიოდი... ლაშქრობას ხშირად, მეგობრები თვითონ ვაწყობდით. ბევრჯერ ჩავმსხდარვართ მატარებელში, წავსულვართ დასავლეთში, რომელიმე სოფელში სრულიად უცნობ ოჯახში მივსულვართ და ღამის გასათევი გვითხოვია.



ისე გაბრაზდა, მთელი დღე ხმას არ მცემს. ამის გამო გადავწყვიტე, რომ ფული ვისესხო და ისიც წავიყვანო... (მეუღლესთან მანანა კოზაკოვასთან ერთად)

— **საქართველოს რომელი კუთხე არ გინახავს?**

– არ ვყოფილვარ სვანეთსა და რაჭაში. იმედი მაქვს, მალე ამ კუთხეების მონახულებასაც მოვახერხებ.

— **ნადირობა თუ გიყვარს?**

– მიყვარს, მაგრამ პირადად მე, ერთხელ ვცადე სანადიროდ წასვლა და ისიც ლოთობით დავამთავრე... მახსოვს, ერთხელ, სტუდენტობის პერიოდში სანადიროდ წავედით. ჩავედით ერთ-ერთ სოფელში, საიდანაც მეორე დილას, 7 საათზე უნდა წავსულიყავით ტყეში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ადრე ადგომა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მიუხედავად დაგვიანებისა, მაინც აქტიურად დავიწყეთ მომზადება. იმ პერიოდში კი, როცა ჩემი მეგობარი ტყვიებს ამზადებდა, იქვე, სამზარეულოში, დანარჩენებმა ვიპოვეთ არაჩვეულებრივი არაყი და თხილი... მოკლედ, ისე მოხდა, რომ ბოლოს, ეზოშივე დავკალით და შევწვით ქათამი. აი, სულ ეს იყო ჩვენი „ნანადირევი“.



ბევრჯერ ჩავმსხდარვართ მატარებელში, წავსულვართ დასავლეთში, რომელიმე სოფელში სრულიად უცნობ ოჯახში მივსულვართ და ღამის გასათევი გვითხოვია

— **თბილისში სად უფრო გიყვარს სიარული — რესტორანში თუ „ტუსოვკებზე“?**

– მე უფრო „საბჭოთა ტიპის“, შემორჩენილი ორგანიზაციები მიზიდავს – მიყვარს რესტორანში დროის ტარება, არ მიყვარს ღამის კლუბებში და „ტუსოვკებზე“ სიარული.

— **სამზარეულოში ფუსფუსი თუ გიყვარს?**

– კი, რა თქმა უნდა სამზარეულოში ფუსფუსით კარგად ვისვენებ. მიყვარს, როცა მეგობრებისთვის რაიმე გემრიელ კერძს ვაკეთებ. შემიძლია ყველაფრის მომზადება – დაწყებული ხინკლით, დამთავრებული ჩაქაფულით.

— **შენი საყვარელი კერძი რომელია?**

– ყველაზე მაგარია მწვადი და თევზეული.

— **ზაფხულში რას მიირთმევ ხოლმე?**

– ზაფხულში ჩემი საჭმელია – კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი; ვგიჟდები მუჟუჟზე, მოხარშულ და გაცივებულ ბურვაკსა და დედალზე.

— **სასმელებიდან რომელს ამჯობინებ?**

– მიყვარს ცივი ღვინო.

— **მოცალეობის ჟამს რითი ერთობი ხოლმე?**

– მეგობრები ვიკრიბებით, ვამზადებთ რაიმე საჭმელს და ვსვამთ ალკოჰოლურ სასმელებს.

— **მწვადის შეწვა თუ იცი?**

– ვიცი. მაგრამ ჩემი მეგობრების წრეში ამ საქმის შეუდარებელი ოსტატები გვყავს და ამიტომაც ინიციატივას არ ვიჩენ ხოლმე. შეიძლება, მონაწილეობა მივიღო მომზადებაში – ვიცი ხორცის კარგად დაჭრა და დაბასტურმება.

— **ოდესმე თუ დაგიყენებია ღვინო?**

– არა. მახსოვს, როცა მამაჩემი აყენებდა, კი ვმონაწილეობდი, მაგრამ დამოუკიდებლად ღვინის დაყენება არასოდეს მიცდია. თითქმის ყოველ წელს ვაპირებ, დავაყენო ღვინო, მაგრამ ჯერჯერობით ამას თავი ვერა და ვერ მოვაბი.

— **თუ მისდევ ჯანსაღი ცხოვრების წესს და თუ ვარჯიშობ?**

– არა, მხოლოდ საცურაო აუზზე დავდივარ.

— **რატომ? ზარმაცი ხარ?**

– არა, უბრალოდ, ვარჯიშს რეჟიმის დაცვა უნდა, რაც ჩემთვის ცოტა რთულია.

■

# თაფლის სანთელი

*რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი*



თაფლის შემდეგ ფუტკრის სანთელი მეფუტკრეობის მეორე ძირითადი პროდუქტია თავისი მნიშვნელობით. ნატურალური თაფლის სანთელი წარმოადგენს 300-მდე სხვადასხვაგვარი, მათ შორის, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ნარევს.

თაფლის ნატურალური სანთლის საფუძველზე მზადდება საცხები და მწებავი ფურცლები ჭრილობებისა და დამწვრობების სამკურნალოდ. ძველი ბერძენი და რომაელი ექიმები ფართოდ იყენებდნენ ფიჭის სანთელს თაფლთან ერთად, ჰაიმორიტის, ჭინჭრის ციების, ზედა სასუნთქი გზების დაავადებების, ანგინის, ცხვირხახის ანთებების სამკურნალოდ.

სანთელი წმენდს პირის ღრუს, ამაგრებს ღრძილებს, ეხმარება ადამიანს სიგარეტის გადაგდებაში. თაფლის სანთელი კარგად შეიწოვება კანში, მას გლუვსა და ნაზს ხდის. ამიტომ ამ კომპონენტს ხშირად შეიცავს მკვებავი და მათეთრებელი კრემები. აი, თაფლის სანთლის გამოყენების რამდენიმე რეკომენდაცია:

**სილამაზის ბალზამი**. აურიეთ ერთმანეთში 18-18 გრამი თაფლის თეთრი სანთელი და გლიცერინი, 4 გ სტეარინი, 50 გ აბუსალათინის ზეთი, 1 გ გოგირდი და 2 წვეთი ვარდის ზეთი ან სხვა არომატული ნივთიერება. გააცხელეთ ეს ნარევი დაბალ ცეცხლზე, დაუმატეთ 100 გ თაფლი და ურიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. თუ კანში რეგულარულად შეიზელთ მიღებულ ბალზამს, იგი ნაზი და სუფთა გახდება.

**ინჰალაციები ზედა სასუნთქი გზებისა და ფილტვების დაავადებების დროს**. ინჰალაციისათვის ალუმინის ან მომინანქრებულ ჭურჭელში მოათავსეთ 60 გ პროპოლისი და 40 გ სანთელი, ჩადეთ ეს ჭურჭელი უფრო დიდ ჭურჭელში, რომელშიც მდუღარე წყალი ასხია. პროპოლისი და სანთელი ამ პირობებში დადნება და პროპოლისის ფიტონციდები წყლის ორთქლთან ერთად გამოიდევნება. ასეთი ინჰალაციები 2 თვის განმავლობაში უნდა ჩატარდეს 10-15 წთ-ის ხანგრძლივობით, დილა-საღამოს.

**კოჟრის მოსაშორებელი საცხი**. შეურიეთ ერთმანეთს 50 გ პროპოლისი, 30 გ სანთელი და ერთი ლიმონის წვენი. შეათბეთ ნარევი დაბალ ცეცხლზე. მიღებული საცხი უნდა დაიდოთ კოჟრზე ყოველდღიურად და შეიხვიოთ. რამდენიმე დღის შემდეგ, კოჟრი დაილბეთ 2%-იან სოდიან წყალში და შემდგომ ძირიანად მოიშორეთ. ■

# მუსიკა რეცეპტით

ავიცენას მიაჩნდა, რომ ჯანმრთელობის შესანარჩუნებელი საუკეთესო ვარჯიში სიმღერაა. სახალხო მკურნალებმა კარგად იცოდნენ, თუ რომელი ინსტრუმენტების ბგერები ახდენდა ყველაზე სასიკეთო ზეგავლენას ამა თუ იმ პათოლოგიის დროს. მაგალითად, ვიოლინო დადებითად მოქმედებს მელანქოლიკებზე. ალტი ეფექტურია ნერვული სისტემის დარღვევებისა და ძალის დაქვეითების შემთხვევაში, კარგად მოქმედებს ფლეგმატიკებზე. არფა ისტერიის დროს ახდენს დადებით ზეგავლენას, ფლეიტა კი – ფილტვებისა და ბრონქების პათოლოგიისას. კლარნეტი დათრგუნვილობისგან თავის დაღწევაში ეხმარება.

მუსიკა ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობაზე რიტმის მეშვეობით ზემოქმედებს. ორგანიზმის ყველა ფუნქცია მას ემორჩილება: რიტმულად იკუმშება გული, სუნთქავს ფილტვები, სრულდება მოძრაობითი ფუნქციები. მუსიკალური რიტმი შრომის პროცესში მნიშვნელოვნად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ბგერის მეშვეობით ირთვება უმაღლესი ნერვული მოქმედების მობილიზაციის ვეგეტაციური მექანიზმები.

დეპრესიისა და ფსიქოზის დროს, ადამიანის ფსიქიკაზე დადებითად მოქმედებს



ელეგიები, ნოქტიურნები და იავნანები. ძველ ეგვიპტეში უძილობას გუნდის სიმღერით მკურნალობდნენ, თანამედროვე სპეციალისტები კი გვირჩევენ, ძილის წინ ჩაიკოვსკის ან შუმანის პიესებს მოვუსმინოთ.

თავის ტკივილისას სასიამოვნოა ლისტის „უნგრული რაფსოდიის", ბეთჰოვენის „ფიდელიოს", გერშვინის „ამერიკელი პარიზში"-ს მოსმენა. ნერვებს ამშვიდებს ბრამსის „იავნანა", შუბერტის „ავე მარია", შტრაუსის ვალსები.

გაღიზიანებადობასა და მრისხანებას ხსნის ბეთჰოვენის „მთვარის სონატა", ბახის „კანტატა №2", ჰაიდნის „სიმფონია", ბახის „იტალიური კონცერტი". არტერიულ წნევას საგრძნობლად აქვეითებს მუსიკა ჩაიკოვსკის ბალეტიდან – „გედების ტბა", შოპენის ნოქტიურნი რე მინორი და ბახის კონცერტი რე მინორი ვიოლინოსათვის.

ბუნებაში მოსმენილი მუსიკა კურნავს სტრესს, ამშვიდებს ნერვებს, აუმჯობესებს განწყობილებას და ორგანიზმის საერთო მდგომარეობას. აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს. უსმინეთ ნაკადულის, ჩიტების ჭიკჭიკის, სიოს დაბერვის ხმას – მისი ხშირი მოსმენა გაგაჯანსაღებთ ორგანიზმს. ■

# როგორ დავიცვათ თავი მიკროსპორიისაგან



**მიკროსპორია ადამიანისა და ცხოველის ინფექციური დაავადებაა, რომელსაც მიკროსკოპული სოკოები იწვევს.**

სოკოთი დაზიანებული კანის ქერცლი, თმისა და ბეწვის ღერები, რომლებიც შეიცავს სიცოცხ[ლი]სუნარიან სოკოებს, შორდება დაზიანების უბანს და სოკო გადააქვს ავადმყოფის ტანსაცმელზე, თეთრეულზე, ყოველდღიური მოხმარების საგნებზე (კბილის ჯაგრისზე, ღრუბელზე, წიგნებზე, სათამაშოებზე და ა.შ.). სოკოები საკმაოდ გამძლეა გარემოს არახელსაყრელი ფაქტორებისადმი და ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუძლია შეინარჩუნოს პათოგენობა (დასნებოვნების უნარი).

ამ სოკოვანი დაავადების გადადება შეიძლება მოხდეს როგორც ავადმყოფ ადამიანთან ან ცხოველთან კონტაქტის გზით, ასევე დაბინძურებულ ობიექტებთან შეხებისას.

სოკოვანი დაავადების (მიკროსპორიის) პროფილაქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ დროულსა და სწორ მკურნალობას, არამედ პირადი ჰიგიენის ზედმიწევნით დაცვას, ტანსაცმლის, თეთრეულისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების დეზინფექციასაც.

ცხოველებიდან მიკროსპორიის ყველაზე ხშირი წყაროა კატა, განსაკუთრებით — კნუტები. სამწუხაროდ, დაავადებულ ცხოველებს მკურნალობის ნაცვლად ზოგჯერ ქუჩაში გააგდებენ ხოლმე. ასეთი მაწანწალა, უპატრონო ცხოველი ხდება ადამიანების, განსაკუთრებით, ბავშვების დასნებოვნების წყარო.

მიკროსპორიის არსებობაზე ეჭვის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს, ზედმიწევნით ზუსტად უნდა შეასრულოთ ყველა მისი მითითება და არ შეწყვიტოთ მკურნალობა მისი ნებართვის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, დაავადება ხელახლა განვითარდეს.

*მიკროსპორიის გარშემო მყოფთათვის გადადების თავიდან ასაცილებლად უნდა დაიცვათ გარკვეული წესები:*

- სხეულის სოკოთი დაზიანებული ნაწილი აუცილებლად შეიხვიეთ (თავზე დაიხურეთ ქუდი ან ქსოვილის თავსაფარი, რომელსაც ხშირად გარეცხავთ).
- ისარგებლეთ ინდივიდუალური თეთრეულით, პირსახოცით, ტანსაცმლით, სავარცხლით, ღრუბლით და სხვა საგნებით.
- თქვენ მიერ მოხმარებული თეთრეული და პირადი მოხმარების სხვა საგნები შეინახეთ ოჯახის წევრების საგნებისგან განცალკევებით.
- ვიდრე ექიმი ნებას არ დაგრთავთ, ნუ წახვალთ საპარიკმახეროში, აბანოში, საცურაო აუზზე და ა.შ.
- ექიმის მითითებით თავის დროზე, სწორად და სისტემატურად უნდა ჩატარდეს ავადმყოფის პირადი საგნების გაწმენდა-გასუფთავება — ადუღეთ 15 წუთით 1-2%-იან სოდიან წყალში ან ცხელი უთოთი დააუთოეთ, ხოლო სავარცხელი, სათამაშო, ჯაგრისი გარეცხეთ ცხელი საპნიანი წყლით.
- სახლი, სადაც ავადმყოფი ცხოვრობს, უნდა დალაგდეს სველი წესით ან მტვერსასრუტით. დასალაგებელი ხელსაწყოები კი გამოყენების შემდეგ, უნდა დამუშავდეს მდუღარე წყლით, 15 წთ-ის განმავლობაში ან ქლორამინის 5%-იან ხსნარში ჩადებით. ■

## როგორ მოვიცილოთ „მზის თეთრი ფიფქები"

ზაფხულში, როდესაც მზე უხვად აფრქვევს მწველ სხივებს, ხშირად, სახეზე ჩნდება ჭორფლი და პიგმენტური ლაქები, რომელთა მოსაშორებლად ხალხურმა მედიცინამ ძალიან ბევრი საშუალება შემოინახა. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს: 2 ს/კ ბაბუაწვერას ყვავილსა და ფოთოლს დაასხით 300 მლ ცხელი წყალი, ადუღეთ 15 წთ, გააცივეთ და გაწურეთ; ამ ნაყენით დღეში 2-ჯერ დაიბანეთ პირი. ზოგ შემთხვევაში, შესანიშნავ ეფექტს იძლევა ქაფურისა და წყალბადის ზეჟანგის ნიღაბი: 1 ჩ/კ გახეხილ საბავშვო საპონს დაასხით ცოტა ცხელი წყალი და ააქაფეთ; გააცივეთ, დაამატეთ 1 ს/კ ქაფურის ზეთი და 10-15 წვეთი წყალბადის ზეჟანგი. წაისვით ეს ნიღაბი და 30 წთ-ის შემდეგ ჩამოიბანეთ. შემდეგ წაისვით მკვებავი საცხი. გარდა ამისა, ნუ დაგეზარებათ, ყოველდღე, 2-3 კვირის განმავლობაში დაიდოთ სახეზე ოხრახუშის ნიღაბი, რომელიც ასე მზადდება: 2 ს/კ დაქუცმაცებულ ოხრახუშის ფოთოლს დაამატეთ იმავე რაოდენობის მაწონი, წაისვით სახეზე და ნახევარი საათის შემდეგ ჩამოიბანეთ. ძალიან კარგია ბანანის ნიღაბი. დაიდეთ სახეზე დაჭყლეტილი ბანანი და 20 წთ-ის შემდეგ, თბილი ლიმონიანი წყლით ჩამოიბანეთ. ■



| „ალიბაბა და ... ყაჩაღი" | კვერცხის ფერადი შიგთავსი | „მოხევის ქალო ..." | ფუტკრების სახლი | პირბადე | მუქი რუხი ღრუბელი | მთათა სისტემა ...-შანი | ერთგვა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ამოთხრილი ადგილი | მღრღნელი ცხოველი ფუმფულა კუდით | იგივეა, რაც სინდიოფალა | ამერიკის კინოაკადემიის ჯილდო | ყრილობაზე წარგზავნილი პიროვნება | თურქეთის დედაქალაქი | | |

# ლამაზად და მოხდენილად რომ გამოიყურებოდეთ...



● თუ შემთხვევით სახეზე მკვებავის წასმა დაგავიწყდათ და მაკიაჟი ისე გაიკეთეთ, ნუ დაიზარებთ და მინერალური წყლის „შხაპი“ მიიღეთ: აიღეთ „ბორჯომის“ ბოთლი, კარგად შეანჯღრიეთ, შემდეგ გახსენით და სახე ბოთლიდან ამოფრქვეულ შხეფებს შეუშვირეთ.

● ხანგრძლივი დროით მუქი ფერის ლაქის წასმა, ფრჩხილების ფერის გამუქებას იწვევს. მათ გასასუფთავებლად შეგიძლიათ, ლიმონი გამოიყენოთ: აიღეთ ლიმონის ნაჭერი და წაისვით ფრჩხილებზე, ლიმონმჟავა თქვენს ფრჩხილებს ბუნებრივ ფერს დაუბრუნებს.

● წარბების ამოქნისას, ხშირად, კანი წითლდება და შუპდება. ამ პრობლემას ყველაზე სწრაფად ყინული მოგიგვარებთ: მიიდეთ გაღიზიანებულ ადგილზე ყინულის ნაჭერი და 20 წუთი გაიჩერეთ; სიწითლე მალე გაგივლით.

● ქლორიანი (საცურაო აუზის) და მარილიანი (ზღვის) წყალი ცუდად მოქმედებს ღია ფერის შეღებილ თმაზე — უშნო მომწვანო შეფერილობას ანიჭებს მას. აიღეთ 3 აბი ჩვეულებრივი ასპირინი, გახსენით ერთ ლიტრ თბილ წყალში და ამ სითხით დაიბანეთ თმა.

● მუქი ფერის თმის საღებავი კანზე მოხვედრისას უსიამოვნო და ძნელად მოსაცილებელ ლაქებს ტოვებს. დაყარეთ სიგარეტის ფერფლი ნოტიო ბამბის ტამპონზე და მოიცილეთ საღებავის ლაქა (ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია შავი ლაქების მოსაცილებლად).

● წარბების მოსარჯულებლად გამოგადგებათ ჩვეულებრივი თმის ქაფი: წაისვით წარბებზე და თითით სასურველი ფორმა მიეცით; ქაფი მათ ამ ფორმას შეუნარჩუნებს.

● განიერი, მსხვილი ცხვირი შეგიძლიათ „დაიპატარავოთ“ ნათელი, ყავისფერი ტონის საშუალებით: ცხვირის გვერდებზე წაისვით ოდნავ მუქი ტონი — ამგვარად, მისი სიგრძე გამოიკვეთება; ეცადეთ, ზღვარი უხილავი იყოს.

● თუ თხელი ტუჩები გაქვთ და გსურთ, უფრო ფუმფულად გამოიყურებოდეს, გამოიყენეთ ნათელი ფერის პომადები. კარგია „ბლესკიც“. ოღონდ — არა სადაფისფერი.

**გახსოვდეთ:** რაოდენ მომხიბვლელადაც არ უნდა გამოიყურებოდეთ, მთავარი მაინც ღიმილია — სწორედ ის არის თქვენი სავიზიტო ბარათი, ოღონდ, ის მიხატულს არ უნდა ჰგავდეს; გაიღიმეთ თვალებით და არა მხოლოდ ტუჩებით — ღიმილი ხომ თვალებიდან იწყება! სწორედ თვალებმა უნდა მიანიჭოს თქვენს სახეს განუმეორებელი ხიბლი. ■



# თუ ფეხები ხშირად გიოფლიანდებათ და სიცხისგან გიშუპდებათ...



*ზაფხულში და საერთოდ, ცხელ ამინდში ფეხები ხშირად გვიოფლიანდება და ეს სერიოზულ პრობლემას გვიქმნის. ამისთვის კარგია ფეხების სპეციალური აბაზანა:*

შეათბეთ წყალი, დაუმატეთ გვირილის მუქი ნაყენი. აბაზანაში ფეხები 15-20 წუთით მაინც უნდა ჩააწყოთ; შემდეგ საგულდაგულოდ შეიმშრალეთ და შეიზილეთ ფეხისგულებში ალოეს წვენი. დაიცადეთ, სანამ შეგაშრებოდეთ. პროცედურა 2 დღეში ერთხელ გაიმეორეთ.

*დაღლილი და შეშუპებული ფეხებისათვის კი ასეთი აბაზანა მოამზადეთ:*

3 ლიტრ თბილ წყალში ჩაასხით 1 ჩ/კ ძმარი და ჩააწყვეთ ფეხები მანამ, სანამ წყალი არ გაცივდება. შეიმშრალეთ და ათიოდე წუთით შემაღლებულ ადგილზე შემოაწყვეთ. ■

| ...ფეტი | „... ზღვას შუა“ | პატარა მფრინავი მუძუმწოვარი | რუსული ნაციონალური სიმებიანი ინსტრუმენტი | მცირე თხრილი | ტაილანდის ძველი სახელწოდება | მექსიკელი ფერმერი — რანჩოს მეპატრონე |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...ბსონი | კარგად მოსიარულე ცხენი | სიროფში მოხარშული ხილი | მამაკაცი ძიძა | სამგზავრო ავტობუსის მარკა | ... გულში მღეროდა, ყმანო, ბანი მითხარითო | იგივეა, რაც ჩრდილი |

# ...ამ დროიდან იგი შუამდგომელია ღმერთსა და ადამიანებს შორის

**28 აგვისტოს, მართლმადიდებლური სამყარო სადღესასწაულოდ აღნიშნავს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებას — მარიამობას...**

*შორენა მერკვილაძე*

წმინდა მამათა მოძღვრებით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ხანდაზმულ ასაკში მიიძინა. ბასილი დიდი გვაუწყებს, რომ ამა სოფლიდან გასვლის ჟამის შესახებ წმინდა მარიამს ზეციდან ეუწყა, კერძოდ – მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა ხელში ზეთისხილის რტოთი და აუწყა, რომ 3 დღეში აღესრულებოდა. ღვთისმშობელი ძალიან გაახარა ამ უწყებამ და მიცვალებისათვის მზადება დაიწყო...

ეკლესიური გადმოცემის თანახმად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მაცხოვრის ზეცად ამაღლებიდან მეჩვიდმეტე წელს მიიცვალა წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც იგი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა, უფლის ანდერძისამებრ. გარდაცვალების წინ, ღვთისმშობელს მოციქულების ნახვა სურდა, რათა დამშვიდობებოდა მათ, ეს თითქოს შეუძლებელი იყო, რადგან მოციქულები სხვადასხვა ქვეყანაში იყვნენ წასულები, ქრისტიანული სჯულის საქადაგებლად. მაგრამ ღმერთმა სასწაულებრივად, იერუსალიმში შეკრიბა ყველა მოციქული, თომას გარდა, რომელიც გარკვეული მიზეზის გამო გზაში დაბრკოლდა. წმინდა ქალწულმა აკურთხა მოციქულები და შეკრების მიზეზი ამცნო. შემდეგ, სამადლობელი გალობა დაიწყეს, მთელი ღამე ლოცვასა და გალობაში გაატარეს, შუაღამისას უფლის ბრძანება ესმათ, რომ ჯეროვანი პატივი მიეგოთ ღმერთის დედის მიცვალებისათვის. თვად ღვთისმშობელს კი ესმა ხმა ძისა, რომ ნუ შეძრწუნდებოდა, რამეთუ ყოველი დაბადებული, მისი სიწმინდის თაყვანისმცემელი იყო. ყოვლადწმინდა მარიამმა თავის ძეს ყოველი დაბადებული შეავედრა, შემდეგ, იაკობ მოციქულისაგან ზიარება მიიღო და ყოველთა ქრისტიანთათვის წყალობა ითხოვა.

როცა ჟამი მოიწია, გამოცხადდა იესო ქრისტე, ანგელოზთა თანხლებით: „...და ყოვლად უბიწო სული მშობლისა თვისისა საღმრთოთა მათ და უხრწნელთა მკლავთა თვისისა ზედა მიირქუა და ამაღლდა ზეცად“. ღვთის დედის ამქვეყნიური ცხოვრებიდან გასვლა იმდენად ნათელი, მშვიდი და სიხარულით



ნაჯერი იყო, რომ მოციქულებმა მისი გარდაცვალება, მიძინებად აღიქვეს, ამიტომაც ეწოდება ღვთისმშობლის მიცვალების დღესასწაულს – მიძინება ყოვლადწმინდა დედოფლისა ჩვენისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.

მოციქულებმა ღამე ლოცვით გაათიეს. პარასკევს დილით, ღვთისმშობლის წმინდა სხეული გეთსიმანიის ბაღში წაასვენეს, ანთებული ლამპრებითა და ფსალმუნთა გალობით, რადგან ღვთისმშობელი დავით მეფის ტომიდან იყო, იესიანდავითიანთა საგვარეულო სამარხში დაკრძალეს.

სამი დღე-ღამის მანძილზე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დაკრძალვის ადგილიდან ანგელოზთა განუწყვეტელი გალობა ისმოდა. მესამე დღეს – კვირას, გეთსიმანიაში დაბრუნდა თომა მოციქული და წმინდა ქალწულის ნეშტის თაყვანისცემა მოისურვა. სამარხი რომ გახსნეს, იქ მხოლოდ ღვთისმშობლის შესამოსელი იპოვეს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მაცხოვარმა თავისი ყოვლადწმინდა დედის სხეულიც ზეცად აღამაღლა. მოულოდნელად, მოციქულებს წმინდა მარიამი გამოეცხადა: „და აჰა გამობრწყინდა ნათელი ბრწყინვალე წინაშე კიდობანსა მას, ვითარცა ხორცითა და ჩვეულებისაებრ მდგომარე იხილეს წმინდა ღვთისმშობელი და თაყვანი სცეს“. ზეციურმა დედოფალმა გაამხნევა მოციქულები და აღუთქვა, რომ ყოველთვის იქნებოდა მათთან შემწედ და მფარველად.

როგორც აღვნიშნეთ, წმინდა ქალწული მიძინების შემდეგ, სულით და სხეულით ამაღლდა ზეცად და წმინდა სამების მიერ ხელდასხმულ იქმნა ზეციურ დედოფლად. ამ დროიდან იგი შუამდგომელია ღმერთსა და ადამიანებს შორის. ამიტომაც ეგებება წმინდა ეკლესია წმინდა მარიამის მიძინებას, მწუხარების ნაცვლად, სიხარულითა და სადღესასწაულო განწყობით.

წმინდა ქალწულმა მთელი თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ლოცვაში გაატარა. როგორც მღვდელმთავარი ამბროსი მედიოლანელი წერს – „იგი არა მარტო ხორცით, სულითაც ქალწული იყო, გული მოხარული ჰქონდა, სიტყვა გაზომილი, ჭკვიანი, სიტყვაძუნწი, საუბარშიც უმანკო იყო, უყვარდა კითხვა და შრომა... სხეულის მიმოხრა მორიდებული, ნაბიჯი უხმაურო, გაუბზარავი ხმა ჰქონდა...“ ეპიფანე კვიპროსელი კი გვამცნობს, რომ „ღვთისმშობელი იყო საშუალო სიმაღლის, სახე ჰქონდა ხორბლის ნაყოფის ფერისა, გამოხედვა სწრაფი, გამჭოლი, წარბები მშვილდივით გადაჭიმული, მუქი ფერისა, ცხვირი საშუალო, ბაგეები ვარდისფერი და ტკბილად მოუბარნი. საუბრისას კეთილი ზნის მაგალითს იძლეოდა, არ აღშფოთდებოდა ხოლმე, სრულიად უბრალო, ყოველგვარ ხელოვნურობას მოკლებული... ტანსაცმელს ატარებდა უბრალოს... ყოველ მის საქმეში ღმრთაებრივად ანათებდა უხვი მადლი“.

წმინდა ღვთისმშობელი განსაკუთრებული ღვთიური ძალისა და მადლის მატარებელი ზებუნებრივი არსებაა. იგი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღლესი დასის ანგელოზებზე მაღლა დგას: „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა“... ამგვარად, ხმიანებს წმინდა მარიამისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი საგალობელი. ■

# სვანეთისკენ მიმავალი მადლიანი გზა

## ანუ ვინ იყვნენ ფუსტელები

**საქართველოს ისტორიის მანძილზე, ბევრი ტრადიცია მიეცა დავიწყებას. ერთ-ერთი ასეთი საეკლესიო დღესასწაული გახლავთ ფუსტობა. ჩვენს ქვეყანას ოდითგანვე უამრავი მტერი ჰყავდა. მათი პირველი სამიზნე კი ეკლესიები და იქ დაცული სიწმინდეები გახლდათ. ქართველები ქმნიდნენ ჯგუფებს, სადაც ერთიანდებოდნენ ის ადამიანები, ვისაც ავი ჟამის დადგომის დროს, ეკლესიების დაცვა ევალებოდა. ამ ადამიანებს ფუსტები (ფუსტის რაინდები) ერქვათ. მათ ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ უფლის სახლის დაცვა. ამ ძველი ტრადიციის შესახებ გვესაუბრება მამა ავთანდილ გიორგობიანი.**



მამა ავთანდილ გიორგობიანი

*მარი ხაჭარიძე*

— ფუსტობა ჯერ კიდევ 4000 წლის წინ არსებობდა, შუამდინარულ და ხეთურ სამყაროში, ოღონდ მაშინ ფუსტელები წარმართულ რელიგიას მსახურებდნენ. როგორც კი ქრისტიანული სარწმუნოება დამკვიდრდა, მათ ქრისტიანული ტაძრების დაცვა დაიწყეს. ფუსტი სვანურად უფალს ნიშნავს. ფუსტელი კი არის ადამიანი, რომელიც სიწმინდეებისა და ეკლესიების მფარველი, პატრონი და დამცველია. საქართველოს უამრავი მტერი ჰყავდა და ყოველი მათგანი, პირველ რიგში, ეკლესიისა და ხატების განადგურებას ცდილობდა. როგორც კი საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს აოხრების საშიშროება დაემუქრებოდა, ფუსტელების მიერ ხდებოდა იმ ადგილიდან სიწმინდეების წაღება და შედარებით დაცულ ადგილზე გადატანა. ერთ-ერთი ასეთი ადგილი გახლდათ სვანეთი, რადგან ის მტრისთვის ძნელად ხელმისაწვდომი იყო. რაჭაში გახლავთ სოფელი ფუტიეთი. ეს სოფელი ასრულებდა ფორპოსტის (შემნახველის) ფუნქციას საუკუნეების განმავლობაში. ეს გახლავთ საეკლესიო სოფელი, საკათალიკოსო ღირსებით. იქ გახლავთ სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც დღემდე სვანურ ეკლესიას ეძახიან. ამ კომპლექსში გაერთიანებულია წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და რამდენიმე ციხესიმაგრე. როდესაც ფუსტელებს სიწმინდეები გადაჰქონდათ, სწორედ სოფელ ფუტიეთში ისვენებდნენ და მათაც სწორედ სვანურ ტაძარში ასვენებდნენ. იქვე იყო წყარო, სადაც ხდებოდა ამ სიწმინდეების ,,გავლება‘‘. ფაქტობრივად, ეს ნაკურთხი წყარო გახლავთ, რადგან მასში უამრავი სიწმინდეა გავლებული და ამ წყალს მაკურნებელი თვისებებიც აქვს. ცნობილი ფაქტია, რომ სვეტიცხოვლის სიწმინდეების საცავი იყო სოფელი ეცერი, რომელიც სვანეთში მდებარეობს...

— **მშვიდობიანობის ჟამს, სიწმინდეები თავდაპირველ სამყოფელს უბრუნდებოდა?**

— ხშირ შემთხვევაში, ალბათ არა, რადგან სხვადასხვა მტრის ბატონობა წლების განმავლობაში გრძელდებოდა და ამის გამო, სიწმინდეები დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა სვანეთში. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ამ კუთხეში აურაცხელი სიმდიდრე იყო თავმოყრილი. გზა, რომელზეც ამ სიწმინდეებს გაატარებდნენ ხოლმე, გახლავთ საჩხერე-მესტიის გზა, რომელიც დღესდღეობით არ ფუნქციონირებს. წარმოიდგინეთ, ის მადლი, რომელიც ამ გზას აქვს. ,,ადიშის ოთხთავი‘‘, რომლიც შატბერდში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია) გახლავთ გადაწერილი, ამ გზაზეა გამოტარებული. ასევე ,,კორიდეთის ოთხთავი‘‘, რომელიც თურქეთში, ჭოროხის ხეობაში, პეტრიწის მონასტერში გახლდათ, სწორედ ამ გზაზეა გამოტარებული და მიტანილია სვანეთში. ეს ამბები მე-13 საუკუნეში ხდებოდა და თითქმის წარმოუდგენელია, რომ იმ დროში, ფუსტელებმა შეძლეს თურქეთიდან სიწმინდეების გამოტანა და გადარჩენა. სვანებს, როგორც ფუსტის რაინდებს, საეკლესიო სიწმინდეების დაცვის ფუნქცია ჰქონდათ. ამ ფუნქციაში შედიოდა არა მარტო დაცვა, არამედ ეკლესიაში წესრიგის დამყარებაც. ეს ძალზე დიდი მისიაა. ამ ფუნქციის გაღვიძება და თანამედროვე ადამიანების ცნობიერებაში შემოტანა ძალზე საჭიროა.

— **წელან საუბრობდით, საჩხერე-მესტიის გზაზე, რომლითაც ხდებოდა სიწმინდეების გადატანა. ამ გზის აღდგენა შესაძლებელია?**

— ეს გზა დაკეტილი იყო თითქმის 200 წლის განმავლობაში – 1819-20 წლის საეკლესიო აჯანყების შემდეგ. ალბათ მოგეხსენებათ, რას მოჰყვა საეკლესიო აჯანყება. როგორც კი რუსები საქართველოში შემოვიდნენ, გააუქმეს ავტოკეფალია და დაიწყეს საეკლესიო სიმდიდრის, ხატების, ჯვრების გატანა საქართველოდან. სიწმინდეების გადასარჩენად ამოქმედდა საუკუნეების წინ ჩამოყალიბებული მექანიზმი და ფუსტელებმა



ფუსტის რაინდებს ასეთი წესი ჰქონდათ – ისინი ტანისამოსის შიგნით დიდ ჯვრებს ატარებდნენ




**ფუსტელებმა სწორედ ამ გზით დაიწყეს სიწმინდეების ევაკუაცია... სვანეთისკენ მიმავალ ფუსტის რაინდებს რუსის ჯარი აედევნა...**

სწორედ ამ გზით დაიწყეს სიწმინდეების ევაკუაცია. სვანეთისკენ მიმავალ ფუსტის რაინდებს აედევნა რუსის ჯარი. პირველი შეტაკება მათ შორის მოხდა გურიაში, სოფელ შემოქმედში, მეორე – იმერეთში, სოფელ საზანოში, სადაც 400 ფუსტელი დაიღუპა. შემდეგ, მათ გააგრძელეს გზა და რაჭაში, სოფელ ფუტიეთში მოხდა კიდევ ერთი შეტაკება. რუსი გენერალი აღწერს ბრძოლის მომენტებს და აღნიშნავს, რომ მებრძოლებს შორის იყვნენ ადამიანები, რომლებსაც კისერზე დიდი ჯვრები ეკიდათ. მისი ვარაუდით, ისინი მღვდლები იყვნენ. რა თქმა უნდა, ფუსტელებს შორის სასულიერო პირებიც იქნებოდნენ, მაგრამ ფუსტის რაინდებს ასეთი წესი ჰქონდათ – ისინი ტანისამოსის შიგნით დიდ ჯვრებს ატარებდნენ. რაც შეეხება სოფელ ფუტიეთში მომხდარ შეტაკებას, რუსის ჯარსა და ფუსტელებს შორის, დამთავრდა იმით, რომ ფუსტის რაინდებმა გზა გადაკეტეს და ექსპედიციას, რომელსაც სიწმინდეები მიჰქონდა ჯორებით, ნაწილი კი ხალხს ჰქონდა ზურგზე მოკიდებული, საშუალება მისცეს, უვნებლად გასულიყვნენ. ამ შეტაკების დროს 2000-მდე ფუსტელი დაიღუპა. მათ სიწმინდეების გადარჩენას შესწირეს სიცოცხლე. მოგვიანებით, რუსულმა ხელისუფლებამ სოფელი ფუტიეთი სახელმწიფო ხაზინას გადასცა. ახლა ვცდილობთ, რომ სოფლის სტატუსი აღვადგინოთ და გზა საჩხერიდან მესტიამდე, საპატრიარქოს იურისდიქციაში მოვაქციოთ. ვცდილობთ ამ გზის აღდგენას. გზის უმეტესი ნაწილი მოქმედებაშია. აღსადგენია მხოლოდ 25 კილომეტრი. გზის აღდგენით, მესტიამდე გზა მთელი 300 კილომეტრით შემცირდება. გარდა ამისა, რომ ეს მადლიანი გზაა, მისი აღდგენა მთის დაცლას შეუშლის ხელს. შეჩერდება მიგრაციის პროცესი. ჩვენ ახლა აღარ ვართ პრაქტიკოსი ქრისტიანები, ჩვენ თეორეტიკოსი მორწმუნეები ვართ. გვინდა, რომ ეკლესიაში მივიდეთ, პირჯვარი გადავიწეროთ, ვილოცოთ და მორჩა! აქ მთავრდება ჩვენი ქრისტიანობა. ჩვენი წინაპარი კი ხმლის მოქნევისა თუ შრომის დროსაც ქრისტიანი გახლდათ. დღესდღეობით, მხოლოდ სვანეთშია შემორჩენილი დაურღვეველი ტაძრები. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამ ხალხს უფლის მიმართ ერთგულება, სიყვარული უაღრესად მაღალ დონეზე ჰქონდა. ამიტომ დროზე უნდა მივხედოთ სვანეთს და საერთოდ, მთას, თორემ კატასტროფის წინაშე დავდგებით. სვანეთიდან მიგრაციის შეჩერების ერთ-ერთი გზა სწორედ საჩხერე-მესტიის გზის აღდგენა გახლავთ.

**— ხომ არ არსებობს განსაკუთრებული წესი, რომლის მიხედვითაც ხდებოდა ფუსტის რაინდების შერჩევა და კურთხევა?**

– რა თქმა უნდა, არსებობდა. ეს ადამიანი უნდა ყოფილიყო ნამდვილი ვაჟკაცი, მორწმუნე და კარგი მებრძოლი. ყველას ჰგონია, რომ სვანური კოშკი თავდაცვის მიზნით შენდებოდა. კოშკების უმეტესი ნაწილი XI-XII საუკუნეებშია აგებული. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში სტაბილური მდგომარეობა იყო. ამიტომ არც გარეშე მტრის ეშინოდათ, არც შიდააშლილობის. მაშ, რად აშენებდნენ კოშკებს? კოშკი გახლავთ ტიტულის მაჩვენებელი. მხოლოდ ფუსტის რაინდს ჰქონდა უფლება, კოშკი აეშენებინა. ქართლში გახლავთ სოფელი წინარეხი, სადაც პაპუნა მაღალაიძის კოშკი მდებარეობს. ის აგებულია 1576 წელს და ზუსტად სვანური კოშკის ასლი გახლავთ. პაპუნა გახლდათ სვეტიცხოვლის სახლთუხუცესი, ანუ ფუსტის არდის უფროსი მცველი. კოშკი აიგო, როგორც ამ ტიტულის მატარებელმა რაინდმა...

**— მე მახსოვს ამბავი, როდესაც რამდენიმე სვანმა ეკლესიიდან სიწმინდეების მოპარვა სცადა...**

– ღვთის განგება დიდია და უფალი ძლიერი. თქვენ იხსენებთ ამბავს, როდესაც კვირიკეს ტაძრიდან ხატები მოიპარეს. როდესაც ქურდები ტაძრიდან გამოვიდნენ, ნისლი ჩამოწვა. მათ იარეს, იარეს და ბოლოს, ისევ ეკლესიის კართან მივიდნენ. ქურდები ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ. წარმოუდგენელია, რომ გზა არეოდათ და აღმართ-დაღმართი ვერ გაერჩიათ, მაგრამ უფალმა ისე აუბნია მათ გონება, რომ მოპარული სიწმინდეებიანიად, ისევ ეკლესიაში დაბრუნდნენ.

**— ვიცი, რომ მოძრავი ტაძარი გაქვთ და მაღალმთიან სოფლებში მრევლს თვითონ აკითხავთ ხოლმე.**

– დიახ, მაქვს პატარა ფურგონი, რომლითაც სოფლებში დავდივარ. რაჭაში გახლავთ სოფელი ჯგრისუბანი, სადაც ერთ-ერთი ყველაზე ძველი, VI-VII საუკუნეში აშენებული ეკლესია მდებარეობს. 1994 წელს, იქ ერთადერთი მოხუცი ქალი ცხოვრობდა, რომელიც ჩემი მრევლი გახლდათ. ის ისე დაღუპულა, რომ ვერავის გაუგია, რამდენიმე დღის შემდეგ მეზობელი სოფლიდან, შემთხვევით გამვლელმა ნახა ხის ძირში გარდაცვლილი. ასევე, რაჭაში არის სოფელი შარდონეთი, სადაც ერთი ქალი, მარგალიტა ცხოვრობდა, ის ქალი საკუთარ სახლში მგელმა შეჭამა. ვერავინ მიეხმარა, რადგან ის სოფლის უკანასკნელი მცხოვრები იყო. თუ მთას არ მივხედავთ, აი, ასეთი დღე მოგველის და სწორედ ამიტომ ვცდილობთ, რომ სვანეთს მაინც შევუნარჩუნოთ მოსახლეობა. ■


**ჩვენ თეორეტიკოსი მორწმუნეები ვართ... ჩვენი წინაპარი კი ხმლის მოქნევისა თუ შრომის დროსაც ქრისტიანი გახლდათ...**

# აფთარი ჰოლივუდელი ქალები

**ჰოლივუდში აფთარ ლამაზმანებზე მუდამ დიდი მოთხოვნილებაა. ეკრანზე მათი გამოჩენა ხომ მთავარი გმირისთვის დამარცხების, მაყურებლისთვის — სიამოვნების, ფილმისთვის კი — შემოსავლის წინა პირობაა.**



„ახლოს არავინ მომეკაროს. კატა კი არა გააფთრებული ვეფხვი ვარ!"



**Forbes-ის მონაცემებით, ეს აფთარი ქალი 27 მილიონი დოლარი ღირს**

## ანჯელინა ჯოლი: იმაზე ბევრად უფრო ველური ვარ, ვიდრე რეპუტაცია მაქვს!

**ნაკლი:** სახის მსხვილი ნაკვთები, ნეგროიდული რასისთვის დამახასიათებელი ტუჩები, რომელსაც ზოგიერთი მამაკაცი ძალზე სექსუალურად მიიჩნევს.

ჭეშმარიტი პოპულარობა ეკრანებზე ფილმის „ლარა კროფტი: საფლავთა მძარცველი" გამოსვლის შემდეგ მოიპოვა. ანჯელინას კარგად ესმოდა, რომ ეს როლი ნიჭის გამო კი არა, კომპიუტერული თამაშის გმირთან საოცარი მსგავსების წყალობით მიიღო. როდესაც ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა, მტკიცედ გადაწყვიტა: იმისათვის, რომ მხოლოდ ერთი როლის შემსრულებელ მსახიობად არ დარჩენილიყო, ყველასგან გამორჩეული უნდა ყოფილიყო. მიზნის მისაღწევად კი ნებისმიერი ხერხი გამოდგებოდა.

**თვითდამკვიდრების გზები:** თავის გამოჩენა ნებისმიერი ხერხით. პირველ ქმართან, მსახიობ ჯონი ლი მილერთან დაქორწინებისას საკუთარ ქორწილში შავი ტყავის შარვლით და თეთრი პერანგით გამოცხადდა, რომელსაც საკუთარი სისხლით საქმროს სახელი წააწერა. ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. ბოროტი ხმები ამბობდნენ, რომ ანჯელინა ქმარს სცემდა. თავად ლი მილერი ირწმუნებოდა: „ველური და ცოტა არ იყოს, შეშლილი ვამპირი ქალის იმიჯი აქვს. სინამდვილეში კი, ის სულ სხვაგვარია". ჯოლი კი თავგამოდებით ამტკიცებდა: კარგად რომ მიცნობდეთ, მიხვდებოდით — ბევრად უფრო ველური ვარ, ვიდრე რეპუტაცია მაქვსო. ანჯელინა ჯოლის და ბილი ბობ ტორნტონის ქორწინებაც ხანმოკლე და სისხლიან-სკანდალური გამოხდომებით გამორჩეული იყო. განქორწინებაც და ტაივანელი ბიჭუნას შვილად აყვანაც ერთიანი ჯაჭვის ნაწილი იყო. ჰოლივუდის ოლიმპის მცხოვრებთა შორის ხომ ბავშვების შვილად აყვანა თავისებურ პრომოუშენად იქცა.

საკუთარი კარიერის ნოუ-ჰაუს ანჯელინა სრულიადაც არ ფარავს: „ჩემი სამსახიობო მონაცემები არ შეცვლილა (ანუ ძველებურად მოკრძალებული დარჩა). უბრალოდ, ახლა ჩემი სახე ჟურნალების გარეკანზე უფრო ხშირად ჩანს, პროდიუსერები კი აღარ კითხულობენ: — „ჯოლი? ეს ვინ არის?"

ანჯელინა ჯოლიმ ჰოლივუდში იმითაც გაითქვა სახელი, რომ ჰოლივუდის ერთ-ერთი სამაგალითო ოჯახი უკანმოუხედავად დაანგრია. ამბობენ, თითქოს ჯენიფერ ენისტონმა საკუთარი ყურით მოისმინა მეუღლის — ბრედ პიტისა და ანჯელინას საუბარი იმ დროს, როდესაც ისინი სატელეფონო სექსით იყვნენ დაკავებულნი, რასაც შედეგად განქორწინება მოჰყვა. ანჯელინა მიხვდა, რომ თავის მართლება უაზრობა იყო, მაინც არავინ დაუჯერებდა, ამიტომ მოკლედ მოჭრა: ცოლიან მამაკაცს ლოგინში არ ჩავუწვებიო. მას მართლაც არავინ დაუჯერა!

## მადონა: ხავერდის ხელთათმანში გახვეული რკინის ხელი

**ნაკლი:** დაბალია, აქვს მოკლე, დაგრეხილი ფეხები და წვრილი თვალები.

**თვითდამკვიდრების გზები:** ბავშვობაში ლუიზა ჩიკონე (მომღერლის ნამდვილი სახელი და გვარი) მშობლებსაც თავს აბეზრებდა და კათოლიკური სკოლის აღმზრდელ მონაზვნებსაც. მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე იხევდა და ყურადღების მისაქცევად ყველაფერზე მიდიოდა. მისი მიზანი კი დიდება და სიმდიდრე იყო. ინტრიგების, მდიდარი საყვარლებისა და სკანდალური გამოხდომების გარდა, მას კიდევ ორი თვისება ჰქონდა: ღვთისგან ბოძებულმა ნიჭმა და უდიდესმა შრომისმოყვარეობამ მადონა ჰოლივუდის ვარსკვლავად აქცია.

მადონა ადამიანებს დაუნდობლად იყენებდა, მათგან ყველაფერს იღებდა და შემდეგ, სანაგვეზე მოისროდა ხოლმე. გამონაკლისს მისთვის ძვირფასი ადამიანებიც კი არ წარმოადგენდნენ. თავის პირველ ქმარს, შონ პენსაც ასევე მოექცა. მადონა ახალგაზრდა „ლათინოსებზე" ნადირობდა, ქუჩაში მოსეირნე ყმაწვილებს დასდევდა და საკუთარ ლიმუზინში ლამის ძალით ტენიდა ხოლმე, რაც ხელს არ უშლიდა, შონ პენისათვის ეჭვიანობის სცენები და სკანდალები მოეწყო.

ახლა მას ყველაფერი აქვს. სახელსა და სიმდიდრესთან ერთად, საყვარელი მეუღლე გაი რიჩი და ორი შვილიც განუყრელად მის გვერდით არიან. „მატერიალური გოგონა" ლედიდ გადაიქცა, რომელიც სექსის თემაზე შექმნილი სკანდალური წიგნების ნაცვლად, ახლა საბავშვო ზღაპრებს წერს. მაგრამ ამ ქალის ერთხელ ხილვაც კი საკმარისია იმისათვის, რომ მიხვდეთ: მისი სიმშვიდე ხავერდის ხელთათმანში გახვეულ რკინის ხელს წააგავს.



1993 წელს მადონა პუბლიკას სიამოვნებით აგდებდა შოკში



**...ახლა მადონა წყნარადაა, მისი ქონება 0,5 მილიარდ დოლარს შეადგენს**

## ჯეი ლო: „მსახურმა საკუთარი ადგილი უნდა იცოდეს!“

**ნაკლი:** ის ემიგრანტი ლათინურამერიკელების შვილია. დიდი უკანალი, უშნო კბილები და ფართო ლაწვები აქვს.

გარეგნული სექსუალობის მიუხედავად, ინტიმოფობიით არის დაავადებული. მისმა პირველმა ქმარმა ოფიციანტმა ოჯიანი ნოამ მთელ ქვეყანას აუწყა, რომ მის ყოფილ მეუღლეს სექსზე ფიქრიც კი გულს ურევს: „ჯეი მუდამ მიზეზებს ეძებდა, რათა როგორმე ცოლქმრული მოვალეობის შესრულებისათვის თავი აერიდებინა. ზოგჯერ სააბაზანოშიც კი იკეტებოდა და ძალით ირევდა ხოლმე გულს“.

**თვითდამკვიდრების გზები:** გახმაურებული რომანები და სკნდალური განშორებები. ნოასთან განქორწინების შემდეგ, ჯეი ლო გაცნობიდან თვე-ნახევრის შემდეგ მოცეკვავე კრის ჯადს გაჰყვა ცოლად, რომელიც 9 თვის მერე ბენ აფლეკის გამო მიატოვა. მდორედ მიმდინარე მათ რომანს, რომელიც პიარაქციას უფრო წაავავდა, მთელი მსოფლიო გულდასმით ადევნებდა თვალს. როდესაც ბენ აფლეკმა სხეულზე ჯეის სახელის ამოსვირინგება გადაწყვიტა, მისმა საუკეთესო მეგობარმა მეთ დეიმონმა საჯაროდ მიმართა: „ანჯელინა ჯოლი ხომ არ ხარ? კარგად დაფიქრდი, იცოდე, რომ მუდმივი არაფერია...“ ჯეიმ სატრფო არჩევანის წინაშე დააყენა და კატეგორიულად მოსთხოვა: „ან მე, ან ის...“ და ბენ აფლეკმა საუკეთესო მეგობარი ამჯობინა... ცოტა ხნის წინ, ჯეი ლო კიდევ ერთხელ გათხოვდა. ამჯერად, მისი რჩეული მომღერალი მარკ ენტონია.

როდესაც დაწყებით სკოლაში სწავლისას ჯეი ლომ ერთ-ერთ კონკურსზე მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა, გამარჯვებულ კონკურენტს ქუჩაში დახვდა და მაგრად გალახა, შემდეგ კი მთელი სკოლა მტრად გადაიკიდა.

ლოპესი ღორულად მხოლოდ საყვარელ მამაკაცებს როდი ექცევა. მომსახურე პერსონალსაც აბუჩად იგდებს, გასამრჯელოს არავის აძლევს, გრიმიორ ქალებს ასილაქებს, სასტუმროებში სკანდალებს აწყობს და მოსამსახურეებს დაუნდობლად ეპყრობა.



ჯეი ლო — ბენ აფლეკს: „გაიღიმე, სურათს გვიღებენ!“



ჯენიფერი ახალ მეუღლესთან მარკ ენტონისთან ერთად



**აფთარი კეტრინ ზეტა-ჯონსი, მისი ქონება 51 მილიონი დოლარია**

## კეტრინ ზეტა-ჯონსი: „მე თქვენ ომს გიცხადებთ!“

**ნაკლი:** პროვინციალია, მაღალ საზოგადოებაში არავის იცნობს.

„გვინეტ პელტროუს შეუძლია თავს იმის უფლება მისცეს, რომ კეთილი და გულუხვი იყოს, მაგრამ მათ, ვისაც მის მსგავსად კავშირები არ გააჩნია, „ოცნების ფაბრიკასთან“ ახლოსაც კი არავინ მიუშვებს“, — ამბობდა კეტრინ ზეტა-ჯონსი მაშინ, როდესაც ჰოლივუდის ოლიმპის მწვერვალის დასაპყრობად ემზადებოდა.

**თვითდამკვიდრების გზები:** კეტრინს შედარებით იოლი გზით კარიერის მისაღწევად საყვარლების გამოყენება ღირსების შელახვად მიაჩნდა. ამას ამჯობინა, ცოლად სექსზე შეშლილ „ბაბუა“ მაიკლ დუგლასს გაჰყოლოდა. თავდაპირველად, მაიკლს თითის დაკარების ნებასაც არ აძლევდა. 8 თვე აწვალა და მხოლოდ შემდეგ გახდა მისი საყვარელი. ამ შესანიშნავმა ტაქტიკამ გაამართლა. კეტრინი დაორსულდა. დუგლასი კალთებს აგლეჯდა და ემუდარებოდა, ცოლად გაჰყოლოდა... ზეტა-ჯონსმა ერთხანს იფიქრა და თანხმობა განუცხადა.

ოჯახური ცხოვრების დასაწყისში, კეტრინი მაიკლ დუგლასის პირველ ცოლთან — დიანდრასთან ომით ირთობდა თავს. უცნაური ოჯახი ერთ სახლში ცხოვრობდა. დილით რომ კეტრინი ვარდებს დარგავდა, საღამოს ამ ვარდებს დიანდრა ამოთხრიდა ხოლმე. დღისით პირველი ცოლი რომ ავეჯს დადგამდა, საღამო ხანს მეორე ცოლი გარეთ გაუძახებდა და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ დუგლასს ცოლების საომარი მოქმედებანი არ მოჰბეზრდა და კეტრინს ბერმუდის კუნძულებზე სახლი არ უყიდა.

## ლარა ფლინ ბოილი: „აფთრობა სიამოვნებას მანიჭებს“

**ნაკლი:** სერიალში „ტვინ პიკსი“ მიღწეული წარმატების მიუხედავად, ის მაინც მესამე ეშელონის მსახიობად დარჩა. ჰოლივუდში ლარა არ უყვართ. პროდიუსერები ლარა ფლინ ბოილის საშინელ ხასიათს მხოლოდ მისი სექსუალობის ხათრით ეგუებიან.

**თვითდამკვიდრების გზები:** მისი ყოველი მომდევნო ბოიფრენდი წინამორბედზე უფრო „მაგარი“ ბიჭია: ლარამ ერთმანეთის მიყოლებით მიატოვა კაილ მაკლაჰენი, დევიდ სპეიდი და უკვე რამდენიმე წელია, ჯეკ ნიკოლსონთან აქვს რომანი. „ჩემი და ჯეკის კავშირი ყველას მოსვენებას უკარგავს. ისეთი რა მოხდა? მასთან ვირტუალურ კავშირს თითქმის ყველა ამერიკელი ქალი ამყარებს!“ — ამბობს ლარა ფლინ ბოილი. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო — სწორედ ამ ბობოქარ წყვილზეა ნათქვამი, რომელიც ნომერში მოწყობილი სკანდალების გამო არაერთხელ გაუსახლებიათ სასტუმროდან.

ლარა ალბათ ერთადერთია იმ ჰოლივუდელ ლამაზმანებს შორის, ვინც თავის აფთრის ტიტულს ამაყად ატარებს და გულახდილად აღიარებს: „ხშირად აფთარ ქალს მიწოდებენ და ეს, ქათინაურად მიმაჩნია. მამაკაცები ჩემზე ჭკუას მხოლოდ იმიტომ კარგავენ, რომ ასეთი ვარ!“



სამუდამოდ მესამე ეშელონის მსახიობად ყოფნა იოლი როდია...



შერონ სტოუნი — „მამაკაცი ის მხეცია, რომელიც აუცილებლად უნდა მოათვინიერო“. მისი ქონება 72 მლნ დოლარს შეადგენს



ბოიფრენდთან, ადვოკატ ბერნი კეხილთან ერთად (ლონდონი 2004 წელი), რომელსაც სულ მალე – 7 თვეში მიატოვებს...

## შერონ სტოუნი: „მე ანგარიშიანი მტაცებელი ვიყავი“

**ნაკლი:** ბავშვობაში უშნოდ ძვლებგამოჩრილი, სათვალიანი და თანაც, ძალზე ჭკვიანი (მისი IQ 150 ქულას შეადგენდა) გოგო იყო, რაც ბევრს ქალის ნაკლად მიაჩნია.

**თვითდამკვიდრების გზები:** შერონი ძალზე ჭკვიანი იყო და ადრევე მიხვდა, რომ შესაძლოა, წარმატება წინასწარ გათვალო, ამისთვის ჭკუა, სტილი და ცოტაოდენი სკანდალია საჭირო. შერონ სტოუნს კარგი როლები ნაკლებად ჰქონდა, მას დღესაც „ძირითადი ინსტინქტის“ გმირთან აიგივებენ და ამ იმიჯს თავადაც დიდხანს ინარჩუნებდა. მრავალრიცხოვან საყვარლებთან ურთიერთობისას, ერთ კანონს მუდამ მკაცრად იცავდა: „მამაკაცი ის მხეცია, რომელიც აუცილებლად უნდა მოათვინიერო“. მიიჩნევდა შერონი და როდესაც მოსათვინიერებელ ობიექტზე მისი არგუმენტები არ ჭრიდა, შერონი მუშტი-კრივსა და არანორმატიულ ლექსიკასაც წარმატებით იყენებდა.

წლების მატებასთან ერთად აფთარ ქალბატონს სხვებივით მყუდრო კერა, ქმარშვილი და ოჯახი მოუნდა. სწორედ მაშინ გამოჩნდა მის ცხოვრებაში ფილ ბრონშტეინი, ერთადერთი მამაკაცი, რომელმაც შერონ სტოუნის ცოლად შერთვა გაბედა; მათი მომავალი ბედი ყველასათვის ცნობილია: ცოლ-ქმარმა ბავშვი იშვილა, შემდეგ კი ერთმანეთს გაშორდა. მზრუნველი დედის როლში შერონ სტოუნის წარმოდგენა ერთობ ძნელია, მაგრამ ფაქტი ფაქტადვე რჩება. „თავდაპირველად, ანგარიშიანი მტაცებელი ვიყავი, ახლა კი ბავშვს ვუვლი და თავს კომფორტულად ვგრძნობ“, — ამბობს მსახიობი.

## ჯულია რობერტსი: „ცუდი გოგონები მუდამ მოგებულნი რჩებიან“

**ნაკლი:** ჯულიას გრძელცხვირა მახინჯს ეძახდნენ, მოუხეშაობისა და მოუქნელობის გამო ჩირლი-დერშის სასკოლო გუნდშიც კი არ მიიღეს. ბავშვობის დროინდელი კომპლექსები ჯულია რობერტსს დღესაც კი ტანჯავს. თავი გრძელცხვირა და დიდპირა ჰგონია. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ეს ნაკლი მომავალში მის უმთავრეს ღირსებად იქცა. ჯულიას დიდი პირი რეჟისორმა მოხერხებულად გამოიყენა და ფილმში „ლამაზმანი“, მეძავი ქალის შესანიშნავი სახე შეიქმნა, რომელმაც ჯულია რობერტსს დიდება და ფული მოუტანა.

**თვითდამკვიდრების გზები:** მთელი მსოფლიოს მამაკაცების ინტერესის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება „ჰოლივუდის მარადი საპატარძლოს“ ტიტული გახლდათ. ჯულია ამ სტატუსთან განშორებას არ ჩქარობდა და მისი შენარჩუნებისათვის ყველაფერს აკეთებდა. მისი საყვარლების სია „ჰოლივუდის მისამართების ცნობარს“ წააგავს. ჯულიას პირველი მონაპოვარი ლაიამ ნისონი იყო; ერთი წლის ვნებიანი რომანის შემდეგ, ჯულიამ ნისონი მიატოვა და დილან მაკდერმოტთან გააბა რომანი, რომელსაც კიფერ საზერლენდთან ულალატა, მაგრამ კიფერსაც არ გაუმართლა: უკვე საკურთხეველთან მისული პატარძალი მის საუკეთესო მეგობართან ერთად გაიქცა. ჯულიამ მოღალატის, აფთარი ქალისა და... ჰოლივუდის ულამაზესი ქალის რეპუტაცია მოიპოვა. ტყუილად როდი ამბობენ: კარგი გოგონები სამოთხეში ხვდებიან, ცუდები კი სწორედ იქ, სადაც თავად უნდათო.

ფსიქოანალიტიკოსი ვერა მოდერი ჯულია რობერტსის ყველა პრობლემას პირველსავე სეანსზე ჩასწვდა: „ძვირფასო! თქვენ მარტოსული ბრძანდებით. მამა არ გყავდათ, ამიტომ ქვეცნობიერად მუდამ მამაკაცის ყურადღების მიქცევას ცდილობთ“, — მაგრამ ამ დროისთვის „ლამაზმანის“ გარშემო უკვე ყველაფერი ნაცარტუტად იყო ქცეული. მისი წრის მამაკაცებს მასთან მიახლოებისაც კი ეშინოდათ. ჯულიას საქმრო სანთლით საძებნელი გაუხდა, მაგრამ ბოლოს მაინც მოახერხა და ქმარი... საკუთარ ფსიქოლოგს წაართვა. ოჯახურმა ბედნიერებამ ჯულიას ხასიათი ვერ შეუცვალა: სკანდალებს აწყობდა, დენი მოდერს კარისკენ მიუთითებდა ხოლმე და ხშირად მუშტი-კრივსაც არ ერიდებოდა. საქმე უკვე განქორწინებამდე იყო მისული, მაგრამ ამ დროს მისი ოცნება ახდა. ჯულია დაორსულდა. ნანატრმა ორსულობამ ოჯახური პრობლემები თითქოს მოაგვარა. გასული წლის ნოემბერში ჯულია რობერტსს ტყუპი შეეძინა და განაცხადა, რომ უახლოეს წლებში კინოინდუსტრიასთან ყველანაირ კავშირს წყვეტს.



## ჯოან კოლინზი: „70 წლის ასაკში ცხოვრება მხოლოდ იწყება“

**ნაკლი:** დაბალია, დაგრეხილი ფეხები და დიდი თავი აქვს. პატარაობისას კი უმშვენიერესი ბავშვი იყო. მშობლებმა მის სასეირნო ეტლზე ასეთი წარწერაც კი მიამაგრეს: „ძალიან გთხოვთ, არ მაკოცოთ!“ მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ ანგელოზის გარეგნობის მიღმა, საშინელი ხასიათი იმალებოდა.

შოუბიზნესში კარიერა სამოდელო სააგენტოსა და მსუბუქი პორნოს მეშვეობით დაიწყო. 18 წლის იყო, როდესაც ინგლისელ მსახიობს მაქსველ რიდს გაჰყვა ცოლად. მოხერხებულმა მეუღლემ არაბ შეიხს ცოლი 30 ათას დოლარად მიჰყიდა, მაგრამ ჯოანმა გაქცევა მოასწრო და თავი ჰოლივუდს შეაფარა.

**თვითდამკვიდრების გზები:** დემონსტაციულ უარს ეუბნებოდა იმ მამაკაცებს,



ჯულია რობერტსი ქმართან, დენი მოდერთან ერთად. ადვილი მისახვედრია, ვინ მბრძანებლობს ამ ოჯახში, რა თქმა უნდა, ის, ვისი ქონებაც 176 მლნ დოლარზე მეტია



ახალგაზრდა მეუღლესთან პერსი გიბსონ-თან ერთად

რომელთა წინაშე ჰოლივუდის ლამაზმანები ვნებიანად თრთოდნენ. ცნობილი მექალთანე, ელიზაბეტ ტეილორის ყოფილი ქმარი რიჩარდ ბარტონი უკლებლივ ყველა(!) პარტნიორს ლოგინში უძვრებოდა, მაგრამ ჯოან კოლინზის მოხიბვლა ვერ შეძლო და საწოლში ვერაფრით შეიტყუა. ჯოანმა მარლონ ბრანდოს შეტევებსაც გაუძლო. მთელი სამყაროს ქალების კერპმა მიპატიჟებაზე ისეთი პასუხი მიიღო, გამწარებულმა ტელეფონის ყურმილი დაამსხვრია. 40 წლის ჯოანი ჟურნალ „პლეიბოის“ ფურცლებზე შიშველი გამოჩნდა. შემდეგ კი ტელესერიალში „დინასტია“ თავისი საუკეთესო როლი ითამაშა და მას შემდეგ მეტსახელად „აფთარი ალექსისი“ შემორჩა.

ჯოანი ჰოლივუდის ცნობილ ლოველასზე უორენ ბიტიზე იყო დანიშნული, მაგრამ საქმროს მალევე დაუნდობლად უღალატა და მიატოვა. 69 წლის ასაკში ცოლად 36 წლის პერუელ პერსი გიბსონს გაჰყვა და „პლეიბოისათვის“ კიდევ ერთხელ გაშიშვლდა. მისი ცხოვრებისეული დევიზი ასე ჟღერს: „სილამაზე ყველაფერი როდია, მთავარი — ხასიათია!“ — ამ აზრს მთელი მსოფლიოს „აფთარი“ ქალები ეთანხმებიან. ■



ჯოან კოლინზი... 70 წლისაა



## დრიუ ბერიმორს კამერონ დიასის მეჯვარეობა სურს



როგორც მსახიობმა დრიუ ბერიმორმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მას დიდი სურვილი აქვს იმისა, რომ საკუთარი მეგობრისა და კოლეგის — კამერონ დიასისა და ჯასტინ ტიმბერლეიკის ქორწილში პატარძლის ხელისმომკიდე იყოს. დრიუს ეჭვიც არ ეპარება, რომ დიასი და ტიმბერლეიკი მალე დაქორწინდებიან და რომ ისინი ერთმანეთისთვის არიან დაბადებულნი. „ზუსტად არ ვიცი, როდის შედგება ქორწილი, — აზუსტებს ბერიმორი. — მაგრამ კამერონი ჩემი საუკეთესო მეგობარია და ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა მისი მეჯვარეობა. კამერონი და ჯასტინი — შესანიშნავი წყვილია!“ შეგახსენებთ, რომ დიასმა და ბერიმორმა ერთად ითამაშეს ფილმებში: „ჩარლის ანგელოზები“ და „ჩარლის ანგელოზებო — წინ!“ ■

## კაილი კარლ ლაგერფელდმა შეიფარა



ქიმიოთერაპიის კურსის დამთავრების შემდეგ, კაილი მინოუგმა კარლ ლაგერფელდის ბიარიცში მდებარე ვილას შეაფარა თავი, სადაც სავარაუდოა, რომ ის თავის საქმროსთან, ოლივიე მარტინესთან ერთად, ძალების სრულ აღდგენამდე აპირებს დარჩენას. შეგახსენებთ, რომ მაისში პოპვარსკვლავს ექიმებმა მკერდის სიმსივნე აღმოუჩინეს და იძულებული გახდნენ, მისთვის ინტენსიური მკურნალობა ჩაეტარებინათ. „საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ ქიმიოთერაპიით მკურნალობა სახუმარო საქმე არ არის, ამ მხრივ გამონაკლისი არც კაილია, — ამბობს მომღერლის მეგობარი. — ის ამჟამად განსაკუთრებით მგრძნობიარედ რეაგირებს მოჭარბებულ ყურადღებაზე და ბუნებრივია, გარკვეული ხნის მანძილზე სურს, ცნობისმოყვარეთა თვალს მოერიდოს“. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კარლ ლაგერფელდის სახლი სათანადოდ აღმოჩნდება გამაგრებული და კაილი მოახერხებს აბეზარი პაპარაცებისგან თავის დაცვას. ■

## კრისტინა აგილერა: „გამოიბერტყეთ ყურები!“



საზოგადოებრივი ორგანიზაციის – YouthAIDS – მიერ წამოწყებულ ახალ კამპანიაში მონაწილეობდნენ კინოს, მუსიკისა და სპორტის ვარსკვლავები. ამ კამპანიის მეშვეობით ორგანიზაციას შიდსით დაავადებულთა და აივ-ინფიცირებულთა პრობლემებისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სურდა; მისი დევიზი გახლდათ – Hear No Evil, See No Evil, Speak No Evil („არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ, არაფერს ვიტყვი“). ვარსკვლავები მოუწოდებდნენ ახალგაზრდებს, ყურადღებით მოჰკიდებოდნენ შიდსის პრობლემას და აივ-ინფიცირებული მეგობრებისათვის ზურგი არ შეექციათ. სელმა ჰაიეკმა, ეშლი ჯადმა, სინდი კროუფორდმა, პენელოპა კრუსმა, ელაია ვუდმა და ჯონ ლუკასმა შოუბორდებისთვის გადაიღეს ფოტოები, რომლებზეც ვარსკვლავებს თვალები, ყურები და პირი დაფარული აქვთ. აქციაში მომღერალი კრისტინა აგილერაც მონაწილეობდა. პლაკატი, რომელზეც კრისტინაა აღბეჭდილი, ღაღადებს: „არ გინდა არაფრის გაგონება? მხოლოდ შარშან, შიდსმა 3 მლნ ადამიანი იმსხვერპლა. ამ დაავადების გავრცელების აღკვეთა შესაძლებელი იქნება, თუკი შენ ყურებს გამოიბერტყავ!“ ■

## ნახევარი მილიარდი „ლეონისათვის“




კონცერნ „ფოლკსვაგენში“ შემავალი ესპანური ფირმა Seat ავტობაზარზე მოდელის – Leon – გატანას იწყებს. ეს უკვე რიგით მესამე ნაწარმია, რომელიც „სეატმა“ დამოუკიდებლად შეიმუშავა: მანამდე, ესპანელებმა მოდელები – Altea და Toledo – შექმნეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მათგანი „ფოლკსვაგენის“ ანალოგიური მოდელების პლატფორმაზეა აგებული. მაგრამ ძარა და ტექნიკური აღჭურვილობის უამრავი ელემენტი ესპანელი კონსტრუქტორებისა და დიზაინერების ორიგინალური იდეების ნაყოფს წარმოადგენს. აქვე ვიტყვით, რომ ესპანურმა ფირმამ მხოლოდ Leon-ის შესაქმნელად, 500 მლნ ევრო გაიღო. „სეატის“ მესვეურები იმედოვნებენ, რომ ეს მოდელი ავტობაზარზე დამკვიდრებას მოახერხებს. საქმე ის გახლავთ, რომ ის სპორტული კუპეს ელეგანტურობისა და ხუთკარიანი ჰეჩბეკის კომფორტულობის ურთიერთშერწყმის მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს.

მანქანა 4 ტიპის ძრავებით იქნება აღჭურვილი – 2 ბენზინის და 2 – დიზელის. ისინი „ფოლკსვაგენშია“ შემუშავებული. მათ შორის ყველაზე მძლავრია ბენზინის აგრეგატი – 2.0 FSI, რომელიც 150 ცხ.ძ-ს ავითარებს. 2-ლიტრიანი დიზელის ძრავა – TDI – 140 ცხ.ძ. სიმძლავრისაა. ■

## Lamborghini ექსკლუზივების შემფასებელთათვის



ექსკლუზიური სპორტული მანქანების სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი, იტალიური ფირმა მომხმარებელს – Gallardo-ს სპეციალურ ვარიანტს სთავაზობს. ჩვეულებრივთან შედარებით, Gallardo SE (Special Edition) ცოტათი უფრო სწრაფია: 100 კმ/სთ სიჩქარეს 4,0 წმ-ში (ე.ი. 0,2 წმ-ით უფრო სწრაფად) ავითარებს. ძრავას სიმძლავრე 20 ცხ.ძ-ით გაიზარდა და 520-ს მიაღწია. შესაბამისად, გაიზარდა მანქანის მაქსიმალური სიჩქარე – 309-დან 315 კმ/სთ-მდე. სხვა ტექნიკურ სიახლეებს შორისაა: უკანა ხედის ტელეკამერა, რომელიც ცენტრალურ კონსოლზე მოთავსებულ დისპლეის აწვდის გამოსახულებას და ამით მძღოლს უკუსვლით მანევრირებას უიოლებს.

ოპციების სახით მომხმარებელს სთავაზობენ: ავტომატურ გადაცემათა კოლოფს E-Gear, სანავიგაციო სისტემას, გვერდითი სარკეებისა და სავარძლების გამათბობლებს. Gallardo SE ორფერიანია: სახურავი, კაპოტი, უკანა და წინა სპოილერები და გვერდითი სარკეები შავი აქვს, ხოლო ძარას სხვა ნაწილების 6 ფერიდან მომხმარებელს ერთ-ერთის შერჩევა მოუწევს, მათ შორისაა: თეთრი, ყვითელი, ნარინჯისფერი, მწვანე. მყიდველს საშუალება ექნება, სალონისთვისაც შეუკვეთოს ორი ფერის ნებისმიერი კომბინაცია.



ახალი მანქანის შემკვეთთათვის მიწოდება სექტემბრიდან დაიწყება. მისი ფასი, გადასახადების ჩაუთვლელად, 141.500 ევრო გახლავთ. Gallardo SE შეზღუდული სერიით (სულ 250) იწარმოება, ამიტომ თითოეული მანქანის სალონში ინდივიდუალური ნომრის აღმნიშვნელი დამღა იქნება. ■

## დამშვიდობება Honda NSX-სთან

იაპონური კომპანია წარმოებიდან ხსნის სპორტულ მოდელს – Honda NSX. ამასთანავე, ფირმამ გამოაცხადა, რომ მისი ახალი სპორტული მოდელი 2008 წლის დამლევისთვის გამოჩნდება ავტობაზარზე. ცოტა ხნის წინ ვარაუდობდნენ, რომ კონცეპტუალური მოდელის – NSC – ბაზაზე აგებული ახალი სპორტული „ჰონდას“ ხილვის საშუალება უკვე წლეულსვე მოგვეცემოდა, მაგრამ 2004 წლის შუა პერიოდში მის შესაქმნელად წამოწყებული მოსამზადებელი სამუშაოები შეაჩერეს. ამჟამად NSC-ის შესახებ რაიმე ინფორმაციას კომპანია არ ავრცელებს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ წარმოებიდან ამოსაღებად გამზადებული NSX-ისგან განსხვავებით, რომელიც 3,2 ლ მოცულობის 6-ცილინდრიანი ძრავათია (280 ცხ.ძ.) აღჭურვილი, ახალ ავტომობილს 10-ცილინდრიანი აგრეგატი ექნება. არაფერია ცნობილი აგრეთვე, ახალი მოდელის გარეგნულ მხარეზე. მისი ოფიციალური პრემიერა – ოღონდ, როგორც კონცეპტუალური მანქანის – 2006 წლის დამლევისთვისაა დაგეგმილი. ექსპერტთა აზრით, NSX-ის გაუჩინარების შემდეგ, მისი „თარო“ შესაძლოა, კონკურენტებმა – Nissan GT-R-მა და Lexus LF-A-მ დაიკავოს. ■





# მანიაკის ძღვენი

## ლუბა ელიაშვილი

***(დასაწყისი „გზა“ №28-33)***

**ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნიორა, რომელიც დროებით, ამერიკაში წასული მაგდას სახლში მთაწმინდაზე ცხოვრობს, ცდილობს, დაადგინოს, ვინ დაჭრა მისი ლაბრადორი ბონი და მართლა მოკლეს თუ არა, ხეზე აწყობილ ქოხში განდეგილად მცხოვრები თომა... მოსამსახურე ნაზიკო, ნიორას უყვება მეზობელი გოგონას, ბაიას უცნაურობების შესახებ, რომელსაც მისი თქმით, მხატვარი ბაკური უყვარს.**

**მოჩვენებების თემაზე მომზადებული რადიოგადაცემის დროს, სტუდიაში რეკავს კაცი, რომელიც ნიორას, ოიდიპოსის მეტსახელით წარუდგება და წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაზე ელაპარაკება: მოკლულ ქალს წითელი კაბა ეცვა, თავზე კი ვარდების გვირგვინი ადგა... მეორე დღეს, გამომძიებელი ალეკო ბაღაშვილი ჟურნალისტს გაუმხელს, რომ მოკლული, ვინმე თამილა არდაშელია იყო, რომლის მეზობელმა ქალმა, მეტსახელად შავმა მარომ, გამომძიებელ მირიან ბოკუჩავას უთხრა, რომ დაღუპულს ჰყავდა ნაცნობი, რომელსაც ოიდიპოსი ერქვა... ალეკო ასევე გაანდობს ნიორას, რომ შავი მარო ახალგაზრდობაში ბებიაქალი იყო და ერთ-ერთი მშობიარის მოტყუების ბრალდებით გაასამართლეს. მშობიარეს — 40-ოდე წლის მარტოხელა ქალს უთხრეს — ჩვილი მკვდარი დაიბადაო; ახალშობილის ამყვანი შემთხვევით, მშობიარის ნათესავი აღმოჩნდა, სიმართლე გაირკვა და ბავშვი დედას დაუბრუნეს...**

**ბაიას მამა, ლევან მანჯავიძე, დაკარგული შვილის მოძებნაში დახმარებას სთხოვს მარიანას. ნიორას კითხვებზე პასუხისას, ის უყვება ჟურნალისტს სამი მეგობრის — ანტონის, თომასა და საკუთარი თავის შესახებ. სამივეს ერთი გოგო — თამარ სანაძე ჰყვარებია, მან თომას გრძნობას უპასუხა, მაგრამ ბებიის წინააღმდეგობის გამო მათი ურთიერთობები აღარ გაგრძელებულა; შემდეგ თამარი სადღაც გადაიკარგა; როგორც მათ მოგვიანებით შეიტყვეს, ვიღაც ფოთელ კაცს, გვარად არდაშელიას გაჰყოლია ცოლად. ბებიამისმა, ნუცა დადიანმა კი, რომელიც თამარისა და თომას სიყვარულს ეწინააღმდეგებოდა, მოარული ხმების მიხედვით, რაღაც ძვირფასეულობა ანტონსა და მის ნაშვილებ ბიჭს — ბაკურს დაუტოვა... ნიორა ხეზე აგებულ ქოხში მცხოვრები, შერეკილი თომას სანახავად მიდის, რომელიც რაღაც სურათის ჩვენებას დაჰპირდა. თომა მას შინ არ ხვდება, სამაგიეროდ, მის მიერ შესრულებულ ნამუშევრებს შორის, ნიორა ნახულობს ერთ უცნაურ სურათს: მასზე თავად მხატვარია გამოსახული, რომელსაც მუხლებზე საკუთარი ასლები, ოღონდ, ერთი — კეთილი და ხალისიანი, მეორე კი — მოღუშული და ბოროტი — უზის.**

**ტელეგადაცემის ყურებისას, ნიორა მიხვდება, რომ მოკლული თამილა არდაშელია და თომას შეყვარებული თამარ სანაძე ერთი და იგივე პიროვნებაა. მას ახსენდება, რომ თომა რაღაც იდუმალი სურათის ჩვენებას დაჰპირდა და სასწრაფოდ მისი ქოხისკენ გაეშურება. შერეკილი მხატვრის ნივთებს შორის ნიორა ძველი ტიპის სამხედრო ჩანთას წააწყდება და შინ წამოიღებს. გზად ბაკური შეხვდება, რომელიც სთხოვს — სახელოსნოში მეწვიე, შენი პორტრეტი უნდა დავხატოო. შინ მისული ნიორა, თომას ჩანთაში ნახავს ფოტოს, რომელზეც ვარდების გვირგვინით შემკული ლამაზი ქალია გამოსახული. ნიორა ხვდება, რომ სწორედ ეს არის თამილა არდაშელია — თომას შეყვარებული და ბაკურის დედა... სამსახურში მიმავალ ჟურნალისტს, დაცვის პოლიციელი ურეკავს და სთხოვს, სასწრაფოდ მივიდეს მასთან ოფისში.**

თავგზააბნეულმა, მოძრაობის წესი დავარღვიე და პატრულს ჩავუვარდი ხელში. საჯარიმო ქვითარი მომარჭვეს. გუნებამოწამლულმა, ისეთი სახით შევაღე დაცვის პოლიციის ოფისის კარი, თითქოს პოლიციელებს ჩემი მილიონი ემართათ. ილიას და აკაკის ღიმილი სახეზე შეაშრათ.

— რა მოხდა, ხომ მშვიდობაა? — დავინტერესდი ზედმეტად მკაცრად.

— ქალბატონო მარიანა, ჩვენმა ახალდამონტაჟებულმა კამერამ საინტერესო კადრები გადაიღო. გადავწყვიტეთ, გიჩვენოთ. მგონი, დაგაინტერესებთ, — გამომიცხადა ილიამ. სავარძელში მოვკალათდი და მრისხანე სახით მივაშტერდი პატარა, შავ-თეთრ ეკრანს. კადრში მე ვჩანვარ, ბონი მიმყავს სასეირნოდ. გავდივარ და კარს ვკეტავ. რამდენიმე წუთის მანძილზე ჰოლი ცარიელია. მერე კარი იღება და სახლში ნაზიკო შემოდის. ერთი შეხედვით, უცნაური არაფერია: ქალი ფანჯარასთან მიდის და ვიღაცას უხმობს. დავიძაბე. ნაზიკო ამ ვიღაცას კარსაც ულებს. ნერვიულობისაგან თვალები მეტკინა. სახლში უცხო მამაკაცი შემოდის. ერთად მიდიან ბიბლიოთეკისკენ. უკანასკნელ წამს მამაკაცი თავს სწევს და მეორე სართულს ახედავს... კამერაში მისი სახე გამოჩნდა. მოულოდნელობისაგან შევკივლე... აკაკიმ კადრი გააშეშა. ჩემ წინ კარგად ნაცნობი ადამიანია — გამოჩენილი მოქანდაკე, გულდათუთქული მამა და ჩემი მზრუნველი მეზობელი, ლევან მანჯავიძე შემომყურებს შავ-თეთრი სტოპკადრიდან.

— წყვილმა ოთახში ორ საათზე მეტხანს დაყო. ამ კადრებს უბრალო სასიყვარულო პაემნად ჩავთვლიდით, ნაზიკოს ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ რომ არ ერბინა ფანჯარასთან. მერე, საერთოდ გავიდა, კაცი ოთახში დატოვა, თვითონ კი სათვალთვალოდ, ფანჯარასთან დარჩა, — მიამბობდა აკაკი და თან ჩანაწერს სწრაფად ახვევდა.

— ნახე, როგორ უცნაურად დაემშვიდობნენ ერთმანეთს — „ფლეის“ დააჭირა თითი პოლიციელმა.

კადრში კარგად ჩანდა, თუ როგორ ძალით მიიყვანა ნაზიკომ კართან ჩვენი გალანტური მეზობელი. ის ჯერ ეწინააღმდეგებოდა, წასვლა არ უნდოდა, ხელებს ცხვირთან უტრიალებდა და რაღაცას უმტკიცებდა, მერე კი დაემორჩილა. ქალმა კარი გულმოდგინედ ჩარაზა, ცოტა ხანს მოწყენილი იდგა ჰოლში. მგონი,

ტიროდა კიდეც, ცხვირ-პირზე დროდადრო, სახელოს ისვამდა. მერე ბიბლიოთეკაში შეიარა, იქ ათი წუთი შეყოვნდა, ალბათ მიალაგა და წავიდა.

დაცვის ბიუროდან გაოგნებული გამოვედი. საშინელი მარტოობის განცდა მქონდა, თითქოს მთელ ქვეყანაზე ერთი მეგობარიც აღარ დამრჩა. ნაზიკო — კეთილი, ფუმფულა და მზრუნველი ნაზიკო, ჩემს ზურგს უკან ვილაცებს დაატარებს სახლში და ალბათ, გულში დამცინის, როცა დარდებს ვუზიარებ... საშინლად მომინდა, მაგდა ყოფილიყო აქ.

სამსახურში მისვლისთანავე, მაღრაძე მოვიკითხე, რომ მისთვის მაინც გამეზიარებინა დარდი,მაგრამ ვერ ვიპოვე. გადაცემა ხალისიანად წავიდა, მანიაკებს აღარ დაურეკავთ, მედეა ცოტა მეჩხუბა, დაგვიანების გამო, მაგრამ თემა კარგი მოიფიქრა — „ახდენილი ოცნება“ — ამიტომ სულ ბედნიერი და ხალისიანი ტიპები რეკავდნენ.

ცოტა გულზე მომეშვა. ირაკლისთან სალაპარაკოდ მობილიზებული და მშვიდი შევედი. ძალიან მიჭირდა იმის აღიარება, რომ ისევ რაღაცის გამოძიებაში ჩავყავი ცხვირი, მაგრამ სხვა რა გზა იყო? დაწვრილებით ვუამბე ლევანის ვიზიტის ამბავი. ბაკურის უცნაური საქციელის გაანალიზებაც ვცადე. არც ლუკა ჯოგლიძის შეშინებული მზერა დამვიწყებია. ნაზიკოს ღალატის ამბამდე რომ მივედი, ირაკლი მოიღუშა და შემომთავაზა:

— იქნებ, ირასთან დარჩენილიყავი ღამე, ნაზიკოს, მაგდას სახლის გასაღები აქვს და შენი იქ დარჩენა არ ივარგებს.

ირას სახელის ხსენება და მისი ზარი ერთი იყო. უხალისოდ ვუპასუხე მობილურს.

— გაიგე, რა საშინელება მოხდა? — გაჰკიოდა დედაჩემი ყურმილში. მისი ხმა იმდენად მჭახე და მაღალი იყო, რომ მაღრაძესაც მშვენივრად ესმოდა ყველაფერი. — ჩვენს „იუზერს“, მერაბ ორველაშვილს ციხეში პატიმრებმა ყური მოაჭრეს! ყველაფერში პრესა და ტელევიზიაა დამნაშავე: იმდენი უძახეს ადამიანს „წითელი მანიაკი“, შედეგიც მიიღეს!.. — ვიშვიშებდა დედაჩემი.

რა საინტერესოა — მე რომ თავი მომაჭრან, მაშინ თუ ინერვიულებს ასე?.. ირას თავისი პაციენტები ძალიან უყვარს. მართალია, ამჟამად სამსახურში მხოლოდ ნახევარი განაკვეთი დაიტოვა და ძირითადად, ოჯახური წყვილების ფსიქოთერაპიითაა დაკავებული, ძველ ავადმყოფებთან კავშირი არ გაუწყვეტია. ახლა მათ სულით ავადმყოფებსაც აღარ ეძახის, როგორც პოლიტკორექტულობა მოითხოვს, „იუზერებად“ მოიხსენიებს... ირა ყურმილში ისევ ქაქანებდა, მე კი ჩემი ფიქრების შემრცხვა...



დედაჩემი მართალია. სენსაციას გამოდევნებულებს, ხშირად თანაგრძნობა გვავიწყდება. როგორც იქნა, მოვახერხე ირას დამშვიდება. როცა ტელეფონი ჩანთაში ჩავაგდე და ირაკლის შევხედე, მივხვდი, აღარ მირჩევდა დედასთან გადასვლას. მოწყენილი იჯდა და რაღაცას ფიქრობდა.

— შენ ამბობ, რომ ლევანი და თომა ერთმანეთს ერჩოდნენ და თომა ლევანს აბრალებდა, ანტონ დარჩიას ნინიკოს თვითმკვლელობამდე მიყვანას...

— არა მარტო ლევანს, მანჯავიძეების მთელ ოჯახს — ყურადღება მივაქციე, რომ შეფმა თომა წარსულ დროში მოიხსენია. როგორც ჩანს, დაიჯერა მისი დალუპვის ამბავი და აღარ ჰგონია, რომ ჰალუცინაციების ტყვე ვარ.

— მაშინ, ამ ოჯახის სხვა წევრებსაც უნდა გავესაუბროთ. შეგიძლია რაიმე საბაბით იმ ესმასთან შეხვედრა?

— საბაბად, ალბათ, ბაიას ამბავი გამომადგება. ლევანი კი ამბობს, რომ ესმამ არაფერი იცის ქალიშვილის დაკარგვის შესახებ, მაგრამ რამეს მოვიფიქრებ.

— მოდი, ჯერ ნაზიკოს დავადგეთ სახლში და გავარკვიოთ, რა საქმე აქვს ლევანთან. გზად მინიმარკეტში შევიარეთ, ტკბილეული ვიყიდეთ და საღამოს თერთმეტი საათისთვის ჯოგლიძეებთან გამოვცხადდით. ნაზიკო სახლში დაგვხვდა, ბავშვებს აძინებდა, თვალები ნამტირალევი ჰქონდა.

— შეიძლება, ლუკას დაველაპარაკო? — ვკითხე რაც შეიძლება რბილად, ჩემი განწყობილება რომ დამემალა, მეტისმეტს ვფარისევლობდი.

— სძინავს უკვე, თუ საჭიროა, გავაღვიძებ. — ჩურჩულით მითხრა ნაზიკომ — მეც მაქვს სათქმელი რაცხა, თქვენთან წევიდეთ და დევილაპარაკოთ.

მართალი გითხრათ, გამიხარდა, ნაზიკოს მხილება რომ არ დაგვჭირდა და თვითონ ისურვა სიმართლის გამხელა... ამბავი, რომელიც მე და მაღრაძემ კრიხელის სამზარეულოში მოვისმინეთ, მაგდასა და ნაზიკოს „შემთხვევით“ დამეგობრებას ხდიდა ფარდას. ხეში ჩაჭედილი ძაღლის ამბავი, ნაზიკოს ლევანმა შეატყობინა, მანვე ურჩია მაგდასთან მისვლა. მას შემდეგ კი, რაც ნაზიკომ მუშაობა დაიწყო, გაწეული სამსახურისათვის საფასურის გადახდა მოსთხოვა.

— ჯერ მითხრა, გაჭირვებული ხარ, დაგასაჩუქრებენო. ვენდე, მე რა ვიცოდი, გლახა ამბავი თუ ედო გულში. — წუწუნებდა ნაზიკო... მანჯავიძე დამუქრებია, მაგდას ვეტყვი, თითქოს ძაღლი ჯერ მოჰპარე, მერე კი ვითომდა აპოვნინე, შენი დიასახლისი დამიჯერებს და ამას არასდროს გაპატიებსო. ლევანმა ქალი ჯერ დააშინა და ფსიქოლოგიურად გატეხა, მერე კი მოსთხოვა, დიასახლისის არყოფნისას მისთვის კარი გაეღო და სახლში შეეშვა იქაურობის გასაჩხრეკად.

— ანტონს რაცხა ძველებური ემალის კვერცხების კოლექცია მივეცი, ის კი ისე მოკვდა, აღარ დამიბრუნა, ქვრივსაც არ დოუბარა, სად დამალა, ჰოდა, თქვენი არაფერი მინდა, მე რაც კანონით მეკუთვნის, ის უნდა მაპოვნინოო, დეიჟინა, — გვიმტკიცებდა ატირებული ქალი. ნაზიკოს, რამდენჯერმე შემოუშვია შინ ლევანი, მაგრამ იმ ღამეს, ჩემს თავს გადამხდარი ამბის შემდეგ, მიმხვდარა, ვინ შეიძლება შემოპარულიყო სახლში, ერთი ამბავი აუტეხავს, მოუთხოვია მოპარული გასაღები დაებრუნებინა. გაირკვა, რომ კაცს გასაღები ერთ-ერთი ჩხრეკის დროს წაუღია და ასლი დაუმზადებია. ნაზიკომ იცოდა, ლევანს ბონი მიჩვეული რომ ჰყავდა. ამიტო-

მაც მიხვდა იმ ღამეს ძაღლის დუმილის მიზეზს.

— მე ვუთხარი, ხმელი პური უყვარს-თქვა, სულ აჭმევდა. მაგიტო არ დოუყეფა მაგ საცოდავმა.

ქალის თქმით, ცელქობაზე წასწრებული მანჯავიძე დაჰპირდა — თუ სახლში კიდევ ერთხელ შეუშვებდა, გასაღებსაც მისცემდა და თავსაც გაანებებდა.

— შევცდი და შემოვუშვი გუშინწინ, მარა გასაღები მაინც არ მომცა. წავალ ახლა მე, არ გამოგადექით. მაგდას ბოდიში გადაეცი და უთხარი, ძალიან უყვარხარ-თქვა — შემოგვტირა მოღალატე „ეკონომკამ". არ ვიცი რატომ, მაგრამ ნაზიკოს ნაამბობი დავიჯერე, მაღრაძეც დამეთანხმა, რომ ქალი უსინდისო მოძალადის მსხვერპლია და ჩადენილი საქციელი უნდა ვაპატიოთ. ჩვენმა გადაწყვეტილებამ, არაფერი გვეთქვა მაგდასთვის, იგი ძალიან გაახარა.

— ისე არ დავრჩები, გეფიცები, მერე მე თვითონ ვეტყვი და თუ მაპატია, ხო კაი... — იმეორებდა თუთიყუშივით. მერე სამივე ერთად დავფიქრდით, როგორ წაგვერთმია ლევანისთვის გასაღები. ირაკლიმ, როგორც ყოველთვის, ბრძნული გამოსავალი შემოგვთავაზა: მე, მაგდას დავურეკავ და, იმ ღამეს გადატანილი შიშის საბაბით, ვთხოვ, საკეტების გამოცვლის ნება დამრთოს. უცებ გამოვცვლით კიდეც და ლევანს მოპარული გასაღები აღარ გამოადგება.

— ხახამშრალს დავტოვებთ, — ხარობდა ნაზიკო და ჭურჭლის სარეცხ მანქანაში თეფშებს და ჭიქებს ალაგებდა. ირაკლის ვიღაცამ დაურეკა და ტელეფონზე ლაპარაკი დაიწყო. მე კი ფარდების გასწორება გადავწყვიტე და ფანჯარასთან მივედი. ფარდას ხელი წავავლე თუ არა, ყელში მომდგარი კივილი ძლივს შევიკავე. ღია სარკმელთან ბაკურ სანაძე იდგა და თვალებში მიყურებდა. ცივმა მზერამ უსიამოვნოდ დამიარა. ჩემმა უცნაურმა თაყვანისმცემელმა გამიღიმა, თითი ტუჩებთან მიიტანა და მანიშნა, ხმა არ ამომეღო. მეც, რატომღაც, დავემორჩილე მის თხოვნას. უნდა გაგიმხილოთ, რომ ირაკლი მაღრაძეს, ჩემი ამბების მოყოლისას, რამდენიმე დეტალი დავუმალე, მათ შორის ისიც, რომ ხვალ ბაკურის სახელოსნოში მისვლას ვაპირებ. თქვენთვის ძნელი მისახვედრი არ იქნება, რატომ მოვიქეცი ასე: არ მინდა, ირაკლიმ, ეჭვიანობის გამო, გამოძიება ამიკრძალოს. ახლა კი, ამ სულელურმა სიცრუემ, ბაკურის თანამზრახველად მაქცია. სასწრაფოდ ჩამოვაფარე ფარდა და ნაზიკო და ირაკლი კარებამდე მივაცილე. სტუმრები ჭიშკარს მიეფარნენ თუ არა, იმ თავხედის საძებნელად გავვარდი, მაგრამ ველარავინ ვნახე. მალე ბონის გამოვიყვან ვეტერინარისგან და ეზოშიც ვერავინ შემოძვრება. ერთი უნდა ვკითხო ბაკურს, ვიდრე სახელოსნოში წავყვები, რას აკეთებდა ჩემს ფანჯარასთან.

ღამით კოშმარი მესიზმრა: ვითომ, ბაკურს ორი სახე ჰქონდა, ერთი თბილი და ალერსიანი, მეორე — ცივი და ბოროტი. მე, მენატურესავით შიშველი ვიჯექი ყუთზე, ის კი მხატავდა, ტილოს უკნიდან თავს ყოფდა და მეჭყანებოდა, თითქოს ჭიტა-ჭიტას მეთამაშებოდა. ხან კეთილ სახეს გამოაჩენდა, ხანაც — ავს. უცებ, ჩემკენ წამოვიდა და დავინახე, რომ ხელში ფუნჯის ნაცვლად დიდი, გასისხლიანებული დანა ეჭირა... ამ დროს გავიღვიძე, ცივ ოფლში ვიწურებოდი.

დილის ყავამ ძალა შემმატა. თომას სახლში ნაპოვნი ფოტო ვერცხლისფერი ჩარჩოდან ამოვიღე და ჩანთაში შევინახე. უნდა გავარკვიო, ეს თამარ სანაძე და თამილა არდაშელია, მართლა ერთი და იგივე პერსონაა, თუ მე მეშლება რამე. მტკიცე გადაწყვეტილებით მივადექი ლევან მანჯავიძის სახლის კარს და ზარი დავრეკე. კარი გაუგებარი ასაკის, მინიატიურულმა ქალმა გამიღო. სალათისფერი ჩინური კიმონო აცვია, ოქროსფერი დრაკონებით ამოქარგული. ვარიის წონა თუ იქნება, თავზე მწვანე თავსაფარი წაუკრავს, რაც მის ავადმყოფურად ნაცრისფერ სახეს უფრო მუქს აჩენს — თვალის უპეები ყავისფერი, ტუჩები ჩატეტკილი, გაფითრებული. მხოლოდ თვალები აქვს ცოცხალი და ეშმაკურად მოჭუტული.

— ქალბატონი ესმა ან ბატონი ლევანი მინდოდა... — დავიცავი ზრდილობის წესი და ჯერ დიასახლისი ვიკითხე.

— მე გახლავართ, — ხრინწიანი ხმით მითხრა ქალმა და კარგად დამაკვირდა.

— მაპატიეთ, დაუპატიჟებლად შემოჭრა, მარიანა ნიორაძე ვარ, თქვენი მეზობელი. ბატონ ლევანთან მაქვს საქმე.

— მობრძანდით, ოთახში შევიდეთ და იქ ვილაპარაკოთ, — კარი ფართოდ გამიღო ესმა მანჯავიძემ. — რამ შეგაწუხათ? — მკითხა და სავარძელზე მიმითითა. ოთახი, რომელშიც აღმოვჩნდი, უამრავი ძველებური ნივთითა და ულამაზესი ხალიჩებით, უცნაურად ნატიფ სიჭრელეში აბლაბუდასავით გხვევდა. გალუნულფეხებიანი, ფრანგული სამეულის აბრეშუმგადაკრულ სავარძელზე ჩამოვჯექი. ჩემ პირდაპირ მოკალათებული ქალბატონი ესმა, ვიღაც ახირებული ოსტატის შეკერილ ნაჭრის თოჯინას ჰგავდა, ძველებურ სავარძელში წამოსკუპებულს. ძალიან ვინანე, რომ ჩემი სათქმელი კარგად არ მოვამზადე. ამ გამჭოლმზერიანი, მუჭისხელა ტიკინის საზოგადოებაში თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობ და არ ვიცი, რით დავიწყო საუბარი. ჩემმა დაბნეულობამ მასპინძელი რატომღაც გაამხიარულა.

— არ ელოდით, ამ მდგომარეობაში ჩემს ნახვას? ლევანს არ მოსწონს, მის ცოლს ფილტვის კიბო რომ კლავს და ყველას ატყუებს, თითქოს გულით ავადმყოფი ვარ. მისი მოკლე ჭკუით, ასე უფრო არისტოკრატულია. ისე იქცევა, გეგონება სიფილისი მჭირდეს და სირცხვილი იყოს გამხელა. მაგრად ცდილობს, მაგრამ ვერაფერს გახდა, ქიმიოთერაპიის კვალს ვერ დამალავ. წვალობს, რა ქნას, პროვინციულ კომპლექსებს რა უყოს, — უსიამოვნოდ ჩაიხითხითა დედაბერმა და თავზე წაკრული ბენდენა წაიძრო. გადახოტრილი თავით უცხოპლანეტელს ჰგავს.

— თუ იცით, სად არის ბაია? — გამისწრო ენამ. ეს ქალი ჩემში სიბრალულის ნაცვლად პანიკურ შიშს იწვევს, მინდა, სწრაფად გავეცალო აქაურობას.

— ალბათ, საყვარელთან გაექცა ამ იდიოტს. მე მატყუებს, სამკურნალოდ გავუშვიო. ორივე სამარცხვინო გამოვადექით, ჩემს ღირსეულ ქმარუკას, ცოლიც და შვილიც. — ხველა თუ სიცილი ამოაყოლა ნათქვამს ესმამ. ლევანის შექმნილი მითი, მგრძნობიარე, გულით ავადმყოფი ცოლის შესახებ, რომელიც ვერ გადაიტანს შვილის გაპარვას, თვალწინ დამემსხვრა.

— ხომ არ იცით, სად იყო თქვენი მეუღლე ბაიას გაპარვის ღამეს?

— სადმე იქნებოდა, საუნის „პროსტიტუტკებთან", მეტის ღირსი მაინც არ არის. მე არ ვეკითხები, სად დაწანწალებს.

— ბატონმა ლევანმა ბაიას მოძებნა მთხოვა. იქნებ, თქვენ იცით, ვისთან უნდა მოვიკითხო? — ისევ ძველებურს ვაწვები მე.

— იმ სულელ ბაკურასთან იქნება. რაც დაიბადა, იმის ნატვრაში სძვრება სული. მიატოვა ავადმყოფი დედა და თომას ბიჭს გაეკიდა. — დაამატა მწუხარედ. ვერ მივხვდი, ბოლო შენიშვნა ირონიული იყო თუ მართლაც რამე აწუხებდა ამ უცნურ, უგულო ქალს. უცებ, მისი შოკში ჩაგდება მომინდა.

— თომა მოკვდა, — ვაჯახე მოულოდნელად და უცნაური მეტამორფოზის მოწმე გავხდი: პატარა, ბოროტი არსება, რომელიც ბავშვობაში წაკითხულ „მეფე სოლომონის საგანძურის" გმირს, სამასი წლის კუდიან დედაბერს — გაგულას — მაგონებდა, უცებ, სასიკვდილოდ განწირულ, უმწეო, შეშინებულ ავადმყოფად გარდაისახა.

— როგორ თუ მოკვდა? — მკითხა ჩურჩულით და გაკვირვებისგან გაფართოებულ თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

— მოკლეს, — უკან არ დავიხიე მე, — თავი მოაჭრეს და ბუჩქებში გადააგდეს. — ჩემი სისასტიკის თვითონვე გამიკვირდა. როგორც ჩანს, მისი წელანდელი საქციელისთვის ვიძიე შური.

— რატომ, თომა? — თითქოს წამოსცდა ესმას. მერე უხმოდ გაფრატუნდა მეორე ოთახში და ფოტოების ძველებური, ლურჯ-

ხავერდგადაკრული ალბომი მოიტანა..

— თუ გცალიათ, მე გეტყვით, როგორები ვიყავით ახალგაზრდობაში. — მძიმე ალბომი გადაშალა და პირველი სურათი მაჩვენა. — ეს თომაა, ეს ლევანი, ეს ანტონი... ეს კი მე, თამარი და მარინა... მარინა ანტონს გაჰყვა ცოლად, მე — ლევანს, თომა კი — მარტოხელა დარჩა. არადა, სამივეს თომა გვიყვარდა... მარინაზე ვერ ვიტყვი, ძალიან ჩუმჩუმელა იყო. თამარი გიჟდებოდა, ისე უყვარდა. შვილებიც კი გაუჩინა, მაგრამ, არაფერი გამოუვიდა. — ქალს სახეზე ისევ ბოროტი ღიმილი აეკრა. — ერთხელ, თომამ მითხრა: შემოქმედი კაცი იმ მიმინოსავითაა, ცაში კამარა რომ შეკრა და მოწყვეტილი ქვასავით მიწისკენ რომ მოქრის, მსხვერპლის ხელში ჩასაგდებად. ხან წარმატებას მიაღწევს, ხანაც მსხვერპლი უგანებს, გაწბილებული მიმინოც უხერხულად გამოედება მიწას, ან ლოდს გაჰკრავს მხარს, ფრთას დაიზიანებს... მაგრამ, როგორც არ უნდა ეტკინოს, კვლავ ცას მიაშურებს, ხელახალი კამარის შესაკრავად... შემოქმედი კაცი ქალის სიყვარულს თავს არ დააბრიყვებინებსო. — ამბობდა, თუ რა თქმა უნდა, მისი ნათქვამიდან აზრს გამოიტანდი, — გაეცინა უცებ ესმას. — ასეთი კაცი იყო თომა.

„ჩვენში დარჩეს, დიდი სისულელე უთქვამს" — გავიფიქრე, მაგრამ ქალს გული არ გავუტეხე. ფოტოზე ახალგაზრდები, მართლაც, კარგად გამოიყურებოდნენ. ესმა თომას მკლავზე იყო ჩამოკონწიალებული, თამარი განცალკევებით იდგა. თავაწეულს ხელები გულზე გადაეჯვარებინა და სადღაც, შორს იყურებოდა. ანტონს მარინასთვის მოეხვია ხელი, კეთილი კაცი ჩანდა ეს ანტონი, ცოტა პუტკუნა და დაბნეული. ამ ფოტოზე ყველაზე საინტერესო ლევანი იყო. ისეთი მეოცნებე თვალებით შესცქეროდა თამარს, მიხვდებოდი, რატომ იყო ესმა, დღესაც ასეთი გაღიზიანებული, მის მიმართ. ლევანი თომაზე, უფრო მაღალიც იყო და ერთი შეხედვით, სიმპათიურიც, მაგრამ, მაინც ცხადად ჩანს, რატომ მოსწონდათ ქალებს უფრო მეტად მისი ენაბრგვილი მეგობარი. თომა რაღაცნაირად დაძაბული იდგა. ისე ჯიქურ იყურებოდა პირდაპირ, თითქოს ვერც კი ამჩნევდა მის მხარზე ნაზად თავმიყრდნობილი მინიატიურული ქალის არსებობას. თვალები დიდი ჰქონდა, ფართოდ გახელილი, ცეცხლიანი, როგორც გალაკტიონს აქვს ახალგაზრდობის სურათში, ან პიკასოს... ეტყობა, ნიჭიერი ადამიანები რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს, — ვიფიქრე და ისევ ესმას მივუბრუნდი.

— რატომ დაიწუნა თომა თამარმა?

— თამარმა კი არ დაიწუნა, თომამ მიატოვა... ბოზობდა და იმიტომ. მაშინ დაადგა თავზე, ლევანი რომ ეწვა ლოგინში... მაგათი რომანიც მანდ დამთავრდა.



— თქვენ რატომ გაჰყევით ლევანს, თუ მას თქვენი დაქალი ეწვა ლოგინში და თუ თომა გიყვარდათ? — გავუთამამდი მე.

— აბა, ვინ სულელი გაჰყვება ცოლად, ცაზე შეყვარებულ მიმინოს? — აისხლიტა ჩემი შეკითხვა მასპინძელმა.

— თქვენ თქვით, თამარმა შვილები გაუჩინაო. ხომ არ იცით, სად არიან?

— შვილები კი არა, შვილი. — რატომღაც შეცბა ქალი. — ერთი შვილი, — დამიზუსტა დაბეჯითებით, — ბაკური. ნუცა დადიანმა გაზარდა, აბა, იმ გუგულს სად ჰქონდა შვილების გაზრდის თავი? ნამდვილი გუგულივით ყველას თავის ბრჭყვიალა კვერცხებს ატენიდა. — „ფაბერჟეაო" — ამტკიცებდა. სამეგრელოს მთავრის შთამომავალ დედაჩემს წინაპრებისგან დარჩაო. სად ჰყავდა ნუცას წინაპარი?! ერთი ბოგანო, „ენკავედეს" ძუკნა იყო. ნახევარი უბანი მაგან დააჭერინა, მეორე ნახევარს კი ლოგინში ეწვა. ბაბუაჩემი გადასახლებული რომ იყო, ეგ ლაღად ცხოვრობდა და მდიდრდებოდა. ეტყობა, „კაგებეშნიკი" საყვარლები ჩუქნიდნენ ძვირფასეულობას. რაღაც, არავისგან გამიგია — ნუცა დადიანმა მემკვიდრეს „ფაბერჟე" დაუტოვა ანდერძითო.

ვერ მივხვდი, რამ გააცხარა ქალი ასე. ნაზიკოს ნათქვამი გამახსენდა, ლევანი რაცხა კვერცხებს ეძებდა სახლშიო. „გუგულის ბედისწერა, კედლის საათში სიკვდილია", — ცხადად ამომიტივტივდა რადიომანიაკის აფორიზმი. — ნეტავ, ესმამ ხომ არ დარეკა მაშინ ეთერში? რატომ არ შეიძლება, ოიდიპოსად წარმდგომოდა რადიოეთერში და ჩემთვის თავი მამაკაცად მოეჩვენებინა. მისი დაბალი, ხრინწიანი ხმა, სულ იოლად შეიძლება კაცისას მიამსგავსო... თითქოს, სიცილიც მიუგავს.

— დაგღალეთ, ალბათ, წარსულის მოგონებებით. — ესმა მანჯავიძემ „ტონკად" მაგრძნობინა, რომ ჩემი საზოგადოება მოსწყინდა. მეც გამოვემშვიდობე და საგონებელში ჩავარდნილმა დავტოვე მანჯავიძეების სახლი. ვიდრე ვეტექიმთან გავემგზავრებოდი ბონის გამოსაყვანად, გადავწყვიტე, „შავი მარო" მენახა და მასთან გამერკვია თამილა არდაშელიას მეგობარ ოიდიპოსის ამბავი. მანჯავიძეების ოჯახი ამ ამბებში გარეული რომ არის, ამაში ეჭვი არ მეპარება. ალეკო ბაღაშვილის თქმით, მარო, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე იმ სახლში ცხოვრობს, რომლის პირველ სართულზე საქორწილო კაბებს კერავენ. მისი მიგნება არ გამჭირვებია, ქალი შინ დამხვდა. უკმაყოფილო სახით გამიღო კარი.

— უკაცრავად, ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე გახლავართ, თქვენთან რამდენიმე საკითხის გარკვევა მინდა თამარ არდაშელიას საქმეზე. — ვუთხარი კარში და ოთახში დაუპატიჟებლად შევაბიჯე. მარო, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ უკან ველარ „გამდგამდა" და სკამი შემომთავაზა. ძველი, მაღალჭერიანი სახლის დიდ მისაღებ ოთახში ვისხედით. მარო გიშრის კრიალოსანს მარცვლავდა და წარბებს ქვემოდან, პირქუშად მიცქერდა:

— არდაშელიას საქმეზე რაც ვიცოდი, გამომძიებას ვუთხარი, — მოკლედ მომიჭრა და დადუმდა. არ შემშინებია, ამ შეხვედრისათვის საფუძვლიანად გახლდით შეიარაღებული.

— თუ ჩემს შეკითხვებს უპასუხებთ, რედაქცია ინფორმაციისათვის დაწესებულ ჰონორარს გადაგიხდით, — ვუთხარი, თან ჯიბიდან ასდოლარიანს ამოვაყოფინე თავი. ეამა.

— მკითხე და ვნახოთ, — მიპასუხა მოკლედ. იმედია, იმის ახსნა არ გჭირდებათ, რომ რედაქციას არავითარი თანხა არ გამოუყვია. როგორც იტყვიან, ჩემი პირადი დანაზოგი ჩავდე საქმეში. ძალიან მინდა, ბაღაშვილს დავუმტკიცო, მოწმეებთან მუშაობა მის კოლეგებზე უკეთ რომ შემიძლია. ჩანთიდან მუყაოზე დაწებებული ფოტო ამოვიღე.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ქართველებს საკმაოდ ბევრი მაღალი კლასის მოჭიდავე გვყოლია, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული, გურამ საღარაძე გახლდათ. გარდა იმისა, რომ ბატონი გურამი ორგზის მსოფლიო ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი და საბჭოთა კავშირის პირველობის სამგზის გამარჯვებული გახლავთ, იგი ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენოსანი და თბილისის საპატიო მოქალაქეცაა.

საღარაძე აქტიური სპორტისთვის თავის დანებების შემდეგაც არ შეშვებია საყვარელ საქმეს და ბოლო დრომდე, თბილისის ჭიდაობის ფედარაციის თავმჯდომარე გახლდათ. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი საკმაოდ საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა და განვლილი სპორტული ცხოვრებიდან არაერთ საინტერესო ფაქტზე მოგვითხრო.



ორგზის მსოფლიო ჩემპიონი მოპოვებულ ჯილდოებთან ერთად

# როგორ დაკარგა გურამ საღარაძემ ოლიმპიური ჩემპიონობა გრამების გამო

## მოჭიდავე, რომელიც ირანელებს შაჰს ერჩივნათ

*გიორგი ლანჩავა*

### მამისა და ბიძის კვალზე

— ჩვენი გვარი ფიზიკური ძალით ყოველთვის გამორჩეული იყო. მამაჩემი რეზო საღარაძე რაჭაში, სოფელ პატარა ონში დაიბადა და ომის პერიოდში თბილისში ჩამოვიდა, სადაც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ვარჯიში სპორტსაზოგადოება „დინამოში" დაიწყო. მას გარკვეული მიღწევები ჰქონდა და მეგობრობდა იმ პერიოდის ისეთ ცნობილ მოჭიდავეებთან, როგორებიც იყვნენ: არსენ მეკოკიშვილი, ვაღარშაკ მაჩხალიანი, კონსტანტინე კობერიძე. მამამ სოფლიდან ბიძაჩემი იორამ საღარაძეც ჩამოიყვანა და ჭიდაობა მასაც დააწყებინა. სწორედ მათ წამიყვანეს პირველად ჭიდაობის სექციაში და წვრთნას ბიძაჩემის ყოფილ მწვრთნელთან — შალვა ნოზაძესთან შევუდექი. ვარჯიში სამი თუ ოთხი თვის დაწყებული მქონდა, რომ მონაწილეობა რესპუბლიკურ ჭაბუკთა პირველობაში მივიღე, სადაც ბევრად გამოცდილ მეტოქესთან დავმარცხდი. გულდასაწყვეტი ის იყო, რომ მე ტექნიკურად ვჭიდაობდი, ხოლო მოწინააღმდეგემ ფიზიკური ძალით მაჯობა და როგორც იტყვიან — „დათვივით დამტორა". წაგებამ ძალიან გამანაწყენა, თუმცა ბატონი შალვა მომიახლოვდა და ასეთი რამ მითხრა: „გურამ, შენ კარგად იჭიდავე. ნუ განიცდი, შვილო, ასეთ დათვებს ჩვენ კიდევ მოვუგებთ". მწვრთნელს რომ შევხედე, მის თვალებში ცრემლი დავინახე და მივხვდი, რომ ამ წაგებას, ის ჩემზე მეტად განიცდიდა.



საღარაძეს მხოლოდ მკლავი არ უჭრის...

### „მაზანდარელ ვეფხვთან" მიცემული შანსი

— 1962 წელს თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ დიაკინი იყო, რომელიც შემპირდა, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ირანელ იმამ ალი ჰაბიბის დამარცხების შემთხვევაში, მომდევნო წელს ნაკრებში პირველ ნომრად დამაყენებდა. იმ პერიოდში გლანდები მაწუხებდა და როდესაც გუნდის ექიმმა გამსინჯა, მშვიდ მდგომარეობაში წნევა 140 მქონდა. ამის პარალელურად ტემპერატურამ 37,2 გრადუსამდე ამიწია. ექიმს ვთხოვე, რომ ეს ამბავი დიაკინისთვის არ ეთქვა, რადგან ნაკრებში დამკვიდრების შანსი მეძლეოდა. ჰაბიბი იმ დროისთვის ოლიმპიური და ორგზის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ფლობდა. თბილისის ტურნირზე ჩემთან შეხვედრის შემდეგ, მან იაპონიაში მსოფლიო პირველობა მესამედ მოიგო. ეს მოჭიდავე ირანში ისეთი პოპულარული იყო, რომ მასზე ფილმიც კი გადაიღეს, რომელსაც „მაზანდარელი ვეფხვი" ეწოდებოდა, რადგან ჰაბიბი მაზანდარის პროვინციიდან გახლდათ წარმოშობით. ტურნირის დაწყებამდე ირანელებმა საბჭოთა კავშირში ტურნე გამართეს და ჰაბიბი ვისაც კი შეხვდა, ყველა დაამარცხა. მან ჯერ ცნობილ ოს მოჭიდავე ბეკმურზოვს მოუგო, შემდეგ — გარსევან ნებიერიძეს, რომელსაც ისეთი ილეთი ჩაუტარა, რომ ეს უკანასკნელი საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც სამი თვე იწვა. აქედან გამომდინარე, ირანელს ჩემი იოლად დამარცხების იმედი ჰქონდა, რადგან მაშინ მხოლოდ 20 წლის ვიყავი და საბჭოთა კავშირის პირველობაც კი არ მომეგო. ჩვენი ორთაბრძოლა საინტერესოდ წარიმართა და საბოლოო ანგარიშით 7:6 მოვიგე. მსაჯმა გამარჯვების ნიშნად ხელი რომ ამიწია, ცირკი, სადაც ტურნირი იმართებოდა, კინაღამ დაინგრა, ისეთი ხმაური ატყდა. დღესდღეობით, ლევან თედიაშვილი როდესაც ირანში ჩადის და ჰაბიბის ნახულობს, ის ეუბნება: საღარაძე ჭიდაობის დროს გამირბოდაო. არადა, იმ ორთაბრძოლისას ირანელი სამჯერ მაინც ავიყვანე ჰაერში და გამოცდილება რომ მქონოდა, „სუფთად" დავამარცხებდი. სხვათა შორის, ჰაბიბთან ჭიდაობის მეორე დღეს, ჩემმა სიძემ და მეგობრებმა ყველასათვის ცნობილ ექიმთან ვახტანგ ხურციძესთან ანუ წოპესთან წამიყვანეს. მან ყელში რომ ჩამხედა, გაკვირვებულმა მკითხა: ამ მდგომარეობაში რამ გაჭიდავაო? როდესაც წოპეს ავუხსენი, დიაკინს ჩემთვის რა პირობა ჰქონდა მოცემული, მითხრა: ასეთ სიტუაციაში თავადაც ვიჭიდავებდიო. მას დიდხანს არ

უფიქრია და გლანდები იმ დღესვე ამომაჭრა. აქვე გეტყვით, რომ ჰაბიბთან გამარჯვების შემდეგ, ირანში როდესაც ჩავდიოდი, ჭიდაობის ადგილობრივი გულშემატკივრები მოდიოდნენ და კუნთებს მისინჯავდნენ, რადგან აინტერესებდათ, თუ ვინ იყო მათი კერპის დამმარცხებელი. იმ პერიოდში ჰაბიბს ჩემი პოპულარობა სწყინდა კიდეც.

## „დაზეთილი“ ფალავანი

– ალექსანდრ დიაკინმა საკუთარი პირობა შეასრულა და 1963 წელს სოფიაში მსოფლიო ჩემპიონატზე წამიყვანა. ტურნირზე პირველი შეხვედრა თურქ ისმაილ ოგანთან მქონდა, რომელიც რომის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის გარდა, მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი გახლდათ. თურქმა ტანზე ზეთის თხელი ფენა წაისვა და საჭიდაოდ ისე გამოვიდა. ამის გამო, რამდენჯერაც ვცადე, მისთვის ხელი ჩამევლო, მოწინააღმდეგე იმდენჯერ დამისხლტა. ორთაბრძოლის იტალიელმა მსაჯმა სუნით კი იგრძნო, რომ ოგანი ზეთწასმული ჭიდაობდა, მაგრამ იგი არ გაუფრთხილებია და მხოლოდ რამდენჯერმე მიუთითა, ტანი პირსახოცით გაეწმინდა. ოგანს აშკარად სურდა, ჩემთან შეხვედრა ფრედ დაესრულებინა, რადგან იმედოვნებდა, რომ ტურნირის მსვლელობისას ერთ შეხვედრას მაინც დავთმობდი, თავად კი ყველას მოიგებდა და ჩემპიონი გახდებოდა. თუმცა მისი ეს ვარაუდი არ გამართლდა, რადგან ყველა შეხვედრა „წმინდად“ მოვიგე და მხოლოდ მასპინძელ პეტკო დერმენჯიევს ვძლიე ფინალში ქულებით. სხვათა შორის, ბულგარელმა ფალავანმა ჩემი გამოცდილება გაითვალისწინა და ოგანს ისე მოუგო, გაოფლიანების საშუალებაც კი არ მისცა, რომ კანში შეზელილი ცხიმი ზედაპირზე ოფლთან ერთად არ გამოსულიყო. მან თურქს პირველსავე წუთზე რამდენიმე ქულა აართვა და ისე გაიმარჯვა. საბოლოოდ ოგანი მესამე ადგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჩემპიონი ისე გავხდი, საბჭოთა კავშირის პირველობა მოგებული არ მქონდა. საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედალი მომდევნო წელს მოვიპოვე, როდესაც ფინალში გარსევან ნებიერიძე დავამარცხე. მეორედ მსოფლიო ჩემპიონატზე 1965 წელს გავიმარჯვე მანჩესტერში, სადაც ფაქტობრივად, ჩემთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. მაშინ პარალელურად ევროპის ჩემპიონობაც მომანიჭეს. 1964, 1965, 1966 წლებში საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი ვიყავი. იმ პერიოდში შოთა ლომაძესთან და ზარიბეგ ბერიაშვილთან ერთად საკავშირო გუნდის ძირითად ბირთვს შევადგენდი.



გურამ საღარაძე განსხვავებული სასმისით

## ეშმაკი თურქი

– 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადაზე მეტი გამოცდილება რომ მქონოდა და გუნდის მწვრთნელებსაც ყურადღება გამოეჩინათ, ოქროს მედალი მე დამრჩებოდა. თურმე თურქი ისმაილ ოგანი, რომელიც საკმაოდ ეშმაკი იყო, ოლიმპიადის მსვლელობისას ყველაფერს ყურადღებას აქცევდა და ჩემს წონასაც თვალყურს ადევნებდა, რადგან წინასწარ გათვლილი ჰქონდა, რომ თუ ჩვენი შეხვედრა ფრედ დამთავრდებოდა და იგი უფრო მსუბუქი აღმოჩნდებოდა, პირველ ადგილს დაიკავებდა. თურქს როდესაც შევხვდი, მას ისევ ცხიმი ჰქონდა შეზელილი და ხელი ისე მისრიალებდა, რომ ფაქტობრივად, მოწინააღმდეგისთვის მისი მოკიდება არ შეეძლო. ორჯერ იძულებული გავხდი, ჭიდაობა შემეჩერებინა და მსაჯისთვის მიმემართა, თუმცა, ამან შედეგი არ გამოიღო, რადგან რეფერიმ ოგანს გაფრთხილება არ მისცა. ჩანს, ჭიდაობაში, როგორც ახლა, კორუფცია ყვაოდა და თურქებისთვის მსაჯის მოქრთამვა უცხო ხილს არ წარმოადგენდა. მთელი საჭიდაო დროის განმავლობაში ოგანი პასიურობდა და ორთაბრძოლას გაურბოდა. ჩვენი ჭიდაობა კატათაგვობანას დაემსგავსა და საბოლოოდ, ამის გამო მეტოქეს ილეთი ვერ ჩავუტარე. შედეგად, შეხვედრა ფრედ დამთავრდა, არადა ახალი წესებით, ოგანს პასიურობისთვის ორთაბრძოლიდან აუცილებლად მოხსნიდნენ. ჭიდაობა როდესაც დავასრულეთ, ორივე აგვწონეს და ვინაიდან ტურნირის მსვლელობისას ყველა მაჩვენებელი ერთნაირი გვქონდა, ხოლო თურქი ჩემზე ოთხასი გრამით მსუბუქი აღმოჩნდა, ოლიმპიადის ჩემპიონი ის გახდა. სხვათა შორის, როგორც შემდეგ შევიტყვე, ოგანი ვიდრე მე შემხვდებოდა, ორთქლის აბანოში შესულა, რათა წონა დაეკლო. იმ ოლიმპიადაზე ჩემთვის კიდევ ერთი ცუდი ფაქტი მოხდა, რომელშიც ალბათ ისევ მეტოქეთა გუნდების ხელმძღვანელები იყვნენ ჩარეულნი. კერძოდ, ოგანთან ჭიდაობამდე ინდოელ სინგხს შევხვდი, რომელსაც ორთაბრძოლისას 30 ქულა ავართვი, მაგრამ მაშინ აშკარა უპირატესობის გამო, მოჭიდავეს „წმინდა“ გამარჯვებას არ ანიჭებდნენ და იძულებული გავხდი, მთელი დრო საჭიდაო ხალიჩაზე დამეყო. ერთ ეპიზოდში სინგხი წავაქციე და ის ბეჭებით ხალიჩასაც შეეხო, რის დასტურად შუამავალმა მსაჯმა განიშნა: წაქცეულია და ხელი გაუშვიო. მეც მას დავემორჩილე და წამოვდექი, მაგრამ გვერდითმა მსაჯებმა და მთავარმა რეფერიმ მხარი აღარ დამიჭირეს და მხოლოდ ქულებით გამარჯვება მომანიჭეს, როდესაც შეხვედრა „წმინდად“ მქონდა მოგებული. შემდეგ როცა გავაანალიზე, მივხვდი, საქმე „ჩაწყობილი“ იყო. ჩემთვის „წმინდა“ გამარჯვება რომ მოენიჭებინათ, აწონა აღარ დამჭირდებოდა და ჩემპიონი ისე გავხდებოდი. ხანდახან ახლაც მესიზმრება ეს ეპიზოდები და სიმწრის ოფლში ვცურავ...

## შაჰზე უფრო პოპულარული ტახტი

– ირანის ყოფილი შაჰი რეზა ფეჰლევი არცთუ ისე კეთილგანწყობილი იყო განთქმული ირანელი მოჭიდავის რეზა გოლამ ტახტის მიმართ, რომელიც მხარს აიათოლა ჰომეინის უჭერდა. ტახტი საკუთარ ქვეყანაში სახალხო გმირად ითვლებოდა, მაგრამ იმ პერიოდში შაჰთან დაძაბული ურთიერთობის გამო საფრანგეთში ცხოვრობდა, სადაც ასევე იმყოფებოდა ჰომეინი. მან როდესაც გაიგო, რომ ირანში საბჭოთა კავშირის ნაკრები ჩადიოდა, თავადაც გადაწყვიტა, ტურნირს დასწრებოდა, ოღონდ მაყურებლის როლში. დარბაზში, რომელიც დაახლოებით 10000 მაყურებელს იტევდა, იგი ბოლო ტრიბუნაზე დაჯდა. მე როდესაც ერთ-ერთი ირანელის წინააღმდეგ საჭიდაოდ ხალიჩაზე მიხმეს, ამ დროს დარბაზში საშინელი ხმაური ატყდა. გულშემატკივრები მარტო ფეხების ბრაგუნს არ სჯერდებოდნენ და თან საყვირებს „აჭყვიტინებდნენ“. იმ მომენტში ჭიდაობას თვალყურს ადევნებდა რეზა ფეჰლევი, მისი ძმა პრინცი გოლია, შაჰის მეუღლე, ტახტის მემკვიდრე და ირანის მთელი ელიტა. შაჰი აღნიშნული გნიასის გამო საკმაოდ უხერხულ მდგომარე-

ობაში ჩავარდა და როგორც გაირკვა, გულშემატკივრებს დარბაზში მყოფი ტახტი შეუმჩნევიათ და პატივისცემის ნიშნად 20-წუთიანი ოვაციით შეეგებნენ. ამ დროის განმავლობაში ტახტი ფეხზე იდგა და თავის ქნევით ირანელ ქომაგებს ესალმებოდა. შაჰი იძულებული გახდა, მოჭიდავისთვის ენიშნებინა – ხალხი დააწყნარეო. ტახტიმ ერთი ხელით ცხვირსახოცი ასწია, რომელიც ოდნავ გაიქნია და დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. მას შემდეგ, რაც ირანელმა მოჭიდავემ თავისი უშუალო მეტოქის, ალექსანდრ მედვედის ორთაბრძოლას ადევნა თვალი, წამოდგა და დარბაზიდან გასვლა დააპირა. ამის შემხედვარე გულშემატკივრებმა, საკუთარი კერპი შეძახილით – ,,ტახტი“, ,,ტახტი“ – გააცილეს.

## გაბუტული ჟაბოტინსკი

– 1961 წელს, სტუდენტთა მსოფლიო თამაშებზე გემ ,,გრუზიათი“ გავემგზავრეთ და ფინეთში ჩასულები, სასტუმროს ნაცვლად ამავე გემზე ვცხოვრობდით. საბჭოთა დელეგაციაში სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებთან ერთად, ძალოსნებიც იმყოფებოდნენ. სწორედ იქ გავიცანი ძალოსნობაში მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი ლეონიდ ჟაბოტინსკი. მას მკლავჭიდში შევეჯიბრე და როდესაც ხელი გადავუწიე, ჟაბოტინსკი სიმწრისგან ატირდა. ამის შემხედვარე, შევეცადე, ის დამემშვიდებინა და რუსულად ვუთხარი: ,,ლონია, დლია ეტოგო, მუღამ ნადო ზნაც“. ცხადია, მან სიტყვა ,,მუღამის“ მნიშვნელობა ვერ გაიგო და მიპასუხა: ,,ჩტო ზა მუგამ ეშჩო?“ ვინც ამ სცენას შეესწრო, კინაღამ სიცილით ,,დაიხოცა“, ხოლო ჟაბოტინსკი გამებუტა და რამდენიმე დღე არ მელაპარაკებოდა. შემდეგ შევრიგდით და დავმეგობრდით კიდეც. ისე დავახლოვდით, რომ თბილისშიც მეწვია და აქ დიდი პატივი ვეცი. სასტუმრო ,,საქართველოში“ გამართულ წვეულებაზე მან ხუთი ბოთლი კონიაკი დალია და ჩვენ რომ ჩაის ჭიქით ღვინოს ვსვამდით, იგი ასეთივე სასმისით კონიაკს გადაჰკრავდა, ხოლო შემდეგ კი ღვინოს აყოლებდა. ქეიფის დასრულებისას, როდესაც სუფრის სხვა წევრები საკმაოდ შეზარხოშებული იყვნენ, ჟაბოტინსკი ისეთ მდგომარეობაში გახლდათ, იფიქრებდით, წვეთი არ დაულევია და თავის საცხოვრებელ ნომერში ღიღინ-ღიღინით ავიდა.

## ქართველ მოჭიდავეთა რეკორდები ჭამა-სმაში

– ისეთი ცნობილი მოჭიდავეები როგორებიც იყვნენ ალექსანდრ მედველი, დაღესტნელი ალი ალიევი, ივანიცკი, კარგად სვამდნენ, მაგრამ საბჭოთა კავშირის



ბატონი გურამის სალოცავი კუთხე

ნაკრებში ქართველები ამ მხრივ ყველასგან გამოვირჩეოდით. მაგალითად, შოთა ლომაძეს 7-8 ლიტრი ღვინის დალევა შეეძლო. საერთოდ, მისი მსგავსი ფიზიკურად ძლიერი ადამიანი, ბევრი არ შემხვედრია. შოთას, რომელიც წარმოშობით წყალტუბოს რაიონის სოფელ საყულიადან იყო, ერთხელ ოჯახში სტუმრები ჰყავდა. ლომაძე ცოტა ხნით გარეთ გასულა და უცებ სახლს ტორტმანი დაუწყია, რამაც შიგ მყოფნი ძალიან შეაშინა, რადგან ეგონათ, რომ მიწისძვრა მოხდა. არადა, სინამდვილეში შოთა სახლის ქვეშ შემძვრალა და ხის კოჭებს ასწორებდა, რამაც გამოიწვია ეს ამბავი. რაც მე გამიგია, ქართველ მოჭიდავეთაგან სმაში ყველაზე გამორჩეული, არსენ მეკოკიშვილი გახლდათ. როგორც ამბობენ, მას ხალიჩაზე გასვლის წინ, ორი ლიტრი ღვინო დაულევია და ისე უჭიდავია. თვითმხილველებს უთქვამთ, რომ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მეკოკიშვილს ერთი ვედრო ღვინო მიურთმევია და თან პატარა ბატკანიც დაუყოლებია. ასევე გადმოცემით ვიცი, რომ ჩვენს ლეგენდარულ ფალავან სანდრო კანდელაკს 12-13 ლიტრი ღვინის დალევა და ერთი ცხვრის შეჭმა შეეძლო.

## ,,ადესა“ ჯანზე მოსაყვანად

– საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრები საერთაშორისო შეჯიბრების წინა შეკრებას ძირითადად, ალუშტაში გადიოდა. კვირის განმავლობაში ხუთი დღე ვვარჯიშობდით, შაბათს ორთქლის აბანოში დავდიოდი, ხოლო კვირას ვისვენებდით. მაშინ ქვეყნის მოჭიდავეთა გუნდში არსებობდა თანამდებობა: საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი საქართველოდან და იგი ვახტანგ ბალავაძეს ეკავა, რომელიც ძირითადად, ქართველ მოჭიდავეებს გვადევნებდა თვალყურს. შაბათობით, ორთქლის აბანოდან გამოსვლის შემდეგ, ქალაქში ვსეირნობდით, სადაც ჩამოსასხმელი ღვინო ,,ადესა“ იყიდებოდა, რომელსაც ადგილზე ამზადებდნენ და არაჩვეულებრივი დასალევი იყო. მე, შოთა ლომაძე და ზარიბეგ ბერიაშვილი ,,ადესით“ ლუდის კათხას გავავსებდით და სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ, გემრიელად გეახლებოდით. ნაკრების სხვა წევრები ამას რომ ხედავდნენ, გიჟდებოდნენ – ეს რას შვრებიანო?! ჩვენ კი კვირას დავისვენებდით და ორშაბათს ახალი სავარჯიშო ციკლი დაიწყებოდა, ისეთ ჯანზე მოვდიოდით, საჭიდაო ლეიბზე კაციშვილი ვერ გვიძლებდა. ერთიორჯერ ,,ადესა“ რუსებსაც გავასინჯეთ, მაგრამ მეორე დღეს ისინი ისე ცუდად გახდნენ, უმწეო კატის კნუტებს ჰგავდნენ. ჭიდაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ელემენტარულად განძრევა უჭირდათ.

## კაცი, რომელიც ქილიკს ვერ იტანს

– მოჭიდავეებს შორის, გივი კარტოზია ერთ-ერთ გამორჩეულ დამრტყმელად ითვლებოდა და ხანდახან ისეც მომხდარა, რომ მას რესტორანში ჩხუბისას 7-8 კაცი დახვევია, მაგრამ თავდამსხმელები ისე მიუყრ-მოუყრია, თითქოს არაფერი მომხდარა. იმ დროს ყველა უბანს თავის ,,დამრტყმელი“ ჰყავდა და ვერაზე ასეთებად – დოდო აბაშიძე და თენგიზ კეკელიძე, ხოლო ვაკეში – ამირან დუმბაძე ითვლებოდა. ეს ხალხი თბილისის კოლორიტები იყვნენ, მაგრამ მოჭიდავეებთან ჩხუბს ერიდებოდნენ და მათ მიმართ პატივისცემით იყვნენ განწყობილი. მართალია, იშვიათად, მაგრამ ახალგაზრდობაში მეც მიჩხუბია. ეს მაშინ ხდებოდა, თუ ვინმე უმიზეზოდ შეურაცხოფას მომაყენებდა. ასეთ დროს ამ ადამიანს ,,ხურდას“ აუცილებლად ვუბრუნებდი. საერთოდ, არ მიყვარს, როდესაც ვინმე დამცინის ან მაქილიკებს. ამის გულისთვის, რამდენჯერმე კონფლიქტი მომსვლია და კაცისთვის ისე დამირტყამს, მიწაზე დამიგდია, თუმცა მანამდე ის ადამიანი გამიფრთხილებია, რომ ჩემ მიმართ ასეთი დამოკიდებულება არ მომწონდა და როდესაც შეგონებას აღარ გაუჭრია, ხელით მხოლოდ მას შემდეგ შევხებივარ. ■



# ერნესტ ჰემინგუეი: „გამარჯვებული არაფერს იღებს“

დასაწყისი იხ. გზა №33.

## პრინციპები „ჩვენს დროში“

გაზეთიდან წამოსვლის შემდეგ, ერნესტი ოჯახთან ერთად კვლავ ევროპაში გაემგზავრა. პარიზში მათ ნოტრ-დამ-დე-შანის ქუჩაზე, სამხერხაოს თავზე იქირავეს ბინა. 1924 წლის იანვარში, ჰემინგუეის მეორე წიგნი „ჩვენს დროში“ პატარა ტირაჟით გამოვიდა. კლარენსმა კრებულის გამოსვლისთანავე შეუკვეთა ექვსი ეგზემპლარი, მაგრამ მალევე უკან დააბრუნა. შვილის მოთხრობების ზედმეტად ნატურალისტურმა სტილმა შოკში ჩააგდო მწერლის მშობლები. ერნესტი ღრმად გახლდათ დარწმუნებული იმაში, რომ მწერალს არაფერზე არ უნდა დაეხუჭა თვალი და სინამდვილე ზედმიწევნით ზუსტად უნდა აღეწერა. მამამ კი მისი მოთხრობების წაკითხვის შემდეგ მისწერა: „წესიერი ადამიანები საკუთარ ვენერიულ სნეულებებზე ექიმის კაბინეტის გარდა, სხვაგან არსად ლაპარაკობენ“. მწერლის და — მერსელინა იხსენებდა, რომ მშობლებს წიგნზე ისეთი რეაქცია ჰქონდათ, როგორიც მხოლოდ „საროსკიპოში მოხვედრილ მონაზონს“ შეიძლება ჰქონდეს. კლარენსი და გრეისი წიგნის ხსენებასაც კი ერიდებოდნენ და თუ შემთხვევით მაინც ახსენებდნენ, მხოლოდ ეპითეტით — „ის წიგნი“ — მოიხსენიებდნენ. მისი შემოქმედებისადმი მშობლების ზედმეტად მტრული დამოკიდებულება ძალზე მტკივნეულად განიცადა ერნესტმა და მათთან მიმოწერა შეწყვიტა. გარდა ამისა, ერნესტმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ჟურნალისტის პროფესიას აღარ დაუბრუნდებოდა, რადგან ამას შესაძლოა, მისი წერის მანერაზე უარყოფითი ზეგავლენა მოეხდინა. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის შემდეგ, ჰეში და ერნესტი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ისინი ძირითადად, ხახვითა და წყლით გაზავებული კაპორით (სადესერტო ღვინო) იკვებებოდნენ. მოგვიანებით, ჰემინგუეი იხსენებდა, როგორ ატყუებდა ჰეშს,ვითომდა სადილად იყო დაპატიჟებული, სინამდვილეში კი, პარიზის ქუჩებში ხეტიალში კლავდა დროს, რათა მის ცოლ-შვილს ცოტათი მეტი საჭმელი რგებოდა. ქუჩაში გასული მწერალი თვალს არიდებდა საკონდიტროების ვიტრინებს და ხან ლუქსემბურგის ბაღში დაეხეტებოდა, ხან კი მუზეუმში შეივლიდა ხოლმე. მოგვიანებით, ჰემინგუეი აღნიშნავდა, რომ მშიერ კუჭზე მხატვრულ ტილოებს ბევრად უფრო მკაფიოდ აღიქვამდა და ბევრად უფრო მშვენიერიც ეჩვენებოდა... მას ჩვევად ექცა კაფეში მუშაობა, რადგან იქ არც სამხერხაოს აუტანელი ხმაური აწუხებდა და არც ბავშვის ტირილი. „კაფეში ერთი ფრანკის ყავასა და ბრიოშებს (ფრანგული ფუნთუშა) ვუკვეთდი და მთელი დღის განმავლობაში იქ ვმუშაობდი“, — იხსენებდა მწერალი. მიუხედავად ნახევრად მშიერი არსებობისა, ერნესტი კომპრომისზე წასვლას მაინც არ აპირებდა. „წყეულიმც ვიყო, თუკი მხოლოდ იმიტომ დავწერ რომანს, რომ ყოველდღიური საჭმლის ფული მქონდეს, — ამბობდა ის. გამოსავალიც იპოვა: ის პროფესიონალ მოკრივეებს ვარჯიშის დროს პარტნიორობას უწევდა; ყოველი რაუნდისთვის მას 10 ფრანკს უხდიდნენ. 1925 წლის ოქტომბერში კი ერთ-ერთმა სოლიდურმა ამერიკულმა გამომცემლობამ ხელმეორედ გამოსცა მისი კრებული — „ჩვენს დროში“.

ერთხელ, მან კაფეში ამერიკელი დაფ ტვისდენი გაიცნო. პარიზში დაფს ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური პიროვნების რეპუტაცია ჰქონდა. მწერალთან ნაცნობობამდე, არისტოკრატისა და მედუქნის ქალიშვილს უკვე მოესწრო ბრიტანეთის ჯაშუშობა, ინგლისელ არისტოკრატზე გათხოვება და საკუთარ ბისექსუალ ბიძაშვილთან ერთად ნისლიანი ალბიონიდან პარიზში გაქცევა. ერნესტმა დაფის ყურადღება სიმპათიური გარეგნობითა და გაურყვნელი ბუნებით მიიპყრო — პარიზისთვის ეს ძალზე იშვიათი შერწყმა გახლდათ. 1925 წლის ზაფხულში პამპლონში ფრიად უჩვეულო კომპანია გაემგზავრა. დაფს თან ახლდნენ: ბისექსუალი ბიძაშვილი, ახალი საყვარელი ჰაროლდ ლები და ჰემინგუეი ცოლითურთ. ესპანეთში ჩასვლისთანავე სასიყვარულო ხუთკუთხედი შეიქმნა. სამი მამაკაცის მეტოქეობამ მეტისმეტად დამუხტა მათი კომპანია. ეჭვიანმა ბიძაშვილმა დაფს თვალი ჩაულურჯა, ერნესტმა კი, რომელიც ცდილობდა, რომ ყველგან და ყველაფერში გამარჯვებული გამოსულიყო, ლები ორთაბრძოლაში გამოიწვია. ყოველივე ამას ჰეში უსიტყვოდ ადევნებდა თვალს. ცოლ-ქმრის ურთიერთობაში პირველი ბზარი გაჩნდა მაშინ, როცა ის ხელმეორედ დაორსულდა, ერნესტმა კი აბორტის გაკეთება აიძულა მას. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ დაფი პირმშვენიერი მატადორით დაინტერესდა და ამ მიზეზით, სამივე თანმხლები მამაკაცი უყოყმანოდ მიატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ერნესტი და დაფი საყვარლები არასდროს ყოფილან, გაკრეჭილთმიანი და ელეგანტური ქალბატონი მწერლის მუზად იქცა და მას თავისი პირველი რომანი — „ალ-



დაფ ტვისდენი



ერნესტი მეორე ცოლთან, პოლინ პფაიფერთან ერთად თბომავალ „პარიზის“ ბორტზე, აფრიკული საფარიდან დაბრუნებისას. 1934 წელი

მოხდების მზე“ — შთააგონა. საკუთარი მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, დაფი სულაც არ იყო ერნესტთან სარეცლის გაყოფის წინააღმდეგი, მაგრამ როცა საქმე ცოლის ღალატზე მიდგებოდა, ჰემინგუეი პურიტანის თვისებებს ავლენდა.

მართალია, რომანის პერსონაჟები პამპლონის ვოიაჟის მონაწილეთა ზუსტ ასლს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, დაფის არც ერთ საყვარელს საკუთარი თავის ამოცნობა არ გასჭირვებია. მთავარი გმირის, უპასუხისმგებლო და უზრუნველი ბრეტ ეშლის სახე, რომლის პროტოტიპიც დაფ ტვისდენი გახლდათ, მკითხველს ყველაზე მეტად მოეწონა. ხოლო მთხრობლის — იმპოტენტ ჯეიკის შინაგანი განცდები ჰემინგუეიმ ისეთი მაღალმხატვრული ოსტატობით აღწერა, რომ მწერლის მამაკაცურ სრულფასოვნებაში ეჭვიც კი შეიტანეს და ეს ამბავი საზოგადოების განსჯის საგნად იქცა. დაკარგული თაობის თემაზე წერა, იმხანად ფრიად მოდური გახლდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჰემინგუეის რომანი პირველი მსოფლიო ომიდან შინ დაბრუნებული ადამიანების ცხოვრების ამსახველ ენციკლოპედიად იქცა.

ჰეში სულ უფრო და უფრო ნაკლებად აინტერესებდა ქმარს. გასუქებული, მოძველებული კაბებში გამოწყობილი ჰეში შვილთან ერთად გამუდმებით შინ იჯდა და საოცრად ჩვეულებრივი იყო. ერნესტი უკვე ნანობდა, რომ დაფთან ადიულტერის ჩადენის შანსი ხელიდან გაუშვა. შესაძლოა, სწორედ ამიტომაც მან ყურადღება ჰეშის მეგობარს, პოლინ პფაიფერს მიაპყრო. პოლინი საკმაოდ შეუხედავი ქალი იყო, მაგრამ გარკვეული მომხიბვლელობა მასაც ჰქონდა. მდიდარი მშობლების ქალიშვილი, პარიზის ჟურნალ „ვოგში“ მუშაობდა და ისევე იცვამდა, როგორც ჟურნალის ფურცლებზე აღბეჭდილი მოდელები. ჰეშის — არაფრით გამორჩეული ნაცრისფერი ბეღურის გვერდით, პფაიფერი მკვეთრი შეფერილობის ჩიტივით აღიქმებოდა. მამაკაცებთან პირფერობა პოლინისთვის უცხო ხილი არ გახლდათ და იმისთვის, რომ მოდური მწერლის ცოლობისთვის გამოეკრა ხელი, მისი შემოქმედების გულმხურვალე თაყვანისმცემლის როლის თამაში სულაც არ გასჭირვებია. ის გამუდმებით მწერლის საყვარელ გამოთქმებს აფრქვევდა, მისი ნაწარმოებების ფრაზების ციტირებას ახდენდა და ერნესტის ლაპარაკის მანერაც გადაიღო. შვეიცარიის სამთო-სათხილამურო კურორტზე გამგზავრებულ ცოლ-ქმარს, მოკლე ხანში ისიც უკან გაჰყვა და სავარაუდოა, რომ სწორედ იქ გახდა ერნესტის საყვარელი. ჰემინგუეი საკუთარ საქციელს სასტიკად ნანობდა, რადგან ცოლის ღალატის შემდეგ, საშინელი დანაშაულის გრძნობა დაეუფლა... პოლინთან „ცოდვაში ცხოვრებასაც“ იმდენად მტკივნეულად განიცდიდა, რომ იძულებული გახდა, ჰეშისთვის განქორწინება ეთხოვა. მოგვიანებით, ოჯახის დანგრევაში ის პოლინს ადანაშაულებდა, ხოლო ჰეშს ამქვეყნად ყველაზე სულგრძელ ადამიანად მიიჩნევდა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, განქორწინების შემდეგ, ოჯახის დანგრევას ყველაზე მეტად სწორედ მისი ინიციატორი განიცდიდა. ერნესტი არამზადასა და ნაძირალას უწოდებდა საკუთარ თავს და ისეთმა დეპრესიამ დარია ხელი, რომ აღარაფერი შველოდა. „აღმოხდების მზეში“ აღებული მთელი ჰონორარი მან ჰეშს გადაულოცა.

მისი მოთხრობის — „უცხო მხარეში“ — ერთ-ერთი გმირი ზუსტად გადმოგვცემს მწერლის იმჟამინდელ დეპრესიულ განწყობილებას: „ადამიანმა არ უნდა იქორწინოს. მან უნდა იპოვოს ის, რისი დაკარგვაც შეუძლებელია“. ჰემინგუეიმ ეს ქვეყანა პირველად აღიქვა სამყაროსეულ ხაფანგად. მისი ყოველი მომდევნო ცოლი წინამორბედზე მდიდარი იყო. შიმშილობისა და მოშჯირნეობის ხანამ განვლო და ერნესტიც პოლინთან ერთად აპარტამენტში დაბინავდა. ოჯახის დანგრევით გამოწვეული შოკი მისთვის იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ დროებით, იმპოტენციამაც კი დარია ხელი.

აშშ-ში ჰემინგუეი ქვეყნის ყველაზე ეგზოტიკურ მხარეში, ფლორიდის შტატის კუნძულ კი-უესტზე დასახლდა. ვიდრე ის ახალ რომანს წერდა, მის ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. პოლინმა მას ვაჟიშვილი გაუჩინა. მშობიარობა მძიმედ წარიმართა და საკეისრო კვეთა გახდა საჭირო. ერნესტს საავადმყოფოს დერეფანში არაერთი საათის გატარება მოუხდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ის დარწმუნებული იყო, რომ პოლინი კვდებოდა და ყოველივე ამაში, დამნაშავედ მხოლოდ საკუთარ თავს თვლიდა. ამ მოვლენიდან ძალზე მოკლე ხანში, კლარენს ჰემინგუეიმ „სმიტვესონის“ გასროლით მოიკლა თავი. მას დიაბეტი აწუხებდა და გარდა ამისა, ფლორიდაში უძრავ ქონებაში თანხის დაბანდებით, იმხანად დიდი წაგება ნახა. კლარენსი თავადაც ექიმი იყო და კარგად ესმოდა, რომ მისი დაავადება დღითი დღე პროგრესირებდა. მას არ სურდა, ინვალიდის ეტლს მიჯაჭვოდა, ამიტომ საკუთარ საძინებელში თავში გასროლით მოისწრაფა სიცოცხლე. ერნესტის აზრით, ასე მხოლოდ მშიშრები ამთავრებდნენ სიცოცხლეს. ის ყველაფერში დედას ადანაშაულებდა და მიაჩნდა, რომ თავისი დიქტატორული ხასიათით გრეისი საოცრად თრგუნავდა კლარენსს და სწორედ მან მიიყვანა ამ ნაბიჯამდე. ერნესტს საოცრად უყვარდა მამა, განსაკუთრებით მანამ, ვიდრე დედა მის გამოჭერას საბოლოოდ მოახერხებდა. ერნესტს იმდენად ეშინოდა, თავადაც მამას არ დამსგავსებოდა, რომ საკუთარ ოჯახში მარტო ოჯახის თავკაცის ფუნქციით არ კმაყოფილდებოდა და ზოგჯერ ტირანის თვისებებსაც ავლენდა. როდესაც თხზვის პროცესი წყალივით მისდიოდა, ის სულგრძელი და მხიარული გახლდათ, მაგრამ როცა საკუთარი ნაწერით უკმაყოფილო იყო, აუტანელი ხდებოდა. მამის სიკვდილის შემდეგ, კარგა ხნის მანძილზე, ერნესტი მასზე ლაპარაკსაც კი ერიდებოდა. ამას ხომ შესაძლოა იყო, მისთვის წერის პროცესში შეეშალა ხელი.



ერნესტი მეგობართან, ტეილორ უილიამსონთან ერთად. 1940 წელი

## სიყვარულის მორევი

1933 წელს ჰერმინგუეი პოლინთან ერთად თავის პირველ აფრიკულ საფარიში გაემგზავრა. მწერალს ყოველთვის მიაჩნდა, რომ მის ქალებს უნდა სცოდნოდათ ყველაფერი ის, რაც მან თავად იცოდა. ამიტომ, ყველა მისი ცოლი, გამონაკლისის გარეშე, მარჯვე მსროლელი, ბრწყინვალე მოთხილამურე და დახელოვნებული მეთევზე გახლდათ. ჰემინგუეიების წყვილი ნაირობიში ერთ-ერთ ფერმაში დასახლდა. ორი კვირის განმავლობაში ისინი საფარისთვის ემზადებოდნენ.



მწერალი მესამე ცოლთან, მარტა მელჰორნთან ერთად ხოხბებზე ნადირობისას. 1940 წელი

მსუბუქი მანქანით ისინი სერენგეტის ნაკრძალისაკენ დაიძრნენ. მათ თან ახლდნენ მექანიკოსი, მტვირთავები და მზარეული, რომლებიც სამონადირეო აღჭურვილობასთან ერთად, ორი სატვირთო მანქანით მიჰყვებოდნენ უკან. თავისი პირველი ლომის მოკვლის შემდეგ, მწერალი საშინლად იმედგაცრუებული დარჩა. ის შეუპოვარ, სისხლიან ბრძოლას ელოდა, ლომი კი მისი გასროლის შემდეგ ყოველგვარი წინააღმდეგობისა და ბრდღვინვის გარეშე უსულოდ დაეცა მიწაზე. იქ, აფრიკაში, მან ჩაიფიქრა მოთხრობა მონადირეზე, რომელიც საკუთარი შიშების დათრგუნვას მოახერხებს. ყველაფერში პირველობის მოსურნე ერნესტი, სხვებზე მეტი ცხოველის მონადირებას ცდილობდა. მან უამრავი ანტილოპისა და ერთი მარტორქის მოკვლა მოახერხა. აფრიკის მწვანე ქედები და მისი ზურმუხტისფერი ველები დიდი ხნის განმავლობაში მწერლის შემოქმედების უმთავრეს თემად იქცა.

ამერიკაში დაბრუნების შემდეგ, ერნესტმა ბრუკლინის გემთმშენებელ ვერფში თავისი ცნობილი კატერი „პილარი" შეიძინა. კუნძულ ბიმინიზე ხელის ტყვიამფრქვევი იყიდა, რომელიც კატერზე დაამონტაჟებინა, რათა მისი მეშვეობით მოეგერიებინა ზვიგენები, რომლებიც ხშირად მის დაჭერილ თევზს ეხვეოდნენ ხოლმე. სწორედ იმ პერიოდში, მწერალმა შესანიშნავი აღნაგობის მქონე, ქერა, ცისფერთვალება ქალბატონი გაიცნო. ჯეინ მეისონის ქმარი ძალზე მდიდარი და რესპექტაბელური ადამიანი იყო, მაგრამ მათი ქორწინება უღიმღამო გახლდათ. ჯეინს შვილი არ უჩნდებოდა და დარდის გაქარვებას სიყვარულის ძიებით ცდილობდა. თავისი ფეშენებელური სახლიდან, სადაც მას 9 მოსამსახურე ემსახურებოდა, ის ერნესტთან გაიქცა. ისინი „პილარითი" ხშირად გადიოდნენ ზღვაში. იმ დროისათვის პოლინმა საკეისრო კვეთის მეშვეობით მეორე ვაჟიც გაუჩინა ქმარს. ექიმებმა გააფრთხილეს ქალი, რომ ხელახალი ორსულობა მისთვისაც და ბავშვისთვისაც შესაძლო იყო, ლეტალური შედეგით დასრულებულიყო. დაორსულების შიშით, პოლინმა ქმარს საძინებლის დატოვება მოსთხოვა. უნაყოფო ჯეინი კი ამ მხრივ არანაირად არ იყო შეზღუდული. საყვარლები ხშირად ჰავანის სასტუმროს — „ამბოს მუნდოს" ნომერში ხვდებოდნენ ერთმანეთს, სადაც რომანტიკის მოყვარული ჯეინი სახანძრო კიბის მეშვეობით ადიოდა ხოლმე. მისის მეისონი ძალზე გაუწონასწორებელი ბუნების ადამიანი გახლდათ. ის ძალზე ბევრს სვამდა, აწუხებდა დეპრესია და ერთხელ, თავის მოკვლაც კი სცადა. მათ ერთმანეთის მიმართ თანდათან გაუნელდათ ვნება. ჯეინი ხომ მეტისმეტად ჰგავდა თავად ერნესტს. ზოგჯერ ჰემინგუეი უბედურების მომტან თილისმად მიიჩნევდა საკუთარ თავს, რომელთან შეხებასაც ტრაგედია მოჰქონდა ადამიანებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი გამუდმებით ჯიბით დაატარებდა ცხენისწაბლას და კურდღლის თათს, ის გამუდმებით გრძნობდა მის გარშემო არსებულ უარყოფით აურას. მამამისმა თავი მოიკლა, მისი და ურსულა განუკურნებელი სენით დაავადდა და მანაც საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე, 1982 წელს უმცროსმა ძმამ ცეცხლსასროლი იარაღით მოიკლა თავი. სიცოცხლესთან ანგარიშის გასწორება სცადეს მისმა საყვარელმა ჯეინ მეისონმა და პარიზელმა მეგობარმა, მწერალმა ფიცჯერალდმა. მწერლის ერთ-ერთმა პირველმა ბიოგრაფმაც ფანჯრიდან გადმოხტომით დაასრულა სიცოცხლე.

*დასასრული შემდეგ ნომერში* ■



# ტესტი მრუდიციაზე

***1. გაეროს რიგით მერამდენე წევრია საქართველო?***



ა) 111-ე;
ბ) 179-ე;
გ) 253-ე.

***2. რა პროფესიის იყო რემბრანდტის მამა?***



ა) მეწაღე;
ბ) მეთულუხჩე;
გ) მეწისქვილე.

***3. რა ფერის კვერცხებს დებენ აზიური ქათმები?***



ა) ყავისფერს;
ბ) წითელს;
გ) თეთრს.

***4. რას წერს ადამიანთა უმეტესობა პირველად, როცა მათ ახალ კალმისტარს შესთავაზებენ?***



ა) ციფრებს;
ბ) უახლოესი ადამიანის სახელს;
გ) საკუთარ სახელსა და გვარს.

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

# ვიოლინოთი დაკრული კლასიკა, ჯაზი და როკ-ენ-როლი



## ანტალიაში დაწყვილებული ქართველი მუსიკოსები, სტუმართმოყვარე თურქები და უთეატრო ოპერა

**რამდენიმე დღეა, რაც ანტალიიდან დავბრუნდი. იქ საბავშვო ანსამბლ „გვირილის“ წყალობით მოვხვდი. ჩემი მოგზაურობა საკმაოდ საინტერესო იყო და მის შესახებ „გზის“ მომდევნო ნომრებში მოგითხრობთ, ამჯერად კი მინდა, ჩვენი თანამემამულე — მომხიბვლელი და ნიჭიერი მევიოლინე, ქალბატონი მაკა სიხარულიძე წარმოგიდგინოთ, რომელიც უკვე წლებია, თურქეთის სხვადასხვა ქალაქში მუშაობს. იგი „გვირილის“ ხელმძღვანელის, ქალბატონი ერნა წიფურიას სტუდენტობის დროინდელი მეგობარია და ანტალიაში ერთმანეთს სრულიად შემთხვევით შეხვდნენ. ქალბატონმა მაკამ ქართული სტუმართმოყვარეობით მიგვიღო, თურქული ლუდითაც გაგვიმასპინძლდა და თავისი ცხოვრების საინტერესო მომენტებზეც მოგვიყვა.**

***ნათია ქივიძე***

— **ანტალიაში როგორ მოხვდით?**

— ჩემი მეუღლე ზურაბ ჭელიძეა, რომელსაც თბილისში ძალზე ბევრი ადამიანი იცნობს, რადგან მშვენიერი პიანისტია. როგორც ჯაზს, ასევე კლასიკასაც უკრავს. ერთხელ მას საკმაოდ შეძლებულმა პიროვნებამ შესთავაზა — არ გინდა, თურქეთში წახვიდე და იქაურ კლუბებში დაუკრაო? ზურაც დათანხმდა. მერე ხუთვარსკვლავიან სასტუმროში მუშაობდა, სადაც მევიოლინე დასჭირდათ, რომელსაც წლების განმავლობაში ეძებდნენ. ისე მოხდა, რომ მოგვიანებით, მე მიპოვა და აქ წამოვიყვანა. მერე შევუღლდით კიდეც. თავდაპირველად, ანტალიაში კი არა, სხვა ქალაქში, სხვადასხვა რესტორანსა თუ სასტუმროში ვმუშაობდით. მანამდე კლასიკური მუსიკოსი ვიყავი და არ მიფიქრია, რომ ოდესმე საესტრადო მუსიკასაც შევასრულებდი. მაშინ ბატონმა ჯანსულ კახიძემ მითხრა: ბეთჰოვენში ფულს არ გიხდიან და შტრაუსში აუცილებლად გადაგიხდიანო. სწორედ ამან მიბიძგა იმისკენ, რომ ასეთი მუსიკაც დამეკრა. მშვენიერი კვარტეტი გვქონდა და ვუკრავდით შეხმატკბილებულად. ახლა თითქმის ყველანაირ მუსიკას ვუკრავ. ხალხს ვიოლინო რატომღაც კლასიკურ საკრავად მიაჩნია. მე კი გადავწყვიტე, ეს მოსაზრება გავუქარწყლო მსმენელს და ვიოლინოზე როკ-ენ-როლსაც ვუკრავ და ძალზე კარგადაც გამომდის... მოგვიანებით გავიგეთ, რომ ანტალიაში ოპერის თეატრი იხსნებოდა, სადაც საბუთები უნდა შეგვეტანა და თუ კონკურსში გავიმარჯვებდით, სამუშაოდაც მიგვიღებდნენ. მე და ჩემი მეუღლე ასეც მოვიქეცით, კონკურსშიც გავიმარჯვეთ და მიგვიღეს. უკვე 6 წელია, აქ ვმუშაობთ. შარშან, კიდევ ერთი კონცერტმაისტერი დასჭირდათ და ქალბატონი მარინა იაშვილიც მოვიწვიეთ. ჩვენთან სხვა ქართველებიც მუშაობენ — დავით ახალაძე, მევიოლინე და ქორეოგრაფები, ნათელა არაველიძე და მისი მეუღლე — სერგო, რომლებიც ანკარაში მუშაობდნენ და ახლა ჩვენთან გადმოვიდნენ.

— **ანტალიაში სხვა დარგის ქართველი ხელოვნებიც თუ არიან?**

— მხატვრები და სხვა დარგის წარმომადგენლები, არ ვიცი, არიან თუ არა, მაგრამ ფესტივალებზე ქართული ფილმები ჩამოაქვთ ხოლმე. ამას წინათ, ბოდრუმში ჩამოსული იყო რობერტ სტურუა და ანკარის თეატრში ,,ჰამლეტი“ დადგა. ნუკრი მაღალაშვილიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო აქ, მაგრამ მერე მერფინის თეატრში გადავიდა. იქაც დიდხანს მუშაობდა და წელს, თბილისში დაბრუნდა. ისე, მერფინის ოპერის თეატრში გაცილებით მეტი ქართველი მუშაობს.

— **როგორ შეეგუეთ აქაურ ცხოვრებას?**

— ძალიან ადვილად შევეგუეთ, რადგან ჩვენსა და თურქების მენტალიტეტს შორის დიდი განსხვავება არ არის. ბევრი საერთო სიტყვა და ადათი თუ ჩვეულება გვაქვს. ბევრი ისეთი რაღაც აღმომიჩენია თურქების ხასიათში, რომ ხშირად მითქვამს, ქართველებს როგორ ჰგვანან-მეთქი!.. თბილი და მეგობრული ხალხია. მათთან კონტაქტში ძალზე ადვილად შევდივართ. თანაც აქ ჩემი პროფესიონალური შესაძლებლობების რეალიზებას ვახდენ. სიმფონიურ ორკესტრშიც ვმუშაობ, ოპერის ორკესტრშიც და თან ექსტრასამუშაოებსაც ვეწევი: 5-ვარსკვლავიან სასტუმროებში გვეპატიჟებიან და იქ ვუკრავთ ხოლმე. პირადად მე მივიჩნევ, რომ ძალზე გამიმართლა, აქ რომ მოვხვდი და ძალზე კმაყ-

ოფილი ვარ ჩემი საქმიანობით. აქ ყველანაირად უწყობენ ხელს ქართველებს იმაში, რომ მათი საბალეტო და საოპერო ხელოვნება უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ. მადლიერებასაც უხვად გამოხატავენ. ამას წინათ, გაზეთში წავიკითხე ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგები, რომლის კითხვა გახლდათ — ვინ არის თურქებისთვის ყველაზე საყვარელი ერი? პირველი ადგილი იაპონელებმა დაიკავეს, მეორე კი — ქართველებმა. ეს ჩემთვის იმდენად საამაყო ფაქტი იყო, რომ ის გაზეთი ახლაც შენახული მაქვს... შავი ზღვის მხარეს მცხოვრები „ქართველი თურქები" ქართულად ლაპარაკობენ და იციან, რომ ქართველები არიან. აქაურები ქართულად ვერ ლაპარაკობენ, თუმცა, მათაც იციან, რომ ადრე ქართველები იყვნენ. სხვათა შორის, ერთი ნაცნობი მყავს, რომელიც არაჩვეულებრივი სტომატოლოგია. მან იცოდა, რომ ქართველი იყო, ამიტომ საქართველოში წავიდა, იქ გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა, ქართული ისწავლა და ახლა არაჩვეულებრივად ლაპარაკობს მშობლიურ ენაზე.

— **რას აპირებთ, ბოლომდე თურქეთში დარჩებით?**

— რა ვიცი, აქ კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული და ვიდრე ამ კონტრაქტს ვადა არ გაუვა, ვალდებული ვარ, ვიმუშაო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამით ძალზე კმაყოფილი ვარ. თუმცა, არა მგონია, რომ სამუდამოდ აქ დავრჩე. აქ მოქალაქეობის მიღება არც ისე ადვილია. ჩემი აზრით, არ უნდა არსებობდეს ეს მოქალაქეობა, ქვეყნებს შორის მისვლა-მოსვლა მარტივად უნდა ხდებოდეს. კიდევ იმის თქმა მინდა, რომ ქართველები აქ უნდა ჩამოდიოდნენ და სპექტაკლებს დგამდნენ, რათა თურქ ერს ჩვენი კულტურა უფრო კარგად გააცნონ. თითქმის ყველა ერი ჩამოდის აქ, გარდა ქართველებისა და ეს ძალზე სამწუხაროა. სხვათა შორის, თურქებს მშვენიერი მუსიკა აქვთ და მათი მუსიკაც უნდა „ჩადიოდეს" საქართველოში, მით უმეტეს, რომ ერთმანეთთან ასე ახლოს ვცხოვრობთ. ქორეოგრაფიული ბავშვთა ანსამბლები ჩამოდიან და კონცერტებს მართავენ, მაგრამ პროფესიონალი მომღერლებიცა და მუსიკოსებიც ხომ უნდა ჩამოდიოდნენ! ყოველ წელიწადს აქ გრანდიოზული ფესტივალი იმართება, სადაც ჩვენ ყოველთვის ვუკრავთ, მაგრამ გული მწყდება, რომ სხვა ქართველები არ ჩამოდიან და არ მონაწილეობენ. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენს ოპერის თეატრს ჯერჯერობით შენობა არა აქვს. არსებობს კულტურის ცენტრი, სადაც სიმფონიური ორკესტრიც არის დაბინავებული და ოპერაც. ანტალიაში თუ რაიმე ღონისძიება ტარდება, ყველა ამ ცენტრში იმართება. ზოგიერთ ქალაქში ოპერის შენობა აქვთ, მაგრამ მსახიობები არ ჰყავთ. ანტალიას კი არაჩვეულებრივი ახალგაზრდა მსახიობები ჰყავს, მაგრამ შენობა არა აქვს. არაჩვეულებრივი საბალეტო დასიც გვყავს. ახლა ახალი ხელმძღვანელები დაგვინიშნეს და ისინი ძალზე მონდომებულები არიან, რომ დაგვეხმარონ. ვნახოთ, რა იქნება. აქაურები კარგად იცნობენ ლიანა ისაკაძეს, პიანისტ მარინა იაშვილს, ასევე იცნობდნენ ჯანსუღ კახიძეს. როცა ბატონი ჯანო გარდაიცვალა, ჩვენი კონცერტმაისტერი ფეხზე წამოდგა და გვთხოვა, რომ წუთიერი დუმილით პატივი მიგვეგო მისი ხსოვნისათვის. ბატონი ჯანოს ამ ქვეყნიდან წასვლა თურქებისთვისაც დიდი დანაკლისი იყო... თურქები, ასე თუ ისე, იცნობენ ქართველ პიანისტებს, მაგრამ ქართველებს არა მხოლოდ თურქები, საკუთარი ქვეყნის შვილებიც არ აინტერესებთ, ვინც აქ მოღვაწეობს. მაგალითად, ირაკლი ჭიაურელი 3 წლის განმავლობაში, მერფინის თეატრში მთავარი დირიჟორი იყო, მაგრამ საქართველოში ვინმემ იცოდა მისი არსებობა?.. ან ნუკრი მაღალაშვილი, რომელმაც ჯერ ანკარის ბალეტი ააყვავა, მერე კი მერფინის ბალეტიც წინ წასწია. მის ხელოვნებას აქ უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. მოკლედ, ისე გამოდის, რომ თურქებს უფრო ვჭირდებით, ვიდრე — ქართველებს და ამის გამო ძალზე მწყდება გული.



ჩემი აზრით, არ უნდა არსებობდეს ეს მოქალაქეობა, ქვეყნებს შორის მისვლა-მოსვლა მარტივად უნდა ხდებოდეს...

— **როგორც ვიცი, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევით. ასეა?**

— დიახ, მყავს ბევრი მოსწავლე, რომელსაც ვიოლინოზე დაკვრას ვასწავლი.

— **ქართველი მოსწავლეებიც ხომ არ გყავთ?**

— სამწუხაროდ, არა. სულ თურქი ბავშვები არიან, საკმაოდ ნიჭიერები. ერთ-ერთმა მათგანმა წელს ჩააბარა კონსერვატორიაში და ამით ძალზე კმაყოფილი ვარ. მინდა, ხელი შევუწყო მისი ნიჭის განვითარებას.

— **შემთხვევით, თბილისის ოპერის თეატრიდან შემოთავაზება ხომ არ გქონიათ?**

— არა. თბილისის ოპერის თეატრში არასოდეს მიმუშავია. საქართველოში ცხოვრების დროს, სიმფონიურ ორკესტრში, ბატონ ჯანო კახიძესთან ვმუშაობდი. როცა იქიდან წამოვედი, რა თქმა უნდა, ბატონ ჯანოს გული დასწყდა და დავპირდი — აუცილებლად დავბრუნდები, რადგან თურქეთში არც ოპერაა და არც სიმფონიური ორკესტრი-მეთქი. მაშინ მან მითხრა — შენ რომ იქ ჩახვალ, გახსნიანო. ასეც მოხდა. აქ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან დირიჟორები და ძალზე საინტერესოა მათთან მუშაობა. მინდა, რომ ახალგაზრდა მუსიკოსები ჩამოვიდნენ აქ და ამ სიმფონიურ ორკესტრში დაუკრან.

— **სულ რამდენი წელია, რაც აქ ხართ?**

— უკვე 9 წელი გავიდა ჩემი აქ ჩამოსვლიდან.

— **შვილები თუ გყავთ?**

— რა თქმა უნდა. პირველი ქორწინებიდან მყავს ერთი გოგონა, თინათინ ახობაძე, რომელიც სტომატოლოგია, თბილისში ცხოვრობს და ყოველ წელს ჩემთან დასასვენებლად ჩამოდის. ახლაც აქ გახლავთ. მე კი უკვე 8 წელია, რაც საქართველოში არ ვყოფილვარ. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. ახლა, ცოტა ხანში უნდა წავიდე.

— **რა გრძნობა გეუფლებათ, როცა აქ თქვენს თანამემამულეებს ხვდებით?**

— პირველ რიგში, ვამაყობ იმით, რომ ქართველი ვარ. აქ ხშირად ვეშლებით რუსებში და ვუხსნი ხოლმე, რომ არ ვარ რუსი და არც არასოდეს ვიქნები. გული მომდის, ამას რომ მეუბნებიან, თუმცა, რუსებთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. ქართველებთან შეხვედრა, რა თქმა უნდა, ძალზე მიხარია და ვცდილობ, ყველასთან მეგობრული დამოკიდებულება მქონდეს.

■



# მოურინიომ კარვალიუ ფსიქიატრთან გაამწესა

„ჩელსის“ მთავარმა მწვრთნელმა, ჟოზე მოურინიომ ორიგინალური რჩევა მისცა თავისი გუნდის მოთამაშეს, რიკარდუ კარვალიუს. The Sun-ი იუწყება, რომ მოურინიომ თანამემამულეს ფსიქიატრთან მისვლა ურჩია, რათა ამ უკანასკნელმა გაარკვიოს, „ყველაფერი წესრიგში აქვს თუ არა ფეხბურთელს“. საქმე ის გახლავთ, რომ მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის ცოტა ხნის წინ კონფლიქტი წარმოიშვა. რომან აბრამოვიჩის მიერ სეზონის წინ რამდენიმე ფეხბურთელის შეძენის გამო, კარვალიუმ ალბათ დიდი ხნით დაკარგა ადგილი „არისტოკრატთა“ ძირითად შემადგენლობაში. სწორედ ამ გარემოებას ვერ ეგუება პორტუგალიელი მცველიც, რომელმაც მოურინიოს სამწვრთნელო სტრატეგია გააკრიტიკა. თავის მხრივ, ვალში არც „ჩელსის“ თავკაცი დარჩენილა. „არაერთხელ გავაფრთხილე ყველა მოთამაშე, რომ წელს ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და არავის აქვს გარანტირებული ადგილი ძირითად შემადგენლობაში. მაგრამ ისიც აღვნიშნე, რომ გრძელი სეზონი იქნება და საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენის შანსი ყველას მიეცემა. თუ კარვალიუს ამ მხრივ პრობლემები აქვს, უმჯობესია, ფსიქიატრს მიმართოს, ვიდრე სხვის საქმეში ცხვირს ჩაყოფდეს“, — განაცხადა მოურინიომ. ■

# ბუფონი ქორწინდება?!



როგორც ჩანს, „იუვენტუსისა“ და იტალიის ნაკრების გოლკიპერს, ჯანლუიჯი ბუფონს დაოჯახება გადაუწყვეტია. ყოველ შემთხვევაში, იტალიელმა პაპარაცებმა არა მარტო ფირზე აღბეჭდეს ერთად ბუფონი და ჩეხი ფოტომოდელი ალენა სედოროვა, არამედ ისინი ზაფხულის საუკეთესო წყვილადაც აღიარეს. შეყვარებულები ერთ-ერთ იტალიურ პლაჟზე შენიშნეს, სადაც ისინი ერთად ყოფნით ტკბებოდნენ. საგულისხმოა ისიც, რომ ცოტა ხნის წინ სედოროვა კრისტიან ვიერის მეგობარ გოგონად ითვლებოდა, მაგრამ მათი ურთიერთობა უშედეგოდ დასრულდა. ამ შემთხვევაში კი, თავად ფოტომოდელის თქმით, საქმე უფრო სერიოზულ ურთიერთობას ეხება. „ჯიჯიმ უბრალოდ მომხიბლა. ის არაჩვეულებრივი ადამიანია და ვიმედოვნებ, რომ ჩემზეც იმავეს ფიქრობს“, — დასძინა სედოროვამ ერთ-ერთი იტალიელი ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში. როგორც ცნობილია, ბუფონმა, ბერლუსკონის თასის გათამაშებაში მიიღო ტრავმა, რომელშიც „იუვე“ „მილანთან“ 1:2 დამარცხდა. ამის გამო გოლკიპერს სამი თვით დასვენება მოუწევს. ■

# ჩემპიონთა ლიგას 29 წლის სექსსიმბოლო გააშუქებს

იტალიური ტელეარხის — Rete Quattro-ს ეთერით გადის გადაცემა — Pressing Champions League, რომლის სახეც ბოლო დროს, ფოტომოდელი ალესია ფაბიანი იყო. სწორედ მას, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, „პარმის“ მცველის, სტეფანო ბეტარინის საცდუნებლად ერთი საღამო დასჭირდა... ჩემპიონთა ლიგის მომავალი სეზონიდან, Pressing Champions League-ს ახალი წამყვანი ეყოლება — 29 წლის პატრიცია გნატეკი, რომელიც გერმანიაშია დაბადებული. უკვე დღეს, პატრიცია მოუთმენლად ელის თავის



დებიუტს ეკრანზე. ამბობენ, რომ მას ფეხბურთის ბევრი არაფერი გაეგება, თუმცა ეს გნატეკს უხერხულობას სულაც არ უქმნის. „ფეხბურთი მიყვარს, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრ მოთამაშეს არ ვიცნობ. ამ ხარვეზს გამოვასწორებ. ამაში მთელი რედაქცია მეხმარება. ზოგიერთი ფეხბურთელებს მაცნობს, ზოგი — მწვრთნელებს. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი გამომივა. დიდი ხნის მანძილზე, ერნან კრესპო მომწონდა. მის თამაშებს თვალყურს ვადევნებდი, მაგრამ ის დაქორწინდა და „ჩელსიში“ გადავიდა. ამის შემდეგ მისდამი ინტერესი გამინელდა“, — ამბობს პატრიცია გნატეკი, რომელიც 1975 წლის 29 აგვისტოს, შტუტგარტშია დაბადებული. მან ტელევიზიაში 16 წლის ასაკში დაიწყო მუშაობა. მაშინ პარაგვაის ერთ-ერთ წამყვან არხზე საბავშვო გადაცემა მიჰყავდა. შემდეგ მონაწილეობდა Bailys-ისა და Pirelli-ს სარეკლამო რგოლების გადაღებაში. პატრიციას სხვა არაერთ სატელევიზიო პროექტში მიუღია მონაწილეობა. მაგალითად, ყველაზე მსხვილ კერძო იტალიურ ჰოლდინგს — Mediaset-ს უნდოდა, რომ გნატეკი რომელიმე სპორტული პროგრამის სახე გამხდარიყო. სწორედ ასეთ გადაცემად იქცა Pressing Champions League. ტელეარხი Rete Quattro ხომ ამ ჰოლდინგის საკუთრებას წარმოადგენს. ■

# სერია A-ს პლეიბოი ცოლს ურიგდება



იტალიურმა ვულგარულმა ჟურნალმა – „ნოველა 2000“-მა ქვეყნის 2004-2005 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ჩაატარა გამოკითხვა, რომლის მიზანი, სერია A-ს ყველაზე სექსუალური ფეხბურთელის გამოვლენა გახლდათ. 18-45 წლის ასაკის ათასობით მკითხველმა თავისი არჩევანი „პარმის“ მცველ სტეფანო ბეტარინიზე შეაჩერა, რომელმაც ხმათა 70%-ზე მეტი მიიღო. 33 წლის ბეტარინი უკვე რამდენიმე წელია, რაც იტალიაში ყველაზე სექსუალურ ფეხბურთელად ითვლება. ამჟამად „პარმის“ მცველი ქორწინებაში არ იმყოფება. შარშან ის მეუღლეს, საკვირაო საფეხბურთო შოუს საქვეყნოდ ცნობილ წამყვანს, 40 წლის სიმონა ვენტურას გაეყარა. ამ ქორწინებიდან ფეხბურთელს ორი შვილი ჰყავს – ნიკოლო და ჯაკომო. სტეფანოსთან გაშორების შემდეგ, სიმონას არცთუ ისე სახარბიელოდ წაუვიდა საქმე. მაგალითად, ერთ საღამოს, ბოროტმოქმედმა მილანში მისი სახლიდან ძვირფასეულობის მოპარვა მოახერხა, თანაც ტელევარსკვლავს საწოლზე ლამაზი ყვავილების თაიგული დაუტოვა. ალბათ, ქურდი ამგვარად ცდილობდა მისთვის სიყვარულის ახსნას... ახლა კი, როგორც ჩანს, სტეფანოსა და სიმონას შორის კვლავ ურთიერთგაგება და სიმშვიდე ისადგურებს. ცოტა ხნის წინ, ყოფილი ცოლ-ქმარი ერთად შენიშნეს ზღვის სანაპიროზე. შეიძლება, მათ ისევ ერთად ყოფნა გადაწყვიტეს. ბეტარინიმ ისიც შენიშნა, რომ მათ შორის სიყვარული არ გაქრება და ამ გრძნობის მარადიულობას ნიკოლო და ჯაკომო შეუწყობენ ხელს. „ისინი უბრალოდ, ამის დავიწყების უფლებას არ მოგვცემენ“, – ამბობს ვენტურა. ამავე დროს, სტეფანო და სიმონა ჟურნალისტებმა რესტორანში რომანტიკულ ვახშამზე იმ მომენტში დააფიქსირეს, როდესაც ფეხბურთელმა ტელევარსკვლავს ვნებიანად აკოცა. ■

# ფინჩი ფარ-ხმალს არ ყრის

2002 წლის ყველაზე მომხიბვლელმა სპორტსმენმა, სოფტბოლისტმა ჯენი ფინჩმა



ძველი გატაცება გაიხსენა: იგი კვლავ გამოჩნდა ბულვარული ჟურნალების ფურცლებზე. ცოტა ხნის წინ, ფინჩმა მონაწილეობა მიიღო მამაკაცთათვის განკუთვნილი რამდენიმე ჟურნალის, მათ შორის Playboy-სთვის მოწყობილ ფოტოსესიაში. ESPN-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით კი გაირკვა, რომ ამერიკელი მამაკაცების აზრით, ყველაზე სექსუალური სპორტსმენი სწორედ ჯენი ფინჩია. ამ ღონისძიებაში დაახლოებით მილიონმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ჟურნალმა People-მა იგი მსოფლიოს 50 ულამაზესი ადამიანის სიაში შეიყვანა. ამის შემდეგ, სექსსიმბოლო ისევ სპორტს მიუბრუნდა, თანაც აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალს დაეუფლა. სწორედ ამ დროს, „ეროტიკულ ჰორიზონტზე“ მარია შარაპოვა ამობრწყინდა, რომელმაც უმალვე მილიონობით მამაკაცის გული დაიპყრო. როგორც ჩანს, ფინჩს ეს მაინცდამაინც არ ესიამოვნა და მან Sports Illustrated-ისთვის გადაიღო ფოტოები. ■

# მოდელიც, მრბოლელიც, ექიმიც, ტელეწამყვანიც...

კრისტინა ზურერი გოგონათა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებსაც ადრენალინის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. გერმანელი ლამაზმანის საკუთარ გამოცემაში ხილვაზე არც ერთი რედაქტორი არ იტყვის უარს. სექსსიმბოლო ხშირად თანხმდება ფოტოსესიაში მონაწილეობაზე. თავისუფალ დროს კი იგი ავტორბოლით ირთობს თავს. თანაც ხშირად, ტრასაზე მამაკაც კოლეგებს მოდუნების საშუალებას წამითაც არ აძლევს. ცოტა ხნის წინ, მან „ნიურბურგრინგის“ ავტოტრასაზე გამართულ რბოლაში იასპარეზა. თუმ-



ცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრისტინა სხვა საქმიანობითაცაა დაკავებული. მას ექიმის დიპლომიც აქვს. გარდა ამისა, ზურერს ხშირად მიჰყავს რეპორტაჟი სხვადასხვა გერმანული ტელეარხის ეთერით. ყველაზე დიდ სიამოვნებას კი, მას ფოტოგადაღებებში მონაწილეობა ანიჭებს. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ზურერი Playboy-ს მესვეურთა თვალთახედვის არეში მოექცა. პოპულარული ეროტიკული ჟურნალის გარეკანზე ზურერის ფოტოებს თაყვანისმცემლები ოქტომბერში იხილავენ. ■

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

**ეორა დვალის**

**უზის წიგნაკიდან:**

1. ტორეადორის წითელ მოსასხამს მულეტა ჰქვია.

2. გურამ ლორთქიფანიძე პროფესიით ჟურნალისტია.

3. პეტრე პირველის მეორე ცოლი — ეკატერინე, მრეცხავი გახლდათ.



4. თავის დროზე ჰოლანდიაში ტიტები თურქეთიდან შეიტანეს.

5.ნიკო ლეკიშვილს II მუსიკალური სკოლა აქვს დამთავრებული.

6. ამა წლის 28 ოქტომბერს ანსამბლი „მზიური“ 35 წლის გახდება.

7. რეჟისორ ლიუკ ბესონის მშობლები ყვინთვის ინსტრუქტორები იყვნენ.

8. ლადო გუდიაშვილს პორტრეტების ხატვისას არ უყვარდა ყურების დახატვა.

9. იური გრამატიკოპულო ოთარ გაბელიას მწვრთნელი იყო სოხუმის „დინამოში“.

10. ბეთჰოვენის გარდაცვალების შემდეგ მისი მოჭრილი თმა აუქციონზე გაყიდეს.

11. მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს გიზო ნიშნიანიძე სიყვარულის მათხოვრებს ეძახის.

12. პოლინა ჟემჩუჟინა მოლოტოვის ცოლი იყო. იგი სტალინის ბრძანებით დააპატიმრეს.

13. ერთი ძველი მონადირე ამბობდა: „ვ ჩელავეკა პროშჩე სტრელიატ, ვსეგდა ესტ ზა შტო.“

14. „არ იდარდოს“ შემდეგ გია დანელიამ და გია ყანჩელმა კიდევ 30 წელი იმუშავეს ერთად.

15. სოხუმის ბაზრის დირექტორის თანამდებობა მელიტონ ქანთარიას სამოქალაქო კარიერის მწვერვალი იყო.

16. ინგლისური ბულდოგი დამოუკიდებლად ვერ მშობიარობს. მას ყოველთვის საკეისრო კვეთას უტარებენ.

17. ოთხი თვის ჩანასახიდან სიცოცხლის ბოლომდე ადამიანის თითების ანაბეჭდების კონფიგურაცია არ იცვლება.

18. „ვსევო პოლ მაკარტნი პრიეხალ ვ მასკვუ, ლიუდი ჩუტ ს უმა ნე საშლი,“ — ჰყვებოდა მიხაილ ზადორნოვი.

19. ლუჩანო პავაროტის ცრუმორწმუნეობის გამო ყოველთვის წითელი საცვალი აცვია და სცენაზე გასვლამდე ლოცულობს.

20. „იქნებ სამყარო მხოლოდ ილუზიაა და მეტი არაფერი. ამ შემთხვევაში მე ძალზე ძვირი გადამიხდია ამ ნოხში,“





# დიზაინერი ქალი ეძებს ქალს, რომელსაც თავის ოცნებას მიუძღვნის...

**პროფესიით ისტორიკოსმა ნინო სამადზებაშვილმა თავის პროფესიას რატომღაც აქსესუარების კეთება და ამით მანდილოსნების სილამაზის დახვეწაში საკუთარი წვლილის შეტანა ამჯობინა. მისი სამკაულები, ქამრები და სხვა ნივთები დღეს უამრავ ქალს ამშვენებს. დიზაინერები მის აქსესუარებს თავიანთ ჩვენებებში იყენებდნენ, მაგრამ ნინოს სახელს არსად ახსენებდნენ. მხოლოდ მაშა ბაქრაძემ გამოამზეურა, თუ ვის ეკუთვნოდა ეს სამშვენისები...**

## ლიკა ქაჯაია

— პატარაობიდანვე ძალიან მომწონდა აქსესუარები და ვცდილობდი, რაღაცები ამეწყო, მაგრამ ამ საქმეს სერიოზულად 5-6 წლის წინ მოვეკიდე. თავიდან, ჩემი საქმიანობა მძივების აწყობით დავიწყე. ახლა კი საყურეებს, ბეჭდებს, ქამრებს, ფეხსაცმელსაც კი ვქმნი, უფრო სწორად — ვაფორმებ. ზოგჯერ, რაღაც დეტალების კოპირებას ვახდენ, მაგრამ ბევრი რამ ჩემი ფანტაზიით იქმნება.

— **აქსესუარებს მხოლოდ თქვენთვის აკეთებდით თუ იგი ყოველთვის ვიღაც სხვისთვის იყო განკუთვნილი?**

— ჩემ მიერ დამზადებულ აქსესუარს არასდროს ვიტოვებ. მას კონკრეტულად ვიღაცისთვის ვქმნი ხოლმე. თავიდან, ნივთებს მეგობრებს გადავცემდი ხოლმე საჩუქრად, მერე კი გაყიდვაც დავიწყე. რადგან სულ სხვა გრძნობა გეუფლება, როცა შენს ნივთს მატერიალური შეფასება ეძლევა. ყოფილა შემთხვევა, როცა რომელიმე ჩემს მეგობარს ჩემგან 20 ლარად შეფასებული სამკაული წაუღია, 50 ლარად გაუყიდია, მერე ჩემთან მოსულა, ფული მოუცია და უთქვამს: ნახე, როგორ მოეწონათ!..



...ქალი, რომელსაც წითელი უხდება, იშვიათად გვხვდება.

— **ყველაზე მეტად რისი გაკეთება მოგწონთ?**

— გემოვნება პერიოდულად მეცვლება. ამიტომ რაღაც კონკრეტულ ნივთს ვერ დაგისახელებთ. ამ ბოლო დროს, ვარდების გაკეთება უფრო მომწონს.

— **როგორც ვიცი, დიზაინერ მაშა ბაქრაძის ჩვენებაზე თქვენ მიერ შექმნილი, ვარდებისგან შეკერილი კაბა იყო გამოტანილი?**

— ასეთი კაბის შექმნა ჩემი ოცნება იყო. მაშას მიერ შეკერილ სამოსს მე ვაწყობდი. მაშამ აიტეხა — შენი ოცნება აიხდინე და ჩვენებაზე გავიტანოთო. მე ამისთვის მზად არ ვიყავი, მაგრამ ბოლო მომენტში მაინც შევძელი, წითელი ვარდებისგან შემექმნა კაბა, რომელიც გაიყიდებოდა თუ არა, წინასწარ არ ვიცოდი. ამ ჩვენებისთვის ძალიან მინდოდა საქორწილო, თეთრი კაბის შეკერვა, მაგრამ ის მაშასაც ჰქონდა და ამიტომ, რაღაც განყენებულის შეკერვა ვცადე. მაშა ხუმრობდა: „ვარდების რევოლუცია“ გამოგვივიდაო. თუმცა, ეს ასე არ იყო — უბრალოდ, ძალიან მიყვარს ეს ფერი და ვთვლი, რომ ქალი, რომელსაც წითელი უხდება, იშვიათად გვხვდება. ამ ფერის სამოსს ყველა იცვამს, მაგრამ მათ ტანზე წითელი ფერის სილამაზე ხშირად, სადღაც ქრება...

— **ის კაბა გაიყიდა?**

— არა, არ გაყიდულა, მაგრამ გული არ მწყდება, იმიტომ, რომ ასეთი თამამი კაბის ჩაცმა ცოტა ძნელია და ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი ოცნება იყო, რომელიც ამიხდა... ახლა ვეძებ ისეთ ქალს, რომელსაც ეს კაბა მოუხდება და რომელსაც მას სიამოვნებით მივუძღვნი.

— **თქვენი აქსესუარები თავიანთ ჩვენებაზე სხვადასხვა დიზაინერს**

**გამოჰქონდა ხოლმე. საკუთარი, პერსონალური გამოფენის მოწყობას არ აპირებთ?**

— მართალია, ჩემი ნამუშევრები დიზაინერებს გაჰქონდათ და ჩემს სახელს არც ახსენებდნენ, მაგრამ ამის გამო პრეტენზია არასდროს მქონია. რაც შეეხება გამოფენის მოწყობას — ამას ძალიან დიდი დრო და ენერგია სჭირდება, შრომატევადი საქმეა და ამასთანავე, სოლიდურ თანხებს მოითხოვს.

— **მიუხედავად იმისა, რომ თქვენ მიერ დამზადებული აქსესუარები ადამიანებს მოსწონთ, თავი მოყვარულად მიგაჩნიათ...**

— ყოველთვის მოყვარულის დონეზე ვიყავი. მაგრამ ნივთების რაოდენობისა და ნიუანსების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. სულ შეუჩერებლივ ვმუშაობ. არაფერს ვაკეთებ მხოლოდ იმისთვის, რომ მთელმა ქვეყანამ ნახოს, გამიცნოს — მირჩევნია, ჩემთვის ვიყო, საკუთარი კლიენტები მყავდეს და მათ მოსწონდეთ ის, რასაც ვაკეთებ. ალბათ, ყველაფერ ამას ადამიანის ხასიათი განსაზღვრავს.

— **ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა თქვენ მიერ შექმნილი ნივთი ვიღაცას უცნია?**

— როგორ არა. ყვავილების გაკეთება როცა დავიწყე, რამდენიმე ხნის შემდეგ, მეგობრები ოპერიდან მირეკავდნენ: აქ ძალიან ბევრ ადამიანს შენი ვარდები უკეთია, რომ ნახო, გაგიჟდებიო.

— **რატომ გგონიათ, რომ მაინცდამაინც თქვენ მიერ გაკეთებული ვარდები ეკეთათ?**

— ყვავილებს სხვებიც ამზადებენ, მაგრამ ჩემი მეგობრები, კლიენტები ჩემს გაკეთებულს როგორღაც ცნობენ: ეს ნამდვილად სამადას *(ნინოს მეტსახელი. — ავტ.)* გაკეთებულიაო.

— **კლიენტებთან ურთიერთობა ძნელია?**

— არა, ყოველთვის შეიძლება გამონახო საერთო ენა ადამიანთან, რომელიც შენთან იმიტომ მოვიდა, რომ შენი ნამუშევარი მოსწონს. არსებობენ დიზაინერები, რომლებიც კლიენტთან შეხვედრას გაურბიან. მე კი პირიქით, აუცილებლად უნდა ვნახო შემკვეთი. ბევრი მოდის საკუთარი ჩანაფიქრით — რომ ზუსტად ასეთი ან ისეთი ნივთი უნდა, — მაგრამ ვხვდები, რომ არ მოუხდება და ვცდილობ, არჩევანი შევაცვლევინო. ბევრმა კი არ იცის, რა სურს და მეუბნება — რაც გინდა, ის გამიკეთეო. სასიამოვნოა, როცა ვიღაც შენს გემოვნებას ენდობა, მაგრამ თავადაც უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა.

— **უმეტესად ბიჟუტერიას ამზადებთ თუ ძვირფას ქვებსა და ლითონებსაც იყენებთ?**

— ძვირფას ქვებსა და ლითონებს ნაკლებად ვიყენებ. ახლა მოდაში შემოვიდა რკინის რგოლებით აწყობილი, ძეწკვის მაგვარი სამკაული. სამკაულებს ნახევრად ძვირფასი ქვებისგანაც ვამზადებ.

— **როგორი სამკაულებია წელს მოდაში?**

— მრგვალი, წვეტიანი და ა.შ. ფორმები სამკაულზე არ აისახება, რადგან ვისაც რა უხდება, ის უნდა ატაროს. მაგრამ მათზე გამოსახული ყვავილები, პეპლები, ჭრიჭინები მგონი, მოდიდან საერთოდ არ გადის. სამკაულების მიხედვით ვხვდები, თუ ვის როგორი გემოვნება აქვს. თუმცა, არის შემთხვევები, როცა ადამიანს სულ სხვანაირი სამკაული მოსწონს, მაგრამ ვერ იკეთებს — დისკომფორტს გრძნობს. ამ დროს, შეიძლება იმ ადგილას, სადაც ნივთი უკეთია, გამოაყაროს კიდეც.

— **რა ფერის ჩანთები, ქამრებია წელს მოდაში?**

— მე თვითონ არც ერთი ფერი არ მაქვს ამოჩემებული. იყო შეკვეთები წითელ, სალათისფერ, შაბიამნისფერ სამშვენისზე; ამის მიხედვით ვხვდები, ხალხს რა მოსწონს. ვიცი, რომ წელს მოდაშია სალათისფერი, მაგრამ პირადად მე, ის ბავშვობიდანვე მომწონდა, ამიტომ ჩემთვის ყოველთვის მოდაში იყო... ისე კი, ყველაზე მეტი შეკვეთა წელს, ხაკისფერი და სალათისფერ ნივთებზე იყო.



ყვავილებს სხვებიც ამზადებენ, მაგრამ ჩემი მეგობრები, კლიენტები ჩემს გაკეთებულს როგორღაც ცნობენ: ეს ნამდვილად სამადას

— **ფეხსაცმელს რა მასალით აფორმებთ ხოლმე?**

— ლენტებით, ყვავილებით, ბისერით და ვლებავ კიდეც.

— **თქვენ თვითონ თუ გიყვართ აქსესუარები და რა სამკაულს ატარებთ ყველაზე ხშირად?**

— მე შეიძლება, ტანსაცმელი არ ვიყიდო, მაგრამ აქსესუარს აუცილებლად შევიძენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ თავადაც ვაკეთებ. ძალიან მიყვარს ჩემი ჩანთა, რომელიც წითელი ვარდებით გავაწყვე. ამ ჩანთას თვალს რომ გამოაყოლებენ ხოლმე, გული სიამაყით მევსება. მიყვარს ბეჭდები, საყურე, სამაჯური.

— **დაბოლოს, თქვენი უახლოესი გეგმები?**

— აუცილებლად ვიფიქრებ გამოფენის მოწყობაზე. გავაკეთებ ნივთებს, რომელსაც არ გავყიდი. ამას ალბათ, ზამთრისთვის მოვასწრებ.



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

### გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

— ამბობდა ვუდი ალენი.

21. „მე არ ვიცოდი, ვინ იყო პუშკინი და „ევგენი ონეგინი“ მხოლოდ მაშინ წავიკითხე, როდესაც ტატიანა ლარინას განსახიერება მომიხდა,“ — ამბობდა ლივ ტაილერი ერთ-ერთ ინტერვიუში.

22. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ მოპარვისათვის სასამართლომ ვინჩენცე პერუჯას მხოლოდ ერთი წელიწადი მიუსაჯა, რადგან დაუჯერეს, რომ ნახატი მან პატრიოტული მოტივით მოიპარა და მისი იტალიაში დაბრუნება ეწადა.



23. 5 წლის ალფრედ ჰიჩკოკს მამამ პოლიციის განყოფილებაში პატარა ბარათი გაატანა. განყოფილების უფროსმა, რომელიც მამის დიდი ხნის ნაცნობი იყო, ბარათი გახსნა, ჩაიხითხითა, ბიჭს ხელი მოჰკიდა და გრძელ დერეფანში შეიყვანა. ისინი საკნის მძიმე კართან შეჩერდნენ. საკეტი გაჩხარუნდა, კარი გაიღო და ჰიჩკოკს კარგად დაამახსოვრდა, როგორ დაეცა სინათლის ვიწრო ზოლი ქვის იატაკს. — ასე ვსჯით ცუდ ბიჭებს, — თქვა განყოფილების უფროსმა და ბიჭი საკანში შეაგდო. ალფრედ ჰიჩკოკი სიცოცხლის ბოლომდე ვერ მიხვდა, რისთვის დასაჯა მაშინ მამამისმა. ის ძალზე დამჯერი ბავშვი იყო. მამის ნებისმიერ მითითებას უსიტყვოდ ასრულებდა და სხვანაირად ვერც კი წარმოედგინა. მამის გაკვეთილის ეფექტმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა: ჰიჩკოკმა ციხის საკანში ათი წუთი დაყო და დანარჩენი 75 წლის მანძილზე ყველაფრის ეშინოდა.

24. ნუგზარ ჯულელს დახურული სივრცის შიში აქვს. გვირაბში ცოცხალი თავით არ შედის. მასზე იმასაც ამბობდნენ, რიკოთის გვირაბში გასავლელად ლარის გადახდა ენანება და ზემოდან იმიტომ უვლისო.

25. რეზო თაბუკაშვილმა შექსპირის სონეტების არაჩვეულებრივი თარგმანი თავის მეუღლეს, მედეა ჯაფარიძეს მიუძღვნა და შესაბამისი ეპიტაფიაც წაუმძღვარა: „ჩემო მედიკო, ამ დიდ წიგნში ყველაფერი შენ გეკუთვნის, ყოველი სტრიქონი შენითაა ნაკარნახევი, მაგრამ არ ვიცი, შენსავით მშვენიერია თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან ვცდილობდი დამემსგავსებინა შენთვის.“

# როგორ მოვიპოვოთ უფროსის მხარდაჭერა

## ასტროლოგიური რჩევები მათ, ვისაც სამსახურში დაწინაურება სურთ



**კარიერას ზოგი სწრაფად იკეთებს, ზოგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთ ადგილზე მუშაობს და ამაოდ ცდილობს დაწინაურებას. მაინც რაზეა დამოკიდებული სამსახურებრივი წინსვლა — პროფესიონალიზმზე, გამოცდილებაზე, ალღოიანობასა თუ უბრალოდ სურვილზე?! ალბათ ცოტ-ცოტა ყველაფერზე. მაგრამ თუ უფროსის შინაგანი ბუნება კარგად გვეცოდინება, მაშინ საქმე გაცილებით ადვილად მოგვარდება.**

### ვერძი

თუ „თბილ" ადგილს ეძებთ და დიდი ძალისხმევის გარეშე ფულის შოვნაც გაქვთ გადაწყვეტილი, მაშინ ვერძი უფროსად არ გამოგადგებათ, უფრო სწორად თქვენ ნუ დაიწყებთ მასთან მუშაობას. ვერძი-უფროსი არც თავს დაზოგავს და არც ხელქვეითებს. მას სისწრაფე უყვარს და მოსალოდნელია, ერთ დღეს პირდაპირ მოადგილედ დაგნიშნოთ, მეორე დღეს კი სამსახურიდან კინწისკვრით გაგაგდოთ (ეს თქვენს მარიფათზე იქნება დამოკიდებული). მასთან მუშაობისას საქმეს თავი არ უნდა აარიდოთ და არ უნდა იყალთაბანდოთ; მისი თანდასწრებით ნუ დაიწყებთ საათზე ყურებას — მერე რა, რომ თქვენი სამსახური საღამოს ექვს საათზე იკეტება, შესაძლოა, ერთ დღეს დამატებით ოთხი საათი მოგიწიოთ მუშაობამ; სამაგიეროდ, თუ ოდესმე დაგჭირდათ, მთელი დღით გაგათავისუფლებთ. თუ თავში კარგი იდეა მოგივიდათ, მაშინ ის უფროს-ვერძს ფრთხილად მიაწოდეთ და თანაც ისე, რომ ეს იდეა მისი „აღმოჩნდეს", რადგან ის იდეალისტია და ნებისმიერი იდეა ხომ მისი კუთვნილებაა. ეს ყველაფერი თქვენს სამსახურებრივ საქმეებს ნამდვილად პოზიტიურად წაადგება.

### კურო

თუ თქვენი უფროსი ბუნჩულა და გულისხმიერი ადამიანია, თქვენ ამას ისე ნუ ჩათვლით, რომ მას ყველაფრის პატიება შეუძლია. მასთან ურთიერთობა ცეცხლთან თამაშს ჰგავს, თუმცა, ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ სამს[illegible]რში აგვიანებთ ან საერთოდ აცდენთ, ან საქმეს უგულისყუროდ ასრულებთ, გახსოვდეთ, ის ყველაფერ ამაზე თვალს დახუჭავს (უბრალოდ, ეგონება, რომ თქვენ ამას უნებლიეთ აკეთებთ), მაგრამ მის მოთმინებასაც აქვს საზღვარი და ერთ დღეს ის მეხად დაგატყდებათ თავს, აი, მაშინ კი გაწყევლინებთ საკუთარ ბედს. ის საკმაოდ პრაქტიკულია და ამასთან, ლოგიკური აზროვნებაც აქვს, ამიტომ, მას ვერ მოატყუებთ. ერთი რამ დაიხსომეთ, მის ნდობას ნუ დაკარგავთ, თორემ თუ სამსახურიდან დაგითხოვათ, მას გულს ვერავითარი დაპირებებითა და ხვეწნა-მუდარით ვერ მოულბობთ. ასე რომ, თავიდანვე შეეცადეთ მისი კეთილგანწყობილება მოიპოვოთ. კურო-უფროსი კონსერვატორია და მასთან ძალიან ორიგინალური, მით უმეტეს, ექსტრავაგანტური ნუ იქნებით. ის პირდაპირია და თუ შტერი გიწოდათ, ესე იგი, ასე ფიქრობს და სხვა სამსახური ეძებეთ; თუ შეგაქოთ, მაშინ უახლოეს დროში დაგაწინაურებთ ან ფულად ჯილდოს მიიღებთ.

### მარჩბივი

საერთოდ, მარჩბივი-უფროსის განწყობილების პროგნოზირება საკმაოდ რთულია. თუ ერთ დღეს სამსახურში ოთხი წუთი დააგვიანეთ, ამას მაშინვე შენიშნავს, მაგრამ სხვა დროს შესაძლოა, ნახევარი დღით დაგვიანება ვერ შენიშნოს. ის (ისევე როგორც მერწყული-უფროსი) რეფორმების მომხრეა და როგორც კი რომელიმე ფირმის პრეზიდენტად ან დირექტორად დანიშნავენ, ცვლილებებიც არ დააყოვნებს. შეეცადეთ, მის ნოვატორულ ბუნებას ფეხი აუწყოთ და არ წააგებთ. ნუ იფიქრებთ, რომ ის სულ სხვაგანაა და თქვენს შეცდომას ან „ხალტურას" ვერ შენიშნავს, ამის გაფიქრებასაც ვერ მოასწრებთ, რომ თავზე დაგადგებათ და სამაგალითოდ დაგსჯით. თუ გიყვირათ, ნუ აჰყვებით, ის კი არა და დღის მეორე ნახევარში მას ხელფასის მომატებაც კი შეგიძლიათ სთხოვოთ, რადგან მას წელანდელი თქვენი შეცდომა აღარ ემახსოვრება. ყველაზე მთავარი, თუ მასთან კაბინეტში შეხვედრით რაიმის სათხოვნელად ან ახალი იდეის გასაზიარებლად, გახსოვდეთ: თქვენი სათქმელი სამ წუთში უნდა მოასწროთ, ეს ოქროს წესია.

### კირჩხიბი

რამდენადაც „უბრალო" კირჩხიბი ხალისიანი და უბადლო იუმორის მატარებელია, იმდენად კირჩხიბი-უფროსი მკაცრი და მომთხოვნი პიროვნებაა. მასთან მუშაობის დროს ყველაფერი წესრიგში და თანაც რიგიანი უნდა გქონდეთ — ეს იქნება ვარცხნილობა, ჩაცმულობა თუ აქსესუარები. მას უსამართლო მოთხოვნებს ნუ წაუყენებთ და არგუმენტირების გარეშე ხელფასის მომატებას ნუ მოსთხოვთ, პასუხად მხოლოდ ორაზროვან ღიმილს მიიღებთ (აი, სად იყენებს კირჩხიბი-უფროსი დავიწყებულ იუმორს). თავიდან ის საკმაოდ მკაცრი და დიქტატორიც კი მოგეჩვენებათ, მაგრამ სამსახურის დატოვებას ნუ იჩქარებთ, გახსოვდეთ, ის ფულის გულისთვის იქცევა ასე. ვერ გაიგეთ? ახლავე აგიხსნით. მას ფული უყვარს (ყველაზე მეტად), ამიტომ, ყველა დეტალი გათვლილი აქვს, რომ უფრო მეტი ფული გამოიმუშაოს. აქედან გამომდინარე, გამდიდრების პერსპექტივა თქვენც „გემუქრებათ". ამასთან, ის თქვენს ოჯახურ პრობლემებს გულთან ახლოს მიიტანს და მოსალოდნელია, ამისთვის სოლიდური თანხაც გაჩუქოთ. მისგან ერთ თვეში უფრო ბევრ რამეს ისწავლით, ვიდრე სხვისგან ერთ წელიწადში.

### ლომი

მასთან ისევე უნდა მოიქცეთ, როგორც ვერძთან. თუ ვერ ხვდებით, შეგახსენებთ — თქვენი იდეა მისი კუთვნილებაა (ეს კარგად დაიხსომეთ). ის ბუნებით მეფე და მეთაურია და აბა, როდის იყო, რომ მეფეები მუშაობდნენ. მის სანაცვლოდ თქვენ უნდა იმუშაოთ. დავუშვათ, ლომმა-უფროსმა თავისთან დაგიბარათ, რათა მნიშვნელოვანი წერილი გიკარნახოთ. თქვენ კალამს იმარჯვებთ. „მაშ, ასე", — ამბობს ის, — „დავიწყოთ, თუმცა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რაც უნდა მივწეროთ". წერილი კი თქვენ უნდა დაწეროთ, საღამოს ის გადაიკითხავს, მეგობარს დაურეკავს და თქვენს დაწერილ წერილს წაუკითხავს... ოღონდ იმ წერილს თავისად გაასაღებს. შესაძლოა, ცოტას ვაჭარბებ, მაგრამ ამაში ჭეშმარიტების მარცვალი ნამდვილად ძევს. მისი სამუშაო კაბინეტი სამეფო აპარტამენტს ჩამოჰგავს — ხალიჩები, სუსტი განათება, დიდი ლარნაკები, მასიური ავეჯი, რომელიც ძვირფასი ხისგანაა დამზადებული, ცნობილ მხატვართა რეპროდუქციები და... აუცილებლად ის ჯილდოები, რომლებიც მან ოდესღაც მიიღო. სხვათა შორის, კომპლიმენტები და კიდევ უარესი — პირფერობა ყველაზე მეტად ლომ-უფროსს სიამოვნებს.

### ქალწული

საერთოდ, ქალწულს მრჩევლის როლი უფრო ხიბლავს, მაგრამ ქალწული-უფროსიც არ არის ურიგო (თუმცა, კაბინეტში თავს

უხერხულად გრძნობს). მასთან ურთიერთობის დროს, უპირველესად უნდა გაითვალისწინოთ ის, რომ მას ყველა წვრილმანის შემჩნევა შეუძლია (თვით უწვრილმანესი დეტალებისაც კი), ამიტომ, სამსახურში ყოველთვის იდეალურად ჩაცმული უნდა გამოცხადდეთ. აუცილებელი არ არის ,,პიერ კარდენის'' კოსტიუმი ან ,,დოლჩე და გაბანას'' ქვედატანი გეცვათ, უბრალოდ, სუფთად და აკურატულად უნდა იყოთ შემოსილი; სუნამოს უზომოდ ჭარბად ნუ დაისხამთ და მასთან სალეჭი რეზინის ღეჭვით ნუ გამოცხადდებით. კიდევ ერთი დეტალი — არავითარი ტყუილი. ის საკუთარ ხელქვეითებს არ ატყუებს და ამასვე ითხოვს მათგან. თუ მასთან ახლო ურთიერთობები გაკავშირებთ, შეგიძლიათ მისი ნდობა მოიპოვოთ, ოღონდ მას აწეწილი საქმეების მოწესრიგებაში უნდა მიეხმაროთ (მოუგვარებელ საქმეებს ქალწული-უფროსი ნერვულ აშლილობამდე მიჰყავს).

## სასწორი

თუ სასწორ-უფროსს ღრიანკალის ზოდიაქოს გავლენა არა აქვს, მაშინ მასთან მუშაობა არცთუ ისე ცუდია. ის ყოველთვის საკუთარ ხელქვეითებში ტრიალებს და მათ შორის მშვიდობის დამყარებას ცდილობს. ის ყველას აზრს ითვალისწინებს, ამიტომ, თუ მას გონიერი და სასარგებლო რჩევებით ,,მოამარაგებთ'' (ოღონდ ნუ გადააჭარბებთ), თქვენს კარიერულ ზრდას შეუწყობთ ხელს. შეეცადეთ, თქვენი სამუშაო ოთახი დამამშვიდებელი ფერებით გააწყოთ და ყოველთვის სასიამოვნო მუსიკა გქონდეთ ჩართული, ეს სასწორ-უფროსს თქვენდამი პოზიტიურად განაწყობს და შესაძლოა, ეს თქვენი დაწინაურების მიზეზიც კი გახდეს. განსაკუთრებით სასიკეთოა, თუ ის საწინააღმდეგო სქესის პიროვნებაა, ამ დროს ურთიერთობა მეტად ჰარმონიულად ვითარდება. სხვათა შორის, ხელქვეითებთან რომანის გაბმა ყველაზე ხშირად სასწორ-უფროსებს უყვართ, ამიტომ, ამ დეტალსაც მიაქციეთ ყურადღება. კიდევ ერთი შტრიხი — მას უყვარს ხელქვეითების სახლში მიპატიჟება, თუ მასთან აღმოჩნდით, ხმამაღალი სიცილით, ვულგარული მანერებითა და ცხარე კამათით თქვენზე შეხედულებას ნუ გაუფუჭებთ.

## ღრიანკალი

,,ილაპარაკე მშვიდად, მაგრამ ზურგს უკან ჯოხი ყოველთვის მზად გქონდეს!'' — ამერიკის პრეზიდენტის ტეოდორ რუზველტის (ღრიანკალი) შეგონებას თითქმის ყველა ღრიანკალი-უფროსი ემორჩილება. პირველივე რჩევა, რომელიც მასთან მუშაობის დროს გამოგადგებათ, ის არის, რომ მას არაფერი უნდა დაუმალოთ (ამის სურვილიც რომ გქონდეთ, ვერ შეძლებთ). შემდეგი რჩევა: არასდროს გაეჯიბროთ და არ ეცადოთ მის დაჩრდილვას, შედეგი თქვენი განადგურება იქნება (ეს სრულიად სერიოზულად). თუ მისი ერთგული ხელქვეითი იქნებით, მაშინ ის თქვენს ყველა პრობლემას გულთან მიიტანს, ეს კი ამ პრობლემის მოგვარებას ნიშნავს. ნუ გეგონებათ, რომ ის საშინელი და მრისხანე უფროსია, ეს ყოველივე მეტაფიზიკურ პლანში გამოვლინდება ანუ იბრძვის ჩუმად და უხმაუროდ (ტარანტულისა და ღრიანკალის მსგავსად, რომელთა შხამი მომაკვდინებელია). ღმერთი არ გაგიწყრეთ და მის წინააღმდეგ ინტრიგების გაბმა არ დაიწყოთ, პირიქით, შეეცადეთ, მასთან ლოიალური დამოკიდებულება გქონდეთ და ამით ნამდვილად არ წააგებთ.

## მშვილდოსანი

თუ ღრიანკალს არ ჩავთვლით, მშვილდოსანი-უფროსი ყველაზე ამოუცნობია. მასთან ერთი თვის ერთობლივი მუშაობის შემდეგაც არ გეცოდინებათ, ვინ არის ის — შეშლილი თუ გენიოსი, საქმოსანი თუ მკვეხარა, მოგზაური თუ მისიონერი. მასთან შეხვედრის დროს ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, რომ თითქოს მას კი არა, მის გამოსახულებას ხედავთ, თანაც მრუდე სარკეში. თუ ის ახალ თანამდებობას დაგპირდათ ან ხელფასის მომატება აღგითქვათ, მაინცდამაინც ნუ დაუჯერებთ, რადგან ის დაპირებებში საკმაოდ გულუხვია, აი, შესრულება კი საკმაოდ უჭირს (მაგალითად, ერთი სამუშაო ადგილი შესაძლოა, სამ კაცს შეჰპირდეს). მასთან მუშაობისას ყველაზე მეტად შემდეგი რჩევა გამოგადგებათ — აჰყევით ტემპში, მისდიეთ გვერდით და თქვენი თხოვნა იმ დროს გადაეცით. განსაკუთრებით ის პერიოდი შეარჩიეთ, როდესაც ის კარგ განწყობილებაზეა. თუ რაიმეს დაგპირდებათ, მისი ასრულება დაუყოვნებლივ სთხოვეთ (მეორე დღეს მას ეს დაპირება აღარ ემახსოვრება). მასთან არ იყოთ ეგოისტი, ძუნწი, პესიმისტი და მატყუარა.

## თხის რქა

ამ ნიშნით დაბადებული უფროსი კლასიკური უფროსია, მთელი თავისი სიდიადით — ის მთელი დღე არ დგება სავარძლიდან, გამუდმებით წკრიალებს ტელეფონები, ის კი აუღელვებელი ხმით პასუხობს ხან ერთს და ხან მეორეს; მის კაბინეტში შერბიან და გამორბიან ადამიანები, აწერინებენ ხელს ათასგვარ საბუთზე; დღის ბოლოს, როდესაც ყველაფერი დასრულდება, ის ყველაზე ბოლოს დატოვებს სამსახურს, წყნარად ჩამოვა ლიფტით პირველ სართულზე, მანქანაში ჩაჯდება და პირად მძღოლს ხელით ანიშნებს, ,,სახლისკენ''. როგორ უნდა მოიქცეთ, თუ ბედმა მასთან გაგამწესათ სამუშაოდ? პირველ რიგში შეეცადეთ, საკუთარი მანერები დახვეწოთ, ის ვერ იტანს მძაფრი სუნის სუნამოებს (ხარისხიანიც რომ იყოს, ზომიერად იპკურეთ); თუკი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი გაქვთ დამთავრებული ან რაიმე ჯილდო გაქვთ მიღებული, მასთან პირველი შეხვედრისას ამას შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც გაუსვით ხაზი (თხის რქა-უფროსი ამ ყოველივეს მიმართ გულგრილი სულაც არ არის). ჩაცმულობასა და აქსესუარებშიც კლასიკური სტილი შეარჩიეთ, წვერის მოშვებაზეც ლაპარაკი ზედმეტია. თუ ყველაფერს ასე გააკეთებთ, იღბალი ნამდვილად გაგიღიმებთ.

## მერწყული

ასტროლოგებმა კარგად იციან, რომ მერწყული და უფროსი ეს ცოტა პარადოქსულია, მაგრამ თქვენი უფროსი თუ მაინც ამ ნიშნით არის დაბადებული, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ,,თეთრ ყვავს'' გადაეყარეთ. ამიტომ, სანამ მას მოხსნიან ან სადმე უფრო ნაკლებად საპასუხისმგებლო ადგილზე გადაიყვანენ, კარგი იქნება თუ რამდენიმე გამოსადეგ რჩევას გაითვალისწინებთ — მას არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ რჩევა (მას თქვენს საქმეში ცხვირი ხომ არასდროს ჩაუყვია, ჰოდა, თქვენც თქვენს ქერქში დაეტიეთ); რაც არ უნდა გაგიჭირდეთ, ნურასოდეს ესესხებით ფულს (შესაძლოა, ეს სამსახურის დაკარგვადაც კი დაგიჯდეთ); ნუ გაჭორავთ ზურგს უკან და ნუ გატეხთ მისთვის მიცემულ სიტყვას. თუ დაინახეთ, რომ ის საკუთარ კაბინეტში მარტოა და ამ დროს მასთან შესვლა გადაწყვიტეთ (უბრალოდ, კარგი იდეა გაქვთ ან ხელფასის მომატება გინდათ სთხოვოთ), ჯერ კარგად დაფიქრდით და შემდეგ იმოქმედეთ. რატომ არ შედიან სხვა ხელქვეითები მასთან ან მდივანი რატომ წავიდა ყავის დასალევად?! თქვენ გარდა ყველამ იცის, რომ მერწყულ-უფროსს ხანდახან მარტო დარჩენა უყვარს.

## თევზები

მეორე ,,თეთრი ყვავი'' თევზები-უფროსია, ის ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ძლებს. თევზები შესაძლოა, იყოს მწერალი, მსახიობი, მხატვარი, ფოტოგრაფი, მისტიკოსიც კი, აი, უფროსობის კი რა მოგახსენოთ. ის თუ მაინც უფროსი გახდა, ყველაზე უკეთესად თავს რადიოკომპანიის ან ტელესტუდიის ხელმძღვანელის დარგში ავლენს, რადგან მდიდარი წარმოსახვა და შესანიშნავი ფანტაზია აქვს. მასთან ურთიერთობისას პირველ რიგში მის გადაკრულ გამონათქვამებს დაუკვირდით, ის მკაცრი მმართველი არ არის, ამიტომ, ხელქვეითებს გული რომ არ ატკინოს, იგავებით ესაუბრება. საერთოდ, თევზები შემოქმედებითი ბუნების არიან, ამიტომ, ეს თქვენც მოგეთხოვებათ. ნუ იქნებით პრაგმატული და როდესაც ახალი იდეის გასაცნობად საკუთარ კაბინეტში მიგიწვევთ, გამოციებული თვალებით ნუ დაუწყებთ ყურებას, პირიქით, შეეცადეთ, საკუთარი ფანტაზიაც აამუშაოთ. თუ თქვენ ფირმას საქმე კარგად აქვს, მაშინ მას შეუტანეთ პროექტი, რომელიც ქველმოქმედებას ისახავს მიზნად, ეს პროექტი აუცილებლად გაიმარჯვებს.

*მოამზადა რამაზ გიგაურმა*

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

**(25 - 31 აგვისტო)**

## ვერძი — 21/III-20/IV

ამ კვირაში მეტი თავშეკავების გამოჩენა მოგიწევთ, რადგან მოიმატებს იმპულსურად მოქმედების ალბათობა. ნურაფერს იტყვით დაუფიქრებლად — შეიძლება გარშემო მყოფები გაანაწყენოთ. კვირის ბოლოს, მოსალოდნელია ფინანსური მხარდაჭერა მოიპოვოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და ქალწულთან, ნეგატიური — კუროსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები:** 25, 27, 28. **ნეგატიური დღეები:** 29, 31.

## კურო — 21/IV-21/V

თქვენი მდგომარეობა პოზიტიურისკენ შეიცვლება. შესაძლოა, ახალი ინფორმაცია მიიღოთ სამსახურთან დაკავშირებით, მაგრამ გირჩევთ, ყველაფერი კარგად გააანალიზოთ და გადაწყვეტილება ისე მიიღოთ. ყველა პრობლემატურ საკითხს შემოქმედებითად მიუდექით, რადგან უპასუხისმგებლობას კარგი არაფერი მოჰყვება. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თხის რქასთან, ნეგატიური — ლომსა და სასწორთან. **პოზიტიური დღეები:** 26,28,30. **ნეგატიური დღეები:** 25, 27.

## მარჩბივი — 22/V-21/VI

გაორება და უნდობლობა — აი, რა შეგიშლით ხელს ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებების შეტანაში. შესაძლოა, მოულოდნელად აღმოჩნდეთ ილუზიურ სიტუაციაში, რაც ბუნებრივია, შემდგომში გართულებებსა და სულიერ ტკივილს მოგაყენებთ. შეეცადეთ, მოვლენებზე მეტი კონცენტრაცია მოახდინოთ. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური — კირჩხიბსა და ქალწულთან. **პოზიტიური დღეები:** 28, 29, 31. **ნეგატიური დღეები:** 27, 30.

## კირჩხიბი — 22/VI-22/VII

მიმდინარე პერიოდში მაქსიმალურად უნდა შეძლოთ გარშემო მეგობრებისა და პარტნიორების შემოკრება, რათა მოსალოდნელ პრობლემებს თავი უმტკივნეულოდ გაართვათ. ფრთხილად იყავით — თქვენ მიერ ნათქვამი სიტყვა, თქვენსავე წინააღმდეგ არ გამოიყენონ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური — სასწორსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 26,27,29. **ნეგატიური დღეები:** 25, 28.

## ლომი — 23/VII-23/VIII

ამ კვირიდან თქვენთვის ნეგატიური პერიოდი დაიწყო, ამიტომ, ყველანაირად შეეცადეთ, შეცდომები არ დაუშვათ. მოსალოდნელია, ადრე დაწყებულმა სასიკეთო ტენდენციებმა გაგათამამოთ და გაუმართლებელი რისკიც გაგაწევინოთ. შეეცადეთ, საქმიან შეხვედრებზე სოლიდურად გამოიყურებოდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და ღრიანკალთან, ნეგატიური — სასწორსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 25, 26, 27. **ნეგატიური დღეები:** 28, 29.

## ქალწული — 24/VIII-23/IX

დაიწყო თქვენთვის პოზიტიური ერთთვიანი პერიოდი და რამდენად წარმატებულად გამოიყენებთ, მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული. დაიწყეთ პრობლემატური საკითხების მოგვარება, შეეცადეთ, საზოგადოებასა და სამსახურში უკეთესი ადგილი დაიკავოთ. მოერიდეთ ზედმეტ კრიტიკასა და ცინიზმს. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და თევზებთან, ნეგატიური — მშვილდოსანსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 27, 30, 31. **ნეგატიური დღეები:** 28, 29.

## სასწორი — 24/IX-23/X

უამრავი სასარგებლო შეხვედრა და მოლაპარაკება გექნებათ. მოსალოდნელია წინსვლა ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში (განსაკუთრებით გაუმართლებთ სასწორის ბოლო დეკადაში დაბადებულებს). მნიშვნელოვნად გაძლიერდება თქვენი სასიცოცხლო პოტენციალიც. შეეცადეთ, ყველა წამოწყებული საქმე სასწრაფოდ დაასრულოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და სასწორთან, ნეგატიური — ვერძსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 25,29,30. **ნეგატიური დღეები:** 26,27.

## ღრიანკალი — 24/X-22/XI

დაძაბული პერიოდი და ქაოსური სიტუაციები გელით (ეს განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენლებს ეხება). ამ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს თქვენ მიერ გადადგმული უსარგებლო და ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯები. აქედან გამომდინარე, ყველაფერს ყურადღებით მოეკიდეთ. ურთიერთობები პოზიტიურია ქალწულსა და თევზებთან, ნეგატიური — ლომსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 27, 28, 31. **ნეგატიური დღეები:** 25, 29.

## მშვილდოსანი — 23/XI-21/XII

წინა პერიოდში თქვენ მიერ გადადგმული ხელსაყრელი ნაბიჯების წყალობით მოახერხებთ, რომ ეს კვირა ასე თუ ისე, დანაკარგების გარეშე გაატაროთ. გარკვეული სიახლეებია მოსალოდნელი სამსახურებრივ საქმიანობაში, ეს კი პირდაპირ კავშირში იქნება თქვენი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. თუმცა, გაგიმძაფრდებათ ფულის ფლანგვის სურვილიც. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და ლომთან, ნეგატიური — კუროსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები:** 26, 28, 30. **ნეგატიური დღეები:** 25, 31.

## თხის რქა — 22/XII-20/I

თქვენთვის ეს მეტ-ნაკლებად სასიკეთო პერიოდია. გამოავლინეთ მეტი თავდაჯერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაპირისპირება და კონფლიქტები არ აგცდებათ. კონფლიქტური სიტუაციის დროს შეეცადეთ, უკან დაიხიოთ. გარკვეული სიფრთხილე გამოიჩინეთ მგზავრობისას და ბასრ საგნებთან ურთიერთობისას. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თხის რქასთან, ნეგატიური — მერწყულსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 27,28, 29. **ნეგატიური დღეები:** 26, 30.

## მერწყული — 21/I-19/II

ეს კვირა თქვენთვის ცუდი არ იქნება, თუმცა, არც დიდ წარმატებას გიქადით. შეეცადეთ, არ დაარღვიოთ თქვენი ყოველდღიური რიტმი და ყველაფერი უმტკივნეულოდ ჩაივლის. დაიხმარეთ მეგობრები და პარტნიორები — ამგვარად უფრო იოლად შეძლებთ პრობლემების მოგვარებას. ურთიერთობები პოზიტიურია ლომსა და მერწყულთან, ნეგატიური — ღრიანკალსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 25, 28, 31. **ნეგატიური დღეები:** 26, 27.

## თევზები — 20/II-20/III

თქვენთვის ყველაზე დადებითი კვირის ბოლო (პარასკევი-შაბათი) იქნება. მთლიანობაში კი შეეცადეთ, მშვიდად და ორგანიზებულად გააგრძელოთ ადრე დაწყებული საქმეები. მიჰყევით ადრე აღებულ კურსს და შეეცადეთ, ემოციურად არ გადაიტვირთოთ, რადგან, შესაძლოა, ექსტრემალურ დროს თავი ველარ შეიკავოთ და წონასწორობა დაკარგოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ქალწულთან, ნეგატიური — ვერძსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 25, 27, 31. **ნეგატიური დღეები:** 28, 29.



მძიმე ფსიქიკური დაავადება

ცბიერი, ვერაგი

ქალაქი გერმანიაში

კურორტი საფრანგეთში

ნაგებობა მიზანში სროლისათვის

უკმაყოფილების გამოხატვა, პრეტენზია

მხარე თურქეთში

აშშ-ის შტატი

მზის სისტემის პლანეტა

შოკოლადის ხე

უნგრელი კომპოზიტორი

მცენარის ძირქვეშა ბოჭკოვანი ნაწილი

წიაღისეული

კუზიანი ხარი

საჯარიმო შაიბა ჰოკეიში

ფრანგი ფერმწერი

ალბანეთის დედაქალაქი

ყრილების ჯგუფი

მოკლე მუს. მისალმება

მცენარეულის მჭამელი ცხოველი ან ფრინველი

ბეთჰოვენის ოპერა

იემენის დედაქალაქი

დედალი ჯიხვი

ვლადიმირ ულიანოვი

ქამა სოკო

სომხეთის ფულის ერთეული

რისამე სულ მცირე ნარჩენი

მოლდავური ხალხური სიმღერა

ნარკოტიკი, რომელსაც თამბაქო შეიცავს

თევზსაჭერი გემი

სიმღერის შესრულების იტალიური მანერა

მუყაო

სპარტიანი სასმელი

ყალმუხეთის დედაქალაქი

ებრაული ენა

რვიანის ფორმის ფუნთუშა







მე-17 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა.
51-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-გ; 4-გ.



# ანეკდოტები

***

სვანმა ტელევიზორი მიიტანა ხელოსანთან:

— რა სჭირს? — ეკითხება ხელოსანი.

— რა ვიცი, ყურს მახათით ვიფხანდი და უცებ ხმა ჩაუწყდა!

***

ღამეა. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ისმის ექიმის ყვირილი:

— ახლავე თქვით, რომელმა ნაპოლეონმა მოისაქმა კუტუზოვის ჩუსტებში!..

***

— გაგონილა, ყოველ ღამე 3 საათზე დაბრუნება?

— მერე, ვინ გითხრა, რო დავბრუნდი... გიტარის წასაღებად შემოვირბინე.

***

ეკლესიაში, ჯვრისწერის დროს:

— მიხო, თანახმა ხარ, ცოლად შაირთო ეს ქალი?

— რა, უკეთესს შამომთავაზებ?



***

სპორტის სასახლეში კონცერტზე:

— მოგწონს, ჩემი ცოლი როგორ მღერის?

— რაა?! არ მესმის!

— მოგწონს-მეთქი, ჩემი ცოლის ნამღერი?

— ბოდიში, მარა... ამ ქალის ბღავილის გამო არაფერი მესმის!..

***

განცხადება:

„ორგანიზაციას სასწრაფოდ ესაჭიროება ოთხი შაჰიდი ქალი ძველი საწყობის დასანგრევად. ანგარიშსწორება პო-ფაქტუ.“

***

— ისეთი ჭკვიანი ძაღლი მყავს, პურზე ვაგზავნი ხოლმე, შენ?

— ჩემი თვითონ აცხობს.

***

ლესბოსელი დაქალების საუბრიდან:

— აუ, აზრზე ხარ? გამყიდველს 3 ბანანი მოუცია!

— არა უშავს, მესამეს შევჭამთ.

***

ტრუსების ამარა სვანი მამაკაცი სარკის წინ ტრიალებს. ბიცეპს-ტრიცეპსებს ძაბავს მუცლის პრესს ამაგრებს და კმაყოფილი ტონით ბურტყუნებს:

— მაინც რა მაგარი ჩმო ვარ, ნამდვილი ჩმო.

საძინებლიდან ცოლი უყვირის:

— მაიზერ, რით ვერ დაიმახსოვრე, ჩმო კი არა, მაჩო, მაჩო!



***

ბიოლოგიის გაკვეთილზე:

— აბა ბავშვებო, როგორ მრავლდებიან ზღარბები?

— ფრთხილად, მასწ!..

***

ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ:

— ძვირფასო, გინდა ახლა წავიდე და ვარსკვლავები მოგიწყვიტო ციდან?

— არავითარი ვარსკვლავები, დეეტიე სახლში.

***

სვანმა შეყვარებულს პაემანი დაუნიშნა და ზუსტად დათქმულ დროზე მივიდა. გოგო ეუბნება:

— რა პუნქტუალური ყოფილხარ!

— იი... პუნქტუალურიც ხარ და შენი დედაც!..

***

— ცოლად რომ მომყვები, რისი გაკეთება შეგიძლია?

— შემიძლია, კვერცხი მოვხარშო.

— კიდე?

— შემიძლია, არ მოვხარშო.

***

მიხო ტუალეტშია. მარო მიეპარება და შუქს ჩაუქრობს.

— მაროო, შუქი წავიდა?

— ხო, მიხა.

— აა, მე კი მეგონა, თვალები გადმამცვივდა.

***

გურულმა პორნოფილმი ნახა. მივიდა სახლში და ცოლს ასწავლის:

— ესე ქენი!..

ცოლმა შეუსრულა.

— ახლა — ესე!..

ცოლმა ესეც შეუსრულა.

— ახლა ყველაფერი გაიმეორე და თან — იყვირე.

— რას გვიშვრება სააკაშვილი!..

***

ერთი გურული ეუბნება მეორეს:

— აფრასიონ, ქე რომ ცუდად ვიყავი, რეიზა არ მნახე?

— რავა მეგონა, გადარჩებოდი, თვარა, რავა არ გნახავდი?!

***

ენაბლუ კაცი კაფეში შედის და პიცას ითხოვს:

— პი... პი... პი...

— უკან დაიხიე — აქ ვერ მოაბრუნებ.

***

კახელი ახალმოყვანილ ცოლს უკანალზე ხელს უთათუნებს და სიცილით კვდება.

— რა გაცინებს?! — ეკითხება ცოლი.

— უკანალი და უკუდოთა... — პასუხობს მიხო.

***

სტომატოლოგთან:

— ექიმო, თქვენ ის კბილი არ ამომიღეთ, რომელიც მტკიოდა.

— დაწყნარდი, იქამდეც მივალ.

***

— თეონა, რატომ არ თხოვდები?

— რა ჯანდაბად მინდა გათხოვება?! მყავს ძაღლი, რომელიც ყოველდღე მიყეფს, მყავს თუთიყუში, რომელიც დღე და ღამე იგინება და მყავს კატა, რომელიც ყოველღამე სად დაეხეტება, ღმერთმა იცის...



***

— ღმერთი არ გწამს? — ეუბნება ქმარი ცოლს, — ცოტა ხანს მაინც გაჩუმდი, გავიგო, მანქანა დაიქოქა თუ არა...

# რა უფრო ძვირფასია თქვენთვის – საქმე თუ ადამიანური ურთიერთობები?



**1. მირჩევნია, აგარაკი მქონდეს:**

ა) ხალხმრავალ, საგარაკო დაბა ადგილას;

ბ) არც დაბა ადგილას მსურს და არც ტყეში, რაღაც საშუალოს ვამჯობინებ;

გ) ტყეში, განცალკევებულ ადგილას.

**2. წარმოებაში მუშაობის შემთხვევაში, ჩემთვის უფრო საინტერესო იქნებოდა:**

ა) თუკი ტექნიკასთან მექნებოდა საქმე;

ბ) ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული აზრი არ გამაჩნია;

გ) ხალხთან ურთიერთობა.

**3. რამდენად ხშირად გირჩევენ საზოგადოებრივ თანამდებობაზე?**

ა) ძალზე იშვიათად (ან საერთოდ არა);

ბ) ხანდახან;

გ) ხშირად.

**4. თუკი არჩევანის საშუალება მომეცემოდა, ერთნაირი ანაზღაურების შემთხვევაში მუშაობას ვამჯობინებდი:**

ა) მკვლევარ-ქიმიკოსად;

ბ) ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტი პასუხი არ მაქვს;

გ) სასტუმროს დირექტორად.

**5. დაბადების დღეებსა და დღესასწაულებზე მე:**

ა) მიყვარს ახლობლებისათვის საჩუქრების მიძღვნა;

ბ) დარწმუნებული არ ვარ, რომ საჩუქრების მიძღვნა დიდად მხიბლავს;

გ) მიმაჩნია, რომ საჩუქრების მიძღვნა საკმაოდ უსიამოვნო რამ არის.

**6. თუკი რაიმე მნიშვნელოვან აღმოჩენას მოვახდენდი, ერთნაირი ანაზღაურების (ან ჯილდოს) შემთხვევაში, ვამჯობინებდი:**

ა) ლაბორატორიაში კვლავ ჩემს აღმოჩენაზე მუშაობის გაგრძელებას;

ბ) მიჭირს პასუხის გაცემა;

გ) ამ აღმოჩენის პრაქტიკაში დანერგვაზე ვიმუშავებდი.

**7. სამეურნეო სფეროში რომ მემუშავა, ჩემთვის უფრო საინტერესო იქნებოდა:**

ა) შემკვეთებთან და კლიენტებთან მოლაპარაკების წარმოება;

ბ) ჩემთვის უფრო მისაღებია რაღაც შუალედური პასუხი;

გ) ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება.

**8. ერთნაირი ანაზღაურების შემთხვევაში, ვამჯობინებდი, ვყოფილიყავი:**

ა) ადვოკატი;

ბ) მიჭირს არჩევანის გაკეთება;

გ) პილოტი ან შტურმანი.

**9. ჩემი აზრით, უფრო საინტერესოა, იყო:**

ა) მხატვარი;

ბ) მიჭირს პასუხის გაცემა;

გ) საზოგადო მოღვაწე.

**10. უზადო ოსტატობით შექმნილი ხელოვნების ნიმუშის ან დიდი მხატვრის ნაწარმოების ხილვისას, რა მოგანიჭებდათ უფრო დიდ სიამოვნებას?**

ა) თუკი მარტოს მომეცემოდა მასზე დაკვირვების საშუალება და ხელს არავინ შემიშლიდა;

ბ) ჩემთვის შუალედური პასუხია მისაღები;

გ) თუკი ჩემთვის უახლოეს ადამიანთან ერთად მასზე დაკვირვების საშუალება მომეცემოდა.

**დაითვალეთ ქულები:**

**1,5,7,8, 10 შეკითხვების ყოველ „ა“ ვარიანტში და 2,3,4,6,9 შეკითხვების „გ“ ვარიანტში დაიწერეთ 2 ქულა. ყოველ „ბ“ ვარიანტში დაიწერეთ 1 ქულა.**

## ტესტის შედეგები

**7 ან 7-ზე ნაკლები ქულა:** სავარაუდოა, რომ ადამიანებთან საქმის დაჭერას, გირჩევნიათ, თქვენი საკეთებელი მარტომ აკეთოთ, რადგან ამ დროს თქვენი ინტერესის საგანზე კონცენტრირებაში ხელს არავინ გიშლით. უსულო საგნებთან შეხებამ, სკეპტიციზმს, კრიტიკულ მიდგომას და სიზუსტისაკენ ლტოლვას მიგაჩვიათ. თქვენთვის ძნელია, ადამიანებთან ურთიერთობა, ამიტომ ირგვლივ მყოფები მიიჩნევენ, რომ ცივი ადამიანი ბრძანდებით. თქვენი უკომპრომისო ხასიათი ამ შეხედულებას კიდევ უფრო განუმტკიცებს მათ. სინამდვილეში, ძალზე პირდაპირი და პატიოსანი ადამიანი ხართ და ბევრი ამას აფასებს კიდეც, თუმცა ახლო ურთიერთობების დამყარება თქვენთვის სირთულეს წარმოადგენს. ახლობლები და მეგობრები უყურადღებობასა და თქვენი მხრიდან გამოვლენილი სითბოს ნაკლებობას უჩივიან, თუმცა მათ მიმართ პრეტენზიები თქვენც გაქვთ: მიიჩნევთ, რომ მათ არ ესმით თქვენი და უმიზეზოდ კაპრიზობენ, რადგან შინაგანად ახლობლების მიმართ საოცრად კეთილგანწყობილი ბრძანდებით.

**8-13 ქულა:** საგნებთან და ადამიანებთან ურთიერთობა ერთნაირად კარგად გამოგდით, რადგან საგნებთან კონცენტრირებული მუშაობაც გიტაცებთ და ადამიანებთან კონტაქტებიც გიზიდავთ. გულჩათხრობილ ადამიანთა კატეგორიას ნამდვილად არ განეკუთვნებით. როცა გვერდით არავინ გყავთ, თქვენთვის მოსაწყენია მუშაობა, მაგრამ არც გამუდმებულ კონტაქტს ელტვით, რადგან დროდადრო, განმარტოების მოთხოვნილება გიჩნდებათ.

**14-20 ქულა:** თქვენ გულღია ადამიანი ბრძანდებით. გულისხმიერება და უბრალოებაც თქვენთვის დამახასიათებელი თვისებებია და აქედან გამომდინარე, ძალზე გიიოლდებათ ადამიანებთან ურთიერთობა. ყურადღება და შემგუებლური ბუნება თქვენდამი ინტერესს უღვივებს ირგვლივ მყოფებს. ადამიანებთან ერთად მუშაობა იმდენად გიყვართ, რომ კრიტიკაც კი არ გაშინებთ. გაქვთ უნარი, ადვილად დაიმახსოვროთ ადამიანთა სახეები და არც მათი სახელების დამახსოვრება გიჭირთ — ბუნებრივია, ირგვლივ მყოფები ამას კეთილგანწყობად აღიქვამენ და თავადაც მადლიერებას გამოხატავენ თქვენ მიმართ. ურთიერთობის ასეთ სიმსუბუქეს, რაღაც თვალსაზრისით, ზედაპირულობაც ახლავს.

უდავოა, რომ მათ, ვინც **დაბალი ქულები** მოაგროვეს, უფრო უადვილდებათ საქმეზე კონცენტრირება, **მაღალი ქულების** პატრონებს კი — ადამიანებთან ურთიერთობა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პირველები მარტოხელობისთვის არიან განწირულნი, ხოლო მეორეებს არ შეუძლიათ პროფესიონალებად ყოფნა. უბრალოდ, არსებობს რაღაც, რისთვისაც ერთს უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდება, ვიდრე მეორეს. ადამიანს კი ყოველთვის აქვს არჩევანის უფლება და ეს არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანია მისთვის.

# მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული წყვილი 207 წლისაა

ქალაქ იოკოჰამაში მცხოვრებ, იაპონელ იოიჩი და კაზანო გომებს, რომელთაც 104 და 103 წელი შეუსრულდათ და უკვე 72 წელია, რაც ცოლ-ქმარი არიან, ,,გინესის რეკორდების წიგნში" მოხვედრა სურთ. ამ მიზეზით, თავიანთ სახლში, ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართეს,



თუმცა, თავისი ასაკი ზუსტად ვერც ერთმა ვერ გაიხსენა. ამაში მათ ნათესავები დაეხმარნენ და ცოლ-ქმარს შეახსენეს, რომ ორივეს ერთად 207 წელი შეუსრულდა და სრული უფლება აქვთ, ყველაზე ხანდაზმული წყვილის სტატუსის მინიჭება ოფიციალურად მოითხოვონ.

ამჟამად ,,გინესის რეკორდების წიგნის" ვერსიის მიხედვით, ყველაზე ხანდაზმულად, ფილადელფიელი ჰერბერტ და მაგდა ბრაუნების წყვილი ითვლება, რომელთაგან თითოეული შესაბამისად, 105 და 100 წლისაა.

კითხვაზე — თუ რაში მდგომარეობს მათი ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლო, ყოფილმა სახელმწიფო მოხელემ, იოიჩი გომმა ჟურნალისტებს უპასუხა: ,,იმედი არ უნდა დაკარგო, სიცოცხლე უნდა გწყუროდეს. მე და ჩემს ცოლს, ყველაზე მეტად, დროის ერთად გატარება მოგვწონს". ქმრის სიტყვებს მისი მეუღლე თავის დაქნევით დაეთანხმა და დასძინა: ,,თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ამდენ ხანს სიცოცხლე მოსაწყენიც კია. პირადად მე, ცხოვრებაში უკვე აღარაფერი მხიბლავს".

ხანდაზმულ წყვილს სამი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ექვსი შვილთაშვილი ჰყავს. ■

# ცნობილ ტენორს პოლიცია ეძებს



მაქინატორმა, რომელიც თავს ცნობილ ტენორად ასაღებდა, ვენის ხელოვნების ფესტივალი 400 ათასი ევროთი დააზარალა.

ავსტრიის დედაქალაქის პოლიცია, ეძებს ავანტიურისტს, რომელმაც სარფიანად გააცურა ვენის კერძო ფესტივალის ხელმძღვანელები. როგორც ფესტივალის ორგანიზატორები ამბობენ, მათ ხელი მოაწერეს კონტრაქტს ცნობილ ტენორთან — პიტერ კაფკასთან. საკონტრაქტო თანხა 400 ათასი ევროს შეადგენდა.

დათქმულ დროს, კაფკა ოპერა ,,ლეონორის" გენერალურ რეპეტიციაზე არ გამოცხადებულა. რეპეტიცია ავსტრიის დედაქალაქში, სასახლე ,,შვერცენბერგში" უნდა ჩატარებულიყო.

,,კაფკას გაუჩინარებასთან ერთად, გაქრა 30-კაციანი დასისთვის გაცემული ავანსი; ასევე დეკორაციების მოსაწყობად, კოსტიუმების შესაძენად და ვენის ძვირად ღირებულ სასტუმროებში მომსახურებისთვის გამოყოფილი თანხა...", — დასძინა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ვოლფგანგ რიტცერბერგმა.

როგორც პოლიციელმა მარტინა ფელიოხმა განაცხადა, კაფკას მთელ ავსტრიაში, მაგრამ ჯერჯერობით — უშედეგოდ ეძებენ. ■

# ქალი სიკვდილისგან ვიაგრამ იხსნა

მძიმედ დაავადებული, დიდი ბრიტანეთის მცხოვრები ქალბატონი, სიკვდილს პრეპარატ ვიაგრის წყალობით გადაურჩა. ექიმებმა ამ შემთხვევას იშვიათი და უნიკალური უწოდეს.

ბრიტანეთის ქალაქ ჰალში მცხოვრები კატერინა ლი, დიდხანს იტანჯებოდა ფილტვების მძიმე ფორმის დაავადებით. ერთი წლის წინ, ექიმებმა მას შემაშფოთებელი დიაგნოზი — ფილტვებს ჰიპერტენზია დაუსვეს. ეს გახლავთ იშვიათი დაავადება, რომლის დროსაც, სისხლძარღვები იმდენად ვიწროვდება, რომ გულის მარჯვენა პარკუჭის ფუნქციის შესუსტებას იწვევს.

თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობით შეშფოთებულმა 32 წლის ქალმა გადაწყვიტა, მკურნალობის საკუთარი მეთოდი შეემუშავებინა და მივიდა დასკვნამდე, რომ მას, ვიაგრაზე უკეთ, ვერც ერთი პრეპარატი ვერ განკურნავდა.




მისი მკურნალი ექიმის — ალან მორისის გასაოცრად, პაციენტს ნელ-ნელა გაუმჯობესება დაეტყო, გაუქრა თავბრუს ხვევის შეგრძნება, გულის კუნთის მუშაობა ნორმაში ჩაუდგა და მალე სრულიად გამოჯანმრთელდა. ,,პრეპარატი ვიაგრა, რომელიც მამაკაცებში იმპოტენციის სამკურნალოდ გამოიყენება, სისხლძარღვებს აფართოებს. ეს თავის მხრივ, ხელს უწყობს პენისის არეში სისხლის თავისუფლად ცირკულაციას და შესაბამისად, ერექციას იწვევს", — ამბობს ლის მკურნალი ექიმი. კატერინას შემთხვევაში, კი წამალმა სხვაგვარად იმოქმედა: მან ფილტვების არეში გამავალი სისხლძარღვები გააფართოვა და სისხლის თავისუფლად ცირკულაციას შეუწყო ხელი. სწორედ ამის შედეგია, რომ პაციენტი სრულიად გამოჯანმრთელდა და სრულყოფილ ცხოვრებას დაუბრუნდა.

,,თვითმკურნალობა რომ არ დამეწყო, უკვე იმ ქვეყნად ვიქნებოდი", — აღიარა კატერინა ლიმ და დასძინა: ,,მიუხედავად იმისა, რომ ვიაგრა სექსუალური დარღვევების სამკურნალოდ ინიშნება, პრეპარატს ჩემში არანაირი აღმგზნები ეფექტი არ გამოუწვევია."

■

# ფოტოკურიოზები














ყურადღება!

# 26 აგვისტოდან!

№15(26), 26 აგვისტო-8 სექტემბერი, 2005

ფასი 80 თეთრი

# კარიბჭე

მართლმადიდებლური ჟურნალი

ს 113/18

ნომრის თემა: **მრევლი**



მოძღვარი, რომელიც თავისი ცხოვრებით ქადაგებს

არ შეიძლება, დღეს ქრისტე სხვანაირად გწამდეს და ხვალ – სხვანაირად

თუ ქალი თავმდაბალია, აქვს შიში ღმრთისა, მაშინ მის სახლში ყველაფერი ისეა, როგორც საჭიროა

„მარხვის მორწმუნეები“ და „ზოგადად მორწმუნეები“

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ